კვირის პალიტრა

გზა

N20 (205) 13/V.-19/V.2004.
ფასი 60 თ.

1168
2004

„ბეფიცები, არ მინდოდა შენი დაკარგვა“

ბზაკინლები — როცა სინდისის ქენჯნა ფეგანუხებს...

ანომალია — ნელის სიამის ფყუპი შეეძინა



ია ფარულავა: „სულ შეყვარებული ვიყავი. ახლა რა დამემართა, არ ვიცი...“

ტრაგედია — ძებნილებს ჩვენი შვილები ეწირებიან... რა მოხდა „კრისტალში“

№10(70) 13.V-26.V 2004

ოჯახის

მეუღლეები

ფასი 70 თეთრი

საამედიცინო ჟურნალი

მთავარი თემა
გენეტიკური დაავადებები

კლონირება

ორსულთა ტოქსიკოზი

ჭორფლი

ლამაზ თანკბილვაზე ბავშვობიდანვე უნდა ვიზრუნოთ

რომ არ გაჭაღარავდეთ

თბილისში ციმბირის წყლულის შემთხვევები დაფიქსირდა

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№20 (205)
13 — 19 ᲛᲐᲘᲡᲘ 2004
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲓᲠᲝᲜᲘ ᲛᲔᲣᲛᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲣᲛᲔᲜᲘ ᲐᲜᲣ „ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲓᲐ ᲚᲝᲓᲘᲜᲘ“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲠᲐᲡ ᲔᲠᲩᲘᲡ ᲑᲔᲡᲝ ᲧᲣᲓᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲘᲡ 6
ᲡᲐᲡᲘᲫᲝ
„ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ ᲣᲛᲔᲓᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲖᲝᲛᲝᲓ...“ 9
ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲝ
„ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲡᲘᲛᲗᲕᲠᲐᲚᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲝ...“ 10
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
● ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲖᲐ 21 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ ᲨᲔᲛᲒᲖᲐᲠᲐᲕ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲡ 12
● ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲨᲐᲜᲘᲫᲔᲡ, ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ, ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲘᲚᲔᲠᲛᲐ ᲔᲡᲠᲝᲚᲐ 14
ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ
ᲫᲔᲑᲜᲘᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲬᲘᲠᲔᲑᲘᲐᲜ! — ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜ „ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲨᲘ“? 15
ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ: „ᲘᲖᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲔᲠᲕᲔᲠᲙᲘ ᲘᲧᲝ...“ 18
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 20
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
ᲠᲔᲒᲝᲘᲔᲡ ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲘ... 20
ᲗᲔᲛᲐ
ᲠᲝᲪᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲡᲬᲔᲕᲡ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ 22
ᲝᲯᲐᲮᲘ
ᲪᲣᲓ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲪᲝᲚᲒᲔ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ 25
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲒᲔᲨᲘᲪᲔᲑᲘ, ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ“ 27
ᲐᲜᲝᲛᲐᲚᲘᲐ
„ᲣᲨᲐᲚᲛᲐ ᲐᲡᲔ ᲘᲜᲔᲑᲐ...“ — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ 30
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ
ᲛᲖᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ ᲢᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲪᲜᲘᲗ ᲓᲐᲑᲖᲘᲠᲑᲖᲘᲜᲓᲐ... 32

ᲠᲝᲪᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲡᲬᲔᲕᲡ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

...ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲛᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲐᲓᲐ, ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲔᲬᲘᲐ. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲥᲐᲚᲘ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲡᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ...

22

ᲫᲔᲑᲜᲘᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲬᲘᲠᲔᲑᲘᲐᲜ! ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜ „ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲨᲘ“?

ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲝᲠᲛᲔᲯᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲕᲔᲜᲘᲨᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲘᲛᲬᲣᲗᲐᲡᲕᲔ ᲒᲐᲕᲧᲔᲕᲘ. ᲒᲐᲛᲘᲙᲕᲘᲠᲓᲐ — ᲣᲪᲜᲝᲑᲡ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲓ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ? ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲛ ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲐ — ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲝ, — ᲓᲐ ᲩᲐᲘᲙᲔᲪᲐ...

15

ᲛᲖᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ ᲢᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲪᲜᲘᲗ ᲓᲐᲑᲖᲘᲠᲑᲖᲘᲜᲓᲐ...

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐᲕᲨᲝᲠᲓᲘᲗ, ᲐᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲛᲐ თᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲓᲐᲦᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲕᲐ. ᲡᲣᲚ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲛᲔᲛᲐᲠᲗᲐ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ: ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲕᲘᲜᲛᲔ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ...

32

ᲤᲐᲠᲨᲐᲕᲐᲜᲒᲘ ᲑᲐᲩᲝ ᲘᲜᲓᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲘᲮᲓᲘᲡ

ᲐᲚᲑᲐᲗ ᲑᲔᲕᲠ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲘᲐ, ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ“ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲒᲠᲫᲔᲚ ᲡᲙᲐᲛᲖᲔ ᲛᲔᲓᲘᲓᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲤᲐᲠᲨᲐᲕᲐᲜᲒᲘ... ᲗᲣ ᲤᲝᲢᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲤᲐᲠᲨᲐᲕᲐᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔ, ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲯᲠᲘᲗ...

62

ჭრელი მსოფლიო 33,51,54,57

ტაძარი

რამდენი მნიშვნელოვანი ადგილია საკურთხეველში? 34

შთამომავლობა

პირველი ქალი-ლოტბარი და სიმღერის ოსტატთა სამი თაობა 35

ფესვურთის ისტორიიდან

შინალი „პარკ დე ფრანსზე“ და პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონები 38

სპორტის მოზაიკა 40

ავტო 41

რომანი

რუსულიდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

შონ კონერის დაჩაგრული ქალები 46

ბომონდი 48

მოგზაურის დღიურები

როგორ გამაამერიკელა ნიაგარის ჩანჩქერმა 49

შემლოცველი

მაგიური ზემოქმედება ავესტიკურ დაავადებებს იწვევს 52

საკითხავი ქალებისათვის 54

ჯანმრთელობა

- ციმბირული წყლული 56
- დაბალი წნევა 57
- კითხვა-პასუხი 58
- პროქტოლოგიური დაავადებები 58

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (17-23 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

ადამიანი

შარმავანგი ბაჩო ინდმეწარმის გადასახადებს პირნათლად იხდის 62

ტესტი

რამდენად გამბედავი ადამიანი ხართ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

როგორ გამაამერიკელა ნიაგარის ჩანჩქერმა...

ამასობაში, უფრო მივუახლოვდით ჩანჩქერს. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო?! – წყლის ნაკადი პირდაპირ ჩვენ გვეცემოდა, თითქოს თავში ეროს გირტყამენო, ისეთი შეგრძნება მქონდა... ოკეანის შტორმში მოხვედრისას, ალბათ ამაზე მეტად არ შემეშინდებოდა...

49

„უფალმა ასე ინება...“ – ამბობს თავებით შეზრდილი გოგონების დედა

„რატომ სიამის ტყუპი? და რაღა მაინცდამაინც ჩვენ? ღმერთმა რატომ მიგვატოვა?“ – ეკითხებოდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს მერე კი მათ ისევ ღვთის რწმენა დაეხმარა – იფიქრეს და ბედს შეურიგდნენ...

30

შონ კონერის დაჩაგრული ქალები



...ჟურნალისტის კითხვას პროვოკაციის ელფერი დაჰკრავდა. მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად აღიარებული მსახიობი მუდამ სიმართლეს ამბობს. ამჯერადაც, გულახდილად უპასუხა: „ქალისთვის ხელის გარტყმაში საოცარი არაფერია...“

46

თავისუფალი თემა



მიშამ კარი ფრთხილად შეაღო და გზა გვანცას დაუთმო. ფანჯარასთან გამხდარ-გალეული ქალი იდგა, ოდნავ გადაწეულ მძიმე ფარდას აკანკალებული ხელით ჩაჰბღაუჭებოდა და გარეთ იხედებოდა.

– დედა... – ძლივსღა ამოთქვა გვანცამ და ანასკენ რამდენიმე ნაბიჯი ბორძიკით წადგა.

42



ლრინი მეფობენ და ორი მეფენი ორნუ „ამისთვის ღირდა ლოდინი"

ნოდარ დუმბაძის ცნობილი ნოველისა არ იყოს, ის დილაც ჩვეულებრივად გათენდა ბათუმში: ძაღლმაც დაიყეფა, თხამაც დაიპეტელა, არწივმაც დაუსტვინა, ჯემალმაც დაამთქნარა, ცოტნემაც დააცხიკა, მაგრამ აჭარას მაინც აკლდა რაღაც თბილი და ახლობელი... და როცა გამთენიისას პრეზიდენტმა განაცხადა: — აჭარა თავისუფალიაო, — მივხვდი, რომ ეს რაღაც(!), „ბაბუ" იყო...

13 წელი ვუკარით ტაში, უბადლო პატრიოტი და ერისკაცი ვეძახეთ; 13 წელი ველოდით, მაგრამ თურმე „ამისთვის ღირდა ლოდინი!.." ბუმბერაზი კაცი იყოო, ნამდვილი ორატორიო: ერთ წუთში შეეძლო, მოყვარე მტრად ექცია. ინტუიცია ხომ შესაშური ჰქონდა: ბოლო დროს, ხშირად ადებდა ყურს მიწაზე; ერთხელაც თქვა — რევოლუცია მოდისო! — და მის ტერიტორიაზე რომ არ შეეღწია, ხიდებიც კი „აიღო". მაგრამ იმ რევოლუციას ცურვაც სცოდნია, მაინც გააღწია ჩოლოქის გაღმა და რა ამბავიც დაატრიალა, თვითონაც ნახეთ...

რაღა დაგიმალოთ და, პროვოკატორულმა ცნობისმოყვარეობამ ისე დამიმონა, რომ გადავწყვიტე, მოვლენების ეპიცენტრში ვყოფილიყავი, მომიტინგეებში გავერიე და სახანძრო მანქანის შხაპიც მივიღე. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, — ბათუმში ღამით ხმაური იმდენ წელიწადს იყო აკრძალული, რომ მომიტინგეები თავიდან ჩურჩულით სკანდირებდნენ — „წადი, წადი!" — რომ „ლომი" არ გაეღვიძებინათ. მერე კი, ელიბოს მარანში შეპარულებივით გათამამდნენ და ისე დასჭექეს, რომ მეზობელი ქვეყნიდან ივანოვიც კი ჩამოფრინდა — ხომ მშვიდობაა?!.

რეზიდენციაშიც ერთ-ერთი პირველი შევვარდი. მაინტერესებდა, მართლა ასეთი ზღაპრული ქონების პატრონი იყო თუ არა: დედა!!! ეს რა რემონტი ჰქონია!.. ოროთახიანი ჩეხური ბინა, მიშენებით; „კუხნა" აივანზე გაუტანია და მესამე „სპალნაც" გამოსვლია. „ზალაში" მარტო შპალერი ჰქონდა ისეთი, 6 ლარზე იაფად რომ ვერ იყიდი ელიავაზე; მერე როგორი პარკეტი, რა „ციკლოვკა" და ლაქი!.. „ვანა" — ტუალეტი ხომ სულ ჩაუკაფელებია და „გეპეის ატმორიც" ეყენა. აბაზანაზე კიბე იყო მიდგმული...

შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინეს ჩვენი ტელევიზიების ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა: ერთმანეთს ასწრებდნენ უნიტაზში ვიდეოკამერებით... ისე, მართლა იმდენად საუცხოო და ლამაზი უნიტაზი იყო, რომ მთვრალს განსხვავებული სასმისი გეგონებოდა.

სრულ ავტომატიკაზე ჰქონდა გადაყვანილი ყველაფერი: საწოლსაც კი არ ალაგებდა თვითონ — ღილაკს თითს დააჭერდა და მოახლე შემოვიდოდა.

მოკლედ, იშვიათად თუ გაუწევია ჩვენი ქვეყნისათვის ვინმეს ისეთი სამსახური, როგორიც ამ კაცმა თავისი წასვლით გასწია: ჯერ მარტო, იარაღის არსენალი დაგვიტოვა ისეთი, აწი იქით მოვამარაგებთ ნატოს; რა ავტომატები და რაკეტები, რა ტანკები და ვერტმფრენები!.. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთავარია „საიდუმლო იარაღი", რომელსაც თურმე ანალოგი არ გააჩნია. თუმცა, ზოგიერთმა პროვოკატორმა (ჩემზე უარესმა) ისიც კი თქვა — ეკრანზე „მაკაროვის" პისტოლეტს ჰგავდაო. ჩვენმა თავდაცვის გამოცდილმა მინისტრმა რომ ნახა, წყლის შესასხმელი სათამაშო პისტოლეტი ეგონა და წუწაობა მოინდომა თურმე. კიდევ კარგი, დროზე გამოართვეს უფრო გამოცდილმა მინისტრებმა, თორემ დაგვღუპავდა საშვილიშვილოდ...

ბიუჯეტის შევსების პრობლემა ხომ სამარადჟამოდ მოგვეხსნა: აქეთ სარფის საბაჟოო, იქით — რკინიგზაო, ეს — ტერმინალიო, ის — ჰეროინის ქარხნებიო და რა ვიცი, კიდევ რა... მარტო ჰეროინის ქარხნების შემოსავალი რომ წავიდეს ბიუჯეტში, „სასწრაფოც" უფასო გვექნება და დამკრძალავი ბიუროს მომსახურებაც...

და კიდევ, ყველაზე მთავარი: ბაბუს პირადი ქონება, რომელიც აუქციონზე უნდა გაიყიდოს. ვინც იყიდის, იმას პროკურატურა დაიჭერს — საიდან გაქვს ამდენი ფულიო?.. მერე ჩამოვართმევთ ამ შეძენილ ქონებას, ისევ აუქციონზე გავიტანთ და ასე, მუდმივად...

აი, ამდენი პატივი გვცა ამ კაცმა, მაგრამ რა?! „დიდებული ადამიანები ხომ უძეგლოდ რჩებიან!.."

P.S. ამონარიდი ასლან აბაშიძის დღიურებიდან:

2 მაისი: ავაფეთქე ხიდები, მაგრად ვარ;
3 მაისი: დავარიგე იარაღი, მაგრად ვარ;
4 მაისი: დავარბიე მიტინგი, მაგრად ვარ;
5 მაისი: მძვინვარებს ოპოზიცია, სუსტად ვარ;
6 მაისი: ჩამოვიდა ივანოვი... ვაი!..

პროვოკატორი

„ახალ ფრაქციაში კობა დავითაშვილთან ერთად ვიქნები“

— თქვენ პრაქტიკულად დატოვეთ საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქცია. როგორც სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ამბობენ, ამის მიზეზი, არა განსხვავებული პოზიციის არსებობა, არამედ ის უთანხმოებაა, რომელიც რევოლუციის შემდეგ, თანამდებობების გადანაწილების პროცესში გაჩნდა...

ზვიად ძიძიგური, პარლამენტის წევრი („ნაციონალები-დემოკრატები“):

— ჩემს წინააღმდეგ გამოთქმულ სრულიად უსამართლო ბრალდებებს უკვე შეჩვეული ვარ და აღარც ვღიზიანდები. თავისთავად სასიამოვნო ფაქტი არ არის, როცა განსხვავებული აზრის გამო, ადამიანს ცილს დასწამებენ და ლამისაა, ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადებენ. ფრაქციის დატოვება გადავწყვიტე იმის გამო, რომ საკუთარი აზრებისა და პოზიციის დაფიქსირებისას შეზღუდული არ ვიყო. მე განსხვავებული შეხედულება მაქვს საკონსტიტუციო ცვლილებებთან, პენსიებთან და ბიუჯეტთან დაკავშირებით. თუ პარტიის წევრს ამის ხმამაღლა დაფიქსირების უფლება არ გააჩნია, მაშინ საჭიროა ამ არტახებიდან გათავისუფლება. დღემდე მიმაჩნია, რომ მთავრობის მუშაობას საკანონმდებლო ორგანომ კონტროლი უნდა გაუწიოს, უნდა იყოს კონსტრუქციული, ხანდახან მწვავე კრიტიკული განცხადებებიც და არა ისე, რომ პრემიერ-მინისტრის ნებისმიერ ინიციატივას მორჩილი ბავშვებივით დავეთანხმოთ. პარტიის ასეთი შინაგანაწესი ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები ახალი ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით. ის სიტუაცია, რაც პარლამენტში არსებობს, გამოიწვევს ისეთი ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელსაც ავტონომიური ჯგუფი ერქმევა და საკუთარი აზრის გამოთქმას არავინ დაუშლის. ამ ფრაქციაში მე და კობა დავითაშვილი ერთად ვიქნებით. ■

„პარტიულ ჩარჩოებში მოქცევა არ მინდა“

— პარლამენტში თქვენ მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, რომ ოპოზიციურად ხართ განწყობილი. უახლოეს მომავალში კვლავ „ახალი მემარჯვენეების“ რიგებში ხომ არ გიხილავთ?

ლევან გაჩეჩილაძე, პარლამენტის წევრი (მაჟორიტარი):

— თავისუფალი დეპუტატის სტატუსი ამ ეტაპზე, სავსებით მაკმაყოფილებს. საკუთარი აზრის გამოხატვა ყოველგვარი პარტიული დისციპლინის გარეშე, ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავს. ცალსახად არც ოპოზიციურად ვარ განწყობილი და არც ხელისუფლების კურსს ვუჭერ მხარს უპირობოდ. არსებობს საკითხები, რომლის განხილვის დროს ძალიან კატეგორიული ვიქნები. ბიუჯეტთან დაკავშირებით ჩემი უარყოფითი პოზიცია დავაფიქსირე, განვაცხადე, რომ მთავრობასთან ერთად პასუხისმგებლობას ვერ გავიზიარებ იმ ბუნდოვანი პარამეტრების დამტკიცებისთვის, რასაც პრემიერ-მინისტრი გვთავაზობს. მაგრამ არის ცალკეული საკითხები, რომელიც ჩემს შეხედულებებს არ ეწინააღმდეგება და ამ საკითხების დამტკიცების დროს, უმრავლესობისათვის სასურველ გადაწყვეტილებას დავეთანხმები. მთავარი ის არის, რომ საკუთარი აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით სრული თავისუფლება მაქვს. რაც შეეხება „ახლებთან“ ურთიერთობას — რევოლუციის პერიოდში ჩემი და დათო გამყრელიძის პოლიტიკური შეხედულებები გაიყო. შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენ დღესაც იდენტური მოსაზრებები გვქონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვლავ პარტიულ ჩარჩოებში მოვექცე. თითოეული ჩემი მოსაზრება დამოუკიდებელი მაჟორიტარის პოზიცია იქნება, ყოველგვარი პარტიული დისციპლინის გარეშე. ■

„პლებისციტი არჩევნებამდე უნდა ჩატარდეს“

— ავტონომიის გაუქმებასთან დაკავშირებით პლებისციტის გამართვის ინიციატივას ხელისუფლება ოპოზიციის პოლიტიკური უმწიფრობით ხსნის. გეგმავს თუ არა საპარლამენტო ოპოზიცია უახლოეს დღეებში ამ საკითხის წინ წამოწევას?

დავით გამყრელიძე, პარლამენტის წევრი („მემარჯვენე ოპოზიცია“):

— ხელოვნური სტატუსი ავტონომიისა, რომელიც აჭარაში მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა, გადახედვას საჭიროებს. ამაში ვერავითარ პოლიტიკურ წინდაუხედაობას ვერ ვხედავ, პირიქით — რეგიონში ისეთი ფონია შექმნილი, როცა არსებული სტერეოტიპების უმტკივნეულოდ შეცვლაა შესაძლებელი. თუმცა, ავტონომიის გაუქმებასთან დაკავშირებით პოლიტიკოსებმა არ უნდა იაქტიურონ, მთავარია ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა. მათ უკვე თავისუფლად შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები ავტონომიასთან დაკავშირებით. ოპოზიცია სწორედ ამიტომ ითხოვს პლებისციტის გამართვას. ასეთი გამოკითხვა, აჭარაში არანაირ დაძაბულობას არ შექმნის. შესაძლო დესტაბილიზაციით ის ადამიანები გვაშინებენ, ვისაც თვალი უჭირავთ იმ თანამდებობებზე, რომლებსაც ავტონომიის სტატუსი ითვალისწინებს. პლებისციტის თემა კვლავ დადგება დღის წესრიგში, რადგან ის არჩევნებამდე უნდა ჩატარდეს. თუ მოსახლეობის უმეტესობა მხარს დაუჭერს ავტონომიის გაუქმებას, მაშინ პარლამენტი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ კანონი უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რატომ არ უნდა მივცეთ შანსი აჭარის მოსახლეობას, თავად გააკეთოს არჩევანი. იმის გამო, რომ ცალკეულ პირებს უსაფუძვლო შიში აწუხებთ, უარი ვთქვათ პლებისციტზე? ეს ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შეცდომა იქნება. ■

„ჩემთვის მერის თანამდებობა არავის შემოუთავაზებია“

— აჭარიდან ასლან აბაშიძის წასვლის შემდეგ, თქვენ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატად გასახელებდნენ. თქვენი აზრით, რატომ შეაჩერა პრეზიდენტმა არჩევანი ედვარდ სურმანიძეზე?

თენგიზ ასანიძე, საპრეზიდენტო საბჭოს წევრი:

— აბაშიძის გადადგომის შემდეგ, პრეზიდენტმა, ოფიციალური დოკუმენტის მიღებამდე, დროებით გაანაწილა ფუნქციები. მაშინ საბჭოს წევრთა რაოდენობა 7 კაცს არ აღემატებოდა და მისი მუშაობის ფორმატიც სხვაგვარი იყო. სახელდახელოდ განაწილდა ფუნქციები. საბჭოს წევრებს ეკონომიკის, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობისა და ქალაქის მეურნეობასთან დაკავშირებით უნდა ეთათბირათ. მე, როგორც საბჭოს წევრმა, ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს მივაწოდე, მათ კი ისეთი ინტერპრეტაციით გავრცელეს, თითქოს მერის ფუნქციებს ვითავსებდი. ეს არასწორია, რადგან ჩემთვის მერის თანამდებობა არავის შემოუთავაზებია. პრეზიდენტმა — როგორც ჩანს, გარკვეულ გათვლებზე დაყრდნობით — შეარჩია კადრები. მე ამის გამო ნამდვილად არ მწყდება გული. ჩემი სამომავლო გეგმები აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებს უკავშირდება. მთელი შემართებით ვემზადები დეპუტატობისათვის. მერის თანამდებობა რომ დამეკავებინა, იურიდიულად არჩევნებში მონაწილეობის უფლებას დავკარგავდი, თანაც წარმოუდგენელია, ერთმანეთის პარალელურად ქალაქის პრობლემებზეც იზრუნო და წინასაარჩევნო კამპანიაც აწარმოო. ჩემთვის მაჟორიტარ დეპუტატად ყოფნა გაცილებით საინტერესო და პერსპექტიული სამუშაოა, ვიდრე მერის თანამდებობაზე საქმიანობა. ■

„ნალკაში ეროვნული ანტაგონიზმი არ არსებობს“

— თქვენი მტკიცებით, წალკის ინციდენტი ეთნიკურ დაპირისპირებად არ უნდა განვიხილოთ. თუმცა ადგილობრივი სოფლები არ უარყოფენ, რომ იარაღითა და საბრძოლო აღჭურვილობით მარაგდებიან. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ წალკაში არსებული იარაღის შესახებ?

ვან გაიგურთი, პარლამენტის წევრი („ნაციონალები-დემოკრატები“):

— კონკრეტული ინფორმაცია ამ რაიონში არსებულ იარაღთან დაკავშირებით არ გამაჩნია. თუმცა არა მგონია, რომ მისი რაოდენობა შემაშფოთებელი მასშტაბების იყოს. კერძო პირებს საქართველოს ნებისმიერ რაიონში შეიძლება ჰქონდეთ ცეცხლსასროლი იარაღი, ამის შესახებ სპეციალური ორგანოები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას. თუ სამართალდამცავებმა იციან, რომ წალკაში ასეთი ფაქტს აქვს ადგილი, ჩავიდნენ და ჩამოართვან. ეს შესაძლო პროვოკაციის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება იქნება. წალკის რაიონში შინაგანი ჯარების ქვედანაყოფის ჩაყვანა, ვფიქრობ, სიტუაციას განმუხტავს. წალკაში მსგავსი ინციდენტები იქ აჭარლების ჩასახლების შემდეგ, ხშირად ხდება. ეს სომხებსა და ქართველებს შორის ანტაგონიზმით გამოწვეული არ არის. ჩხუბის ძირითად მიზეზს, სოციალური, ყოფითი პრობლემები წარმოადგენს. როგორც ჩანს, ვიღაცას უნდა, რომ ამით ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირება მოახდინოს. ადგილობრივ მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოვუწოდებ. ნებისმიერი დამნაშავე კანონის ძალით უნდა დაისაჯოს. ■

„შესაძლოა, ევროსაბჭომ ბოდიში მოისადოს...“

— ხომ არ შეიძლება, საერთაშორისო სკანდალი გამოიწვიოს ევროსაბჭოს წარმომადგენლის — პლამენ ნიკოლოვისა და გენერალური მდივნის — ვალტერ შვიმერის მიმართ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებულმა მწვავე განცხადებებმა?

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— ევროსაბჭოს გენერალური მდივნის საჯარო განცხადებებიდან ყოველთვის მკაფიოდ ჩანდა მისი კეთილგანწყობა ასლან აბაშიძის მიმართ. მართალია, მან კონფლიქტთან დაკავშირებული შენიშვნები ცენტრალურ და რეგიონის ხელმძღვანელებს „გადაუნაწილა“, მაგრამ ასეთი ფორმულირების მიღმა, ცენტრის შეფარული კრიტიკა იგრძნობოდა. საქართველოს ხელისუფლებამ ევროსაბჭოს წარმომადგენლებს აბაშიძის გულშემატკივრობა ვერ აპატია. ასეთი დიპლომატიური სკანდალები, როცა ქვეყნის მმართველი ძალა უკმაყოფილოა საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკით, იშვიათობას არ წარმოადგენს. საქართველოში ამის მაგალითი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროსაც გვინახავს. მაშინ საქართველოს ხელმძღვანელობის ნათქვამს — ჩვენ არავისგან ჭკუის სწავლება არ გვჭირდებაო, — მსოფლიოს საზოგადოებრობის მხრიდან ჩვენი იზოლაციაში მოქცევა მოჰყვა. თუმცა ახლა, რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა, ინტერესი საქართველოს მიმართ გაათკეცებულია. ამიტომ სააკაშვილის განცხადებების გამო იზოლაციას არ უნდა ველოდოთ. ჩემი აზრით, თავისთავად ამ ინციდენტის ასე გამწვავება არ ღირდა, მაგრამ ეს სტრატეგიულად სწორია იმ თვალსაზრისით, რომ შემდგომში, ჭკუის დარიგებასა და მენტორული ტონით ლაპარაკს, საქართველოს ვეღარავინ გაუბედავს. შესაძლოა, სააკაშვილის განცხადებას ევროსაბჭოში ცუდი რეაქცია მოჰყვეს, მაგრამ, არც ჩვენთვის ბოდიშის მოხდაა გამორიცხული... ■

რას ერჩის ბესო ჯუღელი ნინო კალანდაძეს

და რატომ ეშინია ნოდარ ნათაძის

ეკა მინდაძე

მეწარმე და პოლიტიკოსი, პარლამენტარი ბესო ჯუღელი საინტერესო რესპონდენტია. ყველა შეკითხვას სერიოზულად უდგება და პასუხსაც ვფიქრობ, გულახდილს მცემს. მით უფრო საინტერესოა ამ რუბრიკით თქვენ წინაშე მისი წარდგენა, რადგან „დეტექტორი“ პიროვნების უჩვეულო კუთხით დანახვას ისახავს მიზნად...

— ბატონო ბესო, მოდით საუბარი ბავშვობიდან დავიწყოთ.

— ძალიან ცელქი ვიყავი, მაგრამ ზრდილობის ზღვარს არასოდეს ვცილდებოდი. ზრდილობასა და სიცელქეს შორის უდიდესი განსხვავებაა. ბავშვი ცელქი უნდა იყოს და არა უზრდელი.

— რომელი სკოლა დაამთავრეთ და რა ნიშნებზე სწავლობდით?

— დავამთავრე 23-ე სკოლა. მიუხედავად სიცელქისა, ფრიადოსანი ვიყავი.

— ჩვევა, რომელიც ბავშვობიდან გამოგყვათ...

— უფროსის მიმართ პატივისცემა, არა დაკავებული თანამდებობის გამო, არამედ ასაკობრივი თვალსაზრისით. სამწუხაროდ, დღეს მშობლები ცოცხალი აღარ მყავს, მაგრამ ვინაიდან ჩემი ძმა ნუგზარი ჩემზე უფროსია, მისი სიტყვა ჩემთვის კანონია.

— პირველად სიყვარული რა ასაკში გეწვიათ?

— სიყვარული პირველად ბაღის ასაკში მეწვია. შემიყვარდა ჩემი თანაჯგუფელი გოგონა, რომელსაც ნელი ერქვა. ძალიან მომწონდა. არავითარ შემთხვევაში არ შევიდოდი ოთახში იმ დროს, როცა ნელი ღამის ქოთანზე იჯდა, აი, ასეთი ვაჟკაცი ვიყავი *(იცინის)*... გავიდა დრო, გავიზარდეთ, მაგრამ მე მას უბანში მხოლოდ გავლისას ვხვდებოდი. იმ ასაკის რომ გავხდი, როცა თავისუფლად შემეძლო სიყვარულის თემაზე საუბარი, გავბედე და ნელის გავუმხილე, რომ ბავშვობაში მასზე უზომოდ შეყვარებული ვიყავი.

— ისიც ხომ არ გამოგიტყდათ სიყვარულში?

— არა, ამგვარი რამ არ უთქვამს, უბრალოდ, მკითხა: მერე ამას ახლა მეუბნებიო?

— ამის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

— შემდეგ შემიყვარდა საოცრად ლამაზი და კარგი გოგონა — ეკა გეგეჭკორი. ჩემი პირველი პაემანიც მასთან შედგა. ეკა გასტროლებზე ჩამოსული ჩეხური თეატრის სპექტაკლზე დავპატიჟე. პაემანი ზემელზე დავუნიშნე. ნახევარი საათი მალოდინა, რამაც ჩემი გაოცება გამოიწვია — ვერ გამეგო, თუ რატომ მომექცა ასე... სპექტაკლის შემდეგ კი, ეკამ სიმართლე გამიმხილა: თურმე, ის დროზე მოსულა, მაგრამ შორიდან მითვალთვალებდა, და როცა წასვლა დავაპირე, მხოლოდ მაშინ გამოჩნდა... ეკა მართლაც, ძალიან კარგი გოგონა იყო, მაგრამ ეტყობა, ის ჩემი ბედი არ იყო და ერთმანეთს დავშორდით. სამწუხაროდ, ის მალე გარდაიცვალა...

— სამწუხაროა, მაგრამ მოდით ახლა თქვენს იღბლიან სიყვარულზე მესაუბრეთ...

— ჩემი ერთადერთი და ნამდვილი სიყვარული ჩემი მეუღლე მარიკა ბარნოვაა (ის ვასილ ბარნოვის შთამომავალია). ჩვენი გაცნობა სრულიად შემთხვევით მოხდა. მახსოვს, სექტემბრის მშვენიერი ღამე იყო. მე და ჩემი მეგობარი სხვა მეგობრის წვეულებიდან წამოვედით და ნასვამები, ჭავჭავაძის გამზირზე ვიდექით. ამ დროს მარიკამ და მისმა მეგობარმა ჩამოიარეს. მაშინვე ძალიან მომეწონა მარიკა და მასთან მისვლა და გამოლაპარაკება ვცადე. გავიცანი და სახლამდეც მივაცილე. აი, ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. პირველად მარიკა რუსთაველის თეატრში დავპატიჟე, ხოლო შედეგ — ფუნიკულორის რესტორანში, მაგრამ ამაზე ცივი უარი მივიღე.

— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?

— ფსიქოთერაპევტია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში ნევროლოგიური განყოფილების უფროსად მუშაობს.

— თუ გიყვართ ქალბატონებისთვის ყვავილების მირთმევა?

— ძალიან. ეს იმდენად სიამოვნებთ ქალებს, რომ მე მათ ამ ბედნიერებას ვერ მოვაკლებ.

— შეხვედრისას, ქალის აღსაქმელად პირველად, რას აკვირდებით?

— გერმანიაში ერთ-ერთმა ჟურნალმა გამოკითხვის შედეგად პარადოქსული პასუხი მიიღო. თურმე, ქალბატონები, ჩემდა გასაოცრად, მამაკაცში დიდ ყურადღებას საჯდომს აქცევენ... მამაკაცები კი — ქალის მკერდს. მე ქალში ყველაზე მეტად თვალები მიზიდავს.

— როცა უცნობი სიმპათიური ქალის ყურადღების მიპყრობა გინდათ, როგორი ხერხებით ცდილობთ ამას?

— დიდი ბოდიში თავხედობისთვის — თვითონ იმდენად სიმპათიური ვარ, რომ საჭირო არ არის ჩემი აქტიურობა. მით უმეტეს, მეტ-ნაკლებად პოპულარულიც ვარ.

— როგორი მამა და მეუღლე ხართ?

— ვფიქრობ, რომ ბრწყინვლე მამა და კარგი მეუღლე ვარ. ჩემი შვილები ისე გაიზარდნენ, რომ მათთვის ხმამაღალი სიტყვა არ მითქვამს. მათ ჩემგან, გარდა მოფერებისა, არაფერი ახსოვთ. ამის გამო ჩემი მეუღლე სულ მსაყვედურობდა. ეს ალბათ ჩემი მინუსია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მათ აღზრდაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. მე მათ მივანიჭე ჩემი გენეტიკური კოდი და ყველაფერ დანარჩენზე პასუხისმგებლობა მოვიხსენი.

— გაგვაცანით თქვენი შვილები.

— მყავს ქალ-ვაჟი. ჩემს ვაჟს, იტალიიდან დაბრუნებულს, ჩემი ბიზნესი ჩავაბარე — „ბელა სეტა“. მინდა, სიამაყით აღვნიშნო, რომ საერთოდ არ ვერევი მის საქმეში, რადგანაც მშვენიერი მენეჯერია და ბიზნესს კარგად უძღვება. რაც შეეხება ქალიშვილს — მან ვერ გაძლო უჩვენოდ იტალიაში, ამიტომ სწავლა თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გააგრძელა.

ბესო ჯუღელი და მისი უსაყვარლესი მეუღლე

— როგორც გავიგე, ოჯახში ორი ბესო ჯუღელი ხართ...

— დიახ. მყავს ორი შვილიშვილი: ვაჟის მხრიდან — ბესო ჯუღელი, ხოლო ქალიშვილის მხრიდან — დათუნა რობაქიძე.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ რძალთან? თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ალბათ ძვირფას საჩუქრებს უძღვნით ხოლმე...

— ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ვფიქრობ, რომ მთავარია, არა საჩუქარი, არამედ ყურადღება. რა თქმა უნდა, მეც ვცდილობ, რომ რაიმეთი ვასიამოვნო ხოლმე, მაგრამ განებივრებით, ჩემი ვაჟი ნიკა ანებივრებს ნაირ-ნაირი საჩუქრით თავის მეუღლეს. მე კი, უფრო ჩემს ქალიშვილს ვანებივრებ.

— ქალიშვილის გათხოვება ალბათ გაგიჭირდათ: მამები ხომ მტკივნეულად განიცდიან ამ ამბავს?!

— მართალი გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე სიძე მყავს, გოგოს გათხოვება მაინც არასასიამოვნო პროცესია მამისთვის. ამაში ალბათ ნებისმიერი მამაკაცი დამეთანხმება.

— როგორი ბაბუა ხართ?

— მგონი, კარგი. ჩემი შვილიშვილები კვირაში სამ დღეს — პარასკევიდან ორშაბათამდე, ჩემთან არიან. ამ დღეებში გამორიცხულია, რომ ხელცარიელი მივიდე შინ. ბავშვებიც ისე მიეჩვივნენ ამას, რომ კართან მხვდებიან და მეკითხებიან ხოლმე: აბა, ლა მოგვიტანე? ერთხელ, ორივენი დამპირდნენ — ჩვენც გიყიდით საჩუქარსო, — და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, მომართვეს ერთი ნაჭერი ქადა, რომელიც, სანამ მომცეს, შუაზე გატეხეს — ნახევარი თვითონ დაიტოვეს, ნახევარი მე მომცეს.

— გაჭირვებულებს ეხმარებით?

— შეძლებისდაგვარად, მაგრამ ამის აფიშირება არ მიყვარს. ვეხმარები თბილისის რამდენიმე სკოლას (მათ შორისაა ლანჩხუთის სკოლაც) და ერთ-ერთ ბავშვთა სახლს. ოჯახის წევრებმა დავაწესეთ ჯუღელების ფონდი, სადაც ყველანი გარკვეულ თანხას ვდებთ და დაგროვილი თანხიდან ვაწესებთ პრიზებს. სკოლებში უკანასკნელი კლასის ორი წარჩინებული ბავშვისთვის დავაწესე 100-ლარიანი პრიზი, რომელსაც ყოველთვიურად ვაძლევთ. ამ სკოლებიდან ერთ-ერთი 30-ე სკოლაა, სადაც ჩემი აწ გარდაცვლილი ძმა — ემირი სწავლობდა.

— პირველად, საზოგადოებამ, როგორც ნუგზარ ჯუღელის ძმა, ისე ხომ არ გაგიცნოთ?

— დიახ, ასეა. ნუგზარი პოპულარულია და ხალხს გაცილებით უყვარს, ვიდრე მე.

— შეძლებთ თუ არა ჩულურეთის რაიონის მცხოვრებთათვის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას?

— შევძლებ კი არა — ვალდებული ვარ, შევასრულო. მე ყველანაირად ვეცდები, ჩემს ამომრჩეველს მაქსიმალურად ამოვუდგე მხარში და ყველაფერში დავეხმარო.

— როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი?

— პირველ რიგში, განათლებული და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მარტო სამშობლოს სიყვარული არაფერს ნიშნავს, თუ განათლებული არ ხარ. პატრიოტიზმი ლოზუნგებითა და სადღეგრძელოებით არ უნდა გამოიხატებოდეს, კაცმა რეალური საქმე უნდა აკეთოს.

— რით განსხვავდება ადრინდელი პარლამენტი დღევანდელისგან?

— დღევანდელ პარლამენტში, ადრინდელისგან განსხვავებით, არ არიან მოხვედრილი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად, იმუნიტეტის გამო მოვიდნენ პარლამენტში.

— რომეოს თამაში რომ შემოგთავაზონ, პარლამენტარი ქალბატონებიდან ჯულიეტად ვის აირჩევდით?

— ნინო კალანდაძეს.

— რობინზონ კრუზოს მდგომარეობაში, რომ აღმოჩნდეთ, პოლიტიკოსი ქალბატონებიდან ვის ისურვებდით მშვენიერ პარასკევად?

— მარინა მოლოდინს.

— თქვენს გუნდს რომელი სიმღერა შეეფერება?

— ვინაიდან რევოლუცია ფაქტობრივად, ჯერ არ დამთავრებულა და ჩვენი გუნდი კვლავაც შემართულია, მას ალბათ შეეფერება ხალხური სიმღერა — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“

— თქვენს ოპონენტებს რომელს მიუძღვნიდით?

— „ნაპირს მოსწყდა გემი თეთრი“ — ვინაიდან მათი ქმედება და იდეოლოგია ძლიერ დაშორდა საზოგადოებრივ აზრს.

— პოლიტიკოსებიდან ვისი გეშინიათ?

— ალბათ ნოდარ ნათაძის — იმიტომ, რომ ის ძალზე განსწავლული და პირდაპირი კაცია.

— რომელია ყველაზე მაღალი თანამდებობა, რომელსაც ფიქრობთ, რომ თავს გაართმევდით?

— ალბათ ქალაქის მერობა.

— როცა საპირისპირო სქესის ადამიანი გაკრიტიკებთ, რას გრძნობთ?

— არ მაღიზიანებს, მით უმეტეს, თუ კრიტიკა ახლობელი ადამიანისგან მოდის. ჩემი აზრით, კრიტიკა უმეტეს შემთხვევაში, სასარგებლოც არის.

— თუ ჩაგიდენიათ რაიმე ისეთი, რის გამოც პასუხისგების გეშინიათ?

— არა, ნამდვილად არაფერი ჩამიდენია ისეთი, რომ პასუხისგების მეშინოდეს. რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ისე, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. მახსოვს, ერთხელ ბავშვობაში, თამაშის დროს, მოპირდაპირე მხარეს ქვა ვისროლე და სახლმმართველობის შენობაში მინა ჩავტეხე. იმდენად შეშინდი და ისე შემრცხვა, რომ გადავწყვიტე, მთელი დღე ბებიის მიერ აივანზე გადმოფენილი ლეიბების ქვეშ გამეტარებინა. მგონი, ამაზე დიდი დანაშაული ცხოვრებაში არ ჩამიდენია. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, არასოდეს ჩავიდინო ისეთი რამ, რომ მეორე დღეს, ლოგინიდან თავის წამოწევის შემრცხვეს.

— დავუშვათ, ქუჩაში მოულოდნელად გააფთრებული ბიჭების ჩხუბს შეესწარით. როგორ მოიქცევით — ჩაერევით თუ უყურა-

მესტია, „ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონული ორგანიზაციის დაფუძნება

დღებოდ აუვლით გვერდს?

— ვფიქრობ, რომ ჩხუბში ჩარევა არ შეიძლება, რადგან შენ არ იცი, ვინაა მტყუან-მართალი. თუმცა, უცნობების ჩხუბში ჩავრეულვარ. მე და ჩემი მეგობარი მარ-ჯანიშვილის ქუჩაზე მოჩხუბრების გასაშველებლად ჩავრიეთ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, რომ გამშველებელს მეტი ხვდება? ჰოდა, ისე გაგვლახეს და დაგვასისხლიანეს, რომ სახლამდე ძლივს მივაღწიეთ.

— თქვენ თვალწინ ქალი რომ გაქურდონ, როგორ მოიქცევით?

— თავიდან, გაქურდვის პრო-ცესს დავაკვირდები. თუ მივხვდე-ბი, რომ შემიძლია ქალბატონის ფიზ-იკურად დაცვა, აუცილებლად ჩა-ვერევი; თუ ქურდი შეიარაღებუ-ლია, ჩემს მიშველებას აზრი არ ექნება, ამიტომ როდესაც ყაჩაღი იქაურობას გაეცლება, მივალ და ქალბატონს ზარალს ავუნაზღაურებ, რაც ჯიბეში მექნება, ყველაფერს მივცემ, რომ ამით რაღაცნაირად შევუმსუბუქო განცდა.

— ვთქვათ, ოჯახში სტუმ-რად ბრძანდებით, დიასახლის-მა კერძი მოგართვათ, თქვენ კი თეფშში თმის ბეწვი შენიშ-ნეთ. როგორი რეაქცია გექნებათ?

— არაფერს ვიტყვი, რადგანაც ამაზე დიდი შეურაცხყოფა დიასახლისისთვის არ არსებობს. რასაკვირველია, კერძს ალ-ბათ ვერ მივეკარები, რაიმეს მოვიმიზეზებ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამას არ შევიმჩნევ.

— მეგობარმა საჩუქარი მოგი-ტანათ, თქვენ კი არ მოგეწონათ. ეტყვით სიმართლეს?

— ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინ-ჯებაო, — ნათქვამია. ყველანაირი საჩუ-ქარი კარგია, თუ მთელი გულით არის მორთმეული. სხვათა შორის, ამის გამო ერთხელ მეც ჩავვარდი უხერხულ სიტუ-აციაში. მახსოვს, მაშინ „მრეწველთა კავ-შირის“ თავმჯდომარე ვიყავი და სხდო-მას ვატარებდი. სხდომაზე დაგვიანებით ერთ-ერთი ჩვენი წევრი შემოვიდა, რომ-ლის ვინაობას შეგნებულად არ ვასახ-ელებ და მითხრა: ახლა ჩამოვედი ის-რაელიდან და პირდაპირ აეროპორტიდან აქ წამოვედი, ეს საჩუქარი თქვენ ჩამოგი-ტანეთო. მეც გამოვართვი და წესის მიხედ-ვით, საჩუქარი მაშინვე გავხსენი. ვხედავ პირსახოცს, რომელსაც ხმარებისაგან ფერი შესცვლია, კუთხეში კი, სასტუმროს სახე-ლი აწერია: ეტყობა, წამოსვლისას სასტუმ-როს პირსახოცი გაახვია, ჩამოვიდა და საჩუქრად მომართვა. უხერხულ მდგომარ-ეობაში ჩავვარდი, მაგრამ იმწუთას არ შევიმჩნიე. მაგრამ როცა პირისპირ შევხ-ვდით ერთმანეთს, მაშინ ვუთხარი: ეს რა ქენი? ნახმარი პირსახოცი როგორ მაჩუ-ქე-მეთქი?!.

— ქეიფი და დროს ტარება

შვილიშვილებთან, სიძესთან და ვაჟთან ერთად

თუ გიყვართ?

— არ მიყვარს დიდი სუფრა, ძალიან მოსაბეზრებელია. ამიტომ ვცდილობ, 100 და 200-კაციან სუფრებზე არ ვიარო. ქეიფი მიყვარს, ოღონდ — მეგობრების წრეში, ხუთკაციან სუფრასთან, მაქსიმუმ 2 საათი ვძლებ...

— როგორი სიმთვრალე გაქვთ?

— დავიწყებ იმით, რომ კაციშვილს არასდროს უნახავს ბესო ჯუღელი მთვრა-ლი. ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი ნორმა. სხვათა შორის, სიმთვრალეში გაც-ილებით უკეთესი ხასიათი მაქვს.

— საყვარელი კერძი?

— „ჩირბული“. ეს მუსლიმანური კერ-ძია და ვინაიდან დედაჩემი მუსლიმანი იყო, ძალიან კარგად იცოდა ამ კერძის მომზადება. სხვათა შორის, „ჩირბულის“ მომზადება მეც და ნუგზარმაც კარგად ვიცით.

— ბოდიშის მოხდა თუ გი-ჭირთ?

— არა. ზოგჯერ, ეს აუცილებელიც არის. მშობლებმა მასწავლეს, რომ ად-ამიანმა კარგად უნდა იცოდეს ოთხი სიტყვა: „გამარჯობა“, „ნახვამდის“, „მად-ლობა“ და „ბოდიში“. და თუ ეს ოთხი სიტყვა ადამიანს გათავისებული აქვს, ის ცხოვრებაში ყოველთვის „კარგ საფეხურ-ზე“ იდგება.

— კაზინოში დადიხართ?

— იშვიათად, უფრო — უცხოეთში ყოფნისას.

— თუ შეგიძლიათ დაასახ-ელოთ კაზინოში თქვენ მიერ წაგე-ბული ყველაზე დიდი თანხა?

— კაზინოში მოგებული კაცი კა-ცობრიობას არ ახსოვს. მეც არაერ-თხელ წამიგია, მაგრამ ყველაზე დიდი თანხა, რაც კაზინოში წამიგია, 800 დოლარი იყო.

— რაზე ლაპარაკს გაურ-ბიხართ?

— ინტიმურ ურთიერთობაზე. ეს იმდენად ფაქიზი თემაა, რომ არ მიყ-ვარს მისი გამოაშკარავება.

— მილიონი დოლარი რომ იპოვოთ, რას იზამთ?

— მერე რომ წყნარად ვხარჯო ფული, პირველ რიგში, სკოლებს მოვახ-მარდი გარკვეულ თანხას. თუ გვინდა, ნორმალური სახელმწიფო ავაშენოთ, ბავშვების განათლებაზე უნდა ვიზ-რუნოთ. არ ვიცი, საამისოდ რა თანხ-ას გავიმეტებდი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ დარჩენილი თანხით წავიდო-დი გემით სამოგზაუროდ იმ ქვეყნების სანახავად, რომლებიც არ მინახავს. ძალიან მინდა ავსტრალიისა და აფ-რიკის დათვალიერება.

— წარმოიდგინეთ: ოფიციალ-ურ შეხვედრაზე მიდიხართ, გზაში კი აივნიდან ვილაცამ წყალი გად-მოგასხათ. როგორი იქნება თქვენი რეაქცია?

— ვინც ასე მოიქცევა, მასთან უწმა-წური სიტყვებით ლაპარაკს აზრი არა აქვს. პირველ რიგში, ალბათ გულში შევგი-ნები, შინ დავბრუნდები და ტანსაცმელს გამოვიცვლი.

— ხშირად იტყუებით?

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, კვირა-ში ორჯერ ნამდვილად მიხდება ტყუი-ლის თქმა — ძირითადად, მეუღლისთვის, ლუდის გამო: ძალიან მიყვარს ლუდი, მაგრამ მარიკა მიშლის დალევას, რადგა-ნაც ჯანმრთელობისთვის მაინცდამაინც სასარგებლო არაა. კვირაში ორჯერ მაინც ვახერხებ ამას, მაგრამ მარიკას ვატყუებ — არ დამილევია-მეთქი.

— 10 წლის შემდეგ, თავი როგორი წარმოგიდგენიათ?

— 10 წლის შემდეგ ვიქნები სული-ერად ისეთი ჯანმრთელი, როგორიც ღღეს ვარ, გარეგნულად კი — ევროპული ტი-პის სიმპათიური მოხუცი ჯენტლმენი.

— დაბოლოს, რაზე ოცნებობთ?

— ჩემი ოცნებაა, ვიცხოვრო ისე, რომ როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, იმ ქუჩას, სადაც მე ვცხოვრობ, ბესო ჯუღელის სახელი დაერქვას...

■

„გზის“ წინა ნომრის „სასიძოს“, ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარის დათო კირკიტაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისმა ინტერვიუმ მკითხველზე ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მასთან დაკავშირების სურვილი საკმაოდ ბევრმა გოგონამ გამოთქვა. მის სახელზე მოსულ გამოხმაურებებს შორის კი, დათოს ბევრი ნაცნობიც აღმოჩნდა.

„მიყვარხარ უიმედოდ და უზომოდ...“

მარი ხაფარიძე

„დათო, ძალზე კარგი „სასიძო“ ხარ. მე თვალის ფერს პირველ რიგში ვაქცევ ყურადღებას. შენი თვალის ფერი კი, არ ვიცი – სურათზე არ ჩანს... თეკლა, ქუთაისი“.

„დათო, გისურვებ ბედნიერების 12 თვეს, მხიარულების 52 კვირას, წარმატების 366 დღეს, ჯანმრთელობის 8768 საათს, გამარჯვების 525600 წუთს და სიყვარულის 31536000 წამს. ძალზე კარგი ადამიანი ხარ. ეკა.“

„შენს ლამაზ თვალებს არ დავუჩოქებ, შენზე ლამაზი მე ვარ, იცოდე... დათო, ქალს ცოტა მკაცრად უნდა მოექცე, რომ თავი ქალად იგრძნოს. ერთად გავიკეთოთ ჰალსტუხი და ვიაროთ... ინგა, 23 წლის“.

„დათო, მართლა კარგი გოგო ვარ. თუ გინდა, შენს დეიდაშვილ ლევანს ჰკითხე. ქალბატონი ელისო მომიკითხე. შეხვედრამდე. არ გეშვიდობები. ...30.84“.

„ჩემო კარგო, ძალზე დავინტერესდი შენი პიროვნებით. შენი კოლეგა ვარ. ვმუშაობ სამართალდამცავ ორგანოში. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ რომ მნახავ, მიხვდები, რომ ჩემს იქით გზა არა გაქვს. მე ვოცნებობ შენნაირ მამაკაცზე. თუ გამომეხმაურები, მიხვდები, რომ ბედისწერა არსებობს. თიკო, 23 წლის“.

„დათო, ძალიან დამეგასე და იქნებ, დამიკავშირდე? დანარჩენს მერე გეტყვი... მიკო“.

„დათო, პირველად ვეხმაურები „სასიძოს“. ეს კი, შენ გამო გადავწყვიტე. ძალიან მომეწონე, როგორც პიროვნება და დიდი სურვილი მაქვს, გაგიცნო. ველი შენს ზარს. ნინო. საჩხერე“.

„მოხარული ვარ, რომ ასეთი ახალგაზრდა პარლამენტარი გვყავს. დამირეკე, რაღაც უნდა გითხრა“.

„კაი „სასიძო“ იქნები. სიმპათიურიც ხარ. თუმცა, მეორე ნახევარი თვალმა უნდა იპოვოს და არა ჟურნალმა. აბა, შენ იცი. ქეთი“.

„მარი, რა ლამაზი „სასიძო“ შეგირჩევია! დათოს გადაეცი, რომ ძალიან სიმპათიურია. ხაზარაძეებს საერთოდ, კარგი გემოვნება გვაქვს. ნატო“.

„მარი, კარგი გოგო ხარ, რომ ასეთი ჭკვიანი და არაჩვეულებრივი „სასიძო“ აგვირჩიე. დათო, გისურვებ ყველაფერ კარგს და რაც მთავარია, ხელფასის გაზრდას“.

„დათო, რომ გითხრა, მიყვარხარ-მეთქი, დაიჯერებ? ჰოდა, არც გეტყვი. არ მოგატყუებ, პირველად ახლა გავიგე შენი არსებობის შესახებ. ძალიან მომეწონე, მაგრამ იქნებ, „გზიდან“ გადაგვეხვია? უბრალოდ, მაინტერესებს, „გზის“ იქითაც ასეთი საინტერესო ხარ? თაკო“.

„დათოს ვუსურვებ პოლიტიკაში წინსვლას, ძალიან მომეწონა მისი პიროვნება. იმიტომ არა, რომ დეპუტატია. უშუალო და უბრალო ადამიანია. უბრალო გოგოსგან, მაიკო“.

„დათო, რომ არა პარლამენტარობა, ვერ გაგიცნობდი, მაგრამ პარლამენტში ძალზე შემიყვარდი. გამოფიტული ქმარი არ მაწყობს. დამირეკე. იზა“.

„დათო, აქამდე ზღაპრების ნაკლებად მჯეროდა. შენ თუ ჩემთან დარეკავ და მნახავ, კონკიას ზღაპარს ნამდვილად ვიწამებ. სოფო“.

„ეჰ, ჩემო დათო, შენ იმას დარდობ, 470 ლარით ოჯახს ვერ შევინახავო. მაშ, რა ქნას პენსიონერმა, 17 ლარით თავი როგორ გაიტანოს? აი, ეს არის სადარდებელი“.

„მაგ ბიჭს დიდი ხანია, თვალი დავადგი. რა მნიშვნელობა აქვს, პარლამენტარია თუ არა? ჩემთან შედარებით, ფიზიკურად ბევრს ვერ დაიკვეხნის. მთავარი კი, ხასიათია. ლიკა“.

„ციცქნა პარლამენტარო, ივარჯიშე კრივში, ვინმემ არ გაბედოს შენი დაჩაგვრა. „პატარა ხარ, მოფერება გინდა“.

„დათო, ვიცი პოპულარული ხარ, მაგრამ იცოდე, რომ არსებობს გოგო, რომელიც ძალიან დიდ პატივს გცემს, უყვარხარ და გაღმერთებს. იმედია, მიხვდები, ვინც ვარ. გკოცნი“.

„გადაეცი ჩვენს „სასიძოს“, რომ რაც ჟურნალი წავიკითხე, მამაჩემის გადამკიდეს, მოსვენება დამეკარგა“.

„დათო, როგორ დავეძებო ბედს, როცა შენ ამქვეყნად ხარ. „ლოდინის ბოლომდე“ დაგელოდები. თიკა“.

„დათო, ძალიან მომეწონე. გავიგე, რომ ჭიათურაში ნათესავები გყოლია. იქნებ, გავიცნოთ ერთმანეთი? მაიკო“.

„ძალიან მინდა დათოს გაცნობა, მაგრამ ამავე დროს, ძალიან მრცხვენია, რადგან გამოდის, რომ მე ვაქტიურობ, ეს კი არ მომწონს“.

„ისე იმუშავე, თითქოს ფული არ გჭირდება. ისე გიყვარდეს, თითქოს ცხოვრებაში ტკივილი არასოდეს მიუყენებიათ. ისე იცეკვე, თითქოს არავინ გიყურებს. ისე იმღერე, თითქოს არავინ გისმენს. ისე იცხოვრე, თითქოს დედამიწაზე სამოთხეა. თეა“.

„დათო, კოსტიუმი მაგრად გიხდება და ჩანს, რომ კარგი აღნაგობა გაქვს და სპორტულ სტილშიც კარგად „ჩაჯდები“. მომწონხარ, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტარი ხარ“.

„შენ ჩემს გულში უკვე კარგა ხანია, ყველაზე დიდი ადგილი გიჭირავს. მიყვარხარ უიმედოდ და უზომოდ. როცა მზვდები, ვფიქრობ, ჩემს თვალებში კითხულობ იმას, რისი თქმაც მინდა. გმადლობ, რომ არსებობ და ცხოვრების სტიმულს მაძლევ. მე მხოლოდ ერთი ღიმილი მინდა“.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ახალგაზრდა პარლამენტარსაც და მასზე უიმედოდ შეყვარებულ გოგონებაც. ■

ჩვენი დღევანდელი „საპატარძლო“ ჯგუფ „რონდოს“ წევრი, ნათია ჟორჟოლიანი გახლავთ. ნათია საკმაოდ ხალისიანი, სიცოცხლით სავსე გოგონაა. ჩვენს საუბარს რუბრიკის ადრინდელი სტუმარი — ლელა ოთარაშვილიც ესწრებოდა და მეგობრის შესახებ დასმულ რამდენიმე შეკითხვაზეც გამცა პასუხი. ჩვენი შეხვედრა ერთ-ერთ თბილისურ ბარში შედგა. იქ მყოფმა ახალგაზრდებმა უცებ იცნეს „რონდოს“ გოგონები, ერთ-ერთი მათგანი მეტრო „მარჯანიშვილის“ თანამშრომლად გაგვეცნო, ჩვენს სუფრას დაპატიჟებული სტუმარივით მოუჯდა, ერთ-ერთ ჩემს „საპატარძლოს“ თვალიც დაადგა და კითხვების დასმაშიც აქტიურად მეხმარებოდა. ბოლოს, ჯენტლმენურად გაისტუმრა ჩვენი დანახარჯი, დაგვემშვიდობა და გოგონების კეთილგანწყობაც გაიყოლა... მოკლედ, ერთ-ერთი „საპატარძლოს“ საქმე თითქმის „მოკვარახჭინდა“, ჩვენ კი კვლავ ნათიას მივუბრუნდეთ.

„პეცილებელია, მამაკაცი სიმთვრალეში გამოსცადო...“

მარი ხაფარიძე

— ნათია, გაგვაცანი შენი ოჯახი.

— ვცხოვრობ დედასთან, მამასთან, დასთან და ბებიასთან ერთად. ჩემი და ჩემზე უმცროსია. წელს ამთავრებს სკოლას.

— ზოდიაქოთი ვინ ხარ?

— წლის მიხედვით — ძაღლი გახლავართ, თვის მიხედვით — კირჩხიბი. დაბადებული ვარ 1982 წლის 29 ივნისს. ზოდიაქოს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი ნიშნის ზოგიერთი თვისება მაქვს. ვარ ძალზე მგრძნობიარე და ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს. ერთგული და მშვიდი ადამიანი ვარ, ძალზე მიყვარს მეგობრები.

— ლელა, გვითხარი, ნათიას როგორი თვისებები აქვს?

— გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საუკეთესო მეგობარი და ძალზე დადებითი პიროვნებაა. ცუდი თვისებები თითქმის არ გააჩნია. ძალზე იშვიათად მინახავს ასეთი თავშეკავებული, შეგნებული და ერუდირებული გოგონა. მიხარია, რომ ასეთი კარგი მეგობარი მყავს. ხშირად მითქვამს, რომ ნათია არის მშვიდობის მტრედი და მგონია, რომ ის უნდა დადიოდეს ბუშტებითა და ყვავილებით ხელში, რადგან მხოლოდ სიყვარულსა და სიკეთეს თესავს.

ნათია:

— დიდი მადლობა, ჩემო ლელა, ასე რომ შემაქე, მაგრამ მთლად ასეთი ანგელოზიც არა ვარ. მაქვს უარყოფითი თვისებებიც. ძალზე არაპუნქტუალური ვარ და ყველგან ვიგვიანებ, თუმცა — არა იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა არ გამაჩნია. პირიქით, ყოველთვის ვცდილობ, საქმეს არ ვუღალატო. როგორც არ უნდა მოვიწადინო — მოდი, აღარ დავიგვიანებმეთქი, — მაინც არ გამომდის. ცოტა ზარმაცი ვარ. ამის გამოსწორებასაც ვცდილობ, მაგრამ ჯერჯერობით არც ეს გამომდის.

— ბუტია ხომ არ ხარ?

— ჩემი განაწყენება ძალზე იოლია, მაგრამ წყენა მალე გადამივლის ხოლმე და მე თვითონ ვურიგდები მას, ვინც მაწყენინებს. გაბუტვა არ შემიძლია და რა ვქნა?!

— ბუზღუნა თუ ხარ?

— ხანდახან ვბუზღუნებ, ოღონდ — ძალზე იშვიათად. არც ჯიუტი ვარ. თუ ვხვდები, რომ სიმართლეს მეუბნებიან, ძალზე იოლად ვიცვლი აზრს, მაგრამ თუ ვიცი, რომ მართალი ვარ, ჩემსას აუცილებლად გავიტან. უაზრო პრინციპის გულისთვის არავის შევეწინააღმდეგები.

— რამდენად იოლია შენი ატირება?

— ძალზე გულჩვილი ვარ. სულ უბრალო მიზეზიც კი საკმარისია საიმისოდ, რომ გული ამიჩუყდეს და ცრემლი ვღვარო. ვცდილობ ხოლმე, რომ ცრემლი შევიკავო, მაგრამ უმეტესად არ გამომდის.

— ოჯახში ყველაზე ხშირად, რის გამო გსაყვედურობენ?

— ხომ იცით, ჩვენს მშობლებს ყოველთვის იმაზე უკეთესები უნდათ, რომ ვიყოთ, ვიდრე ვართ. იშვიათად მსაყვედურობენ, მაგრამ ხანდახან მაინც უნდათ, უფრო მეტი ვისწავლო, მეტი გავაკეთო, უკეთესი გავხდე. ვცდილობ, მათი საყვედური გავითვალისწინო და ისე მოვიქცე, როგორც მათ უნდათ. რამდენად გამომდის, არ ვიცი.

— „რონდოს“ გარდა, კიდევ რითი ხარ დაკავებული?

— ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალობაზე. ლექციებზე ძალზე აქტიურად დავდივარ და ვცდილობ, არ გავაცდინო.

ლელა:

— ნათია ფრიადოსანი სტუდენტია. თვითონ მორიდებული გოგოა და ამას არ გეტყვით, მაგრამ მართლა ძალზე წარჩინებულია და სწავლის გაგრძელებასაც აპირებს მაგისტრატურაში.

— გვითხარი, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— პატივს ვცემ ისეთ მამაკაცებს, რომლებმაც იციან საკუთარი თავისა და ქალის ფასი. კაცი ერთგულების უნარით უნდა გამოირჩეოდეს. მოღალატე არც ქალი ვარგა, არც მამაკაცი. იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს და საკმარისი ინტელექტიც. აუცილებელია, მამაკაცი სიმთვრალეში გამოსცადო: ზოგს ისე საშინლად ეცვლება ხასიათი, რომ სულ იოლად გაგიფუჭებს იმ წარმოდგენას, რომელიც სიფხიზლეში შეგიქმნა... კაცი არ უნდა იყოს ცანცარა და ამჩატებული. რა თქმა უნდა, გარეგნულ მხარესაც აქვს მნიშვნელობა, ოღონდ, თვალისა და თმის ფერს კი არა — უბრალოდ, კარგი ტიპი უნდა იყოს. კიდევ, უნდა იყოს მორწმუნე, ქრისტიანი მართლმადიდებელი. ადამიანს თუ რწმენა არა აქვს, ის ძალზე საცოდავია.

— რაც შეეხება მის საბანკო ანგარიშებს?..

— ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ აუცილებელია, ოჯახის რჩენის ელემენტარული საშუალება ჰქონდეს. თითქოს ფულს დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ მის გარეშე შეუძლებელია, ოჯახი არჩინო და შვილები გაზარდო.

ჯგუფი „რონდო“

მარტო სულიერი სიმდიდრით ფონს ვერ გახვალ. თუნდაც იმისთვის, რომ კეთილი საქმე გააკეთო, აუცილებელია, ფული გქონდეს. ზედმეტი ქონება არ მინდა. უნდა ჰქონდეს იმდენი, რამდენიც აუცილებელია და თუ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, იმ აუცილებელსაც იკმარებს.

— საოჯახო საქმე თუ გეხერხება?

— თუ მოვინდომებ, ისე დავტრიალდები და დავაწკრიალებ ხოლმე, ყველაფერს, რომ მე თვითონ მიხარია. რაც შეეხება სამზარეულოს — კერძების კეთება მაინცდამაინც არ მეხერხება, მაგრამ საშიში არაფერია, ყველაფრის სწავლა შესაძლებელია და მეც ვისწავლი. ისე, ძალზე კარგ ნამცხვარს ვაცხობ და სალათებსაც ვაკეთებ.

— ახლა შენი გული თავისუფალია?

— კი, შეყვარებული არა ვარ და მინდა გითხრათ, რომ სერიოზული გრძნობა არც გამომიცდია. სკოლაში, მეორე კლასში რომ ვსწავლობდი, ორ თანაკლასელ ბიჭს მოვწონდი. არც კი ვიცოდი, რომ თურმე ისინი ჩემი გულისთვის ჩხუბობდნენ. ჩემი სიმპათია ერთ-ერთი მათგანისკენ იხრებოდა. ეს წლების განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ არავის ვუმხელდი, ჩემთვის, გულში მქონდა ჩამარხული. ასე მეგონა, რომ არავის უნდა სცოდნოდა. მერე ყველაფერმა გამიარა. როგორც ჩანს, ბავშვური გატაცება იყო. ახლა საუკეთესო მეგობრები ვართ და გულიანად გვეცინება ხოლმე, როცა ბავშვობას ვიხსენებთ. საერთოდ, სიყვარული ღვთისგან მომადლებული გრძნობაა. როცა სიყვარული შეგიძლია, ძლიერი პიროვნება ხარ. ოჯახის შექმნის საფუძველიც სწორედ სიყვარული უნდა იყოს. თუ ასე არ ხდება, ჩემი აზრით, ყველაფერი მალე ინგრევა. საქმიანობაშიც ასეა: ვერც იმ საქმეს გააკეთებ, რომელიც არ გიყვარს.

კაცი არ უნდა იყოს ცანცარა და ამჩატებული. რა თქმა უნდა, გარეგნულ მხარესაც აქვს მნიშვნელობა

— ალბათ, დედა რჩევებს გაძლევს ხოლმე. რას გეუბნება ამ დროს?

— დედა მეუბნება ხოლმე — არ აჩქარდე, არჩევანი გონებით უნდა გააკეთოო... თუმცა, მანაც კარგად იცის და მეც, რომ სადაც გრძნობაა, იქ გულის კარნახს ენდობი და არა — გონების...

— შენი მზითვი ჩამოთვალე.

— ვაიმე, ამაზე ვერ არ მიფიქრია. აბა, რა გითხრათ? დედას არასოდეს უთქვამს — ესა და ეს ნივთები შენი მზითვია, თან უნდა გაგატანოო. აი, ბებოს კი, ხშირად უთქვამს — ეს სერვიზი შენია, ეს ლეიბი და საბანიც შენიაო... საერთოდ, ვფიქრობ, მზითვი სულაც ზედმეტია...

— ბედისწერის თუ გჯერა?

— მეტ-ნაკლებად. მე იმის მჯერა, რომ ადამიანები თავიანთ ბედს თვითონ ქმნიან, თუმცა, ცხოვრებაში შემთხვევითობასაც არ გამოვრიცხავ.

— მკითხავთან თუ დადიხარ?

— არა, რადგან მე მორწმუნე ადამიანი ვარ და ჩვენი რელიგია კრძალავს მკითხავებთან და მჩხიბავებთან სიარულს. ან რა უნდა მითხრას უცხო ადამიანმა იმაზე მეტი, რაც საკუთარი თავის შესახებ ვიცი?! ასეთი რაღაცების არ მჯერა.

— სვამ? ეწევი?

— არა, არა, სიგარეტი არასოდეს მომიწევია, დალევით კი, თუ კარგ სიტუაციაში ვარ, შესაძლოა, 4-5 ჭიქა შავი ღვინო მივირთვა. მახსოვს, ერთხელ ზამთარში, ბათუმში კონცერტი გვქონდა ღია ცის ქვეშ. ძალზე ციოდა და გასათბობად გოგონებმა ცოტა კონიაკი გადავკარით. მართლაც, სიმღერის ხასიათზე დავდექით და მშვენივრად შევასრულეთ ყველა ნომერი.

— აბეზარ თაყვანისმცემლებს როგორ იშორებ ხოლმე თავიდან?

— ვცდილობ, ყველას თავაზიანად მოვექცე, მაგრამ თუ ძალზე შემაწუხებენ, მერე მათ ზარებს აღარ ვპასუხობ ხოლმე. ზოგიერთი კი, ძალზე კარგი მოსაუბრეა და შესაძლოა, ცოტა ხანს დაველაპარაკო კიდეც.

— ძილი გიყვარს?

— თუ კარგად გამოძინების საშუალება მაქვს, სიამოვნებით გავაბამ ძილს. მაგრამ უმეტესად, მაინც ადრე მიწევს ადგომა, რომ ლექციებზე არ დავიგვიანო. ძილს შაბათობით ვინაზღაურებ ხოლმე, კვირაობით კი — ეკლესიაში მივდივარ, წირვას ვესწრები და კვლავ ადრე მიწევს ადგომა.

— გიყვარს, როცა საჩუქარს გიძღვნიან?

— ძალიან მიყვარს. მაგრამ თუ საჩუქარი ჩემამდე მოაღწევს, მხოლოდ იმ შემთხვევაში...

— ეს როგორ გავიგოთ?

— ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ჩემს კორპუსში, ოღონდ, მეზობელ სადარბაზოში, ჩემი კბილა გოგონა ცხოვრობს და მასაც ნათია ჰქვია. ერთ-ერთ ჩემს თაყვანისმცემელს ჩემთვის საჩუქრის მორთმევა განუზრახავს. მან იცოდა, რომელ კორპუსში ვცხოვრობდი, მაგრამ რომელ სადარბაზოში — არა. დამდგარა ეზოში და იძახდა. ამ დროს, იმ ნათიას მეზობელს, მოხუც ქალბატონს გამოუხედავს და თავისი მეზობლის ბინაზე მიუთითებია — აქ ცხოვრობსო. ამ ბიჭმა ყვავილები და თოჯინა სწორედ იმ ქალბატონს დაუტოვა ნათიასთვის გადასაცემად. საღამოს კი დამირეკა და მომიკითხა. ბუნებრივია, მადლობა არ მითქვამს, რადგან საჩუქარი ჩემთვის არავის მოუცია, იმ ნათიას ოჯახში კი, თავს იმტკივნეულებენ, რომ თაყვანისმცემლის ვინაობა დაედგინათ... მერე შემაპარა — საჩუქარი მოგეწონაო? — გავიოცე. შემდეგ ამიხსნა, სადაც დატოვა ჩემი ძღვენი და მივხვდი, რომ მისამართი შეშლია. მერე ჩემს საჩუქარს მივაკითხე. ყვავილები ნათიას დავუტოვე, თოჯინა კი წამოვიღე. შემდეგ, ვხუმრობდით ხოლმე: რა ძნელია, როცა ერთ კორპუსში ორი ნათია ცხოვრობს, ორივე 20 წლის და ორივე — ლამაზი გოგონა-თქო...

ესეც ჩვენი „საპატარძლო“. იმედია, მისი თაყვანისმცემლები ამ ინტერვიუდან ბევრ სიახლეს შეიტყობდით. ნათიასთან დაკავშირების მსურველებს კი შეუძლიათ, დამირეკონ ან „დამიმესიჯონ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. ნათია შემპირდა, რომ გულისყურით გაეცნობა ყველა გამოხმაურებას.

■

ჩვენებაში დაფიქსირებული ფრაზა 21 წლის ახალგაზრდას შემზარავ დანაშაულში ამხელს

პროკურატურის ინფორმაციით, სამეგრელოში მოქმედი მძარცველთა ბანდა 19-20 წლის ბიჭებისგან შედგებოდა

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, ბანდიტური დაჯგუფების სამოქმედო ასპარეზს ძირითადად, ზუგდიდის რაიონის სოფლები წარმოადგენდა. იქურდებოდა მაღაზიები, ჯიხურები, ავტოგასამართი სადგურები... მოგვიანებით, პოლიციამ რამდენიმე ეჭვმიტანილი — 19-20 წლის ბიჭები დააკავა. დაკავებულებმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარეს.

პროკურატურა ბოროტმოქმედთა შორის მოიხსენიებს 25 წლის ჯიხაშკარელ ლაშა შენგელიას (მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვას უზენაესი სასამართლო მომავალ კვირაში დაიწყებს). საგამოძიებო მასალების თანახმად, მისი სახელი, ძარცვის ფაქტების გარდა, შარშან ზაფხულში, სოფელ ჯიხაშკართან მომხდარ მკვლელობასაც უკავშირდება. გამოძიების ინფორმაციით, 2003 წლის 10 ივლისს, კბილებამდე შეიარაღებულმა სამმა ახალგაზრდამ რომელიმე მსუბუქი ავტომანქანის დაყაჩაღება და გატაცება განიზრახა, ამ განზრახვის განხორციელებას კი შენგელიების ოჯახის ტრაგედია მოჰყვა. საგამოძიებო მასალების თანახმად, ახალგაზრდა მძღოლი თემურ შენგელია ერთ-ერთმა ნიღბიანმა ბოროტმოქმედმა დედ-მამის თვალწინ ავტომატიდან გასროლით მოკლა.

პოლიციამ ეჭვმიტანილები შემთხვევიდან მესამე დღეს დააკავა. ისინი ლაშა შენგელია, 20 წლის ირაკლი გობეჩია და 23 წლის გაიოზ ფირცხალავა აღმოჩნდნენ.

გობეჩიას საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას პოლიციამ ერთლულიანი თოფი, კონდახგადაჭრილი სანადირო თოფი, ქარხნული წესით დამზადებული, 2 დამუხტული ვაზნა და მცირეკალიბრიანი შაშხანა ამოიღო. ბრალდების თანახმად, გობეჩია აღნიშნულ იარაღს შინ ინახავდა და

დროგამოშვებით ატარებდა. გაიოზ ფირცხალავას ბინის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა 7,5 გ ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა აღმოაჩინეს, ლაშა შენგელიას კი, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ასევე დაუდგენელი პირისგან შეძენილი, 1981 წელს გამოშვებული „აკს“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 30 საბრძოლო ვაზნა, 16 მმ-იანი ერთლულიანი ჩახმახიანი თოფი და კონდახგადაჭრილი სანადირო თოფი უპოვეს. პროკურატურის ინფორმაციით, ყოველივე ამას შენგელია სოფელ ჯიხაშკარში მდებარე, ომარ გეთიას კუთვნილ და იმ დროისთვის მიტოვებულ სახლ-კარში მალავდა. პოლიციამ იარაღი სწორედ იქიდან ამოიღო.

მკვლელობის განზრახვა სამივე მათგანმა უარყო. პროკურატურა აცხადებს, რომ დაკავებულებმა გამოძიებას არაერთგვაროვანი ჩვენებები მისცეს და დანაშაულის სხვადასხვა მოტივი დაასახელეს. ოფიციალური ცნობებით, ლაშა შენგელიას ნათესავი ირაკლი გობეჩია წლების მანძილზე, თბილისისა და ზუგდიდის საფეხბურთო კლუბებში თამაშობდა. 2003 წელს, იგი სათამაშოდ თურქეთში მიიწვიეს, თუმცა გამგზავრებას უსახსრობის გამო ვერ ახერხებდა. საქმის მასალებში არსებული ერთ-ერთი ჩვენების თანახმად, გობეჩიამ და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, ყაჩაღობის გზით ეშოვათ თურქეთში გასამგზავრებელი ფული. მეორე ვერსიით, დანაშაულის მიზეზი ლაშა შენგელია გახლდათ. როგორც თავად აღნიშნა ბრალდებულის სახით დაკითხვისას, მას ერთ-ერთ პიროვნებასთან „საქმის გარჩევა“ სურდა, მხარდასაჭერად გობეჩია და ფირცხალავა წაიყვანა, მაგრამ ბოლო მომენტში, დაყაჩაღება გადაწყვიტა და მეგობრებსაც ამისკენ მოუწოდა. შენგელია ამავე ჩვენებაში აფიქსირებს, რომ „საქმის გასარჩევად“ წასულებს თან „აკს“-ის ავტომატი, კონდახგადაჭრილი სანადირო თოფი და ნიღბები ჰქონდათ. გამოძიებამ ბრალდებულთა მიერ დასახელებული არც ერთი მოტივი სარწმუნოდ არ მიიჩნია და საბრალდებო დასკვნაში მიუთითა, რომ 2003 წლის 10 ივლისს ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედთა მიერ წინასწარ დაგეგმილ, მორიგ შეიარაღებულ ყაჩაღურ თავდასხმას.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, იმ დღეს, შენგელია გობეჩიასა და ფირცხალავას დაუკავშირდა და მათ საავტომობილო გზაზე მოძრავი რომელიმე ავტომანქანის დაყაჩაღება შესთავაზა. ისინიც დათანხმდნენ. ამ მიზნით შეიარაღდნენ და ნიღაბაფარებულები დაუდარაჯდნენ გამვლელ ავტომანქანას. საღამოს, დაახლოებით 6 საათისთვის, სოფელ ჯიხაშკარიდან დაბა ჩხოროწყუს მიმართულებით მოძრავი ყვითელი „ჟიგული“ („ვაზ-2106“) შენიშნეს. მანქანას ზუგდიდელი თემურ შენგელია მართავდა, იქვე ისხდნენ მისი მშობლები: მამა – თენგიზ შენგელია და დედა – რუსიკო კალანდია. გამოძიების ინფორმაციით, ლაშა შენგელიამ ავტომატი მოიმარჯვა, ცალობით რეჟიმში სამჯერ გაისროლა და მოკვლის მუქარით აიძულა მძღოლი, გაჩერებულიყო. ნიღბიანი ფირცხალავა ავტომანქანას წინ გადაუდგა, გობეჩია და შენგელია კი, მანქანას მიუახლოვდნენ და შიგ მსხდომ პირებს გადმოსვლა უბრძანეს. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, გობეჩიამ სანადირო თოფის ლულა სალონში შეყო, თემურ შენგელიას მშობლებს დაუმიზნა და მოკვლით დაემუქრა მათ, შემდეგ კი, ისე, რომ ავტომანქანის გათავისუფლებას ან დაზარალებულთა მხრიდან რაიმე რეაქციას არც დალოდებია, თოფიდან ტყვია გაისროლა და თემურ შენგელია თავის არეში სასიკვდილოდ დაჭრა. პროკურატურის ინფორმაციით, ბოროტმოქმედები მაშინვე გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან, დაჭრილი

თემურ შენგელია კი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ბრალდებულმა ირაკლი გობეჩიამ კატეგორიულად უარყო მკვლელობის განზრახვა. მისი თქმით, ტყვია სრულიად მოულოდნელად, შემთხვევით გავარდა. პროკურატურის მასალების მიხედვით, ფირცხალავა და შენგელია ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ გობეჩიამ მანქანის სალონში თოფის ლულა შეყო და გაისროლა.

ბრალდებულ ლაშა შენგელიას ჩვენებით, 2003 წლის ივლისში (როგორც აღნიშნავს, ზუსტი თარიღი არ ახსოვს), იგი მდინარე ჭანისწყლის სანაპიროზე იმყოფებოდა, თან ჰქონდა სანადირო თოფი; მოულოდნელად მას უცნობი, შეიარაღებული პირი მიუახლოვდა და ავტომატის მუქარით თოფის წართმევა დაუპირა. შენგელიას თქმით, აღნიშნული სანადირო თოფი ირაკლი გობეჩიას მამის იყო. ბრალდებული ჩვენებაში წერს, რომ მან უცნობის განიარაღება მოახერხა და უფრო მეტიც, მას სპორტული ჩანთაც წაართვა. ჩანთაში, მისივე თქმით, 16 მმ კალიბრის ლულა, კონდახგადაჭრილი სანადირო თოფი და ნიღბები იდო. *„განიარაღების შემდეგ, უცნობი დამემუქრა, რომ მომაკითხავდა და პასუხს მაგებინებდა“*, – აღნიშნა შენგელიამ.

იმავე ჩვენების მიხედვით, 2003 წლის 10 ივლისს დილით, თანასოფლელებს – ნათესავს გობეჩიასა და მეგობარს ფირცხალავას შეხვდა და მათ ყანის გათოხვნაში დახმარება სთხოვა; ბიჭებმა უარი არ უთხრეს, თუმცა რამდენიმე წუთში, სოფლის ცენტრში აღგილობრივი მცხოვრები – მამუკა ავალიშვილი შეხვდათ; ამ უკანასკნელმა თქვა, რომ დაბადების დღე ჰქონდა და უნდოდა, აღენიშნა; შენგელიამ სასურსათო ჯიხურიდან 1 ლიტრი არაყი გამოიტანა, ავალიშვილი დალოცეს, სასმლის დალევის შემდეგ, გამოემშვიდობნენ მას და ყანისკენ გაემართნენ; დაახლოებით 13.00 საათისთვის, შენგელიამ ბიჭებს კვლავ მიუტანა არაყი, ამჯერად – შინიდან; სმის დროს, მეგობრებს მან უცნობ პირთან რამდენიმე დღის წინ მომხდარი შეხვედრისა და ინციდენტის შესახებ უთხრა. ჩვენების მიხედვით, სამივემ გადაწყვიტა, იმ პირისთვის საქმე გაერჩიათ და ამ მიზნით მას მდინარის ხიდთან დახვედროდნენ. შენგელიამ დაკითხვისას აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკების შემდეგ, ომარ გეთიას საცხოვრებელ სახლში წავიდა და იქიდან მის მიერ გადამალული ჩანთა წამოიღო. *„...ჩანთაში იარაღთან და ვაზნებთან ერთად, მუქი ლურჯი სპორტული შარვლისგან დამზადებული ნიღბები იდო... მანქანა რომ გამოჩნდა, ჩავთვალე, რომ ის პიროვნება იყო. მაშინ „აკს“-ის ავტომატიდან სამჯერ გავისროლე დაშინების მიზნით. ფირცხალავას იარაღი არ ჰქონია, გობეჩიას მე გადავეცი კონდახგადაჭრილი სანადირო თოფი. მძღოლს მოვთხოვეთ, მანქანიდან გადასულიყო. ამ დროს გობეჩიამ სალონში ლულა შეყო და ერთხელ გაისროლა. მძღოლი თავის არეში დაიჭრა. ამის დანახვაზე სამივენი გავიქეცით და გზის განაპირას მდებარე ყანას შევაფარეთ თავი. გობეჩიას და ფირცხალავას ყანაში დავშორდი და იარაღიანი და ნიღბიანი ხელჩანთა ისევ გეთიას სახლში წავიღე“*, – განაცხადა დაკითხვისას **ლაშა შენგელიამ**. როგორც აღნიშნა, პოლიციის მიერ მეგობრების დაკავების შესახებ მან 13 ივლისს შეიტყო და მაშინვე ნაცნობ პოლიციელს – სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომელს – ზვიად ქობალიას დაუკავშირდა მობილური ტელეფონით. საქმის მასალების მიხედვით, ლაშა შენგელიამ ქობალიას უთხრა, რომ ყაჩაღურ თავდასხმაში ისიც მონაწილეობდა, თემურ შენგელია კი თავად მოკლა და სურდა, პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადებულიყო. ქობალიამ იგი რაიგანყოფილებაში მიიყვანა და ბრალის აღიარებით გამოცხადების შესახებ ოქმიც დაიწერა. მოგვიანებით, შენგელიამ ეს აღიარება უარყო და განაცხადა, რომ თოფიდან ტყვია გობეჩიამ ისროლა, შეკითხვას კი – თუ რამ უბიძგა დანაშაულის საკუთარ თავზე აღებისკენ – უპასუხა: რადგან პირადად მე მქონდა საქმე გასარჩევი იმ პიროვნებასთან, ბიჭებს წინასწარ შევუთანხმდი, რომ თუკი რაიმე მოხდებოდა, დანაშაულს ჩემს თავზე ავიღებდიო.

ირაკლი გობეჩიამ მკვლელობის მომენტი თავის ჩვენებაში ასე აღწერა: *„თოფის ლულა სალონში შევყავი, მძღოლს დავუმიზნე და მანქანაში მსხდომთ მოვთხოვე, გადასულიყვნენ. მოულოდნელად, მძღოლმა სწრაფი მოძრაობით გააღო კარი. კარი თოფს მოხვდა და უნებლიე გასროლაც მაშინ მოხდა. მძღოლი თავის არეში დაიჭრა, სისხლის დანახვაზე, სამივენი გავიქეცით... შენგელია დაგვშორდა, მე და ფირცხალავა ტყის მასივის მიმართულებით წავედით. გზაზე პოლიციელი შევნიშნეთ და თავი რომ აგვერიდებინა მისთვის, ჯიხაშკარის ცენტრისკენ გავუხვიეთ. საღამოს შევიტყვეთ, რომ მძღოლი გარდაიცვალა...“*

რაც შეეხება გობეჩიას საცხოვრებელ სახლში პოლიციის მიერ აღმოჩენილ ცეცხლსასროლ იარაღს, ამაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ ამოღებული თოფებიდან მას მხოლოდ შაშხანა ეკუთვნის *„...2002 წლის ავგისტოში გარდამეცვალა ბაბუა. იგი უკურნებელი სენით იყო დაავადებული, იცოდა ამის შესახებ და სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მცირეკალიბრიანი შაშხანა დამიტოვა საჩუქრად. შაშხანას მშობლების სახლში ვინახავდი. ჩხრეკისას, საძინებელი ოთახიდან პოლიციელებმა ლულა და კონდახგადაჭრილი სანადირო თოფი ამოიღეს, მაგრამ საიდან აღმოჩნდა ეს იარაღი იქ, არ ვიცი“*, – განაცხადა მან. ის, რომ შემთხვევის დღეს, ფირცხალავას იარაღი არ ჰქონდა, გობეჩიამაც დაადასტურა.

გაიოზ ფირცხალავა პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში საერთოდ არ ცნობს თავს დამნაშავედ. ბრალდებულის სახით დაკითხვისას მან აღნიშნა, რომ არაფერი იცოდა დანაშაულის დაგეგმვისა და იარაღის შესახებ, ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია და შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იდგა. *„ლაშამ დამიძახა – კაცი მოვკალით, გავიქცეთო!“* – *და შემთხვევის ადგილს სასწრაფოდ გავეცალეთ“*, – აღნიშნა ბრალდებულის სახით დაკითხვისას ფირცხალავამ. ის ნარკოტიკების შენახვასაც უარყოფს.

მიუხედავად ამისა, პროკურატურამ მას ორივე დანაშაულში დასდო ბრალი. ირაკლი გობეჩიას ბრალდებამ ყაჩაღობისა და განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების მუხლები მიუყენა, ხოლო ლაშა შენგელიას – ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარება-შენახვის გარდა, რამდენიმე ქურდობის ფაქტშიც დასდო ბრალი. პროკურატურის ინფორმაციით, 2002 წლის ივლისში, მან თანამზრახველებთან – ზუგდიდის რაიონის მკვიდრებთან, მალხაზ და დავით წურწუმიებთან, მათე ალანიასთან და გამოძიებით დაუდგენელ კიდევ ორ პირთან ერთად, ღამით, სოფელ ლესიჭინეში მცხოვრები მერი ბოკუჩავას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური გაძარცვა. 2002 წლის 11 სექტემბერს საღამოს, შენგელიამ და მისმა თანამზრახველებმა დაბა ჩხოროწყუში მოქალაქე გიგლა ჯალაღონიას კუთვნილი ავტოგასამართი სადგური გაქურდეს, 2002 წლის 18 სექტემბერს საღამოს, ჩხოროწყუში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის პირველ სართულზე მოთავსებული აფთიაქი – „მალამო“. პროკურატურის ინფორმაციით, გატაცებული ფულისა და ნივთების რეალიზაციის შედეგად აღებულ თანხას ბოროტმოქმედები ერთმანეთში ინაწილებდნენ.

წურწუმიებისა და ალანიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოყვეს, ლაშა შენგელიას კი ამჟამად, ფირცხალავასა და გობეჩიასთან ერთად გაასამართლებენ. აღსანიშნავია, რომ წარსულში არც ერთი მათგანი არ გახლდათ ნასამართლევი. ■

ავთანდილ შანიძეს, გამოძიების ვერსიით, დაქირავებულმა კილერმა ესროლა

„კიამოტორსისა“ და ჯერ კიდევ მშენებარე რესტორნის — „დიდგორის“ ერთ-ერთი მფლობელი ავთანდილ შანიძე ორი თვის წინ — 2004 წლის 19 მარტს, საკუთარი სახლის სადარბაზოსთან პისტოლეტით ჩაცხრილეს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით იმავე დღეს აღიძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში. მაგრამ სამართალდამცავებმა დამნაშავის ვინაობა აქამდე ვერ დაადგინეს.

პროკურატურის ინფორმაციით, 2004 წლის 19 მარტს, ავთანდილ შანიძე შვილთან ერთად, რესტორან „დიდგორის“ სარემონტო სამუშაოების შემოწმების შემდეგ, საკუთარი ავტომანქანით შინ ბრუნდებოდა. მკვლელობა მაშინ მოხდა, როცა მისი ვაჟიშვილი მანქანას ავტოფარეხში აყენებდა, ავთანდილ შანიძე კი ავტომობილიდან უკვე გადმოსული იყო და ფეხით სადარბაზოსკენ მიდიოდა. სწორედ ამ დროს, მას გამოძიებით ჯერჯერობით დაუდგენელი პირი აედევნა და მაყუჩიანი პისტოლეტიდან 4 ტყვია დაახალა თავისა და გულმკერდის არეში. დაჭრილი მაშინვე უგონოდ წაიქცა, დამნაშავე კი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. ამასობაში ავტოფარეხიდან შანიძის შვილი გამოვიდა, თუმცა მამა მას უკვე მოკლული დახვდა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბოროტმოქმედისთვის თვალი არავის მოუკრავს და არც სროლის ხმა გაუგონია ვინმეს. ამიტომაც ვარაუდობს გამოძიება, რომ გასროლა მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან მოხდა, დამნაშავე კი მკვლელობისთვის სპეციალურად მომზადებული იყო და წინასწარ ჩაუსაფრდა მსხვერპლს. გამოძიების ერთ-ერთი ვერსიით, ბოროტმოქმედი დაქირავებული კილერი გახლდათ.

თემურ ნათელაშვილი, ვაკე-საბურთალოს პროკურატურის გამომძიებელი:

„მსგავს ფაქტს 3 წლის წინაც ჰქონდა ადგილი. ავთანდილ შანიძეს მაშინაც დახვდა საკუთარი სახლის სადარბაზოსთან კილერი და მის მოკვლას შეეცადა. შანიძე დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, გამოძიებას ქალაქის პროკურატურა აწარმოებდა, მაგრამ საქმე გაუხსნელი დარჩა. საერთოდ, როგორც ირკვევა, შანიძეს ბევრი პირადი მტერი ჰყავდა. ერთდროულად რამდენიმე სამოქალაქო დავა ჰქონდა სასამართლოში. ეს პროცესები ჯერ კიდევ 4-5 წლის წინ დაიწყო. მას ედავებოდნენ, როგორც მოქალაქეები — „კიამოტორსის“ თანამშრომლები, — ასევე სხვა პირები. დავა ძირითადად, თანხის გადაუხდელობას და ფირმებში ფინანსურ გაურკვევლობას ეხებოდა. გამოძიების პერიოდში გაირკვა ისიც, რომ ფირმა „კიამოტორსის“, ასევე რესტორან „დიდგორის“ მფლობელებს შორისაც ჰქონდა გაუგებრობას ადგილი. ვფიქრობთ, ყოველივე ამას კავშირი აქვს მომხდარ მკვლელობასთან. სავარაუდო ეჭვმიტანილთა სია საკმაოდ გრძელია, თუმცა ჯერჯერობით, ეჭვმიტანილის სტატუსით არავინ დაგვიკითხავს, მოწმის სახით კი, ძალიან ბევრი ადამიანია დაკითხული“.

გამომძიებლის ინფორმაციით, შანიძე „მაკაროვის“ პისტოლეტის ტყვიებითაა მოკლული. არის თუ არა ტყვიები ერთი იარაღიდან გასროლილი, ამ კითხვაზე პასუხს ექსპერტებისგან პროკურატურა ამ დღეებში მიიღებს.

„მკვლელობის მოტივზე ვერაფერს ამბობენ მოკლულის ოჯახის წევრებიც, რადგან როგორც თავად აცხადებენ, ავთანდილ შანიძე მათ თავის საქმეებში არ ახედებდა. მათ არ იციან მისი პირადი მტრების ან იმ ადამიანების შესახებ, რომლებთანაც შანიძეს ოდესმე სერიოზული უთანხმოება ჰქონია“, — აცხადებს გამომძიებელი. მისი თქმით, პროკურატურა მტკიცებულებებზე მუშაობს. ■

ნიღბიანი ყაჩაღები სამტრედიის რაიონში მცხოვრებ ოჯახს დაესხნენ თავს

8 მაისს, სამტრედიის რაიონში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. გამთენიისას, სამი შეიარაღებული და ნიღაბაფარებული ბოროტმოქმედი დაბა კულაშში მცხოვრებ კვანტალიანების ოჯახს დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ოჯახის წევრებს მუქარისა და ძალადობის მეშვეობით ოქროს სამკაულები და საოჯახო ნივთები წაართვეს. შემთხვევის ადგილას პოლიცია შეტყობინების მიღებიდან მალევე გამოცხადდა, მაგრამ ბოროტმოქმედებმა გაქცევა და მიმალვა მოახერხეს.

სამართალდამცავთა ცნობით, თავდამსხმელები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და ორი გადაჭრილი თოფით იყვნენ შეიარაღებულები. ■

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები კანონიერი ქურდის გათავისუფლებას მოითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაცია — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ და მისი ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე რამდენიმე დღის წინ, სამართალდამცავების მიერ დაკავებული ე.წ. კანონიერი ქურდის ციხიდან გათავისუფლებას მოითხოვენ. დაკავებული 79 წლის გოგი ჩიქოვანი გახლავთ, რომელიც თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სოლოლაკში აიყვანეს. მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

ზემოთ აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, ჩიქოვანის პატიმრობაში ყოფნა ყოვლად დაუშვებელია, რადგან იგი მძიმე ავადმყოფია: დიაბეტითაა დაავადებული, სტკივა თირკმლები და გულის რამდენიმე ოპერაცია აქვს გადატანილი. ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, რომ ჩიქოვანს პატიმრობა აღკვეთის სხვა, მსუბუქი ღონისძიებით უნდა შეეცვალოს. თავად პატიმარმა, იმავე მოთხოვნით, მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. ორგანიზაციის წევრები ასევე ეჭვქვეშ აყენებენ ჩიქოვანის საცხოვრებელ სახლში იარაღის აღმოჩენის ფაქტს. მათი ვარაუდით, იარაღი ბინაში ჩიქოვანს თავად პოლიციამ ჩაუდო. ■

ახალციხეში მომხდარ ავტოავარიას ახალგაზრდა ქალი ემსხვერპლა

9 მაისს, ქალაქ ახალციხეში მომხდარ ავტოავარიას 28 წლის ფატი ჩაჩანიძე ემსხვერპლა. იგი ქმართან — სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილესთან — შოთა ლაბაძესთან და ამ უკანასკნელის თანამშრომელთან ერთად, ავტომანქანით ახალციხისკენ მიემგზავრებოდა. გზაზე, ავარიული შემთხვევის შედეგად, მანქანა მდინარე მტკვარში გადავარდა. ფატი ჩაჩანიძე მდინარეში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, დანარჩენები კი სიკვდილს გადაურჩნენ. ■

როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი შვილები, თუ ძებნილები ქუჩაში დაუსჯელები დადიან და არც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენას ერიდებიან?! მათ აგრესიას ხშირად, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები ტყუილუბრალოდ ეწირებიან...

ძებნილებს ჩვენი შვილები ეწირებიან!

გიორგი ასეთ სამინელ სიკვდილს არ იმსახურებდა...

რა მოხდა რესტორან „კრისტალში“?

ლელა ჭანკოტაძე
მეგი ცანავა

2004 წლის 7 მაისის ღამეს, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №42-ში მდებარე რესტორან „კრისტალში“ ტრაგედია დატრიალდა: 17 წლის თბილისელი გიორგი გელაძე — სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი — ბოროტმოქმედმა დანებით აჩეხეს. გიორგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ექიმებმა, შემდეგ კი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა მოკლულის სხეულზე გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებული 6 ჭრილობა დააფიქსირეს. შემთხვევის დროს დაიჭრა გიორგის უფროსი ძმა — გელა გელაძეც. დროული სამედიცინო დახმარების შედეგად ექიმებმა იგი სიკვდილს გადაარჩინეს, ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რესტორან „კრისტალში“ იმ ღამეს, გელაძეების მამა — დათო გელაძეც იმყოფებოდა, თუმცა ბოროტმოქმედების დაკავება ვერც მან და ვერც რესტორანში მყოფმა სხვა პირებმა ვერ მოახერხეს. დამნაშავეები შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ და ჯერჯერობით იმალებიან.

მათი ვინაობა სამართალდამცავებმა უკვე დაადგინეს. ერთ-ერთს — 24 წლის თბილისელ გეგი ბართიას პროკურატურამ დაუსწრებლად წაუყენა ბრალი 109-ე მუხლით (განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა) და მასზე ძებნა ოფიციალურად გამოაცხადა. რაც შეეხება მეორე პირს — ის ჯერჯერობით ეჭვმიტანილია და მის ვინაობას სამართალდამცავები არ ასახელებენ. „ამ პიროვნების ვინაობა დადგენილია, გამოძიების შედეგად მოპოვებულია საკმაო მტკიცებულებები, მაგრამ ამ ეტაპზე, ინფორმაციას ვერ გავცემთ. ვიცით, რომ ისიც იმალება. თუმცა, ჯერ უნდა დადგინდეს დეტალები და მას შემდეგ, რაც ბრალდებას წარვუდგენთ, სასამართლო იმსჯელებს მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე“, — აცხადებს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელი — ზვიად დვალი.

გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობა ღამის პირველ საათზე მოხდა. რესტორან „კრისტალში“, 6 მაისს საღამოს, ძმები გელაძეები მეგობრის დაბადების დღის აღსანიშნავად იყვნენ მიპატიჟებულები. იმავე რესტორანში დაბადების დღეს აღნიშნავდა ვინმე ეკა ბერძენიშვილიც. მას თან ახლდა მეუღლე — გეგი ბართია და სტუმრები — დაახლოებით 10 ადამიანი.

ზვიად დვალი, *გამომძიებელი:*

„ღამის 1-ელი საათისთვის, უკვე 7 მაისს, ყველანი შეზარხოშებულები იყვნენ. გეგი ბართიამ შემთხვევით მხარი გაჰკრა გელაძეების მეგობარს და მათთან ერთად მყოფ კოტე ლაბაძეს. ამის გამო, ბართიამ ლაბაძეს გამომწვევი ლაპარაკი დაუწყო,

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

საკმაოდ მთვრალი იყო და უნდოდა, ჩხუბი წამოეწყო. ლაბაძე, პირიქით, ცდილობდა, როგორმე კონფლიქტი თავიდან აერიდებინა და ბართიას მოუწოდა, დამშვიდებულიყო — დღესასწაულია და არ გვინდა უსიამოვნებაო. მიუხედავად ამისა, ბართიამ მას ხელკავი გამოსდო და დარბაზის გასასვლელისკენ გაიყვანა. ამის დანახვაზე, მათ უკან გაჰყვა გიორგი გელაძეც. დარბაზიდან გავიდნენ თუ არა, ბართიამ ჯიბიდან მოგრძო დანა ამოიღო და ლაბაძეს მოუქნია, შეეცადა, მისთვის ჭრილობა მიეყენებინა. ლაბაძემ მოახერხა უკან დახევა და მოქნეული დანაც ასცდა. იმ მომენტში, ბართიას გვერდით იდგა მისი მეგობარი — მეორე ეჭვმიტანილი პიროვნება. საბარაუდოდ, დანა მასაც ჰქონდა და მას შემდეგ, რაც ლაბაძემ უკან დაიხია, ის და ბართია გიორგი გელაძეს მიუბრუნდნენ და ამ უკანასკნელს დანებით გულ-მკერდისა და მუცლის არეში 6 ჭრილობა მიაყენეს. ამის შემდეგ, მათ დაჭრეს გელა გელაძეც, რომელიც მკვლელობის ფაქტს შეესწრო და ბოროტმოქმედების შეჩერებას შეეცადა. გელა გელაძეს ბართიამ და სავარაუდოდ, მისმა მეგობარმა 3 ჭრილობა მიაყენეს. მომხდარის შესახებ დარბაზში მყოფმა ხალხმა მაშინვე შეიტყო, ატყდა პანიკა, ყველანი ჰოლში — შემთხვევის ადგილას გამოცვივდნენ, მათ შორის — გელაძეების მამაც. პირველ რიგში, ყველა, დაჭრილებს აქცევდა ყურადღებას. ბოროტმოქმედებმა ისარგებლეს ამ არეულობით და გაქცევა მოახერხეს".

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ერთი დანა. არის თუ არა ის დანაშაულის იარაღი — ამას ექსპერტები უახლოეს დღეებში დაადგენენ. ოფიციალური ინფორმაციით, გეგი ბართია წარსულში ერთხელ იყო ნასამართლევი. 2003 წელს, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ იგი ქურდობის ბრალდებით გაასამართლა, დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ციხიდან ბართია ცოტა ხანში გათავისუფლდა. სამართალდამცავთა ცნობით, ამჟამად იგი სხვა დანაშაულისთვის — კერძოდ, ავტომანქანების გატაცებისთვისაც იძებნება (იგი მანქანების საკმაოდ ცნობილი გამტაცებელია). აქედან გამომდინარე, ბართია ძებნილი იყო იმ მომენტისთვისაც, როცა გიორგი გელაძის მკვლელობა ჩაიდინა. როგორც ჩანს, ძებნილის სტატუსი მას ხელს არ უშლიდა, თბილისის ცნობილ და პრესტიჟულ რესტორანში ცოლის დაბადების დღეზე მეგობრებთან ერთად მოელხინა. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი თამაზ გეთია აცხადებს, ბართიას დასაკვებლად ოპერატიული ღონისძიებები ტარდება. თუმცა, რა შედეგით დასრულდება მათი მცდელობა, მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება მეორე ეჭვმიტანილის ნასამართლეობის საკითხს — სამართალდამცავები ამაზე კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ.

გელა გელაძე, *გიორგის უფროსი ძმა:*

— მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიყავით. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა შევნიშნე, რომ ჩემთვის უცნობ პიროვნებას ჩემი ძმა გვერდზე გაჰყავდა. იმწუთასვე გავყევი. გამიკვირდა — უცნობს გიორგი სად მიჰყავს მეთქი? გასასვლელთან მივედი თუ არა, გავიგონე, გიორგიმ რომ თქვა — დაჭრილი ვარო, — და ჩაიკეცა. მივვარდი და გიორგის ჩავეხუტე, რადგან შევნიშნე, რომ იმას კიდევ უნდა დაერტყა გიორგისთვის. დანა ზურგში მე ჩამარტყა. ის ჩემს გულს ორი მილიმეტრით ასცდა. მაშინვე ჩოჩქოლი ატყდა. მივხვდი — გიორგის საშიში ჭრილობა ჰქონდა... მკვლელი გაიქცა. ის მარტო არ იყო.

არ ხუმრობდა, იმწუთას, ძალიან სერიოზული იყო. თითქოს გრძნობდა, რომ ის დღე მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდებოდა...

მასთან ერთად სხვებიც იყვნენ. დანები მათაც ჰქონდათ.

— შემდეგ რა მოხდა?

— გიორგი ჩვენმა მეგობრებმა საავადმყოფოში გააქანეს. მეც მათ დავედევნე... სანამ რესტორნიდან გამოვედი, ვიღაც ბიჭი დამეჯახა, უნდოდა, ჩემთვის დანა გულში ჩაერტყა, მაგრამ ხელების აფარება მოვასწარი. დანამ მარცხენა ხელი გადამიჭრა. ამ დროს გავითიშე კიდეც. გონს რომ მოვედი, საავადმყოფოში გავვარდი. მეგონა, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანდნენ. პირდაპირ საოპერაციოში შევვარდი. მაგრამ იქ გიორგი არ დამხვდა. არ მოუყვანიათო, — მედპერსონალმა ამიხსნა. სწორედ მათ მითხრეს — ზურგში დაჭრილი ხარო, — თორემ, ისეთი გამწარებული ვიყავი, ვერც ვგრძნობდი. ჭრილობა არც გავაკერინე. წავედი მეცხრე საავადმყოფოში, სადაც გიორგი მიუყვანიათ... ორი საათი ჰქონდა გული გაჩერებული, შემდეგ აუმუშავდა და იმედი მოგვეცა, რომ გადარჩებოდა. ღამის პირველი საათი იქნებოდა, საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, დილის ათის ნახევარზე გარდაიცვალა. გონზე არ მოსულა... მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა... სულ რაღაც ორ წამში, მკვლელს მისთვის უამრავი ჭრილობა მიუყენებია. მარტო გულში ჰქონდა ორი ჭრილობა. გული მთლიანად დაფლეთილი ჰქონდა.

— წარმოუდგენელია ალბათ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე მოეკლათ გიორგი. იქნებ, კონფლიქტი მოხდა?

ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, ჩვენთვის რით ესიამოვნებინა...

— არა, არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა. მკვლელი მეზობელ სუფრასთან იჯდა, ჩვენგან მოშორებით, ისე, რომ არც ჩანდა. მერე გაირკვა, რომ მას ცოლის დაბადების დღე ჰქონდა. ხმაც არ ამოაღებინეს, ისე მოკლეს გიორგი... მართლა ძნელი დასაჯერებელია, რომ ასე უმიზეზოდ მოკლა ჩვიდმეტი წლის ბავშვი... ალბათ, გიორგი ვერც მიხვდა, რა მოხდა. იმდენჯერ დაარტყეს დანა, რომ მაშინვე გაითიშა. „მიშველეთო" — ესეც არ უთქვამს. ბედნიერი გიორგობის დღე ჩვენთვის ასე უბედურად დამთავრდა.

— გიორგის შესახებ მიამბეთ: რას საქმიანობდა? სად სწავლობდა? რითი იყო დაკავებული?

— სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. პარალელურად წყალბურთზე დადიოდა, ტრენაჟორებზე ვარჯიშობდა. არ სვამდა, სიგარეტს არ ეწეოდა. ყოველთვის ვიცოდი მისი დღის განრიგი. დილით, ინგლისურის გაკვეთილზე მიდიოდა, შემდეგ — უნივერსიტეტში. ლექციების გაცდენა არ უყვარდა... მერე სახლში მოვიდოდა, შემდეგ — ვარჯიშზე გარბოდა. საღამოს, თავის მეგობარ სერგისთან მიდიოდა ხოლმე, სადაც ის და თავისი მეგობრები ყოველდღე იკრიბებოდნენ. ჩვენ ვაკითხავდით და შინ მოგვყავდა.

ნათია, *გიორგის მეგობარი:*

— ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ გიორგი სიცოცხლეს ასე დაასრულებდა. რომ მითხრეს — მოკლესო, — ვერ დავიჯერე. სიცოცხლეზე უზომოდ იყო შეყვარებული. კეთილი, მხიარული, მოსიყვარულე გიორგი ასეთ საშინელ სიკვდილს არ იმსახურებდა... მას ბავშვობიდან ვიცნობდი. ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდა. ძალიან გრძელი წამწამები ჰქონდა. სულ წამწამებს და წარბებს ისწორებდა. გოგონებს ძალიან მოსწონდათ. მაგრამ ამ ქვეყნიდან უსიყვარულოდ წავიდა, შეყვარებული არ ჰყავდა...

ლეძსო, *გიორგის ჯგუფელი:*

— ჩვენს მეგობარ სერგისთან ვიკრიბებოდით ხოლმე. ის უნივერსიტეტთან ახლოს ცხოვრობდა. სერგის დედა, დალი დეიდა მაშინვე სუფრას გაგვიწყობდა. ყველანი დალის ვეძახდით, მხოლოდ გიორგი ეძახდა დალი დეიდას: ძალიან მორიდებული იყო, ჭამაც კი რცხვენოდა. თონის პურს მოიტეხდა და ცარიელ პურს ჭამდა... გიო გართობისთვის იყო დაბადებული — სულ ცეკვავდა, გიტარაზე უკრავდა, მღეროდა კიდეც. მამა ძალიან უყვარდა, სულ მამაზე გველაპარაკებოდა... ერთი წელია, რაც ამ ბინაში ცხოვრობენ. პირველად აქ რომ მომიყვანა, მთელი სახლი დამათვალიერებინა. ხომ კარგი ოთახი მაქვსო? — მეკითხებოდა. მიკვირდა, როგორ შეეძლო, სახლი ასე ჰყვარებოდა...

— რა გეგმები ჰქონდა გიორგის?

— ბანკში მუშაობის დაწყება უნდოდა. პირველი ივნისიდან, პრაქტიკა „ქართუ-ბანკში" უნდა გაევლო... 18 ივნისს, 18 წლის უნდა გამხდარიყო. ამბობდა — ოქროს დაბადების დღე მაქვს, დიდი წვეულება უნდა გადავიხადოო... ყოველთვის ბეთანიის რესტორანში იხდიდა დაბადების დღეს.

ანა, *გიორგის მეგობარი:*

— მოწყენილი გიორგი არც მახსოვს — ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო და სულ გეგმებს აწყობდა. მახსოვს, გუდაურიდან რომ მოვდიოდით, გზაში ამბობდა — კვლავაც აუცილებლად ჩამოვიდეთო. ბიჭებთან ერთად კრუიზშიც უნდოდა წასვლა. დედამიწის გარშემო მოგზაურობაზე ოცნებობდა...

ლეძსო:

— ერთი კვირის წინ მითხრა: უნივერსიტეტს რომ დავამთავრებ, ვიცი, კარგ თანამდებობაზე დამნიშნავენ; თუ ასე მოხდება, შენ იქნები ჩემი პირველი მოადგილე, თუ უკეთეს სამსახურს შენ შემოგთავაზებენ, მე ვიქნები შენი მოადგილეო... სულ ერთად ვიყავით. არაჩვეულებრივი ბუნების ბიჭი იყო. მისგან ბინძური სიტყვა არასდროს გამიგონია... ძალიან მაღალი იყო და ძალიან ძლიერი. სიყვარულით ჯუნიორას ვეძახდით. ამერიკაში უნდოდა წასვლა. იქ მისი მეგობარი სწავლობს, გიოს მისი ნახვა ძალიან უნდოდა. ის დღეს ჩამოდის... მისგან უბრალო წყენა არ გვახსოვს, რა უნდა გვეთხოვა, რომ არ გაეკეთებინა?!. მახსოვს, სერგის უსაყვედურა — ეგ რა ქამარი გიკეთიაო?! — შეიყვანა თავის ოთახში და ახალი, „კელვინ კლაინის" ქამარი აჩუქა. ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, ჩვენთვის რით ესიამოვნებინა...

— ცუდი წინათგრძნობა ხომ არ ჰქონდა? ოდესმე თუ უთქვამს, რომ შეიძლებოდა, მალე დაღუპულიყო?

— გიორგობის დღეს, უნივერსიტეტში ლექციებზე ვნახე. ასეთი გიორგი არასდროს მინახავს: საოცარ ხასიათზე იყო, ხან გოგონებს დაეჯახა, ხან იცინა... მერე საუბარი მუმიებზე ჩამოვარდა. გიორგიმ თქვა: იცით, როგორ მეშინია სიკვდილის?! საშინელებაა, რომ მოკვდები და მიწაში მატლები დაგესევიანო... თავის თავზე დაიწყო საუბარი. ჩვენ ძალიან აღვშფოთდით. ოთახში ერთი ბუზი დაფრინავდა. გიორგის დააჯდა თავზე. — ეს ალბათ, სიკვდილის ნიშანიაო, — თქვა მან და ბუზს ხელი აუქნია... არ ხუმრობდა, იმწუთას, ძალიან სერიოზული იყო. თითქოს გრძნობდა, რომ ის დღე მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდებოდა...

სადაც გიო იყო, იქ კარგი ატმოსფერო და მხიარულება სუფევდა

ანა:

— სულ იღიმებოდა, კარგ ხასიათზე იყო. სადაც გიო იყო, იქ კარგი ატმოსფერო და მხიარულება სუფევდა. ბოლო დღეს კი, განსაკუთრებით იხალისა თურმე. ჩემს ძმას უთქვამს: რა გჭირს, ბიჭო, როგორ იქცევიო?.. ალბათ, გული ცუდს უგრძნობდა... არასდროს გამიგონია, ეჩხუბოს ან ჩხუბში ჩარეულიყოს. მიუხედავად იმისა, რომ სულ კუნთებზე იყურებოდა, ჩხუბს ყოველთვის თავს არიდებდა. ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო, მაგარი კუნთები ჰქონდა. სულ ვსაყვედურობდით — რად გინდა ამხელა კუნთები-თქო?!. ზაფხულს განსაკუთრებით ელოდა. უმკლავებო მაისურს რომ ჩავიცვამ და დისკოთეკაზე ვიცეკვებ, გოგონები გადაირევიანო...

■

როდესაც ცნობილ მსახიობსა და რეჟისორს ბატონ მერაბ თავაძეს ინტერვიუ ვთხოვე, თეატრში დამიბარა — იმ მყუდრო და საოცრად კეთილი აურის მქონე „სამეფო უბნის თეატრში“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა და რომლის გამოც თავის დროზე, 7-წლიანი ომი გადაიტანა... თეატრში, სადაც იზა გიგოშვილის სული ტრიალებს, სპექტაკლი — „ნუგზარი და მეფისტოფელი“ გადიოდა, რომელშიც მისი უმცროსი ვაჟი, ნიკა თავაძე არაჩვეულებრივად ასრულებდა მთავარ როლს, ხოლო სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი — უფროსი ვაჟი, გოგა თავაძეა...

მერაბ თავაძე: იზა მართლაც, ნამდვილი ფეიერვერკი იყო...

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო მერაბ, მოგვიყევით ამ თეატრის შექმნისა და თქვენი საქმიანობის შესახებ.

— საერთოდ, ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება თეატრიდან დაიწყო და თეატრმა გამიხსნა გზა ხელოვნებისკენ. თეატრისადმი სიყვარულმა და რა თქმა უნდა, პირველ რიგში — იზა გიგოშვილმა შექმნა ეს თეატრი: როდესაც იზას რუსთაველის თეატრში პრობლემები შეექმნა, დაბადა ახალი თეატრის ჩამოყალიბების იდეა. ეს მისი ამორჩეული ადგილია. მაშინ, შენობა საშინლად დანგრეული გახლდათ, აქ სამუშაოდ შემოსვლა შეუძლებელი იყო... ვერ დავიჩემებ, რომ ეს საქმე მე დავიწყე. იზას პირველ რიგში, ჩვენი შვილი ნიკა დაუდგა გვერდში. მერე, როგორც ყოველთვის ხდებოდა, მეც ჩამითრიეს. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც დიდს ვაკეთებდით: უნდა შექმნილიყო კიდევ ერთი თეატრალური კერა საქართველოში, თბილისში. მაგრამ ამ პროცესს რთული პრობლემები დაერთო თან, რომლის შესახებაც ყველამ იცის. შვიდწლიანი ომის შემდეგ, რომელიც იმ ხალხთან გვქონდა გაჩაღებული, ვინც შენობის მესაკუთრეობას იჩემებდა, ყველაფერი გაირკვა და თავ-თავის ადგილას დადგა. მაგრამ შეფერხდა თეატრის მშენებლობა და სტრუქტურის ჩამოყალიბება, ამიტომ სულ რამდენიმე წელიწადია, რაც მოვახერხეთ თეატრის აგება, ამოქმედება და საშინლად ვწუხვარ და განვიცდი, რომ ამას იზა ვერ მოესწრო. ვერ მოესწრო იმას, რომ გვაქვს ნორმალური განათება, სარეპეტიციოები, საგრიმიოროები, რომ შემოსასვლელი დაემსგავსა შემოსასვლელს... ჩვენ თეატრის ხალხი ვართ და სულ ვცდილობდით, ისეთი სიმყუდროვე შეგვექმნა მაყურებლისთვის, რომ აქ, როგორც საკუთარ სახლში, ისე ეგრძნო თავი.

— და მაინც, თეატრისა და კინოს ასეთმა პოპულარულმა მსახიობმა რატომ არჩიეთ რეჟისორობა? და კიდევ — რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენს რეჟისორულ სტილზე?

— არასოდეს მქონია მსახიობობის სურვილი. ხომ არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდან ოცნებობენ მსახიობობაზე, დრამწრეებში დადიან... მსგავსი რამ არასოდეს მჩვევოდა. ჩვეულებრივი პლეხანოველი ბიჭი ვიყავი, პროფესიონალი მოცურავე. სულ ვფიქრობდი, რომ ტექნიკური განხრით წავიდოდი, მაგრამ

ხომ იცით, ბედია ყველაფერი და უცებ მოვხვდი იმ სამყაროში, რასაც თეატრალური ინსტიტუტი ჰქვია. ინსტიტუტშიც არ ვიყავი კარგად გარკვეული, თუ რას ნიშნავდა მსახიობობა და სერგო ზაქარიაძე რომ არა, რომელთანაც ფილმში — „ზღვის ბილიკი“ — პირველი როლი ვითამაშე, ასე ალბათ, კიდევ გაგრძელდებოდა. სწორედ ბატონმა სერგომ დამანახვა მსახიობის პროფესიის ხიბლი. მერე ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში იყვნენ: რეზო ჩხეიძე, კოლა სანიშვილი და სხვები. 21 წლის ასაკში „ჩავედი“ რუსთაველის თეატრში — ასე ვამბობდით თეატრალურ ინსტიტუტში — ჩასვლას... იქ ბუმბერაზები დამხვდნენ. მათ შემაყვარეს თეატრი. მაგრამ ეტყობა, ბუნებით კინორეჟისორი ვიყავი და თეატრს ვუღალატე: 1974 წელს, თეატრალურ ინსტიტუტში გაიხსნა კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, მე და ჩემი მეგობარი და თანაკურსელი გია მატარაძე იქ სასწავლებლად გავეშურეთ. პირველი ზარიდან მოყოლებული, ბოლომდე ერთად ვიყავით. ფანტასტიკური პედაგოგები გვყავდა: თენგიზ აბულაძე, ლანა ღოღობერიძე, ომარ გვასალია, ოთარ იოსელიანი; მიხეილ თუმანიშვილისგან რეჟისურის მთელი კურსი გავიარე... ამ ადამიანებისგან პროფესია, ხელობა შევისწავლე. რაც შეეხება შემოქმედებას — ეს სხვა თემაა. ფილმი — „მე დავბრუნდები“ — პოეტებზე მირზა გელოვანზე, ლადო ასათიანსა და ალიოშა საჯაიაზე — ერთი ტიპის სურათია; „ბრავო, ალბერ ლოლიშ!“ — ჟანრობრივად მისგან აბსოლუტურად განსხვავდება; ჩემი მესამე სურათი — „ხვეული კიბით“ — რომელიც ახლახან დავამთავრე, ასევე სრულიად განსხვავდება წინა ორისაგან. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ გარკვეული სტილი მაქვს. უბრალოდ, მოვლენისა და პრობლემის ჩემეული ხედვა მაქვს.

იზა გიგოშვილი გრუშე ვაჩნაძის როლში („კავკასიური ცარცის წრე“)

— რეჟისურა ორგანიზატორულ ნიჭსაც მოითხოვს. ალბათ რეჟისორი მკაცრი უნდა იყოს. თუ ეჩხუბებით ხოლმე მსახიობებს?

— ორგანიზატორობა რეჟისორისთვის უმნიშვნელოვანესია. ეს არის ადამიანი, რომელიც თავს უყრის ყველაფერს — რამდენიმე ხელოვნებას, აგრეთვე აგვარებს ტექნიკურ მხარეს... რაც შეეხება სიმკაცრეს და მსახიობებთან ურთიერთობას — მე კინოში თეატრიდან მისული კაცი ვარ, ამიტომ ვიცი, რას წარმოადგენს მსახიობი, რით სულდგმულობს, რა ენაზე ლაპარაკობს და ძალიან მიადვილდება მსახიობებთან მუშაობა და ურთიერთობა.

— ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას რომელ ჟანრს მიაკუთვნებდით — კომედიას, დრამას ან იქნებ — კლიპს?..

— რთულია განსაზღვრო. ყველაფერი აირია, ღირებულებათა გადაფასება მოხდა. ჩვენმა თაობამ რთული ცხოვრება გავიარეთ და დღეს, ძალზე მოწადინებული ვარ, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს. ეს აუცილებელია. შეიძლება, შინაგანად რაღაც-რაღაცები არ მომწონს, მაგრამ იმდენად დიდია ცვლილების სურვილი, რომ მზად ვარ, ყველაფერი გავაკეთო ამის ხელშესაწყობად.

— ვიცი, რომ თქვენს ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვა იერუსალიმში მოგზაურობამ. რელიგიური ადამიანი ბრძანდებით?

— იერუსალიმში ფეხით წასვლამ განაპირობა ჩემი რელიგიურობა და ეს ჩემი იზას დამსახურებაა... რასაკვირველია, ჩვენი თაობა ეკლესიაში დადიოდა, მაგრამ ეს აბსოლუტურად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. და სწორედ ამ გზამ — მაცხოვრის საფლავთან ამ უშუალო შეხებამ მომცა რწმენა. როდესაც ბეთლემში ზიხარ, აბსოლუტურ სიჩუმეში, გესმის ქართული „იავნანა“ — ნამდვილად გესმის... რაც იქ ხდებოდა, მართლაც, საოცრება იყო. ან ის რად ღირს, მაცხოვრის საფლავთან რომ მიდიხარ, ან ჯვარცმის ადგილას, გოლგოთაზე რომ ხარ, მირონცხების ადგილს რომ ნახულობ?! ყოველივე ამის შემდეგ, აბსოლუტურად სხვანაირი ადამიანი ხდები.

— ბატონო მერაბ, გერმანიაში თქვენი მოღვაწეობის შესახებაც გვიამბეთ.

— ეს ჩემი უახლოესი მეგობრის, მათიას კნისბეკის თხოვნა იყო — შემეკრიბა მსახიობები ყველა თეატრიდან, ჩავსულიყავი გერმანიაში და დამედგა „ოიდიპოს მეფე“ ქართულად. 4 თვეზე მეტხანს ვმუშაობდით და დავანახვეთ იქაურებს, თუ რა დიდი მსახიობები გვყავს ქართველებს. საოცარი სპექტაკლი გამოვიდა. აღფრთოვანებულები და გაოგნებულები იყვნენ. ეს 1993 წელს მოხდა. გვინდოდა ამ სპექტაკლის თბილისში ჩამოტანა, მაგრამ მოგეხსენებათ, მაშინ რა დროც იყო — არავის ეთეატრებოდა.

— რა ან ვინ იყო თქვენთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ფეიერვერკი?

— ეს არის ჩემი მეუღლე და მთელი სისრულით ეს მაშინ შევიგრძენი, როცა ის დავკარგე... გარშემო რასაც ხედავთ, იზას ცხოვრებითაა გაჯერებული. ის მართლაც, ფეიერვერკი იყო. ამას წინათ, ჩემი და იზას პედაგოგის, რეზო მირცხულავას 70 წლისთავზე ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ თქვა: Это была феноменальная актриса. ამის შემდეგ, „კავკასიური ცარცის წრე“ სულ სხვა თვალით ვნახე. მართლაც, ფენომენალური მსახიობი იყო...

— ბატონო მერაბ, ერთ ცოტა სახალისო კითხვას დაგისვამთ. ყველას ახსოვხართ ფილმში — „თოჯინები იცინიან“, ამიტომ შეუძლებელია, თქვენთან საუბრისას სათამაშოს თემას არ შეეხო. რა იყო ბავშვობაში თქვენი საყვარელი სათამაშო?

— ჩემი საყვარელი სათამაშო, კონსტრუქტორი იყო. მამაჩემმა მომიტანა და იმის შემდეგ, სულ რაღაცას ვაშენებდი. სხვათა შორის, დღესაც მიყვარს ჩხირკედელაობა.

— თქვენი გარეგნობისა და პოპულარობის მამაკაცს ალბათ ძალზე გწყალობდნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები...

— ეს მარტო მე კი არა, ყველა მამაკაცის ცხოვრებას თან სდევს და აბსოლუტურად ნორმალურად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ეს კინომ განაპირობა, თორემ, თბილისში ჩემზე უკეთესი ბიჭები დადიოდნენ. დამერწმუნეთ, მსახიობი კინოს წყალობით ხვდება ყურადღების ცენტრში, თორემ, განსაკუთრებით არაფრით გამოვირჩეოდი...

— დაბოლოს, ბატონო მერაბ: ხშირად ხდება, რომ წარსულში ცნობილ მსახიობებს სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— ეს მართლაც, მნიშვნელოვანი და მტკივნეული თემაა. სერიოზული საუბარი მქონდა კინოსა და თეატრის მსახიობებზე, კერძოდ — ლია ელიავაზე, რომელსაც ნამდვილად მოაკლდა ჩვენი ყურადღება. თითზე ჩამოსათვლელი დაგვრჩა ძველი თაობის მსახიობები. როგორ შეიძლება, მათ არ მოვუაროთ?!. ამ ადამიანებმა ხომ, თავის დროზე, უზარმაზარი სიხარული მოგვანიჭეს. მათ ფილმებსა და სპექტაკლებზე გავიზარდეთ. ეს ადამიანები ხომ ყველაზე დაუცველები არიან, ზოგს ძალზე უჭირს მატერიალურად და ყველანი ვალდებული ვართ, რითიც შეგვიძლია, მხარში ამოვუდგეთ მათ... საერთოდ, ქართველები ტოლერანტული, მომთმენი, მოსიყვარულე ერი ვართ და როგორ მინდა, ისე არ მოვკვდე, რომ არ დავინახო, როგორ უყვართ ქართველებს ერთმანეთი და რა შორსაა ჩვენგან შური და ბოღმა. მაშინ ჩვენ მართლა დიდი ერი ვიქნებით...

■

იზა გიგოშვილი, მერაბ და ნიკა თავაძეები

მერაბ და ნიკა თავაძეები



ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ხილის ღამურა უამრავ მცენარეს მტვერავს.
2. „მინალთუნი“ თურქული სიტყვაა და ერთ მანეთს ნიშნავს.
3. ძილის დროს დელფინი ორივე თვალს არასოდეს ხუჭავს.
4. „მოთმინება“ – ასე ითარგმნება ქართულად სიტყვა „პასიანსი“.

5. მყინვარების შემსწავლელ მეცნიერებას გლიაციოლოგია ჰქვია.
6. დედამიწაზე არსებულ გველთაგან მხოლოდ 10%-ია შხამიანი.
7. „უძინართა მზეს“ თემურ ბაბლუანი სამი წლის განმავლობაში იღებდა.
8. ქათმის მკერდის ორტოტა ძვალს ავქაში, მეორენაირად კი – საწინწკარა ჰქვია.
9. რუსეთში 1865 წლამდე, ქუჩაში თამბაქოს მოწევა სასტიკად აკრძალული იყო.
10. ვენის მუზეუმში დაცული, სტრადივარის ნახელავი ვიოლინო 5 მლნ დოლარი ღირს.
11. „ვარ პოლიტიკურად მშვიდი და სექსუალურად მხნე“ – ასე ახასიათებს საკუთარ თავს ირაკლი ჩარკვიანი.
12. თვალის ჭრილის გასადიდებლად გამიზნული პლასტიკური ოპერაცია ყველაზე გავრცელებული ოპერაციაა ჩინეთში.
13. მტკნარი წყლის მოსაპოვებლად აისბერგების ტრანსპორტირების წინადადება საერთაშორისო კონფერენციაზე პირველად, საუდის არაბეთის მეფემ შეიტანა.
14. „იესლი ჟენშინა გავარიტ, შტო ანა ლიუბიტ, ეტა ნე ზნაჩიტ, შტო ანა ლიუბიტ ტოლკო ვას“, – ირწმუნება მიხაილ ზადორნოვი.
15. ბუნებაში თეთრი ლომების 70 ათასი ეგზემპლარი არსებობს. ჩვეულებრივ ლომებს არ უყვართ ასეთი შეფერილობის თანამოძმენი და ყველგან დევნიან მათ.
16. პარიზში 1793 წელს, რევოლუციის შემდეგ, რიგებში მდგარ ადამიანებს ერთი მთლიანი გრძელი თოკი ეჭირათ ხელში.
17. „სააკაშვილი და ჟვანია საქართველოს დამკრძალავი კომისიის წევრები არიან“, – ამბობს შალვა ნათელაშვილი.
18. „მთელი ჩემი ცხოვრება ერთი დიდი გამარჯვებაა კეთილისა ბოროტზე“

რეზოიეს სიდედრი...

ინგა ჯაყელი

– რავაა, რეზოიე, ბუჯო, შენი სიდედრი?! – წარამარა ეკითხებიან ძმაკაცები „ტაქსისტ“ რეზოს და კარგა ხანს ჰყოფნით მერე სამხიარულოდ და სალაპარაკოდ მისი მძაფრი რეაქცია: „რავაა და შხამიანი გველივით, საითაც გადაფურთხებს, ბალახი ხმება და მიწა ნაგვალავივით სკტება... არ გეიხარა ჩემი ცოდვით ვანოიე? მედუქნემ!..“

– ვანოიე რა შვაშია? (ვითომ არ იცოდნენ...)

– მაგან დამღუპა და გამაბრიყვა – საწყალი დედა-შვილი მარტვანე არიენ სახში, კაი მუშა ბიჭს ეძებენ ჩასასიძებლათ, არაფერი უნდათ მისი, თან გადაყობიენო...

– არ გყობიენ მერე თუ რა? 40 კილო არ იყავი მაგენს რო ჩეესიძე და ახლა 140-ს ასცდი, დაკოჩილია, შენი საწყალი მანქანა ცალ მხარეს...

– ბოღმამ გამასია, ნაღველი მაქვს ჩაქცეული სიმწრით, ჩემი სიდედრის დანახვაზე დეპრესია მეწყება და იგი მასუქებს, თვარა, საჭმელს სულ ვერ ვჭამ, კრიჭა მაქ შეკრული...

– რამ შეგაძულა, რეზოიე, ასე სიდედრი?!

– თავათ ხო ჩემი სიყვარულით ძრობა ის წაწყმენდილი სული... რატო სვამო, რატო ჭამო, ნათესავები რატო გყავსო, ყველა თავისნაირი ამოწყვეტილი უნდა რო იყოს... ქმარი ომში დაკარქვია, ტირის – მომიკლესო! – მარა, არ მჯერა, სიმწრით გეექცეოდა და გედეიკარქებოდა, ისიც ჩასიძებული ყოლიათ, ის უბედური...

– მაინც რაო, რა მინდაო, რას გიჩივა სიდედრი, რეზოიე?!

– დაბალი ხარო, მელოტი გაქო, უსტავლელი ხარო – თავათ ხო უსკტება თავი განათლებით, მამა უცხონდა... ღამე ხვრინავ და არ მეძინებაო! – ძაღლივით საძინებლის წინ მიწევს, წევიდეს და დეიძინოს პირველ სართულზე. ცოლს ვერ მოვფერებივარ მაგის შიშით, – ლოგინის ჭრიალი ძილს მიფრთხობსო! – მიტო ვერ გავაკეთე იმ ერთ გოგოზე მეტი და მეც სიძის იმედზე ვრჩები, თუ ვიცოცხლე ჩემი სიდედრის ხელში!..

– ის რავა იყო, სიკვტილს რო გადაარჩინე გასულ ზაფხულს?!.

– ჯანდაბა ჩემს თავს და დოზანა, მოვტყუვდი – გალურჯებული დამხვდა ტახტზე მიგდებული, მე ვიფიქრე – ცივა-თქვა! – და ფანჯრები დავუღე – ბარემ შეეყაროს ფილტვების ანთება და ერთბაშად გაძვრეს სული-თქვა! – მარა არ მობრუნდა? – თურმე ჰაერის უკმარისობა ქონია და ქე უშველა ზამთრის ჰაერმა და სუსხმა, ოუღაჟღაჟდა ვარდისფრად ლოყები... – გყვარებივარ, შვილოო! – რო მითხრა, მე გავლურჯდი, მარა რას ვიზამდი... მაი რაია, იმის წინაც მოვტყუვდი, ავათ გახდა ამ ხუთი წლის წინ, რაცხა უცნაური ავანტყოფობა შეეყარა, გამოყარა წითლად და აფხანიებდა ყოლიფერს. დავნაყე წითელი პიმპილა პუდრივით და მივუტანე – უცხო წამალია, ვალუტაზე ძლივს მომყიდეს-თქვა! – წოვუსვით ტანზე და რო დეიწყო კივილი, მე მწყევლიდა, მარა,

მაინც ბედნიერი ვიყავი, რომ გავამწარე და სიკვტილამდე მივიყვანე... წოუვიდა გული და ის იყო, კუბოს გასაბარებლათ ვაპირებდი გაქცევას, მეიხედა და: გონია მეშველაო!.. ორ კვირაში გეიძრო გველივით დამწვარი ტყავი და მის მერე ჩიტივითაა, ფრჩხილიც აღარ წამოტკიებია.

— ის რავა იყო, მოსკოვში რო კინაღამ დააჭერია შენი თავი?!.

— აპა, დიდი „გუმი“ (მოსკოვის უმსხვილესი უნივერმაღი. — ავტ.) რომაა მოსკოვში, იქ მოხთა მაი ამბავი. რაცხა იყიდა და ჩეკი ამოუწერა გამყიდველმა — სალაროში გედეიხადეო... ამ ჩემმა სიდედრმა ღერი რუსული არ იცის, მივიდა მოლარესთან და მუნჯივით გოუწოდა ფული: возьми-ო... იმან из какого отдела вас прислали-ო?!

— ეიღე ეს ფული და შემეშვიო! — შეწუხდა ჩემი სიდედრი.

მიხთა რიჟა რუსი, შტერი ქალი რომ იდგა მის წინ და დოუწყო თურმე ჩამოთვლა: Из отдела игрушек?

არ პასუხობს არაფერს ქალი...

— Из отдела ткани?

ჰოდა, იფეთქა თურმე ჩემმა სიდედრმა: აიტ, რას მიბედავ, შე ლაწირაკო, დედის ტოლა ქალს, მე რუსული არ ვიცი, თვარა „ტკანი“ ქართულადაც „ტკანიაო!“ — და გლიჯა თურმე თავში მძიმე ჩანთა...

ატყდა აურზაური. გავქცეულიყავი, კაი იყო, მე შენ გეტყვი, გააგებიებდა მილიციას, ვინ იყო და საიდან, ჩაკვტებოდა იმ ციხეში, მარა რა ვიცოდი რაზე ყავდათ გაკოჭილი და ვთქვი: ჩემი ნათესავია-თქვა!.. სანამ ჯარიმა არ გედეიხადე, ორივეს გვიჭერდენ ხულიგნობიზა...

— ის რავა იყო, რო ჩეისველა და მიეყინა უკანალი?!

— მაიც მოსკოვში დეემართა. ზამთარი იყო და გარეთ გასვლამდი დიდი კრუშკით სვამდა ჩაის — გავთბებიო! — ჰოდა, მოუჭირა ყინვამ თირკმლებში და გოუჭირდა, გეექცა „გუმ“-ის ტვალეტში და დახვთა კილომეტრიანი რიგი, მაგის მომთმენი იყო?! — მიაძახა რუსის ქალებს: უნდა გამიშვათ ურიგოთ, ნემეტნავი მიჭირსო! — და ის იყო, ჩეიხადა და დაჟდა, რომე მივარდა ზორბა დედაკაცი და წამოაყენა: куда баз очереди лезешь-ო?! — ჰოდა, ვეღარ შეიკავა... წამევედით სახში, რო გამეეცვალა. გარეთ 30 გრადუსი ყინვაა და მეტრომდე მისვლამდე, ქე მიაყინა „კალგოტკა“ საჯდომზე, დეიწყო ტირილი — ნემსებივით მჩხვლეტს რაცხაო!.. ჩავაგდე ტაქსში აკვნესებული და მივათრევ სახში, რომე გზაში რაცხა დიდი მაღაზია დეინახა, დაავიწყდა ყოლფერი და აყვირდა: „შოფერ, ბისტრო პერევერნიტე მენიაო!“ — უნდოდა ეთქვა — მანქანა მოაბრუნეო!..

მივათრიე რავარც იყო სახში და მევისვენე ცოტა ხანს. ისე ქონდა გამომწვარი ბარძაყები, ერთი კვირა ველარ გეიარა ფეხზე და დავგრიალებდი მარტვა რუსის ქალებში...

— ვერ ხვთებოდა რამეს შენი სიდედრი?!

— სკტებოდა გულზე, მარა რა, მაგის მეშინოდა?!.

— შენც არ გაცე საერთოდ ხმა!

— მაღებიებს თუ?!. გამზადებულ ქონებაზე მოგიყვანე უქონელი და უნიფხვოო!.. ამ დროს გარაჟათ მაქ გადაკეთებული მაგენის დანახვედრები ქოხი, ორსართულიან სახში რო დეიჯგიმება, ჩემი ოფლითაა ნაშენები, მარა, ათქმევიებ?!. ჩასიძებული კაცის დედა... მე!

— კაი ახლა, რეზოიე? ხალხს სიდედრზე მეტი უბედურობაც ჭირს!

— არ თქვათ, სიდედრზე მეტი კიბოც არაა, მაგის სიკვტილს თუ მევესტარი, ორი კვირა ვიქეიფებ გადაბმულათ...

...ეს ამბავი რატომ მოგიყევით, იცით, ჩემო მკითხველო?! — რეზოს ამ ორი თვის წინ მოუკვდა „სულთამხუთავი“ სიდედრი და რომ გავიგე, ვთქვი: ეშველა, აუხდა-მეთქი ნატვრა!..

— ნეტაი განახა, რაფრა ჯავრობს და განიცდის: „სიცოცხლის ინტერესი დავკარგე, მაგის ჯინაზე მინდოდა კარგად ყოფნაც, ჯანმრთელობაც და ბევრი ფულიც, ახლა არ ვიცი, რა ვქნა, დეიცალა, ბუჯო, ჩემთვის ქვეყანა!..“ — მითხრა მისმა მეზობელმა.

— არ მჯერა-მეთქი!

— თუ არ გჯერა, თავად ნახე და კითხეო!..

ერთხელაც ტაქსი დამჭირდა და ბატონი რეზოს მანქანაში ჩავჯექი. მოგვიანებით მივუსამძიმრე და თან წინასწარ გავმხიარულდი — რაიმეს კვიმატიანს მეტყვის-მეთქი!..

...მძიმედ ამოიხვნეშა და ცხვირსახოცი ამოისვა თვალებში, ცრემლი მოიწმინდა: კაი ქალი იყოო ცხონებული-ო!..

პირი დამრჩა ღია...

■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

— ამტკიცებს მიხეილ სააკაშვილი.

19. გადმოცემის თანახმად, რუსეთის მეფემ, ვასილი ნეტარის ტაძრის ამშენებელ ხუროთმოძღვრებს თვალები დასთხარა, რათა მათ აღარ შესძლებოდათ ასეთივე ან უკეთესი ტაძრის აგება.

20. მეფე ჰენრი VIII კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ დიდებულებს ძვირფასი სამკაულები ეტარებინათ, მაგრამ ამას ვერანაირი აკრძალვით ვერ მიაღწია. მაშინ მეფემ ქურდებსა და მეძავებსაც დართო ნება, ეტარებინათ სამკაულები და მიზანსაც მიაღწია.

21. მე პარლამენტში შესვლისათვის სერიოზულად ვარ მომზადებული, 90 კილო მაქვს დაკლებული და ჰალსტუხსაც ჩემი ხელით ვიკრავო, — ხუმრობდა ახალი პარლამენტის პირველი სხდომის წინ ლევან ბერძენიშვილი.

22. ერთხელ, ექიმის დაჟინებული რჩევით, ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე კეთილი იმულებული გახდა, თმა პირწმინდად გადაეპარსა. უხერხულობის დასაფარავად ჰერცოგმა გასცა ბრძანება — მის საჰერცოგოში ყველა დიდებულისათვის გადაეპარსათ თავი.

23. რამდენიმე წლის წინ, ამერიკელმა ჯიმი კოპლენდმა გამოუშვა აუდიოკასეტა, რომლის პირველი ნაწილი უბრალო, სასაუბრო ფრაზებს შეიცავს, მეორე კი — მარტივ მელოდიებს. ეს კასეტა პირველი აუდიოსახელმძღვანელოა თუთიყუშებისათვის.

24. იტალიელი რიო კოზელის კოლექციაში 10 ათასი წიგნია. ერთი მისი თანამემამულე პოეტი კინაღამ დარდს გადაჰყვა, როდესაც შეიტყო, რომ ამ კოლექციაში ყველა მისი წიგნი იყო შესული, რადგანაც რიო კოზელი მსოფლიოში ყველაზე მოსაწყენი წიგნების კოლექციას აგროვებს.

25. 1936 წელს, ოლიმპიურ თამაშებში ბერლინში სიმაღლეზე ხტომაში დორა რატიენმა მეოთხე ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც, დიდი სკანდალი აგორდა, რადგანაც დორა რატიენი უცებ, გერმან რატიენი აღმოჩნდა: სპორტსმენი უბრალოდ, ქალად ასაღებდა თავს. იმ დროს, სპორტსმენთა სქესის დასადგენად მათი სამედიცინო შემოწმება თავში არავის მოსვლია.

■



სიდუხჭირემ, მწვავე ყოფითმა პრობლემებმა და უმუშევრად დარჩენილი მეუღლის თანადგომის სურვილმა უამრავი ქალი იძულებული გახადა, ლუკმაპურის საშოვნელად ყველანაირი ხერხისთვის მიემართა: ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, ნაწილმა კი ბაზრებსა და ბაზრობებს მიაშურა. ამიტომაც, ალარავის უკვირს, ზურგზე ვეებერთელა ჩანთებმოკიდებული, მძიმე ტვირთისგან წელში მოხრილი, მოუწესრიგებელი და ხშირად, გაავებული ქალის დანახვა: ასეთი ქალები ჩვენი ყოფის განუყოფელ ნაწილად იქცნენ... როცა ქალი მამაკაცის მაგივრობას სწევს, ცხადია, უპირველესად, ოჯახის შენარჩუნებასა და შვილების გადარჩენაზე ფიქრობს. მაგრამ ხშირად, საპირისპირო შედეგს აღწევს. ამის დასტური ჩემი რესპონდენტების სევდიანი ამბებია...

როცა ქალი მამაკაცის მაგივრობას სწევს

ანუ საკ არიან იდეალური კაცები

ლელა ჭანკოტაძე

ლალი, 35 წლის:

– ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ოჯახში კაცის საქმის გაკეთებაც მომიწევდა. მეგონა, კაცს უნდა ემუშავა, ქალს კი – შვილები აღეზარდა და ქმრისთვის ალერსი არ მოეკლო. მაგრამ ჩემი წარმოდგენები ბედნიერ ცოლქმრობაზე საპნის ბუშტივით გასკდა, როცა უმუშევარი, ჯიბეგაფხეკილი ქმარი შემრჩა ხელში... ჩვენს ქუჩაზე მამაკაცების უმეტესობა უმუშევარი იყო. გახსოვთ ალბათ, ის პერიოდი, პურის რიგში დილამდე რომ იდგა ხალხი. მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი. შუაღამემდე, მაღაზიის წინ გრძელ რიგში ვიდექი, შინ ორი პური რომ მიმეტანა. ქმარს რიგში დგომა ეთაკილებოდა. ასპირანტურა ჰქონდა დამთავრებული, „ჩვეულებრივი მოკვდავების“ გვერდით, რომლებიც სიცივისგან გათოშილები ხან იგინებოდნენ, ხან ილანძღებოდნენ, დგომას არ კადრულობდა... მერე ისე მოხდა, რომ პურის საყიდელი ფულიც გამოგველია. გამიჭირდება იმის მოყოლა, თუ როგორ დავდიოდი ქუჩა-ქუჩა და წიგნებს ვყიდდი. წიგნი ვის სჭირდებოდა? – ხალხი შიმშილისგან იხოცებოდა!.. მერე ვიმშობიარე. ბედად ჯანმრთელი ბავშვი შემეძინა. ახალშობილი დედაჩემს ჩავუყვანე ცაგერში და ვთხოვე: გამიზარდე-მეთქი. თბილისში დავბრუნდი, სადაც უმწეო კაცი მელოდა, რომლისთვისაც ცოლიც ვიყავი და სასტიკ ცხოვრებასთან ბრძოლის ერთადერთი იარაღიც. სულ ვეუბნებოდი: ნუ გეშინია, სამუშაოს ვიშოვი და გაჭირვებიდან თავს დავიხსნით-მეთქი. მერე ერთი ჩვენი მეზობელი თურქეთში წავიდა. მას მეორეც გაჰყვა, მესამეც და მეც, დიდი მოწიწებით, ვუთხარი ქმარს: ნეტავ, მეც შემეძლოს წასვლა-მეთქი. მეგონა, თავს მოიკლავდა ან მე მომკლავდა...

— რატომ?

– ყოველთვის, როცა ქალის სადღეგრძელოს სვამდა, იხსენებდა იმ ფაქტს, რომ მისი მოდგმის ქალები თავს იკლავდნენ და თურქ დამპყრობლებს ცოლად არ მიჰყვებოდნენ. მისგან ხშირად გამიგონია უკმაყოფილება, სტამბოლში საკუთარი ნებით მიმავალი ქალების გამო, ამიტომაც მეშინოდა. მაგრამ ამჯერად, მშვიდად მიპასუხა: ჩემზე არ იჯავრო, საკუთარ თავს როგორმე მივხედავო... მაშინ მეგონა, რომ ქმარმა მოწყალება გაიღო, პატივი მცა, თურქეთში წასვლის ნება რომ დამრთო და ჩემზე უკეთესი ქმარი არავის ჰყავდა... თურქეთში თორმეტჯერ ვიყავი წასული. აქედან გასაყიდად საყოფაცხოვრებო ნივთები მიმქონდა, იქიდან კი, ტანსაცმელი ჩამომქონდა და აქ ვყიდდი. ამ გზით გაჭირვებას დავაღწიეთ თავი. ბაზრობაზე დახლიც ვიყიდე და დღემდე, მატერიალურ პრობლემებს უსიტყვოდ ვუგვარებ ქმარშვილს. ჩემი შვილი უკვე თორმეტი წლის არის. ორი უცხო ენა იცის. ალბათ, იმდენსაც მოვახერხებ, რომ სასწავლებლად საზღვარგარეთ გავუშვა... ჩემი ქმარი ლექტორია. შეიძლება იფიქროთ, რომ ბედნიერი უნდა ვიყო: კარგი სახლიც მაქვს, განათლებული ქმარშვილიც მყავს და არც ფული მაკლია... მაგრამ ბედნიერებამ გვერდით ჩამიარა. ზოგჯერ, როცა წარსულს ვიხსენებ, ვგრძნობ, რომ ემოციები და გრძნობები დავკარგე, დავიღალე, შევიცვალე და ახლა საკუთარი შვილის სიყვარულსაც ფულით ვზომავ. როცა მინდა, გამოვხატო, როგორ მიყვარს, ვეტყვი ხოლმე – ჩამოდი ჩემთან მაღაზიაში, შარვალს გაგატან-მეთქი... მერე, მაღაზიაში რომ შემოვა, უამრავ ტანსაცმელს ხელში ვაჩეჩებ, თითქოს მინდა, ამით ჩემს სიყვარულში დავარწმუნო – არადა, ეს ხომ სიყვარულისგან ძალიან შორს დგას?!. ამას წინათ, ბაზრობის ქალებმა ვიქეიფეთ, დავლიეთ. ჩემ გვერდით მაღაზიაში ყოფილი გინეკოლოგი გამყიდველად მუშაობს. მან თქვა: იცით, ჩვენ როგორი ქალები ვართ? ჩერნობილის აფეთქების შემდეგ, რადიაციის გამო, სამ კილომდე გაზრდილი სოკოები რომ დაკრიფეს და დაწვეს... ასევე გადაგვყრიან ოდესმე ჩვენი კაცებიო... მთელი დამე არ დამეძინა, სულ მის ნათქვამზე ვფიქრობდი. მივხვდი, რომ მართალი იყო... საღამოს შინ დაღლილი რომ ვბრუნდები, ქმარი ლოყაზე მაკოცებს და მაგიდაზე საჭმელს დამიწყობს; ერთხანს, ჩემ გვერდით ზის, მერე მეტყვის – თუ აღარ გჭირდები, წავალ, დავწვები, რამეს წავიკითხავო; გაივლის დერეფანს, თვალს გავაყოლებ და ვხედავ, როგორ ხურავს საძინებლის კარს... იმ მიხურულ კართან ერთად იმსხვრევა ჩემი მოჩვენებითი ბედნიერება... ვზივარ მაგიდასთან, ვეწევი სიგარეტს და სევდიან ფიქრებში ვიძირები...

— არ გიცდიათ, შეგეცვალათ რაიმე თქვენს ცხოვრებაში?

– წლები სწრაფად გადის, გულიც ბერდება. დედაჩემი სულ ამბობდა: 80 წლის ვხდები, გული კი, 16 წლის გოგოსავით მაქვსო. მე ჯერ 35 წლის ვარ, გული კი, თითქოს 80 წლის მოხუცის მაქვს – ისევე, როგორც ჩემი დაქალების უმეტესობას... ხუთიოდე წლის წინ, მანქანით მოვდიოდით ბათუმიდან. ქმარმა რამდენჯერმე შენიშვნა მომცა: ძალიან სწრაფად მიდიხარ, სიჩქარეს მოუკელიო... მიყვარს სისწრაფე, მაგრამ ავარია არ მომიხდენია. იმ დღეს კი, ჩემ წინ მიმავალ მანქანას დავეჯახე და უკანა „კრილო“ შევუჭეჭყე. გაცოფებული მძღო-

ლი გადმოხტა მანქანიდან. მეც გადავედი. ქალი რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ, მცემდა. ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი: ფულს გადაგიხდით-მეთქი. – ფულის გადახდას შენმა ჟიგოლომ დაგაჩვიაო?.. – მკითხა. – ქმარია-მეთქი, – ვუპასუხე და ინსტინქტურად გავიხედე წინა სავარძელზე მოკალათებული ქმრისკენ. გამიღიმა, ფანჯრიდან თავი გამოყო და დამიძახა: გადმოვიდე? დახმარება ხომ არ გჭირდებაო?!. მერე იმ კაცს შევხედე და საშინლად დავიბენი. უცნაურად მომჩერებოდა... ჩემი მობილურის ნომერი ჩავაწერინე და ვუთხარი: თანხაზე მოვილაპარაკოთ-მეთქი. ერთი კვირის შემდეგ, დამირეკა და მითხრა: მინდა, ხელოსანთან წამომყვე, მერე რომ არ მითხრა, ფულს „მიტეხავო“... „რუსთაველის“ მეტროსთან შევხვდით ერთმანეთს. ჩემი მანქანა „სტაიანკაზე“ დავტოვე და მის მანქანაში გადავჯექი, რომ ხელოსანთან წავყოლოდი. მეგონა, ქმარი წამოგყვებოდაო, – სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა იმ კაცმა. მას რომ არ ეთქვა, ალბათ, მსგავსი რამ არც მომივიდოდა თავში. ქმრისთვის არც კი მიკითხავს: ხომ არ წამომყვები-მეთქი?... მერე იმ კაცმა რესტორანში წამიყვანა და დაუვიწყარი საღამო მაჩუქა. დამშვიდობებისას ვთხოვე: აღარ დამირეკო, ურთიერთობის გაგრძელებას აზრი არა აქვს-მეთქი. მან კი მითხრა: ისე ნუ წახვალ ამ ქვეყნიდან, რომ არ გაიგო, რა ბედნიერებაა ქალობა და რას ნიშნავს, როცა მამაკაცი კაცურ პასუხისმგებლობას გრძნობსო... მშურს იმ ქალების, რომლებსაც ამის გაგება არგუნა ღმერთმა...

ანა, 39 წლის:

– მე და კარლომ ერთმანეთი ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის დროს გავიცანით. მაშინ კარლო ყველასთვის სასურველი საქმრო იყო, უცხოური მარკის ავტომანქანით დადიოდა და ნებისმიერი სტუდენტი გოგონას გულის მოგებას ახერხებდა... სულ რაღაც სამ თვეში დავქორწინდით. ალბათ, მოვტყუვდი, ასე სწრაფად რომ გადავწყვიტე მასზე გათხოვება: თურმე, ქალებთან ურთიერთობისას ჰქონია დიდი გული, თორემ, ოჯახურ სირთულეებს საერთოდ ვერ ართმევდა თავს. ჩემი დედამთილი ოჯახში კაციც იყო და ქალიც. კარლოს ჯიბის ფულსაც ის აძლევდა. ალბათ, ბედს შევეგუებოდი, რომ არა მისი ხასიათის ერთი საშინელი მხარე: შეეძლო, სრულიად უცხო ადამიანთანაც კი მისულიყო და მისგან ფული ესესხა. მერე მოვალეები მოდიოდნენ და მე და ჩემი დედამთილი რას აღარ ვაკეთებდით, რომ კარლოს ვალები გაგვესტუმრებინა!.. ერთხელ, ვიღაც გადარეული კაცი მოვარდა. ჩემგან 300 დოლარი აქვს წაღებული, ან სასწრაფოდ მომიტანს, ან მოვკლავო. ვუთხარით: კარლო სახლში არ არის, ხვალ მოდით-თქო. იმ კაცმა ხელი მტაცა და მანქანაში ჩამტენა: მაგის ცოლს წავიყვან და სანამ ფულს არ მოიტანს, არ გამოვუშვებო... ლოტკინზე მიმიყვანა. მისი ცოლ-შვილი ძალიან შეწუხდა. ცოლმა მითხრა: ნამდვილი გიჟია და შენმა ქმარმა როგორ გაბედა, რომ მოეტყუებინაო?!. დღის პირველიდან ღამის პირველ საათამდე, იმ ქალს არ მოვცილებივარ. მამშვიდებდა, მაგრამ მაინც მიკვირს, შიშისგან რომ არ მოვკვდი. შუაღამისას, ჩემი დედამთილი მოვიდა, 120 დოლარი მოიტანა, – მეტი ვერ ვიშოვეო, – უთხრა. იმ კაცმა უთხრა: ეგ ფულიც უკან წაიღეთ: თქვენი შვილი კაცი არ ყოფილა, თორემ, აქამდე უნდა მოვეკალი, მაგის ცოლი სახლიდან რომ წამოვიყვანე, იმისთვისო...

— თქვენმა ქმარმა გაიგო ეს ამბავი?

– როგორ არ გაიგო?! უთქვამს – მე რომ მივიდე, ჩხუბი უნდა ატყდესო, – ამიტომ დედამისი გამოუგზავნია... მეც, შინ დაბრუნებული, ჩავეხუტე კიდეც კარლოს: მადლობა ღმერთს, რომ ასე იოლად დაგვიხსნა იმ „გიჟი“ კაცის კლანჭებისგან-მეთქი... არ ვიცი, რატომ ვპატიობდი ყველაფერს. ალბათ, მიყვარდა და იმიტომ. ის იწვა ან ტელევიზორს უყურებდა, მე კი ხან ერთ მაღაზიაში მიმქონდა ჩასაბარებლად ნამცხვრები, ხან – მეორეში. თუ შინ იყო, მე და ჩემი დედამთილი ბედნიერები ვიყავით – ე.ი. იმ დღეს არაფერს დააშავებდა... მერე, ვალებისთვის მანქანა გაყიდა... ცხოვრება რომ გაჭირდა და მასობრივი უმუშევრობა იყო, დედამთილი თავის მაზლთან და რძალთან მოსკოვში წავიდა. იქიდან ყოველთვე გვიგზავნიდა ფულს, შიმშილით რომ არ დავხოცილიყავით. გავუძლებდით კიდეც გაჭირვებას, რომ არა კარლო. მან სმას მიჰყო ხელი. ხან ვინ მოჰყავდა სახლში, ხან – ვინ. დათვრებოდნენ და მერე ჩხუბობდნენ კიდეც. ერთ ავბედით დღეს, მეზობელი შემოვარდა – კარლოს სცემენო! გავიქეცი. ქუჩის კუთხეში სულ პატარა ბიჭები ჩემს ქმარს ურტყამდნენ. გიჟივით მივვარდი და შუაში ჩავდექი. მუშტები მეც მხვდებოდა. კარლო მაინც გაშმაგებული აგინებდა იმ ბიჭებს. ბოლოს, ერთ-ერთმა დანა ამოიღო; ის იყო, კარლოსთვის უნდა დაერტყა, ვეფხვივით ხელებში ჩავაფრინდი. ის ბიჭიც მთვრალი იყო, ალბათ გონება და თვალები დაბინდული ჰქონდა და დანა ფერდში გამიყარა. მძიმე ოპერაცია გადავიტანე, ტანზე ისეთი იარა დამრჩა, რომ შეხედოთ, შეგეშინდებათ. სიკვდილს ძლივს გადავურჩი... ჩემი დედამთილი მაშინვე ჩამოვიდა და მას მერე, აღარც მოგვცილებია. კარლო 40 წლის არის, მაგრამ დღესაც, სულ თვალყური უნდა ადევნო. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩავვარდნივარ მუხლებში უცხო მამაკაცს: მთვრალია, არ მოკლათ, თვითონაც არ იცის, რას ამბობს-მეთქი, – ან კიდევ – ვიშოვი ფულს და ვალს გაგისტუმრებთ, ოღონდ, დრო მომეცით-მეთქი...

— შვილები გყავთ?

– ორი ბიჭი გვყავს. ამას წინათ, ჩემმა უმცროსმა ბიჭმა მკითხა: დედა, მამას ცოლად რატომ გაჰყევიო? – მიყვარდა-მეთქი, – ვუპასუხე. მივხვდი, ჩემმა პასუხმა არ დააკმაყოფილა. გვერდით მივუჯექი და საუბარში ავიყოლიე. შემდეგ ვკითხე: რა არ მოგწონს მამაშენისმეთქი? – „კაცობის დეფიციტი“ აქვსო, – მიპასუხა... იქნებ, მეც არა ვარ სრულფასოვანი ქალი, იქნებ, ჩემს ქმარში მამაკაცი ჩავკალი და ამიტომაც ვიტვირთე ქმრის ფუნქციები? იქნებ, ჩემს ქმარს საქმე და საზრუნავი აღარ დავუტოვე? ალბათ, ვერ ვაგრძნობინე, რომ უმწეო და ნაზი ვიყავი და ის, როგორც ძლიერი დასაყრდენი, მჭირდებოდა...

ლიანა, 35 წლის:

– ელიავას ბაზრობასთან მუშებს გამოველაპარაკე. სახლის წინა ფასადის შელესვა მინდოდა და ხელოსანი მჭირდებოდა. ორ აყლაყუდა მუშასთან ფასზე ვერაფრით მოვრიგდი. ერთი მათგანი იმდენად გაღიზიანდა, რომ დამიყვირა: წადი, ქალო, ბავშვებს მიხედე, რა შენი

საქმეა ცემენტი და გაჯი? ქმარი არ გყავს? მოსალაპარაკებლად ის გამოუშვიო!.. გულნატკენი შინ რომ მივედი და ეს ამბავი ქმარს მოვუყევი, იმდენი აგინა იმ მუშებს და სიბრაზისგან ისე გაცოფდა, ვიფიქრე – ახლა წავა და დახოცავს-მეთქი.

— მერე, ასე არ მოიქცა?

– არა. ჩვენს ოჯახში ხომ ჩვეულებრივი ამბავია, რომ მუშებთან, ინკასატორებთან ან თუნდაც მეზობელ კაცებთან პრობლემებს მე ვაგვარებ... ერთმა მეზობელმა, მარტოხელა კაცმა, იმდენჯერ დატოვა ონკანი მოშვებული და იმდენჯერ ჩამირეცხა ჭერი, რომ ბოლოს და ბოლოს, საჩხუბრად მივუვარდი. იმანაც არ დამითმო და ერთმანეთი უშვერი სიტყვებით გავლანძღეთ. – გაყვანილობა ძველია, მილი მთელ სადარბაზოშია გამოსაცვლელი, ონკანს კი არ ვტოვებ ღიად – მილი სკდებაო, – მიმტკიცებდა. ბოლოს, გააფთრებულმა მიყვირა: გამოიყვანე შენი ქმარი, ან შევაგინებ, ან დავარტყამ – ქალს რა უნდა გელაპარაკო, წყევლას ხომ არ დაგიწყებო?!

— ქმარი არ გამოვიდა?

– არა. იჯდა მშვიდად და კროსვორდებს ავსებდა... კროსვორდების დანახვა აღარ შემიძლია. მირჩევნია, მეჩხუბებოდეს, მიყვიროდეს, მაგინებდეს, ვიდრე მშვიდად იჯდეს და ვერც მამჩნევდეს...

— რატომ გახდა ასეთი გულგრილი?

– ყოველთვის ასეთი იყო. თავიდან, ხუმრობით ვეუბნებოდი ხოლმე: კაცი არა ხარ?! ლურსმნის მიჭედება არ უნდა იცოდე-მეთქი?.. ელექტროგაყვანილობის მოწესრიგებაც კი ჩემზეა და თუ სადმე რამე გასაბურღია, დრელიც მე უნდა ავიღო ხელში... თავიდან მომწონდა კიდეც, მაგიდაზე სკამს რომ დამიდგამდა, ზედ შემსვამდა და ქვემოდან მიყურებდა, როგორ ვცვლიდი ნათურას... მაგრამ დროთა განმავლობაში, ეს ყველაფერი საშინლად მომბეზრდა, ახლა კი, უკვე აუტანელია იმის გაცნობიერება, რომ ოჯახში ქალიც მე ვარ და კაციც. შვილები რომ მეუბნებიან: დედა, სკოლის ფონდის ფული მოგვეცი ან წიგნები გვიყიდეო, – ეს თითქოს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ვხვდები, რომ ცუდად ვიცხოვრე. მთელი ღამე კომპიუტერთან ვზივარ და ვმუშაობ, დილით, ცოტა თვალს მოვატყუებ და ბაზარში მივრბივარ... ხომ შეიძლება, წამომყვეს და ჩანთები მაინც წამომაღებინოს?!

— არასდროს გიფიქრიათ, ამაზე დაგეყოლიებინათ?

– ერთხელ, ბაზარში გავგზავნე, თავს შეუძლოდ ვგრძნობ-მეთქი, – ვიცრუე. საუკეთესო პროდუქტი კი მოიტანა, მაგრამ იმდენად ძვირი, რომ მერე მთელი კვირა ძლივს გავიტანეთ თავი... სამზარეულოს კედელზე ფურცელი მაქვს გაკრული, რომელზეც ვწერ, თუ რა გვჭირდება, რომ არ დამავიწყდეს. ამას წინათ მითხრა: ასეთი უნიჭო როგორ ხარ? ხალხი დღეში ას უცხო სიტყვას სწავლობს, შენ ბაზარში რა უნდა იყიდო, ის ვერ დაგიმახსოვრებიაო?! რა უნდა მეთქვა? ხომ ხედავს, რამდენს ვწვალობ, სამ ადგილას ვმუშაობ, ღამით სახლშიც ვბეჭდავ, პარალელურად ხაჭაპურს ვაცხობ და რესტორანში ვაბარებ. დღეში მარტო 50 ხაჭაპურის გამოცხობა დაღლის ადამიანს, მე კი სხვა საქმეებსაც ვაკეთებ, რომ ჩემს შვილებს არაფერი მოაკლდეთ. ჩემი ბიჭი ვიოლინოზე უკრავს, გოგონა – ანსამბლში ცეკვავს. რომ არ ვიშრომო, ორივეს მოუწევს საყვარელი საქმისთვის თავის დანებება... მარტო მე არა ვარ ასეთ დღეში: ჩემ ირგვლივ უამრავი ქალი ვაჟკაცივით ეწევა ცხოვრების ჭაპანს. ამას წინათ, მეგობარმა მკითხა: დღის განმავლობაში რამდენი საათით ახერხებ, ქალი რომ იყოო? გული მომიკვდა: ჩემი შრომის და წვალების საზღაური, მოსიყვარულე ქმარი კი არა – სიმარტოვე და სახეზე უდროოდ გაჩენილი ნაოჭებია...



ანა, 29 წლის:

– ბინა ვალების გასასტუმრებლად რომ გავყიდეთ და ნაქირავებ, ბნელ ოთახში დავრჩით, მეგობარი მოგვევლინა მშველელად: ერთ საღამოს, მოვიდა და გვითხრა – თუ ფულს იშოვით, ერთ-ერთ თქვენგანს სამუშაოდ ამერიკაში გავუშვებო. ქმარმა ინგლისური იცოდა, მე – არა. მეგონა, იტყოდა: წავალ, კაცი ვარ და გაჭირვებიდან ოჯახის დახსნა ჩემი მოვალეობაა, – მაგრამ პირიქით – მე ხომ ვერ წავალო?! – მითხრა...

— არ ჰკითხე, რა იგულისხმა?

– სტუდენტი იყო. სწავლას თავს ვერ დავანებებო, – გამომიცხადა; მე სამედიცინო ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა. რა უნდა მექნა? – 3 თვის ბავშვით ქუჩაში ვიყავი დარჩენილი... წავედი. გზის ფული ნათესავმა მასესხა. გამიმართლა. სამსახურიც იოლად ვიშოვე და ენაც მალე ვისწავლე. თვეში 1.300 დოლარს მიხდიდნენ. მერე ხელფასიც მომიმატეს... ბინის საყიდელი ფული ერთ წელიწადში მოვაგროვე, მაგრამ ამხელა ხელფასზე უარის თქმა გამიჭირდა. თანაც ქმარი მითვლიდა: მე და ბავშვი უშენოდ მშვენივრად ვართ, ჯობია, ფული დააგროვო, რომ ცხოვრება მოვიწყოთო. ამიტომ ოთხი წელი დავრჩი ამერიკაში და შარშან დავბრუნდი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი შეხვედრა მომიწყო ქმარმა. თვითმფრინავმა ექვსი საათით დააგვიანა. ამის გამო, ისეთი შეშინებული იყო, რომ დამინახა, ტირილი დაიწყო. ვერც ვიფიქრებდი, ასე თუ ვუყვარდი... იქნებ, ეს ოთხი წელი ღირდა იმისთვის, რომ მისი სიყვარული დამენახა? იქნებ, ბევრს მოვითხოვდი მისგან, როცა ვფიქრობდი, რომ ლაჩარივით მოიქცა, სამუშაოდ თვითონ რომ არ წავიდა? იქნებ, ყველას არ შეუძლია, რომ ოჯახურ წვრილმანებში ჩაძირულიც რაინდად დარჩეს?..

— ქმართან ამ თემაზე არ გილაპარაკიათ?

– არა. არ მინდა წარსულში ქექვა. ჯობია, დავივიწყო, როგორ დავტოვე 3 თვის ბავშვი და ჩავები ჯოჯოხეთურ შრომაში, როგორ ჩამესმოდა ხოლმე ჩემი შვილს ტირილის ხმა, როგორ მდიოდა ძუძუდან რძე, როცა თბილისში დარჩენილ ჩემს პატარას შიოდა...

— ახლა როგორ ცხოვრობთ?

– მამუკა არაჩვეულებრივი ქმარია, ძალიან თბილი და მოსიყვარულე. უმუშევარია. დილით უთენია დგება, სალომეს ჩააცვამს, აჭმევს და ბაღში მიჰყავს. მერე შინ ბრუნდება, მაღვიძებს, ლოგინში ყავას მომართმევს... სამსახურამდეც მაცილებს... სილამაზის სალონი გავხსენი და კარგი შემოსავალი მაქვს. ბაზარშიც თვითონ მიდის და გვიან საღამოს, სახლში მომავალს გარეთ მხვდება ხოლმე. თუ ჭექა-ქუხილია, იცის, რომ მეშინია და მაშინვე ჩემთან გაჩნდება – სამსახურში მომაკითხავს... ალბათ, მამაკაცებისგან ბევრს ვითხოვთ. იდეალური მამაკაცები მხოლოდ ჩვენს ოცნებებში არსებობენ... ■

ცუდ დიასახლის ცოლზე შეყვარებული ქმარი

ადამიანები ცნობისმოყვარენი ვართ, განსაკუთრებით გვაინტერესებს ცნობილი ადამიანების ცხოვრების ნირი და სასიყვარულო თავგადასავლები. ამჯერად ჩვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ერთ-ერთ მშვენიერ წყვილს — „თეატრალური სარდაფის“ რეჟისორ ლევან (ჟოლა) წულაძეს და მის მეუღლეს მსახიობ მანანა კაზაკოვას ვესტუმრეთ.

ეკა მინდაძე

— სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

ლევანი:

— მანანა თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა იმ დროს, როცა მე იქ ვპედაგოგობდი. მას ოთხი წელი ვიცნობდი, ამ დროის განმავლობაში რაღაც ინტერესს ვიჩენდი და „ჯაშუშების“ საშუალებით ვაგროვებდი ინფორმაციას მის შესახებ. ერთხელ, მე და ჩემს მეგობარს მანანა მეგობართან ერთად შეგვხვდა და სწორედ იმ დღეს გავარკვიეთ ჩვენი ურთიერთობა. ერთი კვირის თავზე კი, ცოლად შევირთე.

მანანა:

— ლევანს ვიცნობდი ჯერ როგორც მსახიობს, შემდეგ როგორც რეჟისორს. მინდა ვაღიარო, რომ პირველი დანახვისთანავე მოვიხიბლე მისით. სულ ვფიქრობდი: რა სულელები არიან გოგონები, ასეთ ბიჭს რომ ხელიდან უშვებენ-მეთქი!..

— მანანა, როდის გამოგიტყდა ლევანი სიყვარულში?

— გაცნობიდან სამ დღეში ამიხსნა სიყვარული. მართალია, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ მე მაინც დავიჯერე და უმალვე დავთანხმდი.

ლევანი:

— მართალი გითხრათ, სერიოზულად არ მითქვამს, მაგრამ მანანამ ასე მიიღო. ეს ამბავი ჩვენი მეგობრების გარემოცვაში მოხდა, ისინი გვილოცავდნენ. მანანამ მოულოდნელად გოგი მარგველაშვილთან დარეკა და უთხრა — გავთხოვდიო. ასე რომ, უკან დახევა გვიანი იყო. აქვე მინდა ვაღიარო, რომ ამის გამო ნამდვილად არ მინანია, პირიქით — ბედნიერი ვარ, რომ ასე მოხდა.

— სიყვარულზე ლექსი თუ დაგიწერია?

— ლექსების წერა საერთოდ არ მეხერხება, უამრავი პროზაული ნაწარმოები დამიწერია, განსაკუთრებით სკოლაში. ვთხზავდი, ოღონდ კონკრეტულად არავის ვუძღვნიდი, ვუძღვნიდი მხოლოდ საკუთარ თავს. მრცხვენია ამის გამხელა, მაგრამ ეს სიმართლეა. იმ პერიოდში, როდესაც მოპასანს ვკითხულობდი, ნოველებს სწორედ მის სტილში ვთხზავდი. მაგალითად: როგორ გადავარჩინე ვიღაც მანდილოსანი, მას კი, მადლობის ნიშნად, სამუდამოდ შევუყვარდი. აი, ასე ვფანტაზიორობდი.

— რომანტიკოსი ხარ?

— ვარ, ოღონდ, ეს შეგრძნება ჩემში დაფარულია. სამწუხაროდ, დღეს ჩემი ცხოვრების გამო აღარ გამომდის რომანტიზმი და რომანტიკული იდეების განსახორციელებლად დროც აღარ მრჩება. ძალიან მიყვარს მანანასთან საუბარი, მისთვის ამბების მოყოლა, მაგრამ მოუცლელობა ამაშიც ხელს მიშლის. აი, თაფლობისთვე რომანტიკული თავგადასავლების მოყოლაში გავატარეთ.

— თაფლობისთვე სად გაატარეთ?

— თბილისში, მანანას ბინაში. „ხრუშჩოვკაში“ ვიხრჩობოდი — მაშინ, როდესაც მაღალჭერიან ბინაში ცხოვრებას ვარ მიჩვეული. თბილისში ვიმყოფებოდით იმის გამო, რომ რეპეტიციები მქონდა. ქორწილის მეორე დღეს, რეპეტიციაზე მომიწია წასვლა, ამიტომ რომანტიკული თაფლობისთვე არ მქონია, მაგრამ ეს პერიოდი მაინც არაჩვეულებრივად მახსოვს, რეპეტიციებთან ერთად...

— მანანა, როგორ შეხვდნენ შენი მშობლები თქვენს გადაწყვეტილებას?

— ძალიან კარგად. პირველი დღიდან მოყოლებული, დღემდე ძალიან უყვართ ლევანი. ამ მხრივ ჰარმონიული ოჯახი გვაქვს.

ლევანი:

— როდესაც მანანას დედა გავიცანი, ჩემი სიდედრი ძალიან ღელავდა და გამოსავალი იმაში იპოვა, რომ გერმანულის სწავლება დაგვიწყო ყველას: გერმანული ენის სპეციალისტია და ამიტომ...

— მანანა, როგორ მიგიღეს ლევანის ოჯახში?

— ეს ალბათ, ლევანმა უნდა თქვას. მგონი, ნორმალურად.

ლევანი:

— ნორმალურად, თუმცა დედაჩემი ძალიან განიცდიდა, როცა ვამბობდი — ოჯახში კერძებს მე ვამზადებ-მეთქი. მსაყვედურობდა: რძალთან თავს რატომ მჭრიო?!. არ მინდა, დედას ვაწყენინო, მაგრამ უნდა გავამხილო — კერძების მომზადება და საოჯახო საქმეები მაინცდამაინც არ ეხერხება. სულ მალე, მისმა რძალმაც გამოამჟღავნა უცოდინარობა ამ საქმეში. ჰოდა, არიან, ახლა შეხმატკბილებულები და მე ვდიასახლისობ...

— მანანა, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ შენ მიერ მომზადებული კერძი ლევანს მოსწონებია?

— მგონი, კი.

ლევანი:

— რომელი ერთი, ძალიან მაინტერესებს? ალბათ შემწვარი სოსისი, არა?

მანანა:

— რატომ? სოუსი.

ლევანი:

— არ ვიცი, მე არ გამისინჯავს.

მანანა:

— ტოლმა?

ლევანი:

— ამ ამბავსაც საჯაროდ გავამხელ. მანანამ 8 წლის განმავლობაში, ერთადერთხელ მოამზადა ტოლმა, ისიც — დედამისთან და ქვაბით მოიტანა. უგემრიელესი იყო, მის მომზადებას კი მანანას პრაქტიკის მქონე ადამიანი ვერ შეძლებდა, ამიტომ მივხვდი, რომ ჩემმა სიდედრმა მოამზადა. მანანა ძალიან ცუდი დიასახლისია. მინდა, ეს მთელ პლანეტას შევძახო — და მხარში ამომიდგეს ყველა ჩემსავით დაჩაგრული მამაკაცი... ამას გმირულად ვიტან. მან არ იცის აგრეთვე ღილის დაკერება. საოჯახო საქმეებს დამხმარე ქალბატონი გვიგვარებს, მანანა კი მას იმასაც ვერ ეუბნება, თუ რა უნდა გარეცხოს ან მოაწესრიგოს. თუმცა, მე ეს

არ მადარდებს, პირიქით — კარგიც არის, რომ არ მხვდება ხოლმე შინ ჩვრით, უთოთი, ან მიქსერით ხელში. სამაგიეროდ, მანანა არაჩვეულებრივად იხდის კომუნალურ გადასახადებს და რაც მთავარია, ბავშვს ატარებს ყველგან, სადაც საჭიროა.

— რომელი კერძი უფრო გამოგდის?

ლევანი:

— მე ძალიან მრავალმხრივი ნიჭი მაქვს. ოღონდ, კერძს მხოლოდ ჩემთვის ვამზადებ, სხვას არ ვუკეთებ. მანანასაც იშვიათად ვასინჯებ ჩემ მიერ მომზადებულ კერძს. ჯერ ერთი, სულ დიეტაზეა და ალბათ, ამიტომაც არ უყვარს სამზარეულო. მე შემიძლია მაკარონისაგან მრავალნაირი კერძის მომზადება და რაც ყველაზე მთავარია, ვაკეთებ უგემრიელეს ხინკალს.

— მართლაც, კარგი კულინარი ყოფილხარ. რატომ არ ასწავლი ამ ყველაფერს მანანას?

— რა აზრი აქვს? — არ გათეთრდების ყორანიო... — ხომ გაგიგონიათ.

— ოჯახში რომელი თქვენგანია უფრო კონფლიქტური?

მანანა:

— მაინცდამაინც კონფლიქტური არც ლევანია და არც — მე. ლევანი გურულია და აქედან გამომდინარე, ფიცხია, მაგრამ კონფლიქტური ნამდვილად არ არის.

ლევანი:

— თუკი რაიმე მეწყინება, ერთი-ორი დღე არ ველაპარაკები მანანას. ეს დრო იმისთვის მჭირდება, რომ გადავხარშო და გავაანალიზო მისი ის ქმედება, რომელმაც გული მატკინა.

— რომელი უფრო ეჭვიანი ხართ?

მანანა:

— ლევანი ნამდვილად არ არის ეჭვიანი.

ლევანი:

— სერიოზული ეჭვიანი არ არის. თუ სხვა ქალაქში სპექტაკლის დასადგმელად მივდივარ, წესით უნდა გაუხარდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. ხოლო თუ ერთ-ორ კილოს დავიკლებ, მაშინ კი გულზე სკდება...

— როგორ გგონიათ, ყოველდღიური ყოფითი პრობლემები სიყვარულს ხელს არ უშლის?

მანანა:

— დასაწყისში ძალიან გამიჭირდა, ვიდრე მივხვდებოდი, თუ რა იყო უფრო მნიშვნელოვანი. წვრილმანის გამო ნერვებს არ ვიშლით, ყურადღებას არ ვაქცევთ.

ლევანი:

— საერთოდ, კომფორტი ჩემთვის ბუნდოვანი ცნებაა, მე კომუნარის ფსიქიკა მაქვს — არასოდეს არაფრით უკმაყოფილო არ ვარ, არასოდეს არ მაწუხებს უფულობა; არ ვფიქრობ, რომ ფული არ მაქვს და რომ მქონდეს, გაცილებით ბედნიერი ვიქნებოდი. ეს ამბავი მანანამ ძალზე მტკივნეულად აღიქვა. ვერ მიხვდა და მეც ვერ ვხვდებოდი კარგა ხანს, რატომ არ უნდა ყოფილიყო ბედნიერი იმით, რაც გვაქვს.

მანანა:

— აქ საუბარია ელემენტარულზე: შვილის განათლებასა და მის აღზრდაზე, განათლება კი ჩვენში, სამწუხაროდ, ფასიანია.

— დააკონკრეტეთ თქვენი, როგორც მეუღლეების, დადებითი და უარყოფითი თვისებები.

ლევანი:

— მანანა აუტანელი და უზომოდ ზარმაცია. ამასთანავე, მშიშარაა და, ყოფით დონეზე, ტყუილების მოყვარული. არ გამოირჩევა გამბედაობით. საკუთარ თავში ისეთი დაჯერებული არ არის, როგორიც მე. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩემი მეუღლე ლამაზი, ჭკვიანი და უაღრესად კარგი დედაა... მანანა, ფრთხილად ახლა შენი ჯერია.

მანანა:

— უარყოფითი თვისებებით დავიწყო? ვაიმე, რომ არ ვიცი?!

ლევანი:

— სწორი პასუხი გაეცი — მართალი ხარ! მგონი, პასუხი სავსებით ამომწურავია. ახლა დადებითზე ილაპარაკე.

მანანა:

— ლევანი ყოფით სიტუაციებში ძალზე უყურადღებოა. პრობლემები როგორ არა აქვს, მაგრამ არ იმჩნევს. არის უპატიოსნესი ადამიანი. არ უყვარს ტყუილის თქმა. უზომოდ უყვარს თავისი პროფესია და ძალიან თბილი მამაა.

— მეუღლის სახით თუ იპოვეთ ის ადამიანი, რომელზეც ოცნებობდით?

მანანა:

— ალბათ, კი.

ლევანი:

— ალბათო? მე კი ველოდი, რომ დაუფიქრებლად გასცემდი დადებით პასუხს.

მანანა:

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს. ამიტომ ვაღიარებ — ლევანი ის პრინცია, რომელზეც ვოცნებობდი.

— როგორ გგონიათ სიყვარული მარადიულია?

ლევანი:

— რა თქმა უნდა, მანანას თანდასწრებით ვიტყვი, რომ მარადიულია. თუმცა, რაღაც მომენტში, შეჩვევაში გადაიზრდება. მაგრამ მერე, ცხოვრებაში რაღაც ხდება და სიყვარულიც ძველი ძალით იფეთქებს.

— თქვენ უკვე „სტაჟიანი“ მეოჯახეები ხართ. რას ურჩევთ ახალდაოჯახებულებს?

ლევანი:

— პირველ რიგში, მოთმინებას. ურთიერთობის დასაწყისში, კონფლიქტი მიმზიდველიც კია. ამ დროს, ქალიც და მამაკაციც პოზიციების გამყარებას ცდილობენ, არადა, თითოეულისათვის მტკივნეულია, შეიცვალოს ცხოვრების წესი. მე წლების შემდეგ მივხვდი, რომ სწორად არ ვიქცეოდი. იმწუთას, უმადურიც კი მეგონა მანანა. ვერ გამეგო, რა უნდოდა, როდესაც ამხელა ბედნიერებას ვჩუქნიდი — დავუშვათ, ნასვამი შინ რვა მეგობართან ერთად ვბრუნდებოდი... ჩემს ასეთ საქციელს ახლა არ ვამართლებ... თუ ოჯახის შენარჩუნება გინდა, მოთმინება აუცილებელია. რა ვიცი, მილიონი რამ არის, რაც შეგიძლია გადაყლაპო ან უფრო მეტად გააღვივო და ოჯახი დაანგრიო. ჩემი რჩევა ასეთია: თუ ანგრევ, უნდა დაანგრიო და თუ არ ანგრევ, ნუ ანგრევ. არსებობენ წყვილები, რომლებიც გამუდმებით კონფლიქტურ სიტუაციაში ცხოვრობენ. ზოგიერთებს ფოლკლორივით ესმით ერთმანეთის დაცინვა: მე რომ არ გამოგყოლოდი, რა გეშველებოდა, შე საცოდავო?!. ან პირიქით — მე რომ არ მომეყვანე ცოლად, რა გეშველებოდაო?!. ასეთი ტექსტები ძალიან მაღიზიანებს...

— დაბოლოს — რა სარგებლობა მოაქვს სიყვარულს?

მანანა:

— შვილი.

ლევანი:

— ჩემი თინათინი. არ მეგონა, თუ ასეთი მგრძნობიარე მამა ვიქნებოდი. მის სახეზე ცრემლის დანახვისას, ჩემი მემართება. მას რომ რაიმე პრობლემა შეექმნას, არ ვიცი, როგორ გადავიტან...

■



„ეჭვიანები, არ მინდოდა ჩემი დავიკარგა“

როცა სინდისის ქენჯნა შეგაწუხებს

ჩვენი მკითხველების უმეტესობა ირწმუნება, რომ ჩვენ მიერ „გზავნილებში“ შემოთავაზებულმა თემამ — სინდისის ქენჯნა — მათში გულახდილობის სურვილი აღძრა. ჰოდა, ამის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი აღსარებას აბარებენ. სასიამოვნოა, რომ მკითხველი ასე გვენდობა. ეს რუბრიკაც ხომ სწორედ იმისთვის იქნა შემოღებული, რომ მკითხველებმა ერთმანეთს დარდი და სიხარული გაუზიარონ და რასაც ზოგჯერ, პირისპირ ახლობელ ადამიანსაც ვერ ეტყვიან, ჩვენი საშუალებით თქვან.

პირველ რიგში კი, მინდა, ჭარმაგი ადამიანის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, ბატონ ილია რაზმაძის ნაამბობი გადმოგცეთ. მან ვერ „დამიმესიჯა“, მაგრამ ტელეფონით დამიკავშირდა, შეხვედრა მთხოვა და აი, რა მიამბო:

მარი ჯაფარიძე

დატყვევებული გერმანელის თვითმკვლელობა და ქართველი ვეტერანის აღსარება

– 19 წლის ვიყავი, როდესაც ომში წავედი. ქერჩთან ვიბრძოდი. ქერჩის ახლოს იყო სოფელი, რომელსაც სტალინოვო ერქვა. კარგა ხნის მანძილზე, სტალინოვო გერმანელების ხელში იყო. თითო ოჯახში რამდენიმე გერმანელი იყო ჩასახლებული და ამის გამო ზოგი გაიხიზნა, ზოგიერთი კი, ძველებურად განაგრძობდა ცხოვრებას. ჩვენ ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით ამ სოფელს, ბრძოლით ვიღებდით დაკარგულ ტერიტორიებს. სტალინოვოს გარს ტყე ეკრა და ამ ტყეში გავმაგრდით. ერთ ღამეს კი, შტურმით ავიღეთ სოფელი და გერმანელები სულ თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. ვინც ვერ მოასწრო გაქცევა ან ჩვენს ტყვიას გადაურჩა, ტყვედ ავიყვანეთ. შემდეგ, ოჯახებში შევდიოდით და ვამოწმებდით, ხომ არავინ იყო დარჩენილი. თითქოს ყველაფერი დამშვიდდა. სოფელში რამდენიმე ხნის მანძილზე ვიყავით დარჩენილი. ჩვენ პარტიზანები გახლდით და როგორც საქმე მოითხოვდა, ისე ვმოქმედებდით. მე და ჩემი თანამებრძოლი, ქართველი სოსო ერთ ოჯახს შევეკედლეთ. სოფლის მოსახლეობა არაფერს იშურებდა ჩვენთვის, რადგან მტრისგან გავათავისუფლეთ. მეზობელ სახლში დედა-შვილი ცხოვრობდა. მშვენიერი ახალგაზრდა გოგონა იყო, თვალში მომივიდა და მათთან სტუმრად მისვლას მოვუხშირე. ვგრძნობდი, ჩემი მისვლა არ სიამოვნებდათ, მაგრამ ამას არ ვეპუებოდი. რაღაცნაირად ჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, არავისთან არ მეზობლობდნენ. გადავწყვიტე, მათი სახლისთვის მეთვალთვალა. ღამით, სანთლის შუქზე კარგად ჩანდა, მათთან რაც ხდებოდა. კარგა ხნის მანძილზე ვდარაჯობდი ფანჯარასთან, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს ვამჩნევდი. ყოველ საღამოს, გოგონა სარდაფში ჩადიოდა და იქიდან ხან კომბოსტოს მწნილი ამოჰქონდა, ხან „სალის“ (ღორის ქონის) ნაჭერი, ხან ფქვილი. ვფიქრობდი – როგორც ჩანს, სურსათის მარაგს უფრთხილდებიან და ამიტომაც არ ღებულობენ-მეთქი ვინმეს, – მაგრამ ერთხელ, ჩემი ეჭვი იმან გამოიწვია, რომ სარდაფში ჩასვლისას (ჩასასვლელი ოთახიდან ჰქონდათ), თან ჭიქა წყალი ჩაიტანა. მეორე დღესვე მივადექი, 5 ჯარისკაცთან ერთად და ვაიძულე, სარდაფი გაეღო. იქ დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი აღმოვაჩინეთ. გოგონა მუხლებში ჩამივარდა, მევედრებოდა – არ გამთქვათ, ძალიან მიყვარს ეს ბიჭიო (სახელი არ მახსოვს), – მაგრამ არც მისი ხვეწნისთვის მიმიქცევია ყურადღება, არც ჯარისკაცის შეშინებული მზერისთვის: სარდაფიდან ამოვიყვანეთ და ისიც ტყვეებს მივუმატეთ... იმ ღამეს, გერმანელს თავი მოუკლავს... სინდისის ქენჯნა მაშინ ვიგრძენი. საკუთრი ტყვიით უამრავი გერმანელი გამოვასალმე სიცოცხლეს, მაგრამ ამ ამბავმა ბოლო მომიღო. თქვენმა შემოთავაზებულმა თემამ კი, სურვილი გამიჩინა, ეს ყოველივე გულახდილად მომეყოლა. დღეს-ხვალ რა მელის, არავინ იცის. არ მინდა, თან წავიღო ეს დარდი...

სინდისის ქენჯნას ჩადენილი დანაშაულის შეგნება იწვევს. დანაშაულის აღიარება კი, სასჯელს ამსუბუქებს. თუმცა, ჩემი შემდეგი რესპონდენტისთვის ვფიქრობ, ცოტა ნაგვიანევია. მოდით, პატიმრის აღსარებას მოვუსმინოთ:

„არ მომიპარავს – მიპოვნია...“

„მე ახლა პატიმარი ვარ, მაგრამ სასჯელს იმ დანაშაულისთვის არ ვიხდი, რის გამოც სინდისი მქენჯნის. სამი წლის წინ, ზაფხულში ზღვაზე წავედი. თან ჩემი მეგობარი გოგონა მახლდა. კერძო სახლში ერთი ოთახი ვიქირავეთ. იქვე, მეორე ოთახში, ასე, 50 წლის ქალი და სამი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობდა. ეს ქალი პლაჟზე არ მიდიო-

და ხოლმე, დაქირავებული ჰყავდა ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ბავშვებს უვლიდა. იმავე ეზოში უამრავი დამსვენებელი ცხოვრობდა. საღამოობით ვიკრიბებოდით და ხან კარტს ვთამაშობდით, ხან ბურთს და ასე ვერთობოდით... ერთ საღამოს, თამაშის დროს, წყალი მომწყურდა. გაოფლილი მთელი ტანით შევუდექი ქვეშ ონკანს. ამისთვის წინ გადავიხარე და უცებ, ბრჭყვიალა საგანი მომხვდა თვალში. მამაკაცის ოქროს საათი იყო. ვიცანი – ეს ის საათი გახლდათ, რომელიც იმ ხანში შესულ ქალბატონს მაჯაზე ეკეთა ხოლმე. არც დავფიქრებულვარ, ისე მივისაკუთრე. ცოტა ხნის შემდეგ, ატყდა ძებნა. – ბავშვებმა გარეთ გამოიტანეს და სადღაც დააგდესო, – ამბობდა ის ქალბატონი. აშკარა იყო, რომ ვიღაცამ იპოვა და უკან არ აბრუნებდა. მეც სხვებივით ვეძებდი (ფუჰ! მეზიზღება საკუთარი თავი!)... რომ ვერსად მიაგნეს, იმედი გადაეწურათ და ყველა, ოთახში შეიკეტა. დილით უთენია ავდექი და ქობულეთში წავედი. იქ ძმაკაცი მოვძებნე, რომელიც თბილისში მოდიოდა და საათი გამოვატანე. – რაც შეიძლება, მალე გაყიდე-მეთქი, – ვუთხარი. შინ რომ დავბრუნდი, მეგობარმა გოგონამ დადარდიანებულმა მითხრა: ის ქალბატონი ძალზე განიცდის საათის დაკარგვას, თურმე, თავისი გარდაცვლილი, 27 წლის ვაჟის კუთვნილება ყოფილა და სახსოვრად მხოლოდ ეს ჰქონია დარჩენილიო... ავფორიაქდი. გადავწყვიტე, ნივთი უკან დამბრუნებინა. ჩემს მეგობარს რომ დავურეკე, – უკვე გავყიდეო, – მითხრა. გული ლამის გამისკდა, მაგრამ რაღას ვიზამდი? დღემდე მქენჯნის სინდისი. ახლა სასჯელს ქურდობისთვის ვიხდი, მაგრამ ის საათი არ მომიპარავს – მართლა ვიპოვე...“

არ ვიცი, დასაჯერებელია თუ არა მაგიური ძალის არსებობა, მაგრამ ქალბატონი ნინო ირწმუნება, რომ შვილს სწორედ ამ ძალის მეშვეობით დაუნგრია ოჯახი. ახლა კი, სინდისის ქენჯნას შეუწუხებია და „გზის“ ფურცლებიდან რძალს პატიებას სთხოვს.

„ეგ ისეთი ჯადოა, ვერაფერი გააბათილებს“...

„როდესაც „გზავნილებში“ ეს თემა შემოგვთავაზეთ, მერწმუნეთ – ვერ შევძელი თავის შეკავება; მინდა, ერთი ოჯახის შესახებ გიამბოთ, რომლის დანგრევაშიც ლომის წილი მიმიძღვის. ეს ჩემი საკუთარი შვილის ოჯახი გახლავთ. სამი შვილი მყავს. პირველი ორი, ასაკით თითქმის თანატოლები არიან, მათ შორის სხვაობა ერთი წელია; მესამე კი, შედარებით გვიან შემეძინა. ამიტომ ნაბოლარა ბიჭზე განსაკუთრებულად ვიყავით შეყვარებული მთელი ოჯახი. უფროსი ძმები მასზე მთელი ოცი წლით უფროსები არიან და მათ ხელში გაიზარდა. ძალზე ჭკვიანი ბავშვი იყო ვაკო. ყველა მის ქებაში იყო და ეს უზომოდ გვახარებდა. მისთვის ყველაფერს საუკეთესოს ვარჩევდით. რომ წამოიზარდა, ძმები უკვე დაოჯახებული და დაკვალიანებული იყვნენ და ყველანაირად ხელს უწყობდნენ, რომ საუკეთესო სკოლაში ევლო, საუკეთესო მასწავლებლები ჰყოლოდა, საუკეთესო მეგობრები, საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის საუკეთესო ფაკულტეტზე შესულიყო... რაღა თქმა უნდა, ცოლიც საუკეთესო უნდა მოეყვანა. მას კი, თავისივე ჯგუფელი, სოფლიდან ჩამოსული, ჩვეულებრივი გოგონა შეუყვარდა. ყველაფერს ჩვენ ვურჩევდით, მეგობრებსაც კი, და ისიც გვემორჩილებოდა. რაც სიყვარული ეწვია, ჩვენ აღარ გვემორჩილებოდა. ვგრძნობდი, რომ იმ გოგოს ჭკუაზე დადიოდა. ამის გამო, ნინო შევიძულე. ყველანაირად ვცდილობდი, ვაკო მისგან შორს ყოფილიყო. ძმები არაფერს ეუბნებოდნენ და ამის გამო მათთან სულ დავა მქონდა. ყველაფრის მიუხედავად, ვაკომ ნინო ცოლად მოიყვანა. ისეთი ძლიერი დარტყმა მივიღე, რომ მიკროინფარქტი გადავიტანე. ბავშვები შინ არ შემოვუშვი. ვაკოს ვუთხარი – შენ როცა გინდა, მაშინ მოდი, ეგ გომბიო კი აქ მოსული არ ვნახო-მეთქი. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, საშველს ვერსად ვხედავდი, როდესაც ერთმა „კეთილისმსურველმა“ მირჩია – მკითხავთან მიგიყვან და ის გასწავლის, როგორ დაიბრუნო შვილიო. დავუჯერე. იმ მჩხიბავმა რაღაც ცხიმის მაგვარი მომცა და დამარიგა, რომ მათი სახლის ზღურბლზე უნდა წამესვა, თან რაღაც სიტყვები დამაზეპირებინა, რომელიც უნდა წარმომეთქვა; შემდეგ მათ საწოლზეც უნდა მომეცხო ეს რაღაც ჯანდაბა და იქაც სხვა შელოცვა მეთქვა. როგორ მომეხერხებინა? ავდექი და თავი მოვიკატუნე, ვითომ ყველაფერს შევურიგდი და შვილსა და რძალს პატიება ვთხოვე. შემდეგ შინ სტუმრად ვეწვიე. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მკითხავმა დამარიგა, მაგრამ ეს ყველაფერი ორმოცი დღის განმავლობაში, ყოველდღე უნდა გამეკეთებინა. ნინო უკვე ფეხმძიმედ იყო. ამიტომ მოვიმიზეზე – სახლის საქმეში მოგეხმარები-მეთქი და მათთან ყოველდღე მივდიოდი. საუცხოო ბუნების გოგონა აღმოჩნდა ჩემი რძალი. ამ ხნის განმავლობაში, მომეწონა და თავიც შემაყვარა. წარმოგიდგენიათ? – ერთი თვის შემდეგ, უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა, რადგან აღარ მინდოდა მათი დაშორება. ბოლო ათი „პროცედურა“ მართლაც, აღარ ჩამიტარებია. შეძრწუნებული ვიყავი ჩემი საქციელით. ღმერთს ვევედრებოდი – ნეტავ, ჩემმა ნამოქმედარმა არ გაჭრას-მეთქი, – მაგრამ... ბავშვის დაბადებიდან 4 თვის შემდეგ, ცოლ-ქმარი დაშორდა ერთმანეთს. საკუთარი თვალით უნდა ნახოთ, რომ დაიჯეროთ, როგორ უბედურად გრძნობს თავს ჩემი ვაკუნა. მივაკითხე ისევ იმ მკითხავს, მაგრამ მითხრა – ეგ ისეთი ჯადოა, ვერაფერი გააბათილებსო. ახლა რაღა ვქნა? ნინო, შვილო, მაპატიე და დაგვიბრუნდი. მარი, დამეხმარეთ, გთხოვთ, იქნებ, წაიკითხოს და მაპატიოს. როგორ ფიქრობთ, სინდისის ქენჯნა ძალზე მცირე სასჯელი ხომ არ არის ჩემთვის?“

რადგან ქალბატონი გვეკითხება, თავს უფლებას მივცემ, ვუპასუხო: ვფიქრობ, ნინო მართლაც, კეთილშობილი გოგონაა, ასე რომ შეგაყვარათ თავი და იმედია, გაპატიებთ. მაგრამ ხომ არსებობს მასზე დიდი მსაჯულიც?!.

ახლა კი, კიდევ ერთ რესპონდენტს მოვუსმინოთ. ის 34 წლის მამაკაცია და 15 წლის წინანდელ ამბავს გვიყვება, თუმცა, ვერ მივხვდი, სინდისი მას უნდა ქენჯნიდეს თუ იმ ქალბატონს, რომელმაც ჩვენი რესპონდენტი „გააუპატიურა“...

„სულ გამოშტერებული დავდიოდი...“

„გამარჯობათ. მინდა, 15 წლის წინანდელი, თავსგადახდენილი ამბავი მოგიყვეთ. ერთ თბილისურ ეზოში ვცხოვრობდი. კარგა მოზრდილი ბიჭი ვიყავი და ქალებისკენაც გული მიმიწევდა, როდესაც მეორე სართულზე ახალი მეზობელი გადმობარგდა. მარტოხელა, ასე, ორმოციოდე წლის მაგარი ქალი გახლდათ. სახლის პროექტი ისეთი იყო, რომ ჩემი ფანჯრები მის ფანჯრებს პირდაპირ უყურებდა. ერთხელ შევნიშნე, რომ თხელი, გამჭვირვალე ფარდის მიღმა ეს ქალი დედიშობილა იდგა. პირდაღებული ვუყურებდი. ირმამაც (ასე ერქვა იმ ქალს) იცოდა, რომ გაშტერებული ვუყურებდი, მაგრამ მხოლოდ პოზას იცვლიდა, ფანჯარას კი არ შორდებოდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე. დღედაღამ მისი შიშველი სხეული მედგა თვალწინ. სულ გამოშტერებული დავდიოდი და მასზე ვფიქრობდი.

ერთხელ, ეზოში ჩასულს, დამიძახა – პური ამომიტანეო. სულ ფრენა-ფრენით გავიქეცი მაღაზიაში და თვალის დახამხამებაში ავუცუნცულე პური. კა-

რზე რომ ვაკაკუნებდი, გული გამალებით მიცემდა. კარი რომ გამიღო, სველ, შიშველ სხეულზე გამჭვირვალე ხალათი ჰქონდა შემოტმასნილი. პირი დავაღე. აბაზანიდან წყლის ჩხრიალის ხმა ისმოდა. მითხრა – მიდი, ონკანი დაკეტეო. სახელური გადავატრიალე თუ არა, უცებ, ვიღაცამ უკნიდან ხელი ჩამჭიდა, შემომაბრუნა და თავი საკუთარ მკერდში ჩამარგვევინა. ის ქალი იყო... ერთი სიტყვით, იმ მეზობლის ქალმა „გამაუპატიურა“... ეს გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, ყოველდღე. სინდისის ქენჯნა მაწუხებდა, მაგრამ ვერც ვცილდებოდი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი დამთავრდა...“

ახლა კი ამბავი, რომელსაც 30 წლის ქალი გვიამბობს და სახელსაც არ გვიმხელს. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი...

„შვილი გავაჩინე და... გავაჩუქე...“

„ცხოვრებაში უზარმაზარი შეცდომა მაქვს დაშვებული, თანაც ისეთ ასაკში, რომ არ მეპატიება. სინდისის ქენჯნა? ნურავინ იტყვის, სინდისის ქენჯნა გამომიცდიაო, ვისაც ჩემზე დიდი დანაშაული არ ჩაუდენია. უკვე 26 წლის ვიყავი, როდესაც ყველაფრით თავმობეზრებულმა გადავწყვიტე, შვილი გამეჩინა. საკმაოდ სიმპათიურ, განათლებულ და ნიჭიერ კაცს დავადგი თვალი, როგორც მამობის კანდიდატს და ვთხოვე, ნება მოეცა, მისგან შვილი გამეჩინა. თანხმობა მივიღე, გარკვეული თანხის საფასურად. მარტო ვცხოვრობ. შემოსავალი კი, იქიდან მაქვს, რომ მშობლებმა 4 ბინა დამიტოვეს, რომლებსაც ვაქირავებ. ერთ-ერთი, მაღაზიად გადავაკეთე და ბიზნესიც ავაწყვე... მოკლედ, დავფეხმძიმდი. ხუთი თვის ორსული ვიყავი, როდესაც ჩემს მობილურზე ვიღაც მამაკაცმა დარეკა; – შემთხვევით მოვხვდიო, – მითხრა. შემდეგ „მესიჯი“ გამომიგზავნა. ჩვენი სატელეფონო ურთიერთობა კარგა ხანს გაგრძელდა. მოგვიანებით, ისე შემიყვარდა, რომ უმისოდ ვეღარ ვძლებდი, მისი ხმა დღედაღამ მელანდებოდა. პატიმარი აღმოჩნდა. გამიხარდა, რადგან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ თავისუფლდებოდა და ვერ გაიგებდა, ფეხმძიმედ რომ ვიყავი, ამას კი უკვე მწარედ ვნანობდი. შვილი გავაჩინე და... გავაჩუქე. ღმერთმა იცის – არ გამიყიდია, უშვილო ცოლ-ქმარს მივაშვილე. ჩემი პატიმარი კი (არც მის სახელს გეტყვი), ოცნების კოშკებს მიგებდა, სიყვარულს მეფიცებოდა და საუკეთესო პერსპექტივას მიხატავდა. ბავშვს სწორედ მის გამო, უფრო სწორად – მისი სიყვარულის გამო შევეღიე. კაცს, რომელიც თვალითაც არ მყავდა ნანახი, ვენდე... ის ერთ წელიწადში მართლაც, გათავისუფლდა, მაგრამ... ერთი სიტყვით, ყველაფერი ზღაპარი აღმოჩნდა. არც კი მოვუძებნივარ. წარმოგიდგენიათ? – ჩემი ნახვაც კი არ უცდია. ძალზე ცუდ დღეში ვარ. ახლა როგორ მოვიქცე? აღარც შვილი, აღარც სიყვარული და ბედნიერება. როგორც ჩანს, ღმერთმა სამაგიერო მომიზღა. მაპატიეთ...“

ახლა კი, დანარჩენ „მესიჯებს“ გადავხედოთ.

„მენატრები, მაგრამ ნუ მოხვალ“

„გინდათ, სინდისის ქენჯნაზე გესაუბროთ? „ის“ ცოლიანი იყო, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული კაცი. ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი, ამ გრძნობის გარდა ჩვენთვის ყველაფერი სულერთი გახდა. თითქოს ის დაკარგული მეორე ნახევარი ვიპოვე, რომელიც მხოლოდ ჩემთვის იყო განკუთვნილი. წამითაც არ მიგრძნია, რომ ცოლი ჰყავდა, რადგან მისთვის ერთადერთი ვიყავი. ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთს ვარსკვლავებს „ვჩუქნიდით“... დრო გავიდა. ორივე გამოვფხიზლდით და სინდისის ქენჯნამ შეგვაწუხა: მას ხომ ცოლი და ორი შვილი ელოდა. ნელ-ნელა, დიდი გაჭირვებით დავასრულეთ ის ზღაპარი, რომელმაც ცხოვრების უბედნიერესი წუთები გვაჩუქა... მას შემდეგ, 2 წელი გავიდა. მე ის არ მეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ, ამქვეყნიური ჯოჯოხეთისგან გავთავისუფლდი. ამ ჯოჯოხეთს სინდისის ქენჯნა ჰქვია. ახლა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე წინათ. იმიტომ, რომ სინდისი სუფთა მაქვს. ჩემი გრძნობა ჩიტივით თავისუფალია. ყოველდღიურ სიტუაციებში მის მიერ ნასწავლი წესებით ვხელმძღვანელობ. მას ხომ ყველაზე მეტად ვუყვარდი. ხშირად შევუპყრივარ უცნაურ გრძნობას – თითქოს მის თავს რაღაც ხდებოდა, – და მალევე შემიტყვია, რომ სწორედ ასე იყო საქმე და მას რაღაც უჭირდა... უბედური ვარ და თანაც – ბედნიერი, რომ სინდისის ქენჯნა აღარ მაწუხებს. ბედნიერებას გისურვებ, ვასკა! არსებობს ისეთი განზომილებები, როგორიცაა დრო და მანძილი, მე კი სულ შენთან ერთად ვიქნები – ისე, შორიდან... „თ“.

„წლების წინ, ერთმა ქალმა მოტყუებით თურქეთში წამიყვანა. ჩემთან ერთად კიდევ 8 გოგონა იყო. ყველანი 18-19 წლისანი ვიყავით. ერთი წლის მერე, ძლივს დავაღწიე თავი იმ ჯოჯოხეთს, რომელსაც სხეულით ვაჭრობა ჰქვია. ღმერთო! გახსენებაც არ მინდა... ახლა გათხოვილი ვარ და ქმარმა არაფერი იცის. სინდისი მქენჯნის. ნეტავ, იმ „ვეშაპს“ თუ აქვს სინდისი, ვინც ასე გამაუბედურა?..“

„სტუდენტი ვარ. ერთი კვირის წინ, ჩემი ჯგუფელი ლევანი ლექციიდან გააგდეს, ყველაფერი კი, ჩემი ბრალია, რადგან მთელი ლექციის განმავლობაში, მოსვენება არ მივეცი და მის მობილურზე ჩემი ტელეფონით (დაფარული ნომრით) ზარს ვუშვებდი... იმ ღამით, დანაშაულის გრძნობამ მშვიდი ძილის საშუალება არ მომცა. ლევან, ალბათ მაპატიებ, ჰო? თამუნა“.

„რამდენჯერ დავშორდით და შევრიგდით... რამდენჯერ მიფიქრია, რომ გამოსწორდებოდი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს კი, ძალზე მატკინე გული და მე ისევ დაგშორდი, მაგრამ სინდისი მქენჯნის, ალბათ იმიტომ, რომ მაინც მიყვარხარ, თანაც – ძალიან... და კიდევ იმიტომ, რომ შვილი გვყავს. მენატრები, მაგრამ ნუ მოხვალ, უკვე ყველაფერი დამთავრდა. შენი „ცუცქნა“.

„იცით, რა მიკვირს? რატომ არა აქვთ კაცებს სინდისი? მუდამ რატომ იტყუებიან? მიშიკო თ., თუ ამ „მესიჯს“ წაიკითხავ, ნამუსიანად მიპასუხე. „ბუზღუნა“ და „ეჭვიანა“.

„ინგლისურზე რომ დადიხარ, გირჩევ, ისწავლო ქართული. როდემდე უნდა ატარო მაგ შენს კბილებზე „მავთული“? ხედავ, ვიტანჯები... დაფიქრდი, სინდისი არ გაწუხებს? აბუა“.

„ალბათ მთელი ცხოვრება დამტანჯავს სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ გიორგი ჩ-ს ვატყუებდი. ვიცი, უაზრო გოგო ვარ, მაგრამ რა ვქნა? სხვანაირად ცხოვრება არ ვიცი...“

„ჩემი ჩადენილი საქციელი მოსვენებას არ მაძლევს. მიშიკო, მაპატიე. გეფიცები, არ მინდოდა შენი დამცირება. გულშიც არ გამივლია შენი წყენა. თეკო“.

„სინდისი მქენჯნის იმის გამო, რომ შეყვარებული მყავს, რომელიც დედაჩემს არ მოსწონს და მისგან მალულად ვხვდები. რა ვქნა? დედაც ძალიან მიყვარს და ლაშაც“.

„სინდისის ქენჯნა მაშინ მაწუხებს, როცა გამახსენდება, რომ მამაჩემს საყვარელი ჰყავს, მე კი დედას ვერ ვუმხელ“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომავალ თემად კი, გთავაზობთ: ორი კურდღლის მადევარი... მოგვწერეთ, „დავიმესიჯეთ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61, გვიამბეთ, რით დამთავრდა „ორი კურდღლის დევნა“? გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

„უფალმა ასე ინება“...

– ამბობს თავებით შეზრდილი გოგონების დედა

და უნიკალურ ოპერაციას ელოდება

მათთვის დღის წესრიგში აბორტის გაკეთება არასოდეს დამდგარა. ნელი და პეტერი მორწმუნეები არიან და იმას, რომ მათ სიამის ტყუპი შეეძინათ, უფლის ნებად აღიქვამენ.

კაკლის ფორმის ბურთზე ლეა წევს და ფეხებს იქნევს, მის გაგრძელებაზე კი ტაბეა კიდია, ლეას ტყუპისცალი. ტაბეა დგომაში ვარჯიშობს, ცქმუტავს, პარკეტზე ფეხებს აბაკუნებს. „არ ვიცი, მომავალში რა იქნება. ისინი ხომ ნორმალური ცხოვრებით ვერ იცხოვრებენ. ქალაქში ვერ გაისეირნებენ, სკოლაში ვერ ივლიან...“ – ამბობს ტყუპის დედა ნელი.

ერთი კვერცხუჯრედის სხვა ტყუპების მსგავსად, ლეა და ტაბეაც განსხვავებული ტემპერამენტისანი არიან. ნელის თქმით – „ორივეს მხრებზე საკუთარი თავი აბია“. ლეა აქტიურია, ტაბეა – ზარმაცი. მას თავის დაზე დიდხანს სძინავს. ორივენი სიამოვნებით წოვენ ძუძუს და მოსწონთ დედის დამზადებული წვნიანები. ფაფებს კი პირსაც არ აკარებენ. როცა დედ-მამა პატარებს სპეციალურ საბავშვო ეტლში აწვენს და ოთახში ასეირნებს, ისინი იცინიან და სიამოვნებისგან კრუსუნებენ.

სიამის ტყუპი: 200000 ახალშობილში ერთხელ გამოერევა სხეულის რომელიმე ნაწილით ერთმანეთს შეზრდილი ჩვილები. ისინი ერთმანეთთან შეიძლება შეზრდილნი იყვნენ მუცლებით, თეძოებით, მთელი სხეულით, თავებით შეზრდილებს შეიძლება, საზიარო ჰქონდეთ ტვინის დიდი არეალი, სისხლძარღვები, მაგრამ ლეას და ტაბეას მსგავსი ტყუპი, რომელსაც საზიარო აქვთ თავის ქალა, დიდი იშვიათობაა.

სიამის ტყუპების 60% დედის მუცელშივე კვდება, ხოლო შობის შემთხვევაში, დიდხანს ვერ ცოცხლობენ.

ნელიმ და პეტერმა 2002 წლის ბოლოს იქორწინეს. 2003 წლის იანვრის მეორე ნახევარში გინეკოლოგმა ნელის შვიდი კვირის ფეხმძიმობა დაუდგინა. იმავე საღამოს პეტერმაც შეიტყო, რომ მისი ოცნება – გამხდარიყო მამა, სულ მალე რეალობად იქცეოდა.

მეცხრე კვირა: კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია მიიღეს: ნელის ტყუპი ეყოლებოდა. ცოლ-ქმრის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

მეთერთმეტე კვირა: ექოსკოპიაზე ექიმი ძალზე დიდხანს აკვირდებოდა ეკრანს და ბოლოს, ნელის უთხრა: დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ ჩემი აზრით, ერთმანეთთან თავებით შეზრდილი სიამის ტყუპი უნდა გყავდეთო. „ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცა თავზე დამემხო, კლინიკა უსიტყვოდ დავტოვე“, – ამბობს ქალი. საღამოს კი გინეკოლოგის ეჭვი მან ქმარს გაუზიარა.

ორივეს ტირილი აუვარდა, ლოცულობდნენ, ღმერთს ევედრებოდნენ, რომ გინეკოლოგის ეჭვი არ გამართლებულიყო...

მაგრამ სპეციალურად მოწვეულმა ექიმების კონსილიუმმა თავდაპირველი დიაგნოზი დაადასტურა – ერთი უჯრედის, თავებშეზრდილი ტყუპი. უფრო მეტიც – სპეციალისტებმა ნელის ისიც უთხრეს – თუ გოგონების ტვინი ერთმანეთშია ჩაზრდილი, ბავშვები სიცოცხლისუნარონი იქნებიანო, – და აბორტის გაკეთება ურჩიეს.

„აბორტი ხომ შვილების საკუთარი ხელით დახოცვას ნიშნავს?! ამ ცოდვის ჩადენა არ შემეძლო. უბრალოდ, ამ მძიმე ტვირთით ცხოვრება გამიჭირდებოდა“, – ამბობს ნელი.

პირველი აზრი, რომელმაც პეტერს თავში გაუელვა ასეთი იყო: „არა, ასეთი შვილები არ მინდა“. მერე კი დაფიქრდა და მივიდა დასკვნამდე: „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტის უფლება ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ნამდვილად არა გვაქვს. ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი აძლევს, და ჩვენ უნდა მივიღოთ ის ისეთი, როგორიც არის“.

ნელი და პეტერი წარმოშობით გერმანელები არიან, ისინი რუსეთში ცხოვრობდნენ და სამშობლოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბრუნდნენ. 1989 წელს თავ-თავიანთ ოჯახებთან ერთად ისინი ვესტფალში დასახლდნენ. ორივენი პროტესტანტული სექტის მენონიტის წევრები არიან, ერთმანეთი ახალგაზრდა მენონიტების ჯგუფში გაიცნეს და დღესაც ამ სარწმუნოების მიმდევარნი არიან.

„რატომ სიამის ტყუპი? და რაღა მაინცდამაინც ჩვენ? ღმერთმა რატომ მიგვატოვა?“ – ეკითხებოდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს მერე კი მათ ისევ ღვთის რწმენა დაეხმარა – იფიქრეს და ბედს შეურიგდნენ.

ფეხმძიმობის დროს ნელის პრობლემები არ ჰქონია. სკოლაში, სადაც ის მასწავლებლად მუშაობს, შვებულება მშობიარობამდე მხოლოდ ოთხი კვირით ადრე აიღო. ექიმების შიში, რომ მუცელში ბავშვების მდებარეობა დედას ფიზიკურ ტკივილს მიაყენებდა, არ გამართლდა.

სხვა ტყუპების მსგავსად, ლეა და ტაბეაც განსხვავებული ტემპერამენტისანი არიან

„ისინი V-ს მაგვარად წვანან და სულ არ მაწუხებენ“, – ამბობდა ნელი. მეოთხე თვის ბოლოს, პირველად იგრძნო მის წიაღში ტყუპი როგორ იძრა. დიდებული შეგრძნებაა. მიუხედავად ყველაფრისა...

ფეხმძიმე ნელი ქმართან ერთად ადევნებდა თვალყურს ირანელი სიამის ტყუპის – ლალეჰისა და ლადანის ტრაგიკულ ამბავს. ტყუპი, რომელმაც გადაბმულად არსებობას ვეღარ გაუძლო, დამოუკიდებლად ცხოვრება მოინდომა, ამიტომაც სამკვდრო-სასიცოცხლო ოპერაციაზე დათანხმდა და დაიღუპა. „ამ ორის ბედს ჩემზე დამორგუნველად არ უმოქმედია. ეგ, სულ სხვა შემთხვევაში იყო. ისინი 29 წლისანი იყვნენ, ჩემი გოგონები კი, ერთი წლისანი ხდებიან; ისინი თავებით გვერდულად იყვნენ გადაბმულები, ჩემი პატარები კი, შეიძლება ითქვას – თხემით“.

შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ექიმებმა, პეტერისა და ნელის თანხმობით, ექსპერტებს საკონსულტაციოდ უკვე მიმართეს. უპირველეს ყოვლისა – ამერიკელ ნეიროქირურგ ბენჯამინ კარსონს, მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტს, რომელსაც ტყუპის განცალკევების არაერთი წარმატებული ოპერაცია გაუკეთებია.

პატარების გამოკვლევის შემდეგ, კარსონმა დაადგინა: ორივე ბავშვის ტვინი კარგადაა განვითარებული და ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ამდენად ოპერაცია შესაძლებელია და გადარჩენის შანსი 75%-ს შეადგენს. მისი თქმით, მოულოდნელობისგან არავინაა დაზღვეული. მიუხედავად ამისა, დიაგნოზმა მშობლებს იმედი ჩაუსახა.

ნელის მშობიარობა შარშან 9 აგვისტოს დაეწყო. მეან-გინეკოლოგმა საკეისროს გასაკეთებლად 15-კაციანი გუნდი შეკრიბა. ნელიმ ნარკოზზე უარი თქვა: უნდოდა, ქმართან ერთად შვილების ამქვეყნად მოვლინება საკუთარი თვალით ეხილა. 12 საათსა და 46 წუთზე ექიმებმა მუცლიდან ჯერ ტაბეა, მერე კი ლეა ამოიყვანეს. ორივეს სიგრძე ერთად 98 სმ იყო, ხოლო წონა – 4300 გ. ახალშობილები თავს კარგად გრძნობდნენ.

პეტერმა, რომელიც ამ დროს ცოლს თავთან ედგა, შვილები პირველმა დაინახა: „ექიმების შიში, რომ ნელის მძიმე მშობიარობა ექნებოდა, არ გამართლდა. შვებით ამოვისუნთქე, როცა ორივენი ერთად ატირდნენ“... მერე ექიმებმა პატარებისთვის თვალის შევლების უფლება ნელისაც მისცეს. ერთმანეთზე თავით გადაბმულ გოგონებს V-ს ფორმა ჰქონდათ – ზუსტად ისეთი, რა ფორმითაც დედის წიაღში იწვნენ. ამ უჩვეულო V-ს დანახვამ ქალი კი არ შეაძრწუნა, არამედ გააოცა. „უმწეო, გამხდარი სხეულები ერთობ დიდ თავზე ეკიდნენ. უცნაური სანახაობა იყო, მაგრამ შევხედე თუ არა, მაშინვე ჩემთვის აქამდე უცნობი გრძნობა დამეუფლა – ის, რასაც დედობრივ სიყვარულს უწოდებენ“.

ოთხ კვირაში, პეტერმა თავისი ქალები შინ წაიყვანა. „საკუთარ კედლებში ყოფნას არაფერი სჯობს, – ამბობს ნელი. – მაგრამ უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ მივხვდი, რომ მარტოს ბავშვების მოვლა ძალიან გამიჭირდებოდა. არსებობს ისეთი სიტუაცია, როდესაც გვერდით აუცილებლად უნდა გყავდეს ვინმე. მაგალითად, ისეთი, როცა პატარები მუცელზე დავაწვინე და მერე ზურგზე მათი გადმობრუნება ვეღარ მოვახერხე. მაშინვე დედამთილს დავურეკე, ის მოვიდა და დამეხმარა. ეს, მართალია, 10 წუთს გაგრძელდა, მაგრამ სხვა დროს მსგავსი ექსტრემალური სიტუაცია ხომ შეიძლება, უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდეს“.

შვებას მხოლოდ ღმერთის რწმენაში ვპოულობთ. ეს ტვირთი უფალმა გამოგვიგზავნა და ის გვეხმარება კიდეც...

ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ პეტერის მშობლები გარეუბანში ნაკლებდასახლებულ ადგილას ცხოვრობენ, ახალგაზრდა ოჯახი დროებით მათთან გადავიდა. „არ მინდა, რომ ჩვენი პატარები სენსაციად იქცნენ და მათ ირგვლივ ცნობისმოყვარეები ირეოდნენ“... – ამბობს ნელი.

ბავშვების მოვლა დღითი დღე ძნელდება. ახლა ისინი 8 თვისანი არიან და ნაკლები სძინავთ. „თავიანთ უკმაყოფილებას ტირილით გამოხატავენ. V-ს პოზაში წოლა მოჰბეზრდათ. მოძრაობაში შეზღუდულები რომ არიან, ეს აბრაზებთ. დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა გაუჩნდათ. ხდება ისე, რომ ერთი მარცხნივ იწევს, მეორე – მარჯვნივ... თანაც, ძალიან დამძიმდნენ. მათი ხელში აყვანა შეუძლებელი გახდა. ამას მხოლოდ პეტერი ახერხებს, მაგრამ იგი მსახურობს და მხოლოდ საღამოობით მეხმარება. ხანდახან მეც და პეტერსაც უძლურებისგან სასოწარკვეთა გვიპყრობს, ასეთ წუთებში შვებას მხოლოდ ღმერთის რწმენაში ვპოულობთ. ეს ტვირთი უფალმა გამოგვიგზავნა და ის გვეხმარება კიდეც...“

ამასობაში კი, გერმანელი ნეიროქირურგი ფალკ ოპელი თავის ამერიკელ კოლეგა ბენჯამინ კარსონთან ერთად მომავალი ოპერაციის სტრატეგიაზე ფიქრობს. ექიმები ოპტიმისტურად არიან განწყობილი, მაგრამ პესიმისტურია სტატისტიკა: დღემდე, მსოფლიოში თავებით შეზრდილ ტყუპზე გაკეთებულია 60 ოპერაცია, აქედან 30 ტრაგიკულად დამთავრდა, 23 შემთხვევაში პაციენტები დახეიბრდნენ და წარმატებით მხოლოდ 7 ოპერაცია დაგვირგვინდა.

ლეას და ტაბეას უბედურებაში კი, ბედნიერება ის არის, რომ ისინი ჯანმრთელები არიან. როგორც ექიმები ამბობენ, პატარების თავები სიმეტრიულადაა ერთიმეორესთან დაკავშირებული და განცალკევების შემთხვევაში, აუცილებელი იქნება თხემების რეკონსტრუქცია. მთავარ საშიშროებას ოპერაციის დროს, წარმოადგენს უხვი სისხლდენა თავების არეში წარმოქმნილი დიდი ფართობის ჭრილობებიდან და ჭრილობაში ინფექციის შეჭრა.

ოპერაციისთვის საჭირო თანხა კი, მთელ მსოფლიოში გროვდება. ევროპის გაზეთები, რადიო და ტელევიზია დიდ ინტერესს იჩენს ვესტფალელი ტყუპისადმი.

გადაწყდა: ოპერაცია აგვისტოში, აშშ-ის ქალაქ ბალტიმორში გაკეთდება. საოპერაციო ჯგუფს ნეიროქირურგი ბენჯამინ კარსონი უხელმძღვანელებს. ნელი ფიქრებში უკვე ბარგს ამზადებს. ცოლქმარი ზაფხულის ბოლო თვეს მოუთმენლად ელოდება. „ლეა და ტაბეა თავს რომ ვერ სწევენ, ამის გამო ძალიან ვწუხვარ“, – ამბობს პეტერი, ნელი კი დასძენს: „მოუთმენლად ველოდებით ოპერაციის დღეს. ვფიქრობთ, ღმერთი არ გაგვწირავს და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება“.

■

მერი კობიაშვილი

ეჯის ჩასვლა სანაპიროზე ტუჩებში კოცნით დაგვირგვინდა...

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარია ცნობილი მსახიობი ია ფარულავა. ინტერვიუდან შეიტყობთ, თუ ვინ არის მისთვის მამაკაცის ეტალონი. დასაწყისისთვის კი გეტყვით, რომ იასთვის სიყვარული გაზაფხულთან, განსაკუთრებით კი, იასთან და იასამანთან ასოცირდება.

— ია, პირველად რა ასაკში შეგიყვარდა?

— ბავშვობაში ჩემი კლასელი შემიყვარდა. რაც თავი მახსოვს, სკოლაში სულ შეყვარებული ვიყავი, ხან ვინ მიყვარდა, ხან — ვინ. რატომღაც სოფლელი ბავშვები მიყვარდებოდნენ. მეცოდებოდნენ და ალბათ იმიტომ.

— გემოვნება როდის შეგეცვალა?

— რა ოქმა უნდა, რომ გავიზარდე, გემოვნებაც დამეხვეწა. მე-6 კლასში ვიყავი მეათეკლასელი ბიჭი რომ შემიყვარდა. გაკვეთილების შუალედებში განსაკუთრებით დიდ შესვენებაზე სულ ვცდილობდი, მის სიახლოვეს მოვხვედრილიყავი. გრძნობას, რა თქმა უნდა, ვერ ვუმჟღავნებდი.

— ბიჭები შენდამი ყურადღებას როგორ გამოხატავდნენ?

— არანაირად. ხომ არიან გოგონები, ვისი გულისთვისაც ჩხუბები ხდება. ჩემი გულისთვის არასოდეს მსგავსი არაფერი ხდებოდა. მე თვითონ ვიყავი ახტაჯანა და მოჩხუბარი, რომ იტყვიან — „ძველი გოგო". ამიტომ მომწონდა სუსტი ბიჭები, იქით რომ იყვნენ, დასაცველები ისეთები.

— პირველ პაემანს როგორ გაიხსენებდი?



— პირველი პაემანი ძალიან რომანტიკული მქონდა. მე და ჩემი შეყვარებული, ოჯახებით ბათუმში ვისვენებდით. მშობლებს გავეპარეთ და ბულვარზე გავისეირნეთ. მახსოვს, ეშმაკის ბორბალზე დიდხანს „ვიკატავეთ". იმ ბიჭმა ხელზე ხელი მომკიდა... ამ ყველაფრით ძალიან აღფრთოვანებული ვიყავი. მერე კაფეში წავედით. ბევრი ფული არ გვქონდა და მარტო წვენი დავლიეთ. ვუყურეთ მზის ჩასვლას სანაპიროზე, რომელიც ტუჩებში კოცნით დაგვირგვინდა...

— ეს გრძნობა დიდხანს გაგყვა?

— მოხდა ისე, რომ ერთმანეთს დავშორდით. სხვადასხვა ადგილას წაგვიყვანეს დასასვენებლად. ორი თვე ვიტანჯებოდი. ერთი სული მქონდა, სექტემბერი როდის დადგებოდა, რომ ერთმანეთს შევხვედროდით. მაგრამ მოხდა სასწაული: განშორების შემდეგ რომ ვნახე, აღარ მომეწონა. ტალახიანი ფეხსაცმელი ეცვა და ძალიან არ მომეწონა. ასეთი პრეტენზიული ვიყავი.

— ასე მალე დაივიწყე ბათუმის ბულვარზე გატარებული პაემანი?

— მე-7-8 კლასში როცა ხარ, ასეთი რამ მალე გავიწყდება.

— სერიოზული გრძნობა, რომელმაც უფრო დიდხანს გასტანა, როდის გეწვია?

— არაერთხელ მწვევია. ძალიან მიყვარდა ჩემი პირველი ქმარი. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს დავშორდით, ამ სიყვარულმა თავისებური დაღი დამასვა. სულ შეყვარებული ვიყავი. ახლა რა დამემართა, არ ვიცი: სამწუხაროდ, დღეს ეს გრძნობა ჩემგან შორსაა. ძალიან მინ-

სულ შეყვარებული ვიყავი. ახლა რა დამემართა, არ ვიცი

საუკეთესო ხარისხის ბეწვის მქონე ცხვარი	გამის ნოტი	აბრეშუმის თხელი ქსოვილი	ორმო წყლის ამოსაღებად	დაკოდილი ცხენი	ავსტრიის დედაქალაქი	იგივეა, რაც სხეული	ბგერის გრაფიკული გამოსახულება
ქალაქის თავი	იაპონური თეატრი	„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ, როგორც ნაწვიმარ ... ვარდი"	დასახლება თბილისის შემოგარენში	...-ხევსურეთი	ადამიანი, რომელსაც ენის მიტანა უჭვარს	მცენარე, რომელიც სპორით მრავლდება

და, ვინმე შემიყვარდეს, მაგრამ ჩემ გარშემო არავინ მომწონს.

— მამაკაცის ეტალონი თუ გყავს?

— მსახიობი ჯერემი აირონსი. ის არის სექსუალური, მიმზიდველი, ინტელიგენტური, ოდნავ ნერვიული, დახვეწილი იუმორის მქონე. ამიტომაც ვგიჟდები მასზე, მაგრამ ამას წინათ, ჰომოსექსუალისტის როლში ვნახე და გული ძალიან დამწყდა. ვიცი, რომ ჰომოსექსუალისტი არ არის, მაგრამ ასეთ როლში მისი ნახვა არ მინდოდა.

— შენ აზრით, ქალები უფრო დამნაშავენი არიან თუ მამაკაცები, როცა მათ შორის ურთიერთობა ფუჭდება?

— ორივეს ერთნაირი წვლილი მიუძღვის ამაში. ქალი და მამაკაცი ორ განსხვავებულ პოლუსზე ცხოვრობენ. ქალი შეიძლება, მამაკაცს უყვებოდეს რაიმე ამაღლებულ ამბავს და ამ დროს მამაკაცი მარტო იმაზე ფიქრობდეს — ნეტავ, ეს ქალი გახდილი მანახვა საწოლშიო. ვფიქრობ, ქალმა ეშმაკობა უნდა გამოიჩინოს და მამაკაცის ენაზე დაიწყოს ლაპარაკი...

— შეყვარებული როგორი ხარ?

— „სიყვარულის ქიმიკატები" ჩემზე კარგად მოქმედებს. სულიერად ვმაღლდები და მომხიბვლელი ვხდები. თუ ძალიან გავლამაზდი, ე.ი. შეყვარებული ვარ. სიყვარულის გარეშე ცხოვრება ძნელია. ამ დროს ყველაფერი ნათელ ფერებში გეხატება, ფოთლის შრიალსაც კი იდუმალი შეგრძნებები მოაქვს. ასეთი სიყვარული ძალიან იშვიათია, თუმცა, მე მქონია და ამით ბედნიერი ვარ.

— ალბათ ბევრ მამაკაცს აუხსნია შენთვის სიყვარული...

— არც ისე ბევრს. რატომღაც ყველას ასე ჰგონია... არავინ ახლოს არ მეკარება. ყველას ეშინია ჩემი. მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად არ ვარ საშიში ქალი. ვარ ძალიან რბილი, ბავშვური, სითბოსა და სიყვარულს მოკლებული ადამიანი *(გულიანად იცინის)*...

„სიყვარულის ქიმიკატები" ჩემზე კარგად მოქმედებს

— არ მითხრა, მამაკაცებს არ მოვწონვარო.

— გარეგნობით ბევრი მამაკაცის გემოვნებაში ვჯდები, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. სხვა თვისებებიც უნდა დაინახონ. რადგან ახლა არავინ არ მომწონს, ამიტომ საქმე სიყვარულის ახსნამდე არ მიდის.

— შენს გარეგნობაში ყველაზე მეტად რა მოსწონთ მამაკაცებს?

— ძირითადად, თვალებზე მეუბნებიან კომპლიმენტებს. ალბათ მაქვს თვალებში ის ნაპერწკალი, რაც მამაკაცებს ხიბლავს.

— იმ გოგონებს რას ურჩევდი, რომლებიც პირველ პაემანზე წასასვლელად ემზადებიან?

— პაემანზე წასვლის წინ, ყოველთვის ვღელავდი. პირველად ჩემს მომავალ ქმარს რომ ვხვდებოდი, კონიაკი გადავკარი. კარგ ხასიათზე ვიყავი, არაფერზე მილაპარაკია, მგონი, კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე. ამიტომ გოგონებს ვურჩევდი, ბევრი არ ილაპარაკონ — უმჯობესია, კითხვები ქალმა დასვას. პირველ პაემანზე ბიჭმა გოგონას რესტორანში დაპატიჟება თუ ვერ შეძლო და მარტო ნაყინით გაუმასპინძლდა, გოგონამ პრეტენზია არ უნდა გამოთქვას. ამით შეიძლება, ძალიან კარგი ადამიანი დაკარგოს. ■



სამეფო საჩუქარი... სახელმწიფოს ხარჯზე



სვაზილენდის მეფე მსვატი III ყოველთვის გამოირჩეოდა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ხასიათით. ამჯერად მსვატიმ მთავრობას 11 სასახლის აშენება მოსთხოვა — სათითაოდ მისი 11 ცოლისთვის. ეს სულაც არ არის მონარქის პირველი და, როგორც ჩანს, არც უკანასკნელი ახირება. მაგალითად, შარშან მეფემ პარლამენტს მოსთხოვა, ბიუჯეტში შეეტანა სტატია მეფისათვის ახალი, სუპერთანამედროვე ავიალაინერის შესაძენად. მაშინ პარლამენტში ვერ გამოინახა მსოფლიოში ერთ-ერთი უღატაკესი ქვეყნისთვის ასტრონომიული თანხა — 45 მილიონი დოლარი.

წელს მსვატი კვლავ აპირებს დაქორწინებას. ქვეყანაში არსებული ტრადიციის მიხედვით, ყოველწლიური რიტუალური ცეკვების დროს, მეფემ ახალი საცოლე უნდა აირჩიოს. ასე რომ, სვაზილენდის ისედაც გასაცოდავებული ბიუჯეტი ამ წელს კვლავ დამძიმდება ახალი სტატიით — კიდევ ერთი, მეთორმეტე სასახლის ასაშენებლად. და ეს მაშინ, როცა ქვეყანა, შიდსის ვირუსით დაავადებულთა მაჩვენებლით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს (მთელი ზრდასრული მოსახლეობის თითქმის 33%). ■

...ოტიკული ...ოიერება	ჭკვიანი ადამიანის თიკუნი — „ჭკუის ..."	ფაკულტეტის ხელმძღვანელი	საწოლის ატრიბუტი	შენი ხმალი და ჩემი ...	მსახიობი ... პაჩინო	ცხოველი, რომელსაც მოკლე ხორთუმი აქვს
...ერდას ...ობარი ...აპრიდან)	ვირტუოზი მევიოლინე ... პაგანინი	ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაცია	კაციჭამია	გარეგნული ბრწყინვალება	მიმართვა ინგლისელისადმი	კურორტი ყირიმის ოლქში	ჭრილი ტუჩებს შორის

ტაძარი



რამდენი მნიშვნელოვანი ადგილია საკურთხეველში?

ტაძარში აღვლენილ ღვთისმსახურებათა დროს გამოიყენება საეკლესიო ნივთები — ანუ საღვთისმსახურო ნივთები, რომლებიც ინახება საკურთხეველში... რა არის საკურთხეველი და რამდენი მნიშვნელოვანი ადგილია საკურთხეველში? რომელი საეკლესიო ნივთები გამოიყენება სხვადასხვა ღვთისმსახურების დროს? რა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს თითოეულ საღვთისმსახურო ნივთს? — ჩვენი ტრადიციული რუბრიკის წინამდებარე წერილში ამ საკითხების განმარტებას გთავაზობთ.

მორენა მერკვილაძე

როგორც ვიცი, მართლმადიდებლური ტაძარი იყოფა სამ ნაწილად: კარიბჭე (სტოა ანუ ეზო), ტაძრის შუა ნაწილი და საკურთხეველი.

კარიბჭე (სტოა) ეწოდება ტაძრის დასავლეთ ნაწილს, სადაც ძველად დგებოდნენ ცოდვილნი და კათაკმეველნი — ე.ი. მოსანათლად გამზადებული ადამიანები; იქ სრულდება ლიტია (პურის განტეხვის ლოცვა); ტაძრის შუა ნაწილი, არის ადგილი მართალთა — ანუ განკუთვნილია მრევლისთვის (საეკლესიო ერისთვის); ტაძრის უმთავრესი ადგილი არის საკურთხეველი, რომელიც ტაძრის ძირითადი სივრცისგან გამოყოფილია კანკელით (მართლმადიდებლურ ეკლესიაში — ტიხარი, ზღუდე, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ტაძრის ძირითადი ნაწილისგან). საკურთხეველი მდებარეობს ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში; ის განასახიერებს ზეციურ სასუფეველს, რომელიც განკუთვნილია ადამიანის ღმერთთან შეხვედრის, მასთან დაახლოების და წმინდა სერობისთვის. საკურთხეველში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ მართლმადიდებელ მღვდელმსახურს; ერში მცხოვრებ მამაკაცს კი, საკურთხეველში შესვლა შეუძლია ღვთისმსახურის კურთხევის შემთხვევაში. საკურთხეველი იმიტომ მდებარეობს ტაძრის აღმოსავლეთით, რომ აღმოსავლეთის მხარეს დანერგულ სამოთხეს მოასწავებს, ამასთანავე — ნიშნად იმისა, რომ ქრისტიანები უფლის მეორედ მოსვლას სწორედ აღმოსავლეთიდან მოელიან.

საკურთხეველში არის ოთხი მნიშვნელოვანი ადგილი: წმინდა ტრაპეზი; მღვდელმთავრის მაღალი დასაჯდომელი, რომელიც ტრაპეზის უკან დგას; სამკვეთლო და სალარო.

ტრაპეზი — არის ტაძრის საკურთხეველში მდგარი, ფარჩით შემოსილი მაგიდა, რომელიც ღმერთის ტახტს განასახიერებს. მასზე უხილავად თვით უფალი იესო ქრისტეა დაბრძანებული. ტრაპეზი ამასთანავე განასახიერებს უფლის საფლავს. საკურთხევლის შუაგულში მდგარ მაგიდას ტრაპეზი ეწოდება იმიტომ, რომ იქიდან მოგვეწოდება სულიერი საზრდო, მასზე აღესრულება ზიარების საიდუმლო. ტრაპეზი არის ნაკურთხი და მირონცხებული, მასზე დაბრძანებულია: ჯვარი, „სახარება“, ოდიკი, სანაწილე, შვიდსანთელა და სამირონე. ტრაპეზი დგას ერთ ან ოთხ ფეხზე, ასევე შეიძლება დადგან კიდობანზე. ერთი ბოძი სიმბოლურად მიგვანიშნებს ლერწმით გვემულ მაცხოვარს და იმ ლერწმის კვერთხს, რომლითაც ქრისტემ შემუსრა გველის (ბოროტის) თავი; ოთხი ბოძი — სიმბოლურად განასახიერებს ოთხ მახარებელს — ლუკას, მარკოზს, მათეს და იოანეს; კიდობანი კი, რომელიც წარმოადგენს ხის, ქვის, ვერცხლისა და სხვა მასალისგან ერთმანეთთან შეერთებულ კედლებს, მოგვაგონებს წმინდა მოწამეთა საფლავებს, რომლებზეც პირველი ტრაპეზები აღიმართებოდა.

ოდიკი — არის სელის ან აბრეშუმის ოთხკუთხა ქსოვილი, რომლის შუაგულში გამოსახულია მაცხოვრის დაფვლა (დასაფლავება). ოდიკის კუთხეებში გამოსახულია ოთხი მახარებელი და იესო ქრისტეს წამების იარაღები. ქვეშ აქვს წარწერა, თუ რომელმა ეპისკოპოსმა, როდის და რომელი ეკლესიისთვის აკურთხა იგი. ოდიკს შუაგულში გამოკერებული აქვს რომელიმე წმინდა მოწამის წმინდა ნაწილი. მასში წმინდანთა წმინდა ნაწილები ჩაკერებულია ნიშნად იმისა, რომ პირველი ქრისტიანები ზიარებას საფლავებზე აღასრულებდნენ — ანუ გვახსენებს, რომ პირველი ქრისტიანები იკრიბებოდნენ წმინდა მოწამეთა საფლავებზე, ასრულებდნენ ლიტურგიას და ეზიარებოდნენ. ოდიკი შეხვეულია ილიტონში (შესახვეველი), ის სიმბოლურად აღნიშნავს იმ სუდარას, რომელშიც გახვეული იყო იესო ქრისტე დასაფლავების დროს.

როგორც აღვნიშნეთ, ტრაპეზზე ასევე დაბრძანებულია „სახარება“ და ჯვარი; „სახარება“ მიგვანიშნებს თვით უფალ იესო ქრისტეზე — როგორც ჭეშმარიტ მასწავლებელზე. „სახარება“ არის ღვთის მიერ მოცემული და წმინდა მოციქულთაგან დაწერილი წიგნთა კრებული, სადაც ღვთის მიერი გამოცხადება ზუსტად და შეუცვლელად არის შენახული. „სახარება“ შედგება ოთხი წიგნისგან, რომლებიც შეიცავს მაცხოვრის შობის, ცხოვრების, ვნებისა და აღდგომის ამბებს. არსებობს ოთხი კანონიკური „სახარება“ — „ლუკას სახარება“, „მარკოზის სახარება“, „მათეს სახარება“ და „იოანეს სახარება“. „სახარება“ შედგენილია I-II საუკუნეების

მიჯნაზე. რაც შეეხება ტრაპეზზე დაბრძანებულ ჯვარს — ის ჯვარცმულ და ვნებულ მაცხოვარს გაგვახსენებს; ამასთანავე, ჯვარი არის ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდე და ხსნის სიმბოლო, რადგან მაცხოვარმა სწორედ ჯვარზე გაკვრით გვიხსნა მარადიული სიკვდილისაგან.

წმინდა ტრაპეზზე ასევე დაბრძანებულია სანაწილე, რომელშიც მთელი წლის განმავლობაში ინახება დიდ ხუთშაბათს (ვნების კვირის ხუთშაბათი) ნაკურთხი წმინდა ნაწილები. სანაწილეში შენახულ წმინდა ნაწილებს, ღვთისმსახურნი იყენებენ მომაკვდავთა და ავადმყოფთა საზიარებლად. სანაწილე დამზადებულია ოქროს ან სხვა ძვირფასი ლითონისგან, ის ერთდროულად გვახსენებს მაცხოვრის სამარხსაც და „ძველი აღთქმის“ კოლოფსაც, რომელშიც ზეციური მანანა ინახებოდა.

ტრაპეზზე დაბრძანებულ სამირონეში კი ინახება წმინდა მირონი. რაც შეეხება შვიდსანთელას — არის შვიდლამპრიანი შანდალი.

საკურთხეველში ასევე დგას მაღალდასაჯდომელი. ეს არის მღვდელმთავრის დასაჯდომელი ადგილი საკურთხეველში, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს იესო ქრისტეს ზეციურ ტახტს და მის მამის მარჯვნით ჯდომას.

საკურთხევლის სამხრეთ ნაწილში მოთავსებულია სალარო, სადაც ინახება სამღვდლო შესამოსელი, საეკლესიო ჭურჭელი და საეკლესიო წიგნები. საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილში კი დგას სამკვეთლო — ფარჩით შემოსილი მაგიდა, რომელზეც სრულდება კვეთა — ანუ მზადდება პური და ღვინო ზიარებისთვის. სამკვეთლო სიმბოლურად გამოხატავს ერთდროულად იმ გამოკვეთილ კლდესაც, სადაც იშვა მაცხოვარი და იმ მთასაც (გოლგოთას), სადაც მოხდა მაცხოვრის ჯვარცმა; სამკვეთლოზე დაბრძანებულია ის საეკლესიო ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს: ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი და სხვა.

P.S. სხვა საეკლესიო ნივთების შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

■

ჯიჯგელი ქალი-ლოტბარი და სიმღერის ოსტატთა სამი თაობა

ემა ტუხიაშვილი

საქართველოს სახალხო არტისტი, მომღერალი და ქალი-ლოტბარი — ასეთი წარწერა აქვს სახლს, სადაც წლების წინ, ქალბატონი მარო თარხნიშვილი ცხოვრობდა. ქართული სიმღერის ჰანგებს ამ სახლიდან ახლაც ხშირად გაიგონებთ და თუ იქ შეღწევის სურვილიც შეგიპყრობთ, ნუ მოგერიდებათ, კარი ყველასთვის ღიაა, ეს მარო თარხნიშვილის სახლ-მუზეუმია, სადაც მასპინძლობას ქალბატონი მაროს შვილიშვილები — კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი და ყოფილი მომღერალი თამილა თარხნიშვილი გაგიწევენ.

მარიკა კვალიაშვილი:

— ბებიაჩემი მარო თარხნიშვილი, გიორგი საakაძის შთამომავალი გახლდათ. მაროს მშობლები, ესტატე და ნატალია თარხან-მოურავები, დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ. ბებიაჩემის მამას სულ 9 შვილი ჰყოლია, მეცხრე ბებია იყო. ცხრიდან სამი, ვაჟი იყო და სამივე, სხვადასხვა მიზეზით ძალზე ახალგაზრდა გარდაცვლილა. გვარის გამგრძელებელი აღარავინ ჰყავდათ, ამიტომ გადაწყდა, რომ ბებია ისევ თარხან-მოურავზე გათხოვებინათ. ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა: მამამისს არ სურდა, რომ მისი ქონება და ადგილ-მამულები სხვა გვარის ადამიანს დარჩენოდა. ჩემი წინაპრები და თავად მარო თარხნიშვილიც კასპის რაიონიდან, სოფელ კავთისხევიდან არიან. ბებიას საქმრო ამ რაიონში, ოღონდ სოფელ ახალქალაქში მოუძებნეს. მართალია, დიმიტრიც და მარიამიც თარხან-მოურავების ერთ შტოს განეკუთვნებოდნენ, მაგრამ გვარის გადარჩენის მიზნით, სამღვდელოებამ მათ ნება დართო, რომ ექორწინათ. სამი შვილი შეეძინათ: თამილას მამა — ივანე თარხნიშვილი, დედაჩემი თამარი და დეიდა ნინო.

— სიმღერის სიყვარული ოჯახიდან მოსდგამდა ქალბატონ მაროს?

— მის ოჯახში მართლაც, ყველა მღეროდა. ბებიის დის ქმარი გახლდათ ია კარგარეთელი. მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო ნიკო სულხანიშვილიც, რომელსაც ჩვევად ჰქონდა, ახალ ნაწარმოებზე მუშაობისას, თარხან-მოურავებისთვის ოპერიდან ნაწყვეტები წაეღიღინა. ეს ის დრო იყო, როდესაც ის „პატარა კახს“ წერდა. 5 წლის მაროს კალთაზე დაისვამდა და უმღეროდა. ასე შეიქმნა „დაიგვიანეს“ ბებიასეული ვერსია, რომლის დავიწყების უფლება მარომ თავის სიცოცხლეში არავის მისცა. ასე ამღერდა 5 წლის ასაკში მარო თარხნიშვილი და თავდაპირველად, საკუთარი ნიჭის გამოაშკარავების შესაძლებლობა სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად გამართულ კონცერტებზე ეძლეოდა. ბებია ამბობდა: სოფლის გზაზე მიმავალ ურემს რომ დავინახავდი, აუცილებლად ზედ შემოვჯდებოდი და გლეხებს ურმულს ვამღერებდიო... 1910 წელს, საკმაოდ ახალგაზრდა მარო თარხნიშვილი, აყალიბებს ხალხური სიმღერის ანსამბლს, სადაც მასთან ერთად მისი მეუღლე და ბებიის და — ეკატერინე თარხნიშვილი მღერიან. ეს ის პერიოდია, როდესაც იწყება აქტიური ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ და ისინი იძულებული არიან, მალულად, სიმღერით მოიოხონ გული; გაზეთ „ივერიაში“ კი ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის წერილი, სადაც ის ამბობს, რომ დები თარხნიშვილები სწორედ მაშინ მოუწოდებენ სიმღერით ქართველობას — ხელი ხმალს იკარო! — როდესაც ჩვენს მშობლიურ ენას შველა ესაჭიროებაო...

მარიკა კვალიაშვილი

— პრობლემები ხომ არ შეჰქმნია ამის გამო?

— იქნებ, შეჰქმნია კიდეც, მაგრამ შეუპოვარი იყო ბებიაჩემი, ოჯახშიც ვერავინ უწევდა წინააღმდეგობას. რადგან ყოველთვის სამართლიანი იყო. 1924 წელს კი, იწყება ბრძოლა თავადაზნაურობის წინააღმდეგ, აკავებენ პაპაჩემს და ბიძაჩემს, რომელიც ამ დროს არასრულწლოვანია. მარო სასწრაფოდ მიემგზავრება თბილისში და იქიდან ჩამოაქვს საბუთი, რომლის თანახმად, არასრულწლოვანთა დაკავება კანონით იკრძალება და სწორედ იმ დროს მიდის სოფლის სასაფლაოზე, როდესაც მისი მეუღლე უკვე მკვდარი გდია მიწაზე, შვილი კი, მუხლმოყრილი ელოდება სასიკვდილო ტყვიას... ასე გადაარჩინა ბებიამ საკუთარი შვილი. როგორც ის მიყვებოდა, ეს იყო საშინელი პერიოდი მის ცხოვრებაში. დაღუპულთა ოჯახებს უფლება არ ჰქონდათ, მიცვალებულები ეგლოვათ... მარო იძულებული იყო, შვილი სოფლისთვის გამოერიდებინა და გორში დაემალა, ქალიშვილები კი, კავთისხევში გლეხების ანაბარა დაეტოვებინა. მოგვიანებით გლეხებს დაუსვამთ ბავშვები ურემზე, ზემოდან თივა გადაუფარებიათ და ასე მალულად ჩაუყვანიათ გორში, სადაც მათ მაზრის უფროსის დახმარებით იპოვეს დედა...

— კავთისხევში ან ახალქალაქში თუ შემოგრჩათ წინაპრების ნასახლარები?

— ნათესავების გარდა, იქ ჩვენ არაფერი გაგვაჩნია. ბებიის სახლში, სოფლის სკოლა დააარსეს და ალბათ ახლაც არის.

— თავის პროფესიონალურ საქმიანობას როდის დაუბრუნდა მარო თარხნიშვილი?

— ბებია დროებით გორში დასახლდა, სადაც მას პატარა სახლი გამოუყვეს. მეუღლის დაკარგვით მიღებული დიდი ტკივილის მიუხედავად, მან გამონახა საკუთარ თავში ძალა და გორშიც ჩამოაყალიბა სიმღერის ანსამბლი. მაგრამ იმ პერიოდში საქართველოში მოხდა მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრიც გორის მახლობლად მდებარეობდა და სამსახურიდან შინ დაბრუნებულ მაროს, სახლის ადგილას მხოლოდ გაპობილ-დახეთქილი მიწა დახვდა. როგორც ბებია ჰყვებოდა, მიწას იმ ადგილას პირი გაუღია და ერთიანად შთაუნთქავს სახლი. საბედნიეროდ, მისი ოჯახის წევრებიდან არავინ დაშავებული. შემდეგ ბებია თბილისში ჩამოვიდა და მაზლის — იორამ თარხან-მოურავის დახმარებით, რომელიც მხოლოდ იმიტომ გადაურჩა რეპრესიებს, რომ იმ პერიოდში პეტერბურგში სწავლობდა, ბებია კვლავ დადგა ფეხზე. ზაქარია ფალიაშვილმა ის კონსერვატორიაში მიიწვია, სადაც ბებია ხალხურ სიმღერას ასწავლიდა; ამის პარალელურად ქმნიდა ანსამბლებს, მართავდა სოლო კონცერტებს, მოგვიანებით კი ჩამოაყალიბა სახელმწიფო ანსამბლი, სადაც მისი შვილებიც მღეროდნენ.

— როგორც პირველი ლოტბარი ქალი, ალბათ დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობდა?

— მის გარეშე თითქმის არც ერთი კონცერტი არ იმართებოდა. უნიკალური ხმა ჰქონდა, რადგან კონტრალტო ქალებში დიდი იშვიათობაა. ჰამლეტ გონაშვილი ბებიას ამ სახლში სტუმრობდა და ბებია ეტყოდა ხოლმე: შვილო, შენი იმედი მაქვს, რომ ჩემებურად იმღერებო. მარო დროს არ იშურებდა გონაშვილისთვის და „ოროველას“, „ურმულს“ და „დაიგვიანეს“ ყოველ ფრაზას თვად ასწავლიდა.

— მისი საკონცერტო კაბები როგორ იქმნებოდა?

— ბებიას ხელსაქმე ეხერხებოდა: ქარგავდა, კერავდა, ქსოვდა. მაგრამ საკონცერტო კაბებს, იმ დროს სახელგანთქმული საშა „პარტნიო“ უკერავდა, თუმცა, მარო არც მისი ხელობით იყო სრულად კმაყოფილი და ბოლო შტრიხები სამოსში თავად შეჰქონდა ხოლმე. ბებია უპირატესობას ევროპულ სამოსსს ანიჭებდა — მაშინ, როდესაც მისი და, ეკატერინე მთელი ცხოვრება ქართული ეროვნული სამოსით დადიოდა. ეკატერინე 1956 წელს გარდაიცვალა და სიცოცხლის ბოლომდე, თავზე ჩიხტიკოპი ეხურა, ქუჩაშიც კი ასე დადიოდა. სხვათა შორის, ბებიის მულებს არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა საფრანგეთში გამართულ სილამაზის კონკურსში და გამარჯვებაც მოუპოვებიათ.

— ოჯახში შვილებთან და შვილიშვილებთან ურთიერთობისას როგორი იყო ქალბატონი მარო?

— მასზე უკეთესი დედა, ბებია და დიდედა ვერ წარმომიდგენია, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩემი შვილებიც მან გაზარდა. ოჯახში ბავშვის აღზრდას ყოველთვის თვითონ კისრულობდა და ამბობდა: ჩემსავით კარგად ამას თქვენ ვერ გააკეთებთო. ყველაფერში წესრიგი უყვარდა, დანიშნულ დროს აუცილებლად ყველას ერთად უნდა გვესადილა, გვევახშმა და ა.შ.

— ალბათ ბებიისგან მემკვიდრეობით ბევრი საინტერესო ნივთი გადმოგეცათ, თქვენთვის ყველაზე ძვირფასი რომელია?

— პირველ რიგში — ეს სახლი, რომელიც „გაჟღენთილია“ მისი ხმითა და სიმღერით. ამ სახლში იკრიბებოდნენ იმდროინდელი მაღალი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ბებიის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას არც ჩვენ ვღალატობთ და ხშირად ვაწყობთ

მარო თარხნიშვილი მის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო ანსამბლთან ერთად

მარო თარხნიშვილის მონაგარი

სალონურ შეხვედრას, რომელზეც ლექსითა და სიმღერით პაექრობა იმართება. სახლში ყველა ნივთი მისი ხელშენავლებია. როდესაც შინ მარტო ვრჩები, სიმარტოვის შეგრძნება არასდროს მეუფლება. ახლაც, ისევე, როგორც მრავალი წლის წინ მგონია, რომ თოთხმეტი ადამიანი უნდა მივუჯდეთ სუფრას და ჩვეულებრივი ოჯახური სადილის ბოლოს, ომახიანი ქართული სიმღერა შემოვძახოთ...

— ქალბატონი მარო ახალგაზრდა დაქვრივდა. თაყვანისმცემლები თუ ჰყავდა?

— ბევრი უძღვნიდა ლექსებს, მაგრამ მისი გული სერგო ნადარეიშვილმა დაიპყრო. ის პროფესიით პროვიზორი გახლდათ. ბებია მეორედ გათხოვდა და ამ ნაბიჯს იმითაც ხსნიდა, რომ ქალს, რომელიც დიდ დროს სცენაზე ატარებს, აუცილებლად სჭირდება მამაკაცი, რომელიც მის გვერდით იქნება და მასზე იზრუნებსო...

— თქვენს პროფესიულ არჩევანზე, ცხადია, ბებიამ იქონია გავლენა, არა?

— როგორც მოგახსენეთ, დედაჩემი ბებიასთან ერთად მღეროდა ანსამბლში, ამიტომ გასტროლებზე ყოფნისას, 7 თვის ასაკიდან, თან დავყავდი. საკმაოდ მშვიდი ბავშვი ვყოფილვარ, კულისებში გაბმულას მიბავდნენ და მაშინ, როდესაც სცენაზე კონცერტი მიმდინარეობდა, მე მშვიდად მეძინა. როდესაც ცოტა წამოვიზარდე და სიმღერის აღქმის უნარი გამიჩნდა, პირველი, რაც შევიგრძენი, ბებიის სააკვნო „იავნანა“ იყო. შემდეგ ანსამბლის საკონცერტო რეპერტუარიც შევისწავლე (ეს რეპერტუარი ხუთასი სიმღერისგან შედგებოდა) და როდესაც გაბმულაში აღარ ვეტეოდი, კულისებში ვიდექი და ანსამბლთან ერთად ვმღეროდი, რომ არ დამძინებოდა. 5 წლის ვიყავი, როცა კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა სკოლაში მიმიღეს. კარგად მახსოვს, შესარჩევ კონკურსზე ბებიამ წამიყვანა, დარბაზში რომ შევედით, მას ჟიურის წევრები ფეხზე წამოუდგნენ. იმდენად პატარა ვიყავი, რომ ინსტრუმენტთან უფროსებმა დამსვეს, როიალის პედალს კი, მხოლოდ ფეხზე დამდგარი ვწვდებოდი. რის ვაი-ვაგლახით შევასრულე ნაწარმოები. მეორე დღეს კი, ჟურნალ „ოქტომბრელში“ ჩემი მაქებარი სტატია დაიბეჭდა, ჩემს ფოტოსურათთან ერთად. ამ პერიოდში საბავშვო სიმღერებსაც ვთხზავდი, წლების შემდეგ ჩემს სიმღერებს ბებიის ანსამბლიც ასრულებდა.

— შეიძლება ითქვას, რომ თქვენთან ერთად თარხნიშვილების ტრადიციას ახლა ეკა კვალიაშვილი აგრძელებს...

— ეკა მართლაც ნიჭიერი მომღერალია და მას მთელი საქართველო იცნობს, ამიტომ მისი ქება მიკერძოებაში არ ჩამეთვლება. ეკას ხმა საოცრად ჰგავს დედაჩემის ხმას, როგორც ჟღერადობით, ასევე დიაპაზონით. თამილას ქალიშვილი, ნატო გულისაშვილი კი, თეატრის მსახიობია, თუმცა ხელოვნებასთან მისი შეხება სიმღერით დაიწყო. იგი ნოდარ ანდღულაძის მოსწავლე გახლდათ. საერთოდ, ბებიის მთელი შთამომავლობა, რომელიც 37 ადამიანს ითვლის, სიმღერის ნიჭით დაუჯილდოებია ბუნებას, ამიტომ სუფრასთან სიმღერა ნებისმიერს შეუძლია.

— მარო თარხნიშვილის სიმღერებს თუ ასრულებს ამჟამად ვინმე?

— ეკამ საკმაოდ გააზრებულად გააერთიანა თავისი ხმა დიდი ბებიის ხმასთან, ჩანაწერში, სადაც მარო თარხნიშვილის „ოროველას“ მისამღერი დაურთო. ამ სიმღერით კიდევ ერთხელ შეახსენა მსმენელს მარო თარხნიშვილის სახელი. პოპურიში გაჟღერდა აგრეთვე ჩემი სიმღერების ფრაგმენტები და ამ ყველაფრით წარმოჩინდა ჩვენი ოჯახის სამი თაობა.

— ამ სახლში მარო თარხნიშვილის სახლ-მუზეუმია განთავსებული, ახლა როგორია ინტერესი საზოგადოების მხრიდან მისი პიროვნების მიმართ?

— სხვადასხვა თაობის ადამიანები გვსტუმრობენ, მეტწილად — სკოლის მოსწავლეები მოჰყავთ პედაგოგებს. ფოტოარქივის დათვალიერების შემდეგ, ბავშვებს ხანმოკლე ლექციას ვუკითხავთ და მარო თარხნიშვილის შემოქმედებას ვასმენინებთ. საერთოდ, კარგი იქნება, თუ ქართველი მომღერლები არ დაივიწყებენ ქართულ ტრადიციებს და უცხოურ სიმღერებთან ერთად სათანადო ადგილს მიუჩენენ ნამდვილ ქართულ სიმღერას.

— ქალბატონო მარიკა, მსმენია, რომ მარო თარხნიშვილმა სიცოცხლე ერთი ხანგრძლივი ბგერით დაამთავრა...

— ბებია 78 წლის გარდაიცვალა. უკვე დაუძლურებული იწვა საწოლში და შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლიდა. მოულოდნელად ჩვენკენ, ახლობლებისკენ შემობრუნდა, ერთი ამოსუნთქვით მაღალი ბგერა აიღო — ისე, როგორც ამას სიმღერის დროს აკეთებდა ხოლმე — იმდენ ხანს გაჭიმა ეს ბგერა, ვიდრე თვითონაც არ დაიცალა... ასე, სიმღერაში დალია სული მარო თარხნიშვილმა.

■

მარიკა კვალიაშვილი
და თამილა თარხნიშვილი

ფინალი „პარკ დე ფრანსზე“ და პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონები

სულ უფრო ცოტა დრო რჩება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელსაც პორტუგალია უმასპინძლებს. ტურნირი 12 ივნისიდან 4 ივლისამდე გასტანს და მასში ბებერი კონტინენტის 16 უძლიერესი ნაკრები გუნდი მიიღებს მონაწილეობას. პირველობის 31 მატჩი 10 სტადიონზე გაიმართება, რომლებიც პორტუგალიის შვიდ ქალაქშია განთავსებული. ფინალური შეხვედრა კი, სტადიონ Da Luz-ზე შედგება, რომელიც 70000 მაყურებელს იტევს.

ალექსი რეხვიაშვილი

ევროპის პირველობა ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული საფეხბურთო ტურნირია, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, თუმცა მუნდიალთან შედარებით იგი გაცილებით გვიან დაიბადა. პირველად ბებერ კონტინენტზე ეროვნულ ნაკრებთა შორის შეჯიბრების გამართვის იდეა ფიფას კონგრესზე 1927 წელს, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, ანრი დელონეს წამოუყენებია. იმხანად დელონეს წამოწყების მიმართ მსოფლიო ფეხბურთის ბოსებს გულგრილობა გამოუჩენიათ. ხოლო 30 წლის შემდეგ, ეს თემა კვლავ აქტუალური გამხდარა.

კონტინენტის არსებული ჩემპიონატი ანუ ანრი დელონეს თასის გათამაშება პირველად, 1958-1960 წლებში გაიმართა. ამასთან, ანრი დელონეს თასის გათამაშების სახელით ტურნირი ორჯერ ჩატარდა – 1958-1960 (17 მონაწილე) და 1962-1964 (29 მონაწილე) წლებში. უკვე 1965 წლიდან კი, უეფას გადაწყვეტილებით, შეჯიბრებას ევროპის ჩემპიონატი ეწოდა, თუმცა თასმა ანრი დელონეს სახელი შეინარჩუნა.

ანრი დელონეს თასის პირველი გათამაშება ორ ეტაპად მიმდინარეობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწყის, შესარჩევ ეტაპში ევროპის 17 ქვეყნის ნაკრები ჩაება. სხვადასხვა მიზეზის გამო, ტურნირში მონაწილეობა არ ისურვეს ისეთმა წამყვანმა ევროპულმა ქვეყნებმა, როგორებიც ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია იყვნენ. სამაგიეროდ, 17 გუნდს შორის გახლდათ საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის ღირსებასაც ქართველი ოსტატებიც იცავდნენ. ევროპის თასის გათამაშების პირველი მატჩიც სწორედ კომუნიზმის მშენებელი „დიადი იმპერიის“ დედაქალაქში ჩატარდა. 1958 წლის 28 სექტემბერს, მოსკოვში საბჭოთა ნაკრებმა უნგრეთის გუნდს უმასპინძლა. ასე დაიწყო კონტინენტის ჩემპიონატის ისტორია.

„ლუჟნიკზე“ გამართულ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მატჩს 100572 კაცი დაესწრო, რაც დღემდე, რეკორდულ მაჩვენებლად ითვლება. ამ ისტორიული შეხვედრის მე-4 წუთზე, ანატოლი ილინმა საბჭოთა კავშირის ნაკრები დააწინაურა. მე-10 წუთზე, ნიკიტა სიმონიანმა უნგრელთა კარში კიდევ ერთი გოლი გაიტანა, თუმცა, გაურკვეველი მიზეზის გამო, ავსტრიელმა მსაჯმა გრილმა ეს ბურთი არ ჩათვალა. საბჭოთა გუნდმა მძაფრი იერიშები გააგრძელა და ერთ-ერთი შეტევა მალე, სლავა მეტრეველმა გოლით დააგვირგვინა. 32-ე წუთზე კი, ვალენტინ ივანოვის ზუსტი დარტყმის შემდეგ, უნგრელთა მეკარეს მესამედ მოუხდა საკუთარი კარიდან ბურთის გამოტანა. სტუმრებმა პრესტიჟის გოლის გატანა მხოლოდ 84-ე წუთზე შეძლეს (3:1).

ანრი დელონე

განმეორებით მატჩში, რომელიც ბუდაპეშტში 78 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მიმდინარეობდა, საბჭოთა გუნდმა მასპინძელთა ნაკრები 1:0 დაამარცხა და მეოთხედფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. მეოთხედფინალში ასევე გავიდნენ: საფრანგეთის, რუმინეთის, ავსტრიის, უგოსლავიის, პორტუგალიის, ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ევროპის თასის პირველი გათამაშების მეოთხედფინალურ ეტაპზე თავი იჩინა კონტინენტზე და საერთოდ, მთელ მსოფლიოში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ. ჯერ კიდევ 1959 წლის მიწურულს, საბჭოთა და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ამ ქვეყნების ნაკრებთა შორის მატჩები 1960 წლის 29 მაისს (მოსკოვში) და 9 ივნისს (მადრიდში) უნდა გამართულიყო. საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში დაგეგმილ შეხვედრამდე ათი დღით ადრე კი, ესპანელებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 26 მაისს, 32-კაციანი დელეგაციით ესტუმრებოდნენ მოსკოვს. ამასთანავე, ესპანელთა მწვრთნელი ელენიო ერერა მოსკოვს 19 მაისს ეწვია. მან სასტუმრო „მეტროპოლის“ ნომრები დაათვალიერა, სადაც გეგმის მიხედვით, ესპანელებს უნდა ეცხოვრათ, მოინახულა რესტორნის სამზარეულო და იქ მომსახურე პერსონალსაც კი გაესაუბრა. საღამოს, მან საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ამხანაგურ თამაშს უყურა, რომელშიც მასპინძლებმა ანგარიშით 7:1 გაიმარჯვეს. ამის შემდეგ, გავრცელდა ხმები, რომ დიქტატორმა ფრანკომ ესპანეთის გუნდის მწვრთნელებისგან მეოთხედფინალური ეტაპის მატჩებში გამარჯვების გარანტია მოითხოვა. საინფორმაციო სააგენტოები კი იუწყებოდნენ, რომ ესპანეთის ხელისუფლებამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას საერთოდ აუკრძალა საბჭოთა კავშირის გუნდთან თამაში. თუმცა 25 მაისამდე, როდესაც უეფამ განაცხადა, რომ ესპანელები მოსკოვში სათამაშოდ არ ჩავიდოდნენ, თავად ნაკრების ხელმძღვანელობას არც უარუყვია და არც დაუდასტურებია მეოთხედფინალურ მატჩში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ თავად ესპანელთა გუნდის მოთამაშეები და მწვრთნელი ბოლო მომენტამდე იმედს არ კარგავდნენ, რომ ქვეყნის ხელისუფლება მათ მოსკოვში გამგზავრების უფლებას მისცემდა. ისინი უკვე აეროპორტში იმყოფებოდნენ იმ დროს, როდესაც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალფონსო დე-ლა-ფუენტე ფრანკოსთან აუდიენციაზე შევიდა, ხოლო დიქტატორის რეზიდენციიდან გამოსვლისთანავე

სლავა მეტრეველი

ტელეფონით დაუკავშირდა ნაკრების წარმომადგენლებს და შეატყობინა, რომ მათ საბჭოთა კავშირში არ უშვებდნენ.

ბუნებრივია, ამ ფაქტს საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია გამოეხმაურა: „საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია მეტისმეტად შეშფოთებულია ფრანკოს ხელისუფლების უხეში ჩარევის გამო, რამაც შეხვედრა ჩაშალა. ფაშისტი ფრანკო და მისი ამქრები ყოველთვის მტრულად იყვნენ განწყობილი ხალხთა შორის მეგობრული კონტაქტების დამყარების მიმართ. მათ არაერთხელ ჩაუშლიათ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მიერ ორგანიზებული შეხვედრები. ეს აქტი ესპანელი ფეხბურთელების მიმართ ძალადობასაც შეიცავდა. მათ ხომ საბჭოთა ნაკრებთან მატჩის ჩატარება სურდათ. ესპანეთის ფაშისტ დიქტატორს არაფრად უღირს ოლიმპიური მოძრაობისა და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების პრინციპები. იგი თავის მბრძანებლებს – აშშ-ის იმპერიალისტებს ემორჩილება და სპორტში „ცივი ომის“ ელემენტების შეტანას ცდილობს“.

შექმნილი ვითარება უყურადღებოდ არც საბჭოთა კავშირის იმდროინდელ ლიდერს, ნიკიტა ხრუშჩოვს დაუტოვებია, რომელმაც 1960 წლის 28 მაისს, სოციალისტური შრომის დამკვრელების საერთო-საკავშირო შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ფრანკო ყველაფერში თავის ბატონებს ემორჩილება. მის ბოლო სპორტულ ტრიუკზე მთელი მსოფლიო იცინის. მან ამერიკული პრესტიჟის მარჯვენა მცველის პოზიციიდან საკუთარ კარში გაიტანა გოლი, როდესაც ესპანელ ფეხბურთელებს საბჭოთა კავშირის გუნდთან შეხვედრის უფლება არ მისცა“.

1960 წლის მაისის მიწურულს, მაინის ფრანკფურტში ევროპის თასის გათამაშების საორგანიზაციო კომისიის რიგგარეშე სხდომა შედგა, რომელმაც საბჭოთა ნაკრებთან მატჩში გამოუცხადებლობის გამო ესპანეთის გუნდი ტურნირიდან გამოთიშა.

ძნელია ამჟამად იმის განსაზღვრა, თუ როგორ დამთავრდებოდა საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა, რადგან იმ პერიოდში, ორივე ნაკრები ძლიერი იყო.

ევროპის თასის პირველი გათამაშების ფინალურ ტურნირში (ნახევარფინალური და ფინალური მატჩები), რომელიც საფრანგეთში ჩატარდა, საბჭოთა კავშირის გარდა, საფრანგეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია გავიდნენ.

პარიზში საბჭოთა გუნდი შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა: მეკარეები: ლევ იაშინი და ვლადიმირ მასლაჩენკო; მცველები: ვლადიმირ კესარევი, გივი ჩოხელი (თბილისის „დინამო“), ანატოლი მასლენკინი, ანატოლი კრუტიკოვი; ნახევარმცველები: იური ვოინოვი, იგორ ნეტო, ვიქტორ ცარევი; თავდამსხმელები: სლავა მეტრეველი (მოსკოვის „ტორპედო“), ვალენტინ ივანოვი, ვიქტორ პონედელნიკი, ვალენტინ ბუბუკინი, მიხეილ მესხი (თბილისის „დინამო“), იური კოვალევი, გერმან აპუხტინი და ზაურ კალოევი (თბილისის „დინამო). გუნდის მთავარი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი იყო, რომლის თაოსნობითაც 1956 წელს, საბჭოთა ნაკრებმა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა, ნაკრების მეორე მწვრთნელი კი, ნიკოლოზ გულიაევი გახლდათ.

ნახევარფინალურ შეხვედრებში, რომლებიც 1960 წლის 6 ივნისს გაიმართა, საბჭოთა კავშირმა ჩეხოსლოვაკია დაამარცხა (3:0), ხოლო იუგოსლავიამ – საფრანგეთი (5:4).

ფინალური მატჩი 1960 წლის 10 ივლისს, „პარკ დე ფრანსზე“ შედგა. პირველი ტაიმის მიწურულს, საბჭოთა ნაკრების კარში მილან გალიჩმა გაიტანა გოლი, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში, ანგარიში სლავა მეტრეველმა გაათანაბრა. ასე დასრულდა მატჩის ძირითადი დრო. დამატებით დროს, 113-ე წუთზე კი, ვიქტორ პონედელნიკმა მიხეილ მესხის ფლანგური გარღვევითა და ჩინებული პასით ისარგებლა და იუგოსლავიელთა კარში გამარჯვების გოლი გაიტანა (2:1). მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში კი, ჩეხოსლოვაკიამ საფრანგეთს სძლია (2:0). აღსანიშნავია, რომ ფრანგი გულშემატკივრები საკმაოდ გულგრილად მიუდგნენ ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებს. თავად განსაჯეთ: მესამე ადგილისთვის ჩატარებულ შეხვედრას მხოლოდ 10 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს, ხოლო ფინალურს – სულ რაღაც 18 ათასი.

ნახევარფინალური და ფინალური მატჩები საბჭოთა გუნდმა ერთი და იმავე შემადგენლობით ჩაატარა: იაშინი, ჩოხელი, მასლენკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო (გუნდის კაპიტანი), მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

პირველი ევროპის ჩემპიონი – საბჭოთა კავშირის ნაკრები

აი, რას წერდა ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი“ ფინალურ შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ნაკრების თამაშის შესახებ: „იაშინმა ისე წარმოაჩინა თავი, როგორც მისგან ყველა მოელოდა. მას თავისი რკინის ნერვებით, პოზიციის ზუსტი შერჩევისა და კარიდან დროულად გამოსვლის უჩვეულო უნარით ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. სამი მცველი – ჩოხელი, მასლენკინი, კრუტიკოვი – ბურთისთვის შეუპოვარი ბრძოლით უფრო იქცევდნენ ყურადღებას, ვიდრე თავიანთი ტექნიკით. გუნდის კაპიტანი ნეტო ხშირად, მეთხე მცველის ფუნქციას ასრულებდა. სამაგიეროდ, მეექვსე თავდამსხმელის როლში ვოინოვი გვევლინებოდა, რომელიც ხშირად ერთვებოდა იერიშში. დანარჩენ ფეხბურთელებიდან ყველაზე დიდი ყურადღება ფლანგის მოთამაშეებმა – მეტრეველმა და მესხმა მიიპყრეს. თავდასხმის ცენტრში კი, ბუბუკინი გამოირჩეოდა, რომელმაც დიდი შრომისუნარიანობა გამოავლინა. ივანოვი თითქმის არ ქმნიდა საგოლე სიტუაციებს და იგი შეტევებს მოედნის სიღრმიდან იწყებდა. ხოლო პონედელნიკი თავისი პარტნიორებისგან არცთუ ისე ხშირად იღებდა პასს“.

საბჭოთა გუნდს ფრანგი იუველირის, შობინის მიერ შექმნილი თასი გადასცეს. თასი ბერძნული ამფორის სტილში სუფთა ვერცხლისგან იყო დამზადებული. მის წინა მხარეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის დროინდელი ბარელიეფის რეპროდუქცია ამშვენებდა. ბარელიეფზე ათლეტური აგებულების ჭაბუკია გამოსახული, რომელიც ბურთით ჟონგლიორობს. ამ გარდამავალ ჯილდოსთან ერთად, საბჭოთა კავშირის ნაკრებს სამუდამოდ გადაეცა თასის მცირე ასლი, რომელიც თავისუფლად ეტეოდა მუჭში.

იუგოსლავიელებზე გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა გუნდს ეიფელის კოშკის ერთ-ერთ დარბაზში საზეიმო მიღება მოუწყვეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი, ტრიუმფატორებს „ლუჟნიკიზე“ გაუმართეს შეხვედრა. ანრი დელონეს საპატიო თასი ჯერ ВДНХ-ზე (სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე) იყო ექსპონირებული, ხოლო შემდეგ, „ლუჟნიკის“ სპორტულ მუზეუმში გადაიტანეს. 1964 წლის იანვარში, რეგლამენტის შესაბამისად, ევროპის თასი შვეიცარიაში, უეფას შტაბბინაში დააბრუნეს.

ნოვიცკის საცოლე კინოვარსკვლავობაზე ოცნებობს

„დალას მავერიკსის“ გერმანელი ლეგიონერი, დირკ ნოვიცკი 28 წლის რენეს ცოლად შერთვას აპირებს. ცოტა ხნის წინ, რენეს მშობლებმა ნოვიცკის თანხმობა განუცხადეს, თუმცა თავად მათი ქალიშვილი ამჟამად ჰოლივუდში მსახიობის კარიერის შექმნაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ქორწინებაზე. „ჩვენ ჩინებული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ამგვარი საუბრები უკვე მაღიზიანებს, – ამბობს გერმანელი ვარსკვლავი, – მას თავში მხოლოდ ლოს-ანჯელესი უტრიალებს და მთხოვს, რომ კალიფორნიაში წავიყვანო, მაგრამ მე ვიცი, რისთვის სურს მას იქ წასვლა. როგორ არ უნდა ესმოდეს რენეს, რომ ამჟამად ჰოლივუდი სავსეა მომხიბვლელი გოგონებით, რომლებიც კინოვარსკვლავობისთვის უკან არაფერზე დაიხევენ“. ნოვიცკის საცოლეს კი, როგორც ჩანს, ეს გარემოება სულაც არ აღელვებს, რადგან მან უკვე შეიძინა ბილეთები ლოს-ანჯელესის თვითმფრინავზე და კალიფორნიაში უახლოეს მომავალში გაემგზავრება, თანაც შეიძლება ეს სიჯიუტე მას შეყვარებულთან დაშორების ფასად დაუჯდეს. ■

ტოტი იმუქრება

ფრანჩესკო ტოტი „რომას“ დატოვებით ემუქრება კლუბის ხელმძღვანელებს, თუ გუნდის შემადგენლობას მაღალი კლასის მოთამაშეებით არ გააძლიერებენ. „აქ თამაში მსურს, მაგრამ ამაში აზრს ვერ ვხედავ, თუ ახალ სეზონში გუნდი ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებს“, – აცხადებს რომაელთა კაპიტანი, რომელიც მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში „რეალში“ გადასვლას აპირებს. ტოტის თქმით, კარგი იქნებოდა, თუ „რომა“ ედგარ დავიდსსა და კრისტიან ვიერის შეიძენდა. ■

იარომირს თმამ პრობლემა შეუქმნა

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ შენიშვნა მისცა ჩეხეთის ეროვნული ნაკრების ლიდერ იარომირ იაგრს: თუ ფორვარდი ვარცხნილობას არ შეიცვლის, მას ყინულის მოედანზე გასვლის უფლებას აღარ მისცემენ. საქმე იმაშია, რომ ჰოკეის წესების თანახმად, თმა მოთამაშის ფორმის ნომერსა და გვარს არ უნდა ფარავდეს. მიუხედავად ამისა, იაგრი მაინც გრძელ თმას ატარებს. ნებისმიერმა მსაჯმა, მიმომხილველმა და ქომაგმა იცის მისი ნომერი (68), მაგრამ იარომირს მაინც მოსთხოვეს თმის შეჭრა ან ჩაფხუტის ქვეშ შეკეცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვარსკვლავს თამაშის უფლებას აღარ მისცემენ. ■

ჩხუბი ქალ ფეხბურთელებსაც სცოდნიათ

მასობრივი ჩხუბით დასრულდა ინგლისის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ქალ ფეხბურთელთა შორის, რომელშიც North Ferriby United-მა Grimsby Town-ი ანგარიშით 3:2 დაამარცხა. ფინალური სასტვენისთანავე, დიდი შეხლა-შემოხლა დაიწყო, რომელშიც 30-ზე მეტი პირი მონაწილეობდა, როგორც ფეხბურთელთა, ასევე ქომაგთა მხრიდან. ამ ჩხუბში არა მარტო გულშემატკივრები და მოთამაშეები, არამედ მსაჯებიც გაილახნენ. თვითმხილველთა თქმით, მათ არასოდეს უნახავთ ამ კონფლიქტზე უფრო არასასიამოვნო სცენა. „ეს ქალთა ფეხბურთის დიდი ანტირეკლამა იყო“, – დასძინა „გრიმსბის“ მდივანმა, ჯეინ კირტონმა. ხოლო მისმა კოლეგამ „ნორტ ფერიბაიდან“, დეივ ფრეზერმა განაცხადა – ამაზე უფრო დიდი საშინელება ცხოვრებაში არ მინახავსო. ■

ესეც თქვენი ენრიკე ხულევიჩი...

ცოტა ხნის წინ, ენრიკე იგლესიასმა კონცერტები გამართა სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. „ენრიკე, არ ეჭვიანობ ანას გამო? – უკითხავთ მისთვის რუსეთში, – კურნიკოვას გაცნობაზე ხომ მსოფლიოს მილიონობით მამაკაცი ოცნებობს.“ „ანაზე საერთოდ არ ვეჭვიანობ, – ღიმილით უთქვამს ენრიკეს, – ჩვენ ერთმანეთთან ნამდვილი სიყვარული გვაკავშირებს. სიყვარული კი პირველ რიგში ურთიერთნდობაა. მე ლამაზი გოგონების მიმართ გულგრილი არ ვარ, განსაკუთრებით კი თქვენს ქვეყანაში, მაგრამ ანას ღალატს არ ვაპირებ“. პოპვარსკვლავის თქმით, მას არ სურს მამის გზით სიარული, რომელიც დღემდე გამოუსწორებელ მექალთანედ ითვლება. ენრიკე აპირებს, რომ მთელი თავისუფალი დრო შეყვარებულს მიუძღვნას. ამჟამად იგი ანასთან ერთად მაიამიში, საკუთარ ვილაში ცხოვრობს, რომელიც ლაგუნის სანაპიროზე მდებარეობს. სხვათა შორის, იქვე ახლოს ანას საკუთარი სახლი აქვს. რაც შეეხება ენრიკეს რუსეთში სტუმრობას, იქ მის პატივსაცემად ბანკეტებიც ეწყობოდა, რომლებსაც იგლესიასთან ერთად კურნიკოვაც ესწრებოდა. სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტებს კი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ის, რომ ანა ძირითადად მჟავე საჭმელებს ეტანებოდა, რის შემდეგაც მათ დასკვნაც გამოიტანეს: „ჰოო, ანა ფეხმძიმედაა! ესეც თქვენი ენრიკე ხულევიჩი!..“ ■

SSR - ამერიკული ოცნება

CHEVROLET SSR ამერიკაში საკულტო ავტომობილად იქცა. ეს საკმაოდ შთამბეჭდავი ზომების მანქანა დიზაინით ფერმერული პიკაპისა და ელექტროამძრავით აღჭურვილი დასაკეცსახურავიანი, ელეგანტური როდსტერის ჰიბრიდს წარმოადგენს. მსგავსი „შეჯვარების“ შედეგად შეიქმნა პროდუქტი, რომლის გამოც დღესდღეობით, აშშ-ში მომხმარებელთა რიგები დგას. Chevrolet SSR-ს მიჩიგანის ქარხანა აწარმოებს, სადაც ასევე უშვებენ Chevrolet TrailBlazer-სა და Tahoe-ს. SSR-ს თამამად შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოში ყველაზე დიდი როდსტერი: მისი სიგრძე 4,77 მ-ა, სიგანე – თითქმის 2 მ, მასა კი – 2159 კგ. წინა ბორბლების დიამეტრი 19 დუიმია, უკანა ბორბლებისა – 20 დუიმი. ბენზინის 8-ცილინდრიანი საბაზო აგრეგატი 5327 კუბ.სმ სამუშაო მოცულობისაა და 300 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. 100 კმ\სთ სიჩქარეს მანქანა სულ რაღაც 7,6 წმ-ში აღწევს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 192 კმ\სთ-ა. მის საბაზო კომპლექტაციაში შედის: კლიმატ-კონტროლი, აუდიოსისტემა, ტყავის სალონი, ელექტრომარეგულირებლებით აღჭურვილი სავარძლები და საბურავებში ჰაერის წნევის მაჩვენებელი ხელსაწყო. ეს უკანასკნელი დღესდღეობით, აშშ-ში ყველა ახალი ავტომანქანისთვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს: როგორც ამერიკელი ექსპერტები ირწმუნებიან, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თითქმის ნახევარი სწორედ საბურავებში წნევის ნორმის არასაკმარისი დონის გამო ხდება.

Chevrolet SSR შორეული მოგზაურობებისთვის იდეალური ავტომანქანაა: მისი საბარგულის მოცულობა 637 ლ-ს, საწვავის ავზისა კი – 95 ლ-ს შეადგენს. დღემდე ამ მოდელის სულ 3500 მანქანაა გამოშვებული. ფირმის მესვეურები წელიწადში 14 ათასამდე ეგზემპლარის წარმოებას გეგმავენ. აშშ-ში SSR-ის ფასები 42 ათასი დოლარიდან იწყება. ევროპაში მანქანა ოფიციალურად ჯერ არ იგზავნება, კერძო გზებით შეტანილი კი, მინიმუმ 65 ათასი ევრო ღირს. ■

Porsche-ს ტრაქტორი და გოტიეს Mercedes-Benz 600

გერმანიის ქალაქ ესენში დასრულდა რეტრო-ავტომობილების მე-16 საერთაშორისო სალონი Techno Classica. მსგავს სალონებს შორის, ეს მსოფლიოში უდიდესია. წელს 110 ათას კვ.მ ფართობზე გაშლილ 19 პავილიონში დაახლოებით 2500 ექსპონატი განთავსდა.

Volkswagen-მა Golf-ის მოდელის მთელი ისტორია წარმოადგინა – მოყოლებული პირველი მანქანიდან, რომელიც 30 წლის წინ, 1974 წლის 29 მარტს ჩაუშვეს წარმოებაში; ბავარიულმა კონცერნმა BMW-მ, თავისი პირველი მოდელის 75 წლისთავი აღნიშნა (ამ დრომდე, ფირმა საავიაციო ძრავებს აწარმოებდა); კომპანია Porsche-მ კი, დამსწრეთა სამსჯავროზე გამოიტანა ტრაქტორები, რომლებსაც წარმატებით უშვებდა 1956-1963 წლებში.

სხვა იშვიათი ექსპონატებიდან აღსანიშნავია Renault Alpine A 108 Cabriolet და 1936 წლის Peugeot 402 Eclipse. Skoda-მ წარმოადგინა რარიტეტი – Sagitta-ს კომპაქტური მოდელი, რომელიც ჩეხეთის ფარგლებს გარეთ პირველად გაიტანეს. სალონის დროს ჩატარდა ასევე სპეციალური გამოფენა – „ომამდელი პერიოდის საატომობილო არისტოკრატია“, სადაც მნახველებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ ისეთი იშვიათი მოდელები, როგორებიცაა: Cadillac V16, Maybach Zeppelin, Hispano-Suiza H6, Horch 853 Sport Cabriolet, Packard Twelve, Bentley Blower. ბევრი მანქანა იყიდებოდა კიდეც. მაგალითად, 1965 წლის გამოშვების Mercedes-Benz 600, რომელიც ფრანგ მოდელიერ ჟან-პოლ გოტიეს ეკუთვნოდა, 79 ათას ევროდ იყო შეფასებული. კერძო მფლობელები გაცილებით ნაკლებს ითხოვდნენ თავიანთ ეგზემპლარებში: მაგალითად, Opel GT 13.900 ევრო ღირდა, 20-წლიანი Mercedes 230 CE კი – 4.500 ევრო. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-19)

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

თბილისის ომის დროს მხატვარ ირაკლი იაშვილისაგან ორსულად დარჩენილი გვანცა, მისი ძმის, ლაშას თანაშემწედ მუშაობს. მას ირაკლისგან შვილი — პატარა ლუკა ჰყავს. გვანცას მოულოდნელად გამოეცხადება აფხაზეთის ომში დაკარგული მისი ყოფილი თანაკლასელი და ფიქტიური ქმარი ლუკა ჩადუნელი, რომელიც აუწყებს, რომ თბილისში მამამისი, მოსკოველი ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი ჩამოდის. ლაშას მასთან სარფიანი ხელშეკრულების გაფორმების იმედი აქვს, მაგრამ ეს საქმე ჯერ ლუკას გატაცების, შემდეგ კი, ლაშას დაჭრის გამო ჩაიშლება.

სარეანიმაციო განყოფილებაში ლაშას ორი უცნობი სასუნთქ აპარატს გამოურთავს, მაგრამ ექიმები ამჯერადაც დროზე მიუსწრებენ და ხელმეორედ გადაარჩენენ. მომხდარით შეშფოთებული მისი თანამშრომელი ივიკო გვანცას აფრთხილებს — იცოდე, ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმპეში მიგათრევსო... ლაშას პატიოსნების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა, თუმცა საკუთარ ეჭვებს გვანცას ჯერ ვერც ის უმტკიცებს. ამასობაში კი, ლაშა ნელ-ნელა ცხოვრებას უბრუნდება... საავადმყოფოში ლაშას სანახავად მისულ გვანცას, პალატაში ვიღაც უცნობი დახვდება, რომელსაც ხელზე ლუკას საათს დაუნახავს. გვანცა ამ ამბავს მაშინვე გიორგის შეატყობინებს, რომელიც უცნობთან დალაპარაკებას გადაწყვეტს, მაგრამ უცნობი ლაშასთან აღარ გამოჩნდება. მოგვიანებით, საათს გვანცას სამსახურში გაუგზავნიან...

ამასობაში, გიორგი ჩადუნელი საბოლოოდ რწმუნდება, რომ კანონიერი ქურდების ჩარევის გარეშე შვილს ტყვეობიდან ვეღარ გამოიხსნის და მოსკოვში დაბრუნებას გადაწყვეტს. ის თან გვანცას და პატარა ლუკასაც წაიყვანს. მოსკოვში ჩასული გვანცა, სრულიად მოულოდნელად, წლობით უნახავ მამას გადაეყრება...

— მამა! — სიხარულით შეჰკივლა გვანცამ, შემდეგ ლუკას ხელი უშვა და თავიდან ფეხებამდე ფქვილში ამოგანგლულ მიშა ჩოხელს კისერზე ჩამოეკიდა.

— რას შვრები? ტანსაცმელი დაგესვრება! — შეწუხდა მიშა და თან, აკანკალებული ხელი შვილს თავზე უხერხულად გადაუსვა.

— რა დროს ტანსაცმელია?! — მამას ახლა გულში ჩაეკრა გვანცა, თუმცა უცბადვე მოსცილდა და იქვე მდგარ ლუკას მიუბრუნდა: — ლუკა, შვილო, ეს ბაბუაა!

— თოვლის ბაბუა? — თვალები ინტერესით აენთო ბავშვს.

— არა, ნამდვილი ბაბუა... შენი ბაბუა...

— ჩემი ბაბუა გიორგია... — ჩაიბურტყუნა იმედგაცრუებულმა ლუკამ და მიშას უნდოდ ახედა.

— ესეც შენი ბაბუაა, სიხარულო! — შვილს ხელი წაავლო გვანცამ და მიშასთან თითქმის ძალით მიიყვანა. — აბა, ჩამოართვი ხელი და ჰკითხე — ამდენ ხანს სად იყავი-თქო?!.

მობუზულმა ლუკამ ახალმოვლენილი ბაბუა ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა და, როგორც იქნა, ხელი გაუწოდა:

— გამარჯობა...

— გაგიმარჯოს!.. — ორივე ხელი შეაგება მას აღელვებულმა მიშამ და თან, ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები შეანათა გვანცას...

— ჩემი და ლუკას შვილია... ჩემი კლასელი ლუკა ჩადუნელი ხომ გახსოვს? — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა გვანცამ და თავი დახარა.

— ლუკა? — წამით დაფიქრდა მიშა. — ლუკა როგორ არ მახსოვს?! — დაუმატა მან შემდეგ და შვილსა და შვილიშვილს ხელები ერთდროულად მოხვია: — თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი!..

წლების უნახავი მამა-შვილის შეხვედრის ამბავი წამში მოედო რესტორნის მთელ მომსახურე პერსონალს და მალე, ანგარიშში გართულ ლიას ყურამდეც მიაღწია:

— როგორ? — სახეზე გაოცება და იმედგაცრუება თითქმის ერთდროულად აღებეჭდა მას. — გიორგი ჩადუნელის რძალი ჩვენი მეპურის შვილია?!. — თუმცა, სახის ნაკვთები მალევე „დააწყო“ და მის კაბინეტში შესულ მამა-შვილს აღტაცებით შეეგება. სიხარულით აცრემლებული გვანცა კი, გულში ჩაიკრა და მაშინვე გაილექსა:

— ძალიან მიხარია, საყვარელო, ძალიან... პირველად როგორც კი დაგინახე, რატომღაც მაშინვე ვიფიქრე, რომ ჩვენთან შემთხვევით არ მოსულხარ — ნამდვილად ღმერთმა მოგიყვანა, იმან გაპოვნინა მამაშენი... ოღონდ, ჩვენი დახმარებით, რა თქმა უნდა, — ხანმოკლე პაუზის შემდეგ დასძინა მან და იქვე უხერხულად მდგარ მიშას მოწყალედ გაუღიმა: — დღეს დიდი პურის ჭამა გველის, მიშა ბატონო, და აბა, შენ იცი!..

მალე ლიამ და ლევანმა მართლაც, საგანგებო სუფრა გააშლევინეს, რომელსაც მიშა ჩოხელის მიერ გამომცხვარი შოთებიც ამშვენებდა, თუმცა თავად მათი „ავტორი“ ამჯერად, სუფრას სხვებთან ერთად ეჯდა და მომხდარით აშკარად აღფრთოვანებულ გიორგი ჩადუნელს ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდა...

— ჩემო მიშა! — მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ფეხზე წამოდგა გიორგი. — მოდი, ამ ჭიქით ჩვენს გულუხვ მასპინძლებს გაუმარჯოს! ეს-

ენი რომ არა, ვინ იცის, ოდესმე კი შევხვდებოდით ერთმანეთს?..

— არ ხარ მართალი! — გააწყვეტინა თამადას გვარიანად შეზარხოშებულმა ლევანმა. — მე და ლია რა შუაში ვართ?!. მთავარი „დამნაშავე“ ჩვენი გვანცაა: ეგ რომ არ გამოჩენილიყო აქ, შენ და ლიდია ჩვენს რესტორანში კიდევ დიდხანს ისე ივლიდით, რომ მიშას არსებობაზე წარმოდგენაც არ გექნებოდათ. არა ვარ მართალი? — გადახედა მან სუფრის წევრებს.

— მარტალი ხარ! — დამტვრეული ქართულით დაუდასტურა მას ლიდიამ და შემდეგ, რუსულად განაგრძო: — Но зачем столько философствовать! Встретились два близких человека и слава Богу!

— შენც მარტალი ხარ, ჩემო ლიდია! — გამოაჯავრა ლიდიას, ცოტა არ იყოს ნირწამხდარმა ლევანმა.

გიორგიმ კი კიდევ ერთხელ მიუჭახუნა ჭიქა მიშას:

— „ლილეს“ გაუმარჯოს-მეთქი — ჩვენს ლიასა და ლევანს!..

გვიან საღამოს, როცა სუფრის წევრები, როგორც იქნა, აიშალნენ, გიორგი გულითადად გამოემშვიდობა მიშას და მამის მხარს ჩაფრენილ გვანცას თანაგრძნობით ჰკითხა:

— რაო? გეშინია, კიდევ სადმე არ დაგეკარგოს?

— ახლა ვეღარსად დამეკარგება! — სიყვარულით სავსე თვალები შეანათა გვანცამ მამას.

— მაშინ მე დავიკარგები! — დაქადნებით წარმოთქვა პატარა ლუკამ და მამა-შვილის წინ გამომწვევად გაიჯგიმა.

— რატომ, საყვარელო? — მიუალერსა გვანცამ შვილს. — ყურადღება მოგაკლდა და გამიბრაზდი, ხომ?

— აბა, რა გეგონა, გაპატიებდა? — გაეღიმა გიორგის, შემდეგ ლუკა ხელში აიტაცა და უთხრა: — აბა, ერთი კაცურად დაეშვიდობე მიშა ბაბუას და წავიდეთ, თორემ უკვე გვიანია.

— ბატონო გიორგი, — მორიდებით დაიწყო გვანცამ.

— გისმენ, ჩემო კარგო, რა იყო? — დაინტერესდა გიორგი.

— რა და... ამაღამ მე და ლუკა ალბათ, მამასთან წავალთ...

— მამასთან?.. ასე გვიან?.. — შეწუხდა გიორგი.

— რა მოხდა მერე?.. ბარემ დედასაც დღესვე ვნახავ, თორემ, გული აღარ მითმენს... ხომ წაგვიყვან დედასთან, მამა? — მიუბრუნდა ის შემდეგ, იქვე მდგარ მიშას.

— დედასთან?.. — შეცბა იგი.

— ჰო... ხომ მითხარი, ბევრად უკეთ არისო?

— გითხარი, მაგრამ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა მიშამ.

— რა მაგრამ? — ხმა აუკანკალდა გვანცას. — არ დამიმალო, ხომ არ...

— არა, არა! — სასწრაფოდ ხელები გაასავსავა მიშამ. — ეგ რამ გაფიქრებინა?!. დედაშენი ცოცხალია და ბევრად უკეთ არის... მაგრამ ხომ იცი ექიმების ამბავი? ცოტა ხნით მაინც საავადმყოფოში გადამაყვანინეს... ამ დღეებში გამოვიყვან და მაშინ გაჩვენებ, კარგი?

— კარგი... — აშკარად გული დასწყდა გვანცას. — მაშინ შენი ბინა მაინც მაჩვენე.

— ბინა? — თავი ისევ დამნაშავესავით ჩაქინდრა მიშამ. — მე აქვე, საცხობის გვერდით მაქვს ერთი ოთახი...

— რას ამბობ? — მამა-შვილის ლაპარაკში მოულოდნელად ჩაერია გიორგი. — ამ პირობებში ავადმყოფმა ადამიანმა როგორ უნდა გაძლოს?!.

— არა, არა! — გააწყვეტინა მიშამ. — სწორად ვერ გამიგეთ! — როცა ანა საავადმყოფოდან გამომყავს, ბინას ვქირაობ ხოლმე, მარტოს კი, აქაც არა მიშავს რა, სამსახურთანაც ახლოს ვარ და ფულიც მეზოგება...

— თუ საიდუმლო არ არის, ლევანი რამდენს გიხდის? — დაინტერესდა გიორგი.

— საყვედური ნამდვილად არ მეთქმის... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მიშამ. — თუმცა, საქმეც არაა იოლი: მთელი დღე გავარვარებულ თონეში ჩემი მტერი იყოს ჩაკიდებული, მაგრამ გაჭირვება კაცს რას არ ჩაგადენინებს...

— კარგი, კარგი, ჩემო მიშა, — მხარზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა გიორგიმ ახალშეძენილ მძახალს, — ცოტაც კიდევ გაუძელი და იქნებ, ჩემთან გამოგინახო საქმე... ახლა კი, მართლა უნდა დაგტოვოთ და გვაპატიეთ...

— დედას როდის გამოიყვან? — დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ ჰკითხა გვანცამ მამას.

— როდის და... — ჩაფიქრდა მიშა. — ალბათ, ზეგ ან მაზეგ...

— კარგი, ხვალ დილით შემოგივლი და ზუსტად მითხარი...

— კი, შვილო, — დაეთანხმა მიშა, — როცა გინდა, მაშინ შემოიარე, მე მაინც სულ აქ ვარ...

მეორე დღეს, გვანცამ ლუკა ლიდიას დაუტოვა და თავად ისევ მამის სანახავად გასწია. მაგრამ ის რატომღაც ადგილზე არ დახვდა. გვანცამ ამბის გასაგებად ლიას მიაკითხა. კაბინეტში მას დოკუმენტებში თავჩარგული ლია დახვდა.

— უკვე მოხვედი, საყვარელო? — ღიმილით შეეგება ლია და რაღაცის საკითხავად შემოსულ ოფიციანტს ყავის მოტანა დაავალა. — აი, ასეა ყოველდღე! — ამოიოხრა მან შემდეგ და გვანცას დოკუმენტებზე ანიშნა, — მე ანგარიშით თვალებს ვითხრი, ჩემი ვაჟბატონი კი სულ აქეთ-იქით დარბის. როგორც რუსები იტყვიან, Создаёт видимость работы! თუმცა, რა დროს ჩემი და ლევანიკოს პრობლემებია?! მითხარი, შენ როგორ ხარ? ცოტათი ხომ მაინც დაიმშვიდე გული?..

— დიახ, რა თქმა უნდა, — სასწრაფოდ დაეთანხმა გვანცა. — მაგრამ სანამ დედაჩემს არ ვნახავ, მაინც ვნერვიულობ. თანაც, დღეს მამაც არ დამხვდა ადგილზე...

— ჰო, ვიცი. ლევანიკოს დილიდანვე დაეთხოვა — საქმეზე გავალო, — და ჯერაც არ დაბრუნებულა. ისე, ცოტა უცნაური კია ეს ყველაფერი... — სათქმელი აღარ დაასრულა ლიამ.

— რას გულისხმობთ? — დაინტერესდა გვანცა. — რა არის უცნაური?

— მამაშენის საქციელი... თავიდან, რამდენიმე წელი ჩვენთან ისე იმუშავა, ცოლ-შვილი რომ ჰყავდა, საერთოდ არ უხსენებია. მერე, ერთ დღესაც, დაგვეთხოვა — თბილისში ერთი-ორი დღით ჩავალო, — და დედაშენთან ერთად დაბრუნდა უკან... ისე, ირაკლიმ კი გაგვაფრთხილა — ძალიან გულჩათხრობილი კაცია და ნუ ჩაეძიებითო, — მაგრამ...

— ირაკლიმ? — ყურები ცქვიტა გვანცამ. — რომელმა ირაკლიმ?

— შენ არ გეცოდინება, — განაგრძო ლიამ. — ირაკლი იაშვილი ლევანიკოს ბავშვობის მეგობარია. მამაშენი ჩვენთან იმან მოიყვანა...

სწორედ ამ დროს, კაბინეტის კარი აქოშინებულმა ლევანმა შემოგლიჯა და მაშინვე მაგიდას ეცა:

— გადამრევს ეს ხალხი! ნამდვილად გადამრევს!.. და დოკუმენტების ნერვიული თვალიერება დაიწყო.

— რა მოხდა, აღარ იტყვი? — ეცა ქმარს ლია.

— მე გარეთ მოვიცდი... — უმალ ფეხზე წამოხტა გვანცა.

— ა-ა!.. გვანცა, შენც აქ ხარ? — ახლაღა შენიშნა სტუმარი ლევანმა. — ქვემოთ მამაშენი გელოდება.

...მიშა გვანცას თავის სამუშაო ადგილზე დახვდა, ოღონდ ამჯერად, ფქვილში ამოგანგლული შარვალ-ხალათის ნაცვლად, კოხტად მორგებული ჯინსის შარვალი და პერანგი ეცვა და თავის რუს შეგირდს რაღაცას დინ-

ჯად უხსნიდა.

— დიდი ხანია, მოხვედი? — გვანცას დანახვისთანავე მასთან გაჩნდა მიშა.

— გეტყობა, დღეს არ მუშაობ... — სიტყვა ბანზე აუგდო გვანცამ.

— ჰო... — დაიბნა მიშა. — ლევანს „ოტგული“ ვთხოვე, მაგრამ გულმა არ მომითმინა და ჩემს შეგირდს მაინც შევავლე თვალი: დღეს პირველად აცხობს პურს დამოუკიდებლად და...

— სულ მინდა გკითხო — შენ თავად როდისდა მოასწარი პურის ცხობის სწავლა? — დაინტერესდა გვანცა.

— გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ, სად მე და სად — პურის ცხობა?! პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, — ტყუილად კი არ არის ნათქვამი... მაგრამ მოსკოვში სამუშაოს შოვნა ძალიან ძნელია, მით უმეტეს — ჩემისთანა თავგზააბნეული კაცისთვის...

— გავიგე, ირაკლი იაშვილი დაგხმარებია აქ მოწყობაში... — გააწყვეტინა გვანცამ.

— ლიამ გითხრა, ხომ?.. — ჩაფიქრდა მიშა. — ისე, მართლა ვაჟკაცი აღმოჩნდა ის შენი მასწავლებელი: ჯერ ხომ გროზნოში არ მომცილებია გვერდიდან, მერე, როგორღაც მოსკოვში გადმოვიდა და მეც თან წამომიყვანა...

— ახლა სად არის? — რაც შეიძლება მშვიდი ტონით ჰკითხა გვანცამ.

— ახლა შვეიცარიაშია. მანამდე ერთი წელი, გერმანიაში იყო. მეც შემომთავაზა უცხოეთში წასვლა, მაგრამ თქვენ გამო ვერ გავრისკე...

— ჩვენ გამო? — გაოცდა გვანცა.

— უფრო სწორად, ანას გამო... — დააზუსტა მიშამ და დამნაშავესავით დახარა თავი. — როგორც კი ცოტა ფული მოვაგროვე, მაშინვე თბილისში წავედი და აქ გადმოვიყვანე...

— შეგეძლო, ჩვენც გენახეთ... არ გაინტერესებდა მაინც?.. იქნებ, ყველანი ამოვწყდით ომის დროს?!. — ღვარძლიანად ჰკითხა გვანცამ.

— ცოცხლები რომ იყავით, ვიცოდი, ნახვა კი არ შემეძლო — სხვისი საბუთებით ვიყავი ჩამოსული და უბანში ვერ გამოვჩნდებოდი...

— ფსიქიატრიულში როგორღა შეაღწიე?

— იქ საბუთები არავის მოუთხოვია: მთავარმა ექიმმა მაშინვე მიცნო და ანაც უპრობლემოდ გამომატანა, თანაც...

— სამაგიეროდ, თავად შეექმნა პრობლემა... — გააწყვეტინა გვანცამ. — შენ გამო იმ განყოფილებაში, ექიმიანექთანიანად, ყველა მოხსნეს. საწყალმა ექიმმა სულ ტყუილად ამტკიცა — იმ კაცმა ცოლი მხოლოდ ერთი საათით, სასეირნოდ წაიყვანაო...

— ვიცი, — ამოიოხრა მიშამ. — მაგრამ მოდი, ახლა ამაზე ნუ ვიკამათებთ. ხომ ხვდები, რომ სხვა გზა არ მქონდა?!.

— ვითომ რატომ არ გქონდა? — არ შეეპუა გვანცა. — ბებია და ბაბუა დედაჩემს მთელი ცხოვრება უშენოდაც კარგად უვლიდნენ! რისთვის წამოიყვანე და საწყლებს კინაღამ გულები გაუხეთქე!..

— Дядь Миш! — პირდაპირ სულზე მოუსწრო კუთხეში მიმწყვდეულ მიშას თავისმა რუსმა შეგირდმა. — Может, ещё раз посмотришь!

— Да, да, конечно! — გაუხარდა მიშას, საცხობში სასწრაფოდ შებრუნდა და შვილს მიაძახა: — ხვალ ნაშუადღევს მოდი და დედაშენთან წაგიყვან...

გვანცა ცოტა ხანს დაბნეული იდგა, შემდეგ, ერთი ამოიოხრა და ისევ ლიასკენ გაეშურა.

— რა მალე ამობრუნდი?! — შეწუხდა ლია. — მამაშენმა ისევ სადმე ხომ არ გაგასწრო?

— არა, ვნახე... მაგრამ მერე, შეგირდს დასჭირდა მიხმარება და... — სათქმელი აღარ დაასრულა გვანცამ.

— ჰო-ო... — უცნაურად გაწელა ლიამ. — მამაშენი ნამდვილი „სპეცია“, იმ რუსს კი, რა ეშველება, არ ვიცი... ახლა რა ვქნათ? ხომ არ გვესადილა? — საათს დახედა მან.

— არა, რას ამბობთ?! — იუარა გვანცამ. — ასე ნამდვილად ვერ შეგაწუხებთ... უბრალოდ, რაღაც მინდოდა, მეთხოვა და მაშინვე წავალ...

— აბა, ეგ რა ლაპარაკია, საყვარელო?! — გააწყვეტინა ლიამ. — ახლობლისთვის თუ არ შევწუხდი, აბა, ვისთვისღა უნდა შევწუხდე?! მითხარი, რით შემიძლია დაგეხმარო?

— ქალბატონო ლია, ბატონი ირაკლის კოორდინატებს ხომ ვერ მომცემდით? — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა გვანცამ.

— ირაკლი ვინღაა? — უცბად ვეღარ გაიხსენა ლია.

— ირაკლი იაშვილი, ვინც მამა თქვენთან მოიყვანა...

— ა-ა... — მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა ლიას. — მეც არა ვთქვი, რომელი ირაკლი-მეთქი?.. მოგცემ, როგორ არ მოგცემ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, შენ საიდანღა იცნობ ირაკლის... თუმცა, რას გეკითხები?! მამაშენმა გაგაცნო, ხომ?

— არა, — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა გვანცამ. — ის და მამაჩემი ერთმანეთს მე გავაცანი.

— შე-ენ? — გაოცება ვეღარ დაფარა ლიამ.

— ჰო, — ისევ მშვიდად დაუდასტურა გვანცამ. — ბატონი ირაკლი ჩემი ხატვის მასწავლებელი იყო. მერე, თბილისში ომი რომ დაიწყო, მთავრობის სასახლეში შეყვანა ვთხოვე — მამაჩემის ნახვა მინდოდა. ჰოდა, იქ გავაცანი ერთმანეთი...

— ა-ა... მეც არ ვიფიქრე — ლამის მამის ტოლ კაცთან რა ესაქმება-მეთქი?! თუმცა, ისე, ირაკლი პატარა გოგონებსაც ძალიან მოსწონდათ... — თვალები ეშმაკურად მოწკურა ლიამ.

— გამონაკლისი არც მე ვიყავი... — ლიას ცნობისმოყვარეობა საბოლოოდ დააცხრო გვანცამ.

— არც მიკვირს, საყვარელო... — სასწრაფოდ დაეთანხმა ლია და შემდეგ დასძინა: — ისე, დავიჯერო, ირაკლის კი არ ჩაუვარდა გულში შენისთანა მშვენიერი გოგონა?!.

— შეიძლება, არც ბატონი ირაკლი იყო მთლად გულგრილი, მაგრამ ჩვენ შორის ამის შესახებ ნამდვილად არაფერი თქმულა, — გამოცდას ბოლომდე გაუძლო გვანცამ.

— ჰო... რა თქმა უნდა... — თითქოს დანანებით ჩაილაპარაკა ლიამ. — ყველას თავისი ტოლი და სწორი უნდა... შენ და ლუკა კი, საერთოდაც, ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილები...

— დიახ, მეც ასე ვფიქრობ...

— გინდა, ირაკლის ახლავე დავურეკო? — მოულოდნელად ჰკითხა ლიამ გვანცას.

— მართლა? — სიხარული ვეღარაფრით დამალა გვანცამ.

— აბა, რა!.. — სასწრაფოდ ტელეფონის ყურმილი აიღო ლიამ...

გვანცასთვის დრო უსაშველოდ გაიწელა...

— გავიდა, სახლშია! — სიხარულით წამოიძახა ლიამ და მაშინვე ყურმილში ჩასძახა: — ალო, ირაკლი, მოგესალმები!.. ჰო, ლია ვარ... კარგად, თავად როგორ გიკითხო?.. ლევანი?.. არის, რა. ჭამის მადას ნამდვილად არ უჩივის... ირაკლი, ახლა რაზე გირეკავ... — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა გვანცას ლიამ. — გვანცა ჩოხელი თუ გახსოვს, შენი ნამწაფარი?.. გვანცა ჩოხელი-მეთქი!.. ჰოდა, ახლავე გალაპარაკებ...

ლიამ ყურმილი გვანცას მიაწოდა და თან, ჩურჩულით უთხრა:

— გაგიჟდა კაცი, ჩქარა დაელაპარაკე!

— ალო! — ჩასძახა ყურმილში გვანცამ და აშკარად იგრძნო, გული ყელში როგორ მოებჯინა...

— გვანცა, საძაგელო ბავშვო, მართლა შენ ხარ? — გაისმა ყურმილში ირაკლის გაოცებული ხმა.

— დიახ, მე ვარ... როგორ ბრძანდებ-

ით, ბატონო ირაკლი?

— რა თქვენობით და ბატონობით ლაპარაკი აგიტყდა?! — გაუკვირდა ირაკლის. — ლია ისევ მანდ არის?

— დიახ, მეც არა მიშავს... — უპასუხა გვანცამ.

ლიამ გვანცას ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკს ცოტა ხანს კიდევ უსმინა, შემდეგ ფეხზე წამოდგა და ხელით რაღაც ანიშნა.

— ერთი წუთით... — ჩასძახა გვანცამ ყურმილში და ლიას მიუბრუნდა: — ახლავე დავამთავრებ, ქალბატონო ლია...

— არა, საყვარელო... — იუარა ქალმა. — უბრალოდ, მზარეული მელოდება. ილაპარაკე და მეც მალე ამოვბრუნდები, კარგი?

— დიახ, ქალბატონო ლია, დიდი მადლობა, — უპასუხა გვანცამ და როგორც კი ლიამ კარი გაიხურა, ისევ ყურმილში ჩასძახა: — ალო, გისმენ!..

— როგორა ხარ, სიცოცხლევ? — მაშინვე შეეხმიანა ირაკლიც.

— როგორც მკითხულობ... — ხმა გაიმკაცრა გვანცამ.

— რა იყო? — დაინტერესდა ირაკლი. — უცბად წაიმწარე ენა?! მარტო ხომ არ დარჩი?

— მე მარტო, წლების წინ დავრჩი...

— მაინც, რამდენი წლის წინ?..

— რაც შენ უკვალოდ გაქრი... იმის ღირსიც არ ვიყავი, რომ ერთხელ მაინც დაგერეკა?!

— მერე?.. რა უნდა მეთქვა? იქნებ, გათხოვება მომელოცა?..

— ვინ გითხრა, რომ გავთხოვდი?

— ლაშამ. პირველად რომ ველაპარაკე, უკვე შვილიც გყავდა... რა იყო? ასე თუ გეჩქარებოდა ბავშვის გაჩენა, ვერ მითხარი?..

გვანცამ ირაკლის აგდებული ტონით დასმულ შეკითხვას დუმილით უპასუხა.

— მართლა, შენი ლაწირაკი ქმარი როგორ არის? — თავისას არ იშლიდა ირაკლი.

— არ ვიცი.

— რას ჰქვია, არ იცი? ხომ არ გაიყარეთ?

— ერთად არც არასდროს ვყოფილვართ...

— აბა, ბავშვი ციდან ჩამოგიფრინდა?!. ჰო, მართლა, რა დაარქვი? შემთხვევით, ირაკლი ხომ არა?.. — კიდევ ერთხელ იანგლა ირაკლიმ.

— არა. ლუკა.

— რატომ? მამამისის სახელი რომ არ დაგვიწყნოდა?!.

— ჩემი შვილის მამას ლუკა არ ჰქვია! — უპასუხა ირაკლის საბოლოოდ გამწარებულმა გვანცამ და ყურმილი გამეტებით დაახეთქა...

მეორე დღეს, რესტორანში მისული გვანცა მიშამ სასწრაფოდ ტაქსიში ჩასვა და როგორც კი მანქანა დაიძრა, მაშინვე დაიწყო:

— გავიგე, გუშინ ირაკლისთან გილაპარაკია...

— ჰო... შენი დახმარებისთვის მადლობა ვუთხარი... — მშვიდად უპასუხა გვანცამ.

— კარგად მოქცეულხარ... რას შვრება? დაბრუნებას ხომ არ აპირებს?

— არ ვიცი. ისე უცბად გაგვთიშეს, რომ თითქმის ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი, — იცრუა გვანცამ.

— იქნებ, ამ დღეებში მეც დავურეკო. ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია, წელიწადში ერთხელ მაინც ხომ უნდა მოვიკითხო...

— თვითონ რატომ არ გკითხულობს? — გაკაპასდა გვანცა.

— ვინ გითხრა, რომ არ მკითხულობს? ლევანთან ისე არ დარეკავს, რომ ჩემი ამბავიც არ იკითხოს...

ამასობაში მანქანამ ერთ უჩვეულოდ მყუდრო მოსკოვურ ეზოში შეუხვია და ძველებური სამსართულიანი სახლის სადარბაზოსთან გაჩერდა. მიშამ მძღოლს ანაგარიში გაუსწორა, გვანცას სადარბაზოში შეუძღვა და პირველსავე კართან გაჩერდა:

— მოვედით.

— დედა უკვე აქ არის? — შეკრთა გვანცა.

— ჰო, ამ დილით მოვიყვანე.

— მერე?.. ამდენ ხანს მარტო როგორ დატოვე?

— ნუ გეშინია, არაფერი მოუვიდოდა, — დაამშვიდა შვილი მიშამ და თან, კარს გასაღები მოარგო. — დედაშენი ახლა სულ სხვა ადამიანია...

— მოიცა! — შეაჩერა იმედმოცემულმა გვანცამ. — არ მითხრა, კიდეც ალაპარაკდაო...

— არა... — ამოიოხრა მიშამ. — ეტყობა, ეგ საქმე საბოლოოდ აღიკვეთა...

მიშამ კარი ფრთხილად შეაღო და გზა გვანცას დაუთმო. გვანცამ ზღურბლს მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გადაბიჯა და მალე, საკმაოდ დიდ და ნათელ ოთახში აღმოჩნდა. ოთახი ძველებური ავეჯით იყო მოწყობილი. ერთადერთ ფანჯარასთან კი გამხდარ-გალეული ქალი იდგა, ოდნავ გადაწეულ მძიმე ფარდას აკანკალებული ხელით ჩაჰბღაუჭებოდა და გარეთ იხედებოდა.

— ანა, — ხმადაბლა დაუძახა მას მიშამ. — მოვედით...

ქალმა მაშინვე ხელი უშვა ფარდას, შემდეგ ნელ-ნელა შემობრუნდა და გვანცამ უცნაურად თვალებანთებული დედამისი დაინახა.

— დედა... — ძლივსღა ამოთქვა მან და ანასკენ რამდენიმე ნაბიჯი ბორძიკით წადგა.

ანამ მაშინვე ხელები გაშალა და ფოთოლივით მოცახცახე შვილი გულში ჩაიკრა...

დედა-შვილის უსიტყვო ალერსს მიშა კარგა ხანს, სევდიანად უყურებდა, მერე ცოლს ისევ ხმადაბლა შეეხმიანა:

— ანა, ნამდვილად იცანი ჩვენი გვანცა?

უცბად, ანამ შვილის ალერსს თავი ანება, ქმარს მიუბრუნდა და საოცრად მშვიდი ხმით ჰკითხა:

— მიშიკო სადღაა?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ᲨᲔᲜ

კონერის დაჩაგრული ქალები და ცხოვრების მოვლენა შერეული – „ნამცხეცა“ მიშლინი

...ჟურნალისტის კითხვას პროვოკაციის ელფერი დაჰკრავდა. მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად აღიარებულმა კონერიმ შუბლი შეიკრა. დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი მსახიობი მუდამ სიმართლეს ამბობს. ამჯერადაც, გულახდილად უპასუხა: „ქალისთვის ხელის გარტყმაში საოცარი არაფერია. ერთადერთი რამ, რაც ასეთ შემთხვევაში შემიძლია, მამაკაცს ვურჩიო, — ნუ დაარტყამთ ქალს ისევე მაგრად, როგორც მამაკაცს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არსებობენ ქალები, რომლებთანაც ლაპარაკიც მხოლოდ სილის გაწვნის ენაზე შეიძლება...“

დიდი ტომი

შონად ის მოგვიანებით იქცა. თავიდან კი, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, ედინბურგის ერთ-ერთ კვარტალში მას, როგორც დიდ ტომს ისე იცნობდნენ. ვეებერთელა აუზ პოსტობელოზე საცურაოდ მისული გოგონები აღფრთოვანებული იყვნენ მაღალი, წარმოსადეგი მაშველით, რომელიც მსუბუქად აიტაცებდა ხოლმე ხელში მათ, დაღლილობისა და ემოციისგან დაუძლურებულთ. ადგილობივი იაფფასიანი რესტორნის მუდმივი კლიენტები კი იხსენებდნენ, თუ როგორ უსწორდებოდა იგი აღვირახსნილ მოქეიფეებს: დიდი ტომი სარჩოს, ამ დაწესებულების დაცვაში მუშაობითაც შოულობდა.

22 წლის ასაკამდე, ტომ კონერიმ რამდენიმე ხელობა გამოიცვალა, სამხედროსაზღვაო ფლოტშიც იმსახურა და კუჭის წყლულის გამო, თადარიგშიც გავიდა. კონერის კარგი, მაღალანაზღაურებადი სამსახური სჭირდებოდა. ახალგაზრდა კაცს კი, რომელსაც საშუალო სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული, მხოლოდ უბრალო მუშის ხვედრის პერსპექტივა ესახებოდა — ისევე, როგორც მამამისს. გარკვეული ხანი, ის ფეხბურთელის (ქალაქში საუკეთესო ფორვარდიც ყოფილა) ან თეატრის მსახიობის კარიერაზე ფიქრობდა. შესაძლოა, ამ დილემაზე ფიქრი გაჰგრძელებოდა კიდეც, რომ არა ქალები. ლონდონის თეატრალური დასის — „საუთ ფესიფიკის“ შესავსებად მოწყობილ გასინჯვაზე ტომს ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა, რომელიც, რომ იტყვიან, კისერზე ჩამოეკიდა და სიტყვის შეწევნასა და თავის პროტექციას შეჰპირდა მას. კონერის არ მორიდებია იმის გარკვევა, თუ რამდენს გადაუხდიდნენ მასობრივ სცენებში მონაწილეობისთვის (რაც მაშინ ცუდ ტონად ითვლებოდა) და მიღებულ წინადადებას დათანხმდა. კეროლ სოპელს თავდავიწყებით შეუყვარდა შოტლანდიელი გლეხუჭა და ყველა ღონეს ხმარობდა მის დასახვეწად: აწვდიდა ჭკვიანურ წიგნებს, ახვედრებდა საჭირო ადამიანებს და მისი ნიჭიერების შესახებ რეჟისორებს ეჩურჩულებოდა... სწორედ მაშინ შეიძინა მან სასცენო სახელად შონი.

ახალგამომცხვარი მსახიობი თანდათან ძალებს იკრებდა, უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლებს თამაშობდა და კვლავაც აძლევდა უფლებას კეროლს, თავდავიწყებით ჰყვარებოდა იგი, მაგრამ ეს მხოლოდ მანამდე გაგრძელდა, სანამ ჰორიზონტზე არ გამოჩნდა ფრიად განათლებული და დახვეწილი ჯულია ჰამილტონი. შონმა მალე „გადააყენა“ სოპელი და როცა ქალმა მას სკანდალი მოუწყო, დაუფიქრებლად გაგზავნა ნოკაუტში...

თავდაპირველად, კონერი ჯულიას მეტისმეტად გაუთლელი მოეჩვენა: სვირინგებით დამშვენებული ზორბა კაცი, რომელიც ოქროს კბილებითა და გამაშიშვლებელი მზერით გამოირჩეოდა, მაგრამ ნამდვილი მამრის მიმზიდველობამ თავისი გაიტანა და შონი ჯულიას პირველ მამაკაცად იქცა.

ჯეიმს ბონდის როლში

სექსი ზღვარზე

მაგრამ მის გვერდით მხოლოდ ის ქალი შეიძლებოდა დარჩენილიყო, ვინც ასევე პროცენტით აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს. შონი დაუფარავად ეუბნებოდა ჯულიას, თუ რას მოითხოვდა მისგან: მორჩილებას და მხოლოდ მორჩილებას! ქალის წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი ერთად დასახლდნენ და ჯულიამ საკუთარ თავზე იტვირთა საოჯახო საქმეები, სანამ კონერი საკუთარი შემოქმედებით იყო დაკავებული. ქალის მოვალეობებში მძიმე ჩანთების ზიდვაც შედიოდა, თუმცა შონი დროდადრო დაჰყვებოდა მას მაღაზიებში, ოღონდ — ფულს გადაიხდიდა თუ არა, მაშინვე დაწინაურდებოდა და არად დაგიდევდათ, რომ მის უკან ტვირთს რის ვაი-ვაგლახით მიათრევდა ჯულია. ერთხელ, ამ სურათს ჰამილტონის დედა შეესწრო, რომელმაც თავში ხელი შემოირტყა: მის ქალიშვილს ხერხემლის ოპერაცია ჰქონდა გადატანილი და სიმძიმის აწევა მისთვის დაუშვებელი იყო. ქალის პროტესტის პასუხად, შონმა ჯულიას მშობლებთან მისვლა აუკრძალა. ჯულია დამორჩილდა მას, მაგრამ ღამღამობით ჩუმად ტიროდა ხოლმე.

ქალს საბოლოოდ მაშინ უმტყუნა ნერვებმა, როდესაც შონმა ის თავის მშობლებთან შოტლანდიაში ჩაიყვანა. ოჯახური ვახშამი ბუხრის „თანხლებით“ კაცს ნერვებს უშლიდა. ძმასთან ნილთან ერთად ის დასალევად ახლომდებარე სტრიპტიზბარში გაეშურა, მა-

გრამ მოულოდნელად გამოჩნდა ჯულია, რომელიც აცრემლებული საყვედურობდა — ასეთ დღეს, მარტო როგორ დამტოვეო?! ნერვებაშლილმა შონმა მას სილა უთავაზა. ჯულიას რეაქცია სრულიად მოულოდნელი იყო: ის ფეხებში ჩაუვარდა შონს და პატიება სთხოვა. არანაკლებ მოულოდნელი იყო კაცის პასუხი: მან უარი თქვა პატიებაზე. ჯულია ჰამილტონი მშობლიურ სახლში დაბრუნდა. ამ დროისთვის, თეატრში იყო ერთი ქალბატონი, რომელიც დიდი ხანია, ყურადღებას იჩენდა კონერის მიმართ; შონმა იფიქრა, რომ დადგა დრო, როდესაც მას უნდა დაახლოებოდა.

მანამდე, მას არა ჯულიასადმი ერთგულება აკავებდა, არამედ ის, რომ მწვანეთვალება დიანა სოლენტო გათხოვილი ქალი იყო და მისი ქმარი — იტალიელი მწერალი ანდრე ვოლპე სულ მის გვერდით იმყოფებოდა. მაგრამ იმ დროს, როცა შონი გათავისუფლდა, ვოლპეც რაღაც საქმეზე სამშობლოში გაემგზავრა...

მათი რომანი კარგა ხანს, ყველასთვის დაფარული იყო. საფრთხე კიდევ უფრო ამძაფრებდა გრძნობებს. დიანა და შონი მაშინაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, როცა ვოლპე დაბრუნდა და ქალი ფაქტობრივად, ქმრის ცხვირწინ ბედავდა მის ღალატს. ამბობენ, ყოფილა შემთხვევები, როცა ისინი სცენაზე გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრეც კი, საგრიმიოროში ეძლეოდნენ სიყვარულს. კონერიმ რამდენჯერმე სთხოვა ქალს ცოლობა, მაგრამ უარი მიიღო და მხოლოდ მაშინ, როცა კონერიმ ჯეიმს ბონდი განასახიერა და ამ როლით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, დიანამ თქვა — მან საკუთარი თავი ითამაშაო, — და მასთან შეუღლებაზე დათანხმდა.



...მალე შონი მასზე პატარა ბიჭივით იყო შეყვარებული და კიდევ ერთი ოჯახის დანგრევის ცოდვა დაიდო კისერზე

მამაკაცური სამართალი

ქმრის სტატუსში ყოფნის დროსაც, კონერი არასდროს მალავდა იმას, რომ აქვს სრული უფლება, გვერდზე გაიხედოს, როგორც კი ეს მოესურვება. ერთხელ ედინბურგში, სადაც მან, ჯულიასავით, მშობლებთან ჩაიყვანა დიანა, შონი ძმასთან ერთად ლუდის საყიდლად მაღაზიაში გავიდა და... შუაღამისას დაბრუნდა ღამის კლუბიდან. — „მოვედი, ძვირფასო!" — დაიძახა მან და უმალ მოხვდა სახეში ვახშამი, რომელიც დიანას მომზადებული ჰქონდა. შეხლა-შემოხლისას, შონის ძმა უმალ გაეცალა იქაურობას, მშობლები კი, შეშფოთებულნი უსმენდნენ სხვა ოთახიდან ჭურჭლის მსხვრევის ხმას. ცოტა ხანში, მას მოჰყვა სრულიად სხვაგვარი — შეყვარებული წყვილის ოხვრა: ცოლ-ქმრის ჩხუბი ხშირად გვირგვინდებოდა ტემპერამენტიანი სექსით, მაგრამ შონი არ აძლევდა ცოლს იმის უფლებას, რისი უფლებაც თავად ჰქონდა.

...ბარში მკრთალი შუქი კრთოდა. შონმა თვალი მოავლო დარბაზს და უეცრად, თავისი ცოლი დალანდა. დიანა მარტინის წრუპავდა და ვიღაც ყმაწვილს ებაასებოდა. წინადღეს, შონი კვლავ ძალზე გვიან დაბრუნდა შინ და საჭიროდაც არ ჩათვალა, ცოლისთვის აეხსნა, თუ რატომ. სახლში სიჩუმეს დაესადგურებინა, მათი შვილი ჯეისონი ტკბილ ძილს მისცემოდა. დიანა არც შეტოკებულა, როცა ქმარი მას გვერდით მიუწვა. მეორე დღეს, საღამო ხანს, თავად გაუჩინარდა.

...შონი მას სრულიად მოულოდნელად წამოადგა თავზე და უბრძანა:

— ამწუთას ადექი და გამომყევი.

შეშინებული ყმაწვილი უმალ აორთქლდა, დიანამ ამაყად ასწია თავი და წამოდგა. გზად ის ცდილობდა, წამოეწია თანასწორობის თემა და დროდადრო, შოტლანდიელ გლეხუჭასაც კი უწოდებდა ქმარს. შონი ხმას არ იღებდა. შინ მისულმა კი, საბაზანოში შეიყვანა და ისე მაგრად დაარტყა, რომ ქალი მარმარილოს იატაკზე გაიშხლართა. შემდეგ, ცალი ხელით წამოაყენა და... დარტყმა გაიმეორა.

იმ დღიდან, მათ ოჯახში იდილიამ დაისადგურა. მანამდე, სანამ დიანამ ხელი დაავლო შვილს, შონი მიატოვა და განქორწინების შესახებ განცხადება შეიტანა სასამართლოში. გაყრის შედეგად მას კონერის ქონების დიდი ნაწილი ერგო.

შონს თითქმის გადაეწურა იმის იმედი, რომ ოდესმე შეხვდებოდა ისეთ მეორე ნახევარს, რომელიც სათანადოდ შეაფასებდა მის ძლიერ ხასიათს, ოჯახის რჩენის შესაძლებლობებს, გადაწყვეტილებების მიღებისა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარს. და აი, მოულოდნელად, მისთვის სათაყვანებელი გოლფის შეჯიბრზე მაროკოში კონერიმ გაიცნო ასეთი ქალი — მხატვარი მიშლინ როკბრუნი. ის შონზე უფროსი იყო, სიმაღლით მხრებამდე ძლივს სწვდებოდა მას, გათხოვილი და ორი შვილის დედა გახლდათ. მაგრამ მალე შონი მასზე პატარა ბიჭივით იყო შეყვარებული და მოკლე ხანში, კვლავ დაქორწინდა, თანაც ისე, რომ კიდევ ერთი ოჯახის დანგრევის ცოდვა დაიდო კისერზე.

შონი და მიშლინი უკვე 30 წელია, ერთად არიან და კონერი „თავის ნამცეცას" ცხოვრების საუკეთესო შენაძენად მიიჩნევს... ■

შარლიზ ტერონი „ჯინკსში“ მიიწვიეს

ქალის საუკეთესო როლის შემსრულებელი („მონსტრში“) – „ოსკარის“ პრემიის მფლობელი შარლიზ ტერონი მთავარ როლზე მიიწვიეს ფილმ „ჯინკსში“, რომელსაც ბრაიან მაიკლ ბენდისის კომიქსების წიგნის მიხედვით გადაიღებენ. სურათის შექმნაზე იზრუნებს Universal Pictures-ი. თავად წიგნი მოგვითხრობს დაქირავებულ მკვლელზე, რომელიც განძს სხვა ბოროტმოქმედებთან ერთად ეძებს, ამის შემდეგ მათ ახალი ცხოვრების დაწყება აქვთ განზრახული.

ბრაიან მაიკლ ბენდისი ბედს არ უჩივის, ვინაიდან იგი ბოლო ორი წელია, საუკეთესო მწერლად არის აღიარებული, ამასთან, ხუთი „ეისნერიც“ აქვს მიღებული („ოსკარის“ ანალოგი კომიქსებში). ■

პოლანსკი „ოლივერ ტვისტზე“ მუშაობას იწყებს

რომან პოლანსკი 12 ივლისს პრაღაში ჩარლზ დიკენსის რომანის „ოლივერ ტვისტის“ ეკრანიზაციაზე მუშაობის დაწყებას აპირებს. მისი ვარაუდით, გადაღებები ოთხ თვეს გასტანს. ფილმს, რომლის ბიუჯეტიც 45 მილიონ ევროს შეადგენს, პოლანსკი თავის ვაჟებს – 11 წლის მორგანსა და 6 წლის ელვისს უძღვნის. ფილმის შექმნაზე მასთან ერთად ფრანგი პროდიუსერი რობერ ბერმუსა იმუშავებს. მათი ტანდემი ფილმში „პიანისტი“ საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ოლივერ ტვისტის როლზე რეჟისორმა ათი წლის ბრიტანელი ბარნ კლარსი მიიწვია, ხოლო დამრიგებლის – ბენ კინგსლი, რომელსაც მაყურებელი ფილმებით – „განდი“ და „შინდლერის სია“ იცნობს. ■

სემ მენდესი ომზე თვილმს იღებს

სპარსეთის ყურეში სამხედრო მოქმედებებზე ენტონი სვოფორტის მიერ დაწერილი მემუარების მიხედვით „ოსკაროსანი“ რეჟისორი სემ მენდესი ფილმ Jarhead-ს გადაიღებს.

სცენარისტმა – გადამდგარმა საზღვაო ჯარისკაცმა – უილიამ ბროილერმა ზუსტად განსაზღვრა ომის აღწერის ავტორისეული ხედვა, რითაც მოხიბლა კიდეც სტუდია Universal-ის ბოსები და პროდიუსერები.

მისტერ მენდესი, რომელსაც არასოდეს ჰქონია კავშირი ჯარისკაცებთან, აღფრთოვანდა ხელნაწერით და სულმოუთქმელად ელის გადაღებების დაწყებას. „...არადა, ამ შეიარაღებულმა კონფლიქტმა, რომელიც კინემატოგრაფისტთა ყურადღების მიღმა დარჩა, ძლიერი ზეგავლენა მოახდინა შუა აზიაში მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე“, – აღნიშნა რეჟისორმა. ■

მარმრა სტრეიზანდი თავის ქონემას ყიდის

მომღერლისა და მსახიობის ბარბრა სტრეიზანდის ოთხასი ნივთი მალე საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდება. აუქციონი სახელწოდებით „მისი სახელია ბარბრა“, 5 ივნისს შედგება ჰოლივუდში. მასში როგორც ადგილზე, ისე ინტერნეტითაც შეიძლება მონაწილეობის მიღება. გასაყიდ ლოტში „სასაცილო გოგონასა“ და „ვარსკვლავის დაბადების“ კოსტიუმები, აგრეთვე ავტოგრაფები, პლაკატები და სხვა მრავალი ნივთი შედის. მათი წინასწარი ჩვენება 10-დან 31 მაისის ჩათვლით ნიუ-იორკსა და ლონდონში შედგება. ■

დეიმონის ახალი სიყვარული

მეთ დეიმონს ახალი სიყვარული ეწვია. ახლა ის ინტერიერების დიზაინერს ლუჩანა ბაროსოს ხვდება. როგორც ამბობენ, ამჯერად მეთისთვის ყველაფერი სერიოზულადაა. თუმცა, მასთან ყველაფერი ყოველთვის სერიოზულადაა: როცა პენელოპა კრუსს და მინი დაივერს ხვდებოდა, მაშინაც საქმე „სერიოზულად“ იყო. ასე ხდებოდა ვაინონა რაიდერთან და ევა მენდესთან („სერიოზულად“ და ხანმოკლედ) ურთიერთობის დროსაც. ასე რომ, ლუჩანას რამდენად სერიოზული რომანი ელის დეიმონთან, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ■

აკაკი გეგენავა

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ №18

ბუფალოელი ჰარი და ფილიპიც ასე დავიმეგობრე. ეს ორი, ცხოვრებისგან გარიყული ამერიკელი ახლა ჩემგან ელოდა დახმარებას: ერთს ჩემს კომპანიაში უნდოდა მუშაობის დაწყება, მეორისთვის კი, სასურველი კლიენტი გახლდით, ნიაგარის ჩანჩქერზე უნდა წავეყვანე...

გზა ნიაგარისკენ...

ჰარის ძველი მოდელის „კადილაკი“ 8 საათზე დათქმულ ადგილას მელოდა. „ასაკი“ ეტყობოდა, საღებავიც ალაგ-ალაგ გადაცლილი ჰქონდა, მაგრამ ბუფალოელი მეგზური იხტიბარს მაინც არ იტეხდა – ისე საგულდაგულოდ აპრიალებდა და მხიარულად ღიღინებდა, თითქოს მის წინ ახალნაყიდი უახლესი მარკის „მერსედესი“ იდგა. აშკარად კარგ ხასიათზე იყო.

– აკაკი, მოგზაურობისთვის მზად ხარ? – გადმომძახა მხიარულად.

– რა თქმა უნდა!

– ახლავე წავალთ, ფილიპს ველოდები!.. – ჰარიმ მაღაზიისკენ გაიხედა, საიდანაც ფილიპი გამოვიდა. ხმაურიანად მომესალმა, ისე, როგორც ლოთებმა იციან და თან ისეთი თვალებით შემომხედა, მივხვდი, რაღაც უნდა ეთხოვა ჩემთვის.

– აკაკი, ხომ გიშოვე მეგზური ნიაგარამდე? ახლა შენი ჯერია!..

– პირდაპირ მითხარი, რა გინდა? – შევაგულიანე.

– „ბუდვაიზერის“ ორი ბოთლი, ერთი მე და ერთიც ჰარის!

– ჰარის რად უნდა ლუდი? საჭესთან ზის, „კოკას“ მოვუტან...

– შენ რა, გაგიჟდი? რა „კოკა“? ლუდი მინდა! – გააპროტესტა ჰარიმ.

– მერე საგზაო პოლიცია?! – ამერიკელი პოლიციელების სიმკაცრე რომ ვიცოდი, იმიტომ გამიკვირდა.

– ლუდი მომიტანე და პოლიციას მე მივხედავ. შენ კიდევ არ იცი, ვისთან გაქვს საქმე! – წაიტრაბახა ჰარიმ და მხარზე ხელი დამარტყა. ხარჯი ხარჯია-მეთქი, – ვიფიქრე, ორი ბოთლის ნაცვლად, მომცრო ბოთლების მთელი შეკვრა შევიძინე და ახალ მეგობრებთან თავი მოვიწონე...

ჰარიმ თვალის დახამხამებაში წააძრო ბოთლებს თავსახურები, ჩამოგვირიგა და თვითონ ისე მიიყუდა, იფიქრებდი, წყურვილისგან იხრჩობაო. ფილიპმაც მას მიჰბაძა და „ხმაშეწყობილად“ სვამდნენ. ორივემ ერთდროულად გახსნა მეორე ბოთლი და მესამესაც რომ დაადგეს თვალი, ჰარის გაახსენდა, რომ წასასვლელი ვიყავით. მანქანაში ჩაჯექიო, მანიშნა...

როგორ გამაამერიკელა ნიაგარის ჩანჩქერმა...

ხშირად უთქვამთ ჩემთვის — ან იღბლიანი კაცი ხარ, ან ძალზე მოხერხებული, ამდენ სხვადასხვა ჯურის ადამიანთან საერთო ენის გამოძებნას რომ ახერხებო. არადა, მართლაც ასეა. ეს კი ვფიქრობ, იმის წყალობით ხდება, რომ უბრალოდ, ყველა ადამიანში მხოლოდ იმას ვამჩნევ, რაც კარგი აქვს და ამაზე ვამახვილებ კიდეც ყურადღებას. ცუდს თითქოს ვერ ვხედავ. ასეთი დამოკიდებულება კი, მეტნაკლებად ყველას სიამოვნებს და შედეგიც არ აყოვნებს... უამრავი მეგობარი და ნაცნობი მყავს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

ბუფალოდან ნიაგარის დასახლებამდე (ასე უწოდებენ სასტუმროებისა და კაფეების კომპლექსს ჩანჩქერის სიახლოვეს) სულ რაღაც ათი მილი იყო გასავლელი. ჰარის მორყეული კადილაკი ისეთი გრუხუნით მიდიოდა, მეგონა, სადაცაა დაიშლება-მეთქი. ჰარის გზაში ბევრი არ ულაპარაკია, მაგრამ რომც ელაპარაკა, მაინც ვერაფერს გამაგებინებდა – სალონში აუტანელი ხმაურის გამო. ჰარის კადილაკი, მიუხედავად იმისა, რომ თავმომწონე კაცი ვერსად გამოაჩენდა, ტურისტების ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ნიაგარისკენ მიმავალი გზა ხომ გადაჭედილია ტურისტების ავტომობილებით, ჰოდა, რატომღაც ყველანი ვალდებულად თვლიდნენ თავს, ჩვენს მანქანას რომ გაუსწრებდნენ, ყიჟინით მოგვსალმებოდნენ. მოკლედ, იყო ერთი რია-რია.

ერთ-ერთ მოსახვევთან საგზაო პოლიციელის საპატრულო მანქანა იდგა. უსიამოვნოდ შევიშმუშნე: ჰარის ხომ ლუდი ჰქონდა დალეული?! ახლა იმაზე ფიქრი დავიწყე – პოლიციელმა რომ გაგვაჩეროს, რა გვეშველება-მეთქი. მაგრამ საპირისპირო რამ მოხდა: ჰარიმ პირდაპირ საპატრულო ავტომობილთან დაამუხრუჭა. ჩვენი გაჩერება და საპატრულო მანქანიდან ჯანიანი პოლიციელის გადმოსვლა ერთი იყო. თანაც, პოლიციელი ღიმილით გვიახლოვდებოდა.

– ბიძია ჰარი, როგორ ხარ? რამდენი ხანია, აქეთ არ ყოფილხარ!.. – პოლიციელი ჰარის გადაეხვია. მაგრამ მოულოდნელად მას სახე შეეცვალა (ეტყობა, ლუდის „არომატი“ იგრძნო):

– ბიძია ჰარი, რამდენჯერ გითხარი – საჭესთან ნასვამი ნუ დაჯდები-მეთქი?!

– ამ ერთხელაც მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ!.. – პატარა ბიჭივით წაიბუტბუტა ჰარიმ და პოლიციელს ლუდი შესთავაზა.

– შენი გამოსწორება არ იქნება! – უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი პოლიციელმა და გაგვეცალა. ამით ანიშნა ჰარის – თავი დამანებეო, – და მანაც ხმაურით დაძრა მანქანა.

– ვინ იყო ეს პოლიციელი, მისტერ ჰარი, ასეთი რიდით რომ გექცეოდათ? – ვკითხე ჩემს მეგზურს.

– ძმაკაცის შვილია. მამა ადრე დაეღუპა. ჩემს ხელში გაიზარდა. სულ მეხვეწება – ბევრს ნუ სვამო...

„ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ წᲧᲐᲚᲘ“

ჩრდილოეთ ამერიკის ულამაზესი ჩანჩქერი ნიაგარა კანადისა და შეერთებული შტატების საზღვარზეა და ორივე ქვეყანას ეკუთვნის. უფრო სწორად, ჩანჩქერის მარცხენა ნაკადი კანადისაა, ხოლო მარჯვენა — შტატების. „ნიაგარა“ ინდიელების ენაზე „ხმაურიან წყალს“ ნიშნავს და მართლაც, ისეთი ხმაურიანია, რომ ათი კილომეტრის რადიუსშიც კი არ აძინებს ტურისტებს. დიახ — ტურისტებს, თორემ, ადგილობრივი მოსახლეობა ალბათ, ვეღარც გაძლებს ამ ხმაურის გარეშე...

დიდებული სანახავია ნიაგარის ჩანჩქერი. გაზაფხულსა და ზაფხულში თუ კამკამა მწვანე ფერისაა წყალი, შემოდგომით ნარინჯისფერია, ზამთარში კი იყინება(!). არა, მთლიანად კი არ იყინება, არამედ ჩანჩქერის გვერდითი ნაპირები ყინულის უზარმაზარ ლოლუებად დაეკიდება და გასაოცარ სანახაობას ქმნის. რამდენჯერმე მომხდარა ისე, რომ მთლიანად გაყინულა ჩანჩქერი და ამ დროს, ადგილობრივი მოსახლეობა უჩვეულოდ გრძნობდა თურმე თავს — იმის გამო, რომ ჩანჩქერის ხმა აღარ ისმოდა...

ნიაგარის ჩანჩქერის სანახავად ყოველწლიურად, 16 მილიონი(!) ტურისტი მიდის თურმე. ამერიკელები რისი ამერიკელები იქნებოდნენ, ეს რომ არ გაეთვალისწინებინათ?!. მოკლედ, იქ ტურისტული ბიზნესი ყვავის.

ისევ ჩანჩქერს დავუბრუნდეთ — დღისით წყლის შხეფებისგან ულამაზესი ცისარტყელები ამოიმართება ხოლმე, ღამით კი, უზარმაზარი პროჟექტორების შუქზე ზღაპრული ფერებით ივსება იქაურობა...

ტურისტული ფირმების გარდა, ნიაგარის ჩანჩქერი ენერგოკომპანიებსაც იზიდავს. წყლის ვარდნით წარმოქმნილი ენერგია იაფი დენის გამომუშავების წყაროცაა და ჩანჩქერის სიახლოვეს რამდენიმე მოძრავი ჰიდროელექტროსადგური დგას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წლების განმავლობაში ედავებოდნენ ერთმანეთს ტურისტული და ენერგოკომპანიები. ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ და ახლა ნიაგარის ჩანჩქერი ენერგეტიკოსების „საკუთრებაცაა“ და ტურისტებისაც.

ნიაგარის ჩანჩქერი განსაკუთრებით ამერიკელებს იზიდავს, ვინაიდან შტატებში სჯერათ — თუ ჩანჩქერის წყლით ერთხელ მაინც არ დასველდი, ამერიკელად არ ჩაითვლები, — ამიტომაც „დასველების რიტუალს“ ყველა ამერიკელი ასრულებს. და რადგან მეც გახლდით ამ რიტუალის მონაწილე, ანუ ნიაგარის ჩანჩქერში გალუმპული, ამიტომაც მეც უნდა ჩავითვალო ამერიკელად...

ექსკურსიამძღოლი ჰარი

ჩვენი ძველი კადილაკი ერთ-ერთ კაფე-ბარს მიადგა.

— მოდი, ცოტა დავისვენოთ და დათვალიერება მერე დავიწყოთ... — მითხრა ჰარიმ და ისე, რომ პასუხისთვის არც დაუცდია, შენობაში შევიდა. ჰარის, ბარშიც ოვაციებით შეხვდნენ. მოხდენილმა, წაბლისფერთმიანმა გოგონამ, რომელსაც ზედ მგონი, არაფერი ეცვა, ორი დიდი ბოკალი ლუდი ყოველგვარი შეკვეთის გარეშე დაგვიდგა მაგიდაზე, ჰარის თვალი ჩაუკრა, მე კიდევ, ისეთი ყურადღებით ამათვალიერა, ერთბაშად გამოვცოცხლდი.

— როგორია? — გადმომხედა ჰარიმ და რხევით მიმავალ ოფიციანტს თვალი გააყოლა.

— მაგარია! — არც დავფიქრებულვარ, ისე წამოვიძახე.

— აქ მაგაზე უკეთესებიც არიან. შენ მთავარია, მოინდომო და ყველას აქ მოგიყვან!.. — წაიტრაბახა ჰარიმ და ბოკალს დაეწაფა.

— თქვენ აქ ყველას იცნობთ?

— ყველას! ანდა რა გასაკვირია, როცა მთელი ცხოვრება ამ ჩანჩქერთან გავატარე... — ფანჯრიდან გაიხედა და ჩუმი ხმით დაიწყო ლაპარაკი — გულის გადაშლის ხასიათზე მოვიდა:

— პირველად რომ მოვედი აქ, ოთხი წლის ვიყავი. ამის შემდეგ, სამოცი წელი გავიდა და ღამის ყოველდღე მოვდივარ. ამ ხნის მანძილზე ათასი რამ გადამხდა. ბევრი სიხარული არ მქონია ცხოვრებაში, პრობლემა კი — რამდენიც გინდა... თან სულ მეგონა, რომ ჩემს ცხოვრებაში დღეს თუ არა, ხვალ მაინც ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ვსწავლობდი, ვმუშაობდი, ისევ ვსწავლობდი... ვცდილობდი, შეცდომა არ დამეშვა... მაგრამ რა? — ვერაფერს მივაღწიე. წლები ისე გავიდა, ვერც კი ვიგრძენი და სიბერესაც მივუკაკუნე... არაფერი ყოფილა სიცოცხლე! აი, შეხედე ამ ჩანჩქერს, ისევ ისე მოდის წყალი, როგორც სამოცი წლის წინ, პირველად რომ დავინახე და თვალებგაფართოებულმა შევძახე — დიდი წყალი ცაში აფრენილა-მეთქი. ტურისტებიც ისევ მოდიან და მიდიან... ამ ბოლო დროს, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩანჩქერთან უკანასკნელად მოვდივარ... მე წავალ ამ ქვეყნიდან და ჩანჩქერი ისევ ძველებურად გადმოეშვება მაღლიდან, ჩემს არყოფნას ვერავინ გაიგებს... — ატირებას ცოტაღა აკლდა. შევეცადე, გამემხნევებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

— აკაკი, მარტოს მოგიწევს ჩანჩქერზე წასვლა. ვაპირებდი, გამოგყოლოდი და ყველაფერი ამეხსნა, მაგრამ ახლა არ შემიძლია... რომელიმე ტურისტულ ჯგუფს გაჰყევი, ასე უფრო გაგიადვილდება. მე ცოტას დავისვენებ. და კიდევ, აუცილებლად გაითვალისწინე ერთი რამ — ხიდზე არ გადახვიდე: ხომ იცი, ჩანჩქერის იქითა მხარე კანადას ეკუთვნის?! აქედან კი გადახვალ უპრობლემოდ, მაგრამ უკან დაბრუნებისას შეიძლება, მებაჟეებმა აღარ შემოგიშვან; კაცმა არ იცის, რას „აღმოგიჩენენ“ საბუთებში, უცხოელი რომ ხარ, იმიტომ... იცოდე, მოუთმენლად გელოდები. ბუფალოში უშენოდ წასვლას არ ვაპირებ!.. — მითხრა ჰარიმ და ლუდი ისევ შეუკვეთა.

არც ისე ადვილი ყოფილა ნიაგარაზე „გაამერიკელება“

ნიაგარის ჩანჩქერის დათვალიერება ძნელი საქმე ნამდვილად არ არის. გზის



„დასველების რიტუალს“ ყველა ამერიკელი ასრულებს...

მაჩვენებლები და ფირნიშები იმდენად თვალსაჩინოა, ძალიანაც რომ გინდოდეს, არ დაიკარგები! ტურისტული ჯგუფიც ბევრია, რომელსაც გიდი ახლავს. მეც, ჰარის დარიგებისამებრ, ერთ-ერთ ჯგუფს ავედევნე. არა, მართლა მწერალი უნდა იყო, რომ შეძლო, სიტყვებით იმის გადმოცემა, რასაც ჩანჩქერთან მიახლოებისას გრძნობ კაცი. პირველი, ეს გახლავთ უჩვეულო განცდა იმისა, რომ ამ განუწყვეტელ ხმაურში უზარმაზარი, მზის სხივებით აფერადებული წყლის შხეფების ფონზე, თითქოს სადღაც იკარგები, თითქოს ვიღაც გიახლოვდება და უზარმაზარ, უმშვენიერეს მორევში გითრევს. გინდა გაჰყვე და გეშინია კიდეც... ამ შიშის გამჟღავნება არ მინდოდა, მაგრამ მოგვიანებით გულზე მომეშვა, როცა მითხრეს, რომ ჩანჩქერთან ყოფნისას შიშის გრძნობა, ჩვეულებრივი შეგრძნება ყოფილა...

გიდმა მოგზაურობის დაწყებისთანავე გამოგვიცხადა – ვისაც სუსტი გული გაქვთ, კატერში ნუ ჩასხდებითო (კატერს პირდაპირ ჩანჩქერის ძირში უნდა გაევლო). მანამდე კი სასიამოვნო „ნათლობა“ გველოდა: გაამერიკელება ვისაც სურდა, ჩანჩქერის შხეფებში უნდა დასველებულიყო. ამაზე უარი არავის უთქვამს და რა თქმა უნდა, მეც სიამოვნებით „მოვინათლე“ ამერიკელად და თავიდან ფეხებამდე გავილუმპე (ივნისი იდგა, მაგრამ ჩანჩქერის წყალი უსაშველოდ ცივი იყო). მაგრამ ეს ყველაფერი მონაგონი ყოფილა იმასთან შედარებით, რაც შემდგომ გადავიტანე...

კატერში ჩავჯდომაზე ბევრმა უარი განაცხადა. გაბედულებს კი, ცელოფანის ქურთუკები დაგვირიგეს, თან გაგვაფრთხილეს, მოაჯირისთვის ხელი არ გაგვეშვა და უსაფრთხოების ქამრებიც საიმედოდ შეგვეკრა.

...როგორც იქნა, ჩვენი კატერი ჩანჩქერის ძირისკენ დაიძრა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით წყლის ნაკადს, მით უფრო მატულობდა შხეფები. ისედაც გალუმპული, ახლა თავით ფეხამდე გასაწური გავხდი, თხელმა ქურთუკმა ვერ მიშველა. ამასობაში, უფრო მივუახლოვდით ჩანჩქერს. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო?! – წყლის ნაკადი პირდაპირ ჩვენ გვეცემოდა, თითქოს თავში უროს გირტყამენო, ისეთი შეგრძნება მქონდა... ოკეანის შტორმში მოხვედრისას, ალბათ ამაზე მეტად არ შემეშინდებოდა... ეს სამიოდე წუთი გაგრძელდა, მაგრამ მეგონა, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი... როგორც იქნა, გამოვაღწიეთ და თავისუფლად ამოვისუნთქე. ჩემს თანამგზავრებს გადავხედე და... სახეზე ფერი არც ერთს აღარ ედო, თუმცა აშკარად ეტყობოდათ – უხაროდათ, რომ ცოცხლები გადარჩნენ...

არა, სხვა დროს რომ მოვხვდე ნიაგარის ჩანჩქერზე, კატერს სათოფეზეც აღარ გავეკარები!

კანადაში გადასასვლელ ხიდთანაც მივედით. ამ ხიდით ბევრი ტურისტი შემოდის ამერიკაში. მათ შორის არაერთი არალეგალური ემიგრანტია, ვინც ამ გზით ცდილობს შტატებში შეღწევას და ხშირ შემთხვევაში, ახერხებს კიდეც. მე, რა თქმა უნდა, შარის თავი არ მქონდა და კანადური ნიაგარის ნახვაზე არც მიოცნებია.

ამასობაში, მოსაღამოდა კიდეც. მართალია, დავიღალე, დავსველდი, შევშინდი, მაგრამ არაფერს ვნანობდი, თანაც – ამერიკელიც „გავხდი“... მოკლედ, დიდებული რამ არის ნიაგარის ჩანჩქერი...

კაფეში დაბრუნებულმა, ჰარის დავუწყე ძებნა. კადილაკს კი მივაკვლიე, მაგრამ მოხუცი არსად ჩანდა. ბოლოს, იმ მომხიბვლელ ოფიციანტ გოგონას ვკითხე. მანაც მეორე სართულზე მიმითითა და ოთახის ნომერიც მითხრა.

ფრთხილად დავაკაკუნე. ჰარიმ გამომძახა – შემოდიო.

დივანზე არხეინად გადაწოლილიყო და ხელში ისევ ლუდის ბოთლი ეჭირა...

გამიღიმა და ვიღაც გლორიას გასძახა. ისეთი გოგო შემოვიდა, მის დანახვაზე ადგილზე გავშეშდი.

– შენთვის ავარჩიე. ხომ მაგარი გემოვნება მაქვს?.. – ჰარიმ ეს ჩუმად მითხრა, გლორიას რომ არ გაეგონა. – მე წავედი, ბარში დაგელოდები, – მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა და მძიმე ნაბიჯებით გასასვლელისკენ წავიდა.

– რა მოგიტანოთ? – გამიღიმა გრძელფეხება გლორიამ და დაამატა: – შეიძლია რამდენიმე საათი დაგითმოთ...

არ გამიპროტესტებია. არც „ფასი“ მიკითხავს...

მშვენიერი გოგო იყო გლორია...

ბუფალოში გვიან ღამით ჩავედით. ჰარი ისეთი გალეშილი იყო, რომ მე მომიწია საჭესთან დაჯდომა...

დამშვიდობებისას გამოვაღვიძე, გულითადად გადამეხვია, უკვე გამოფხიზლებული, და მითხრა – იცოდე, ბუფალოში მეგობარი გყავსო...

P.S. ჩემს ამერიკულ თავგადასავლებს კიდევ არაერთი საინტერესო ამბავი შეემატა მომდევნო დღეებში, რომელთა შესახებაც „გზის“ 22-ე ნომრიდან შეიტყობთ.

■

ტანკის მძღოლი სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაჯარიმეს

თურმე, ტანკის სიჩქარის გადაჭარბებისთვისაც შეიძლება დაგაჯარიმონ. რა თქმა უნდა, თუ ლაპარაკია ისეთ კანონმორჩილ ქვეყანაზე, როგორიც ავსტრიაა.

ავსტრიის სამხრეთით, დაბა სენმიშელში ავსტრიელი ჯარისკაცი პოლიციამ სამხედრო სწავლებების დროს ტანკის სიჩქარის გადაჭარბების გამო დააჯარიმა. მძღოლს 20 დოლარის ეკვივალენტური თანხის გადახდა დააკისრეს, რადგან 25-ტონიან სამხედრო მანქანას 60 კმ/სთ სიჩქარით მართავდა – ნაცვლად დაშვებული 40 კმ/სთ-სა.

საინტერესო ისაა, რომ ჯარისკაცმა აღნიშნული თანხა საკუთარი ჯიბიდან უნდა გადაიხადოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი მაშინ გადახდა, როცა ანტიტერორისტულ სწავლებებში მონაწილეობდა.

კეთილი თუ ტექნიკური

როგორც ცნობილია, ე.წ. საშუალოსტატისტიკური ინგლისელი, საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობას განიცდის. ჰოდა, ბრიტანელმა დიზაინერებმაც იფიქრეს, იფიქრეს და ვარჯიშის მოყვარულთათვის გამოიგონეს სპეციალური კარადა, რომელიც ფიტნესისთვის საჭირო მთელ ინვენტარს იტევს: მასში თავისუფლად თავსდება სარბენი ბილიკი, სხვადასხვა ზომა-წონის ჰანტელი, მომცრო შტანგა – და ეს ყველაფერი ოთახის არც ერთ გოჯს არ იკავებს, რადგან ხელის ერთი მოსმით მთლიანად „იმალება“ კარადაში.

ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს, პოპულარული ქართველი მომღერლის გია ავაგუმაშვილის დას, უამრავი ადამიანი ემადლიერება. როცა არ უნდა მისვიდეთ, მის მოსაცდელში ყოველთვის რიგია. ჯადოებით მონუსხულები, ბედჩაკეტილები, დათარსულები, ავსულთაგან შეპყრობილები და ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილები, ქალბატონი დალისგან ელიან შველას. მისი ლოცვის ძალაზე ყოფილი პაციენტები ლეგენდებს ჰყვებიან. დალი ავაგუმაშვილის ყველა პოლიტიკური წინასწარმეტყველება დღემდე ზედმიწევნით ასრულდა. მან ჯერ კიდევ 4 წლის წინ იცოდა შევარდნაძის მომავალი...

ბაგიური ზემოქმედება ავესტიურ დაავადებებს იწვევს

ნანა სისაური

— 2000 წელს „კვირის პალიტრას“ მივეცი ინტერვიუ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. მკითხეს — რა მოხდებოდა და მეც ვუპასუხე, რომ შევარდნაძე ვადაზე ადრე დატოვებდა თავის პოსტს და მოღვაწეობას გაეროში გააგრძელებდა. გაზეთის რედაქციამ მაშინ დიდი საყვედური მიიღო — ასეთი რამ როგორ დაბეჭდეთო?! — მაგრამ ახლა, როცა ჩემი ნათქვამი გამართლდა, ამიკლეს ტელეფონის ზარებით, უამრავმა ჟურნალისტმა დამირეკა, ვინ აღარ გამომეხმაურა?!. მაგრამ აქვე მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ მე არც ნათელმხილველი ვარ და არც მარჩიელი. პერიოდულად, როცა ღმერთი ინებებს, მეძლევა ინფორმაცია უფლის კარნახით. სპეციალურად სამარჩიელოდ მოსულ ადამიანს ვერაფერს ვეტყვი, მე არ ვმკითხაობ. როცა შელოცვების დროს ინფორმაცია თავისით მოდის, პაციენტებს ისეთ რამეებს ვეუბნები, გაოგნებულები რჩებიან, მაგრამ შეკვეთით ამის გაკეთება არ შემიძლია, ტყუილებს ხომ არ ვილაპარაკებ?!.

— თქვენთან უამრავი ისეთი პაციენტი მოდის, ვინც მაგიური ზემოქმედების მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, ჯადოს ერთმანეთს ახლობელი ადამიანები უკეთებენ, რაც უმძიმეს ცოდვად ითვლება. რა ქნას მან, ვინც სული წაიწყმიდა და მერკანტილური მიზნების მისაღწევად მჩხიბავს ჯადო შეუკვეთა?

— ის, ვინც თავისი მოყვასი არ დაინდო და პირადი ამბიციებისა თუ მატერიალური კეთილდღეობის გამო ერთხელ მაინც მივიდა ჯადობაზთან დახმარების სათხოვნელად, თავად ხდება სატანურ ძალთა ზემოქმედების მსხვერპლი. ტყუილად ფიქრობთ, რომ ჯადოს გაკეთება გამოსავალია, ნუთუ ვერ ხვდებით, როგორ გიგებთ მახეს ეშმაკი? მერწმუნეთ, ლოცვის ძალა ჯადოზე ძლიერია, ნუ გშურთ სხვისი ქონება და წარმატება, ილოცეთ, რომ თქვენც მოგეცეთ. უფალი მოწყალეა, ღმერთმა გაგვაჩინა და დაგვარჩენს კიდეც... მაშ, რითი გვიდგას დღემდე სული ამ დუხჭირ წუთისოფელში, ნუთუ, ამაზე არ გიფიქრიათ?.. ითხოვეთ და მოგეცემათ, მაგრამ ურწმუნოების ან მცირედ მორწმუნეობის გამო, არ გჯერათ, რომ ღმერთი შეგეწევათ, თუ გულით შესთხოვთ დახმარებას. თქვენ ცდილობთ, როგორმე ერთმანეთს წაჰგლიჯოთ სკამი, ქმარი, ქონება. იცოდეთ, სანამ ახლობელთა კეთილდღეობა და წარმატება გულს არ გიხარებთ, თქვენს ოჯახში ბარაქა ფეხს ვერ მოიკიდებს... ჩემთან მოდიან ადამიანები, ვინც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ახლობლისთვის ჯადოს გაკეთებით სული დაიმძიმა და მთხოვენ, — შეგვილოცე, სატანურ ძალებთან ვართ წილნაყარიო. ზოგიერთი მათგანი, როცა ვეკითხები — მჩხიბავთან რატომ წახვედი, რამ გაგასულელა-მეთქი? — თავს იმართლებს — სხვა გზა არ მქონდა, ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო... მერე დაიჭირა იმ ხავსმა წყალწაღებული? რატომ მიდიხართ მცდარი გზით? კაცობრიობის მტერი სატანა სიკეთეს რომ არ მოგიტანთ, განა ძნელი მისახვედრია? ყველამ, ვისაც ერთხელ მაინც წაუცდა ფეხი და ჯადობაზთან მივიდა დასახმარებლად, შელოცვებით უნდა გაანეიტრალოს მასზე გადმოსულ სატანურ ძალთა ზემოქმედება.

— ზოგიერთი მჩხიბავთანაც არ მიდის, მაგიურ წიგნებში ამოკითხული ინსტრუქციის მიხედვით თვითონვე უკეთებს ახლობელს ჯადოს...

— დილეტანტი ვაი-მჩხიბავების მიერ ჩადენილი ცოდვა გაცილებით მძიმეა, ამიტომ მათაც ვურჩევ, დროულად მოეგონ გონს და ლოცვებით გაანეიტრალონ თავიანთი ნამოქმედარი. სატანურ ძალებთან კონტაქტი საშიშია. კაცმა არ იცის, რა უბედურება დაატყდება თავს მომავალში დილეტანტ მჩხიბავსა და მისი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი, ენერგეტიკულად დაუცველ ბავშვებს.

— ზოგიერთი სახლში ნაპოვნ ჯადოს თვითონვე ანეიტრალებს — წვავს ან მიწაში მარხავს, ანდა მდინარეში აგდებს. თქვენი აზრით, სწორად იქცევიან?

— ჯადო ენერგეტიკული დარტყმაა, რომელსაც მჩხიბავი აყენებს მსხვერპლს საგანგებო რიტუალის ჩატარებით. ის, რასაც ადამიანი შინ პოულობს, ჯადოს მასალაა. ამდენად, თუ სპეციალისტმა არ მოხსნა ნეგატიური პროგრამა, რომელიც ჯადოს მასალის მეშვეობით ადამიანის ბიოველში შევიდა, მისი ზემოქმედების ძალა არ განეიტრალდება და სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. ჯადოს მასალის განადგურება, მოხსნას არ ნიშნავს. მდინარეში გადააგდებთ, დაწვავთ თუ მიწაში ჩამარხავთ, მნიშვნელობა არა აქვს, უარყოფითი პროგრამა აურაზეა გადასული და მოქმედებას განაგრძობს, რის გამოც ასეთ ოჯახებში შემზარავი ტრაგედიები ხდება. ჯადოს მოხსნა აუცილებელია და რაც უფრო დროულად მიაკითხავთ სპეციალისტს, მით უკეთესი, რადგანაც დიდი ხნის ჯადო ავესტიკურ დაავადებებს იწვევს და ძნელდება მისი განეიტრალება. ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ მოუხსნელი ჯადო შვიდ თაობაზე გადადის და ზოგჯერ, უშვილობის, მუცლის მოშლის, ახალშობილთა უეცარი დაღუპვის ან მკვდარი ბავშვის გაჩენის მიზეზი ხდება.

— რას ნიშნავს ავესტიკური დაავადება?

— უარყოფითი პროგრამა, რომელიც თავის დროზე არ განეიტრალდა — ანუ მავნე ენერგეტიკული ზემოქმედება — წლების განმავლობაში, ადამიანს ანგრევს, მის ორგანოებზე გადადის და იწვევს ავესტიკურ-მაგიური დარტყმების შედეგად ჩამოყალიბებულ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც მხოლოდ ლოცვით შეიძლება; ქიმიური პრეპარატების მიღება უკუშედეგს იძლევა — ავადმყოფის ორგანიზმი იწამლება და ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება. ასე რომ, ექიმი და წამალი ავესტიკურ დაავადებას ვერ არჩენს.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ მოუხსნელი ჯადო შვიდ თაობაზე გადადის. როგორ ზემოქმედებას ახდენს შთამომავლობაზე უარყოფითი პროგრამა?

— ადამიანის აურა ენერგოინფორმაციული ველია, საიდანაც დროთა განმავლო-

ბაში, მოუხსნელი, გაუნეიტრალებელი უარყოფითი პროგრამა იმ ადამიანების აურაზეც გადადის, ვისთანაც მოჯადოებულს სისტემატური ურთიერთობა აქვს — ე.ი. ოჯახის წევრებზე, ძირითადად, მშობლებიდან — შვილებზე. თუ ორსულ ქალს ჯადო აქვს გაკეთებული, ნეგატიური ინფორმაცია მომავალი ბავშვის აურაზეც გადავა... მედიცინაში ცნობილია, რომ მშობიარობის შემდეგ, დედა ჯანმრთელდება, არ იკითხავთ, რატომ?

— მეც გამიგონია, მაგრამ მიზეზი არ ვიცი...

— დედის აურიდან ბინძური ენერგია — უარყოფითი ინფორმაცია სხვადასხვა ავადმყოფობის შესახებ, მათ შორის, მოუხსნელი ჯადოს ნეგატიური პროგრამა — შვილის აურაზე გადადის, რაც აღადგენს მშობლის შერყეულ ჯანმრთელობას. ასე გადადის მაგიური ზემოქმედება თაობიდან თაობაზე და ზოგს ბედისწერას უმრუდებს, ზოგს თარსავს და ხელს უშლის წარმატების მიღწევაში, ზოგშიც ავესტიკურ დაავადებებს იწვევს, მათ შორის კიბოს.

— თქვენი აზრით, ავთვისებიანი სიმსივნე ავესტიკური დაავადებაა?

— დიახ, მე ვთვლი, რომ ნებისმიერი უკურნებელი სენი, რაც ადამიანს სჭირს, ენერგეტიკული დაავადებაა. ასე რომ, ჯადოს მავნე ენერგეტიკულმა ზემოქმედებამ შესაძლოა, ავთვისებიანი სიმსივნეც გამოიწვიოს.

— რას ნიშნავს ენერგეტიკული დაავადება?

— სენი, რომელიც ადამიანს ცოდვების გამო უყალიბდება. მოუნანიებელი ცოდვის მძიმე ენერგია თანდათან, აურიდან ფიზიკურ სხეულზე გადადის და ორგანოებს აზიანებს. ჯადოც ბინძური ენერგიაა ანუ ადამიანის ველში ხელოვნურად შეყვანილი უარყოფითი ინფორმაცია. ენერგეტიკული და ავესტიკური დაავადებები ერთმანეთისგან მხოლოდ ამით განსხვავდება. სამწუხაროდ, ქალაქში ახალი ტიპის ჯადოები გავრცელდა. 25-ე კადრის პრინციპის გამოყენებით, კომპიუტერის დისკზე მუსიკასთან ერთად უარყოფით პროგრამას იწერენ; მოჯადოებული დისკის მოსმენა ქვეცნობიერს ძლიერ დარტყმას აყენებს და იოლად აპროგრამებს ადამიანს უარყოფითად. ასე რომ, ჯადოს ძველმოდური მასალა საჭირო აღარ არის: უსმენ ჯადოს შემკვეთის მიერ ნაჩუქარ დისკზე ჩაწერილ სასიამოვნო მუსიკას და ვერ ხვდები, რატომ ხარ ცუდად. გახშირდა აგრეთვე, შენელებული მოქმედების ჯადოები, რაც მაგიურ ინტოქსიკაციას იწვევს. მჩხიბავები იყენებენ საჭმელს, სასმელს, პარფიუმერიას, ყვავილებს... ამას წინათ ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომელიც საკმაოდ დიდი თანამდებობის პირია და მომიტანა ახლობლის მირთმეული უძვირფასესი სუნამო. უხცოეთიდანაა ჩამოტანილი, ჩვენს მაღაზიებში ვერ ნახავთ. სწორედ იმ დღიდან, როცა ქალბატონმა სუნამოს ხმარება დაიწყო, ცუდად გახდა. ერთხელაც, ისე მოხდა, რომ აღარ დაუსხამს. თქვენ წარმოიდგინეთ, გაუქრა უსიამოვნო შეგრძნება და თავის ტკივილი, მაგრამ იხმარა თუ არა სუნამო, ისევ ცუდად გახდა. ამ ფაქტმა ქალი დააეჭვა და ექსპერიმენტი ჩაატარა. როცა დარწმუნდა, რომ სუნამო იყო მისი სისუსტისა და თავის ტკივილის მიზეზი, ჩემთან მოვიდა... სუნამოზე შენელებული მოქმედების ჯადო იყო გაკეთებული. ჩემი ძმის, გია ავაგუმაშვილის მეგობარს საყვარელი უყრიდა სასმელსა და საჭმელში ჯადოს, რომელიც თანდათან წამლავდა. ძალიან ცუდად იყო, მაგრამ მიზეზს ვერ ხვდებოდა. ექიმებმა დიაგნოზი რომ ვერ დაუსვეს, გიამ ჩემთან გამოაგზავნა — დალის მეტი ვერავინ გიშველისო... ბიჭები ხედავდნენ, რომ საყვარელი მის გამოჭერას ცდილობდა და ხვდებოდნენ, რომ უკან არაფერზე დაიხევდა.

— ნევროზსა და დეპრესიას ხშირად, ენერგეტიკული დაბინძურება იწვევს. რამდენად ეფექტურია ლოცვებით აურის გასუფთავება?

— ნევროზი ან დეპრესია თუ ქიმიური პრეპარატებით არ იკურნება და ადამიანი წლების განმავლობაში უშედეგოდ ყლაპავს წამლებს, ეს იმის ნიშანია, რომ აურა აქვს დაბინძურებული. ამგვარ შემთხვევებში განკურნების ერთადერთი საშუალება შელოცვაა. გასუფთავდება თუ არა ბიოველი, ჩივილებიც გაქრება. მაგრამ თუ ნევროზი და დეპრესია ორგანულია, ავადმყოფმა ექიმს უნდა მიაკითხოს, ლოცვა ვერ უშველის. ისეთი ღრმა დეპრესიიდან გამომიყვანია ადამიანები, სიცოცხლე რომ აღარ უნდოდათ და თვითმკვლელობაზე ფიქრობდნენ... რამდენიმე თვის წინ, ბებიამ შვილიშვილი მომიყვანა. 15 წლის გოგონა საშინელ დეპრესიაში იყო ჩავარდნილი, გარე სამყაროსთან კონტაქტი აღარ უნდოდა, პრაქტიკულად მუნჯივით იყო: არ ლაპარაკობდა, ჩიტივით ჭამდა, სიცოცხლე მობეზრებული ჰქონდა. რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა, მაგრამ მიუსწრეს და გადაარჩინეს.

— რამ ჩააგდო 15 წლის გოგონა ასეთ ღრმა დეპრესიაში?

— 13 წლისა იყო, როცა მათ ბინაში ნიღაბაფარებული, იარაღიანი მძარცველები შეიჭრნენ. მამამისმა ქურდებს წინააღმდეგობა გაუწია. შეხლა-შემოხლისას ოჯახის უფროსი ბანდიტებმა ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრეს. სისხლის დანახვამ ცოლი გადარია, გამწარებული ქალი მძარცველებს ეძგერა და შეიარაღებულ კაცებს ცემა დაუწყო. ერთმა თავში პისტოლეტის ტარი ჩასცხო და გათიშა. ამის დანახვაზე, 13 წლის გოგონას გულმა უმტყუნა და იატაკზე მოცელილი ყვავილივით დაეცა. როცა გონს მოეგო, მძარცველები სახლში აღარ იყვნენ. ბავშვის დედა ისევ გათიშული ეგდო, სისხლში მოსვრილი მამა კი შველას ითხოვდა. სამწუხაროდ, ექიმებმა ვეღარ გადაარჩინეს, ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. მძიმე ფსიქოტრავმის შედეგად, გოგონას თანდათან გაურთულდა მდგომარეობა, ვერ ივიწყებდა საშინელ სცენებს, მომაკვდავი მამის თვალებს და ისეთ ღრმა დეპრესიაში ჩავარდა, რომ სიცოცხლე აღარ სურდა. მაგრამ ღვთის შეწევნით, ლოცვის ძალამ ამქვეყნისკენ მოაბრუნა. ბებიამ დამირეკა და მახარა — სკოლაში სიარული დაიწყოო...

— ძლიერი ფსიქოსტრესი ზოგიერთ ადამიანში შიშსაც იწვევს...

— განსაკუთრებით ბავშვებში... სტრესის შედეგად მიღებული ფსიქოტრავმების გამო ზოგჯერ პატარებს ენაც ებმით — დროებით ლოგონევროზი ემართებათ. შელოცვა შიშსაც შველის და ლოგონევროზსაც... წლინახევრის გოგონა მომიყვანა დედამ. როგორც თვითონ თქვა, ძალიან მტირალა ბავშვი ყოფილა და ბებიას შეუშინებია, იქნებ გაჩუმდესო. საბრალო პატარა გოგონამ, დაინახა თუ არა ძველმანებში გამოწყობილი ბებო, რომელსაც თავზე პლასტმასის პატარა ვედრო ჰქონდა წამოცმული, ხოლო ხელში ცოცხი ეჭირა და მისკენ ღმუილით მიიწევდა, შიშისგან გული წაუვიდა. მას შემდეგ ბავშვი დღისითაც კი არ რჩებოდა თურმე ოთახში მარტო. იმდენს ტიროდა, როცა უფროსები თვალს მიეფარებოდნენ, რომ ვეღარ ასულიერებდნენ. შიშისგან ლოგონევროზიც დაემართა. ატარეს ლოგოპედთან, მაგრამ უშედეგოდ. ლოცვამ ბავშვს შიშიც მოუხსნა და ენის ბორძიკიც.

— შიში ხშირად, ნევროზის შედეგია.

— აკვიატებული შიში, როცა ნევროზი ბიოველის ენერგეტიკული დაბინძურების შედეგია და არა ორგანული პათოლოგია, ლოცვებით იოლად იკურნება. სამწუხაროდ, ექიმებს ხშირად ერევათ ერთმანეთში სულით ავადმყოფი და ავსულთაგან შეპყრობილი, რადგანაც ორივეს ერთნაირი სიმპტომები აქვს. მაგრამ შიზოფრენია ლოცვით არ იკურნება, ხოლო შეპყრობილი — ქიმიური პრეპარატებით. სულით ავადმყოფს ფსიქიატრი და წამალი სჭირდება, ხოლო შეპყრობილს, ლოცვის გარდა, არაფერი შველის.

P.S. ქალბატონი დალი შეუთანხმებლად არავის იღებს. წინასწარ დაურეკეთ და ისე ესტუმრეთ. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 96.79.00, 8(99) 10.73.06 ყოველდღე, კვირის გარდა, 9-დან 16 საათამდე, რათა ჩაეწეროთ.

მსუნაგების ოჯახი ხესტოხნიდან გაიძეგეს

ოჯახური წყვილი, რომელიც ატკინსის ცნობილ დიეტას იცავდა, კაფედან გამოაძევეს მას შემდეგ, რაც ზედიზედ 12 ულუფა როსტბიფი შეჭამეს. „საოცარია, – ამბობენ აღშფოთებული იზაბელ ლეოტა და სიუ ამაამა, – ვახშმობა გვინდოდა და დარწმუნებული ვიყავით, რომ Chuck-A-Rama ის დაწესებულებაა, სადაც ნამდვილ შვედურ სუფრას გთავაზობენ – „ანუ ჭამე, რამდენსაც შეძლებ“. ეს მიდგომა უარყო რესტორნის მენეჯერმა ჯეკ იოჰანსონმა: „ჩვენს დაწესებულებას არასდროს ერქვა „ჭამე, რამდენსაც შეძლებ“, უბრალოდ, ჩვენ გვაქვს ბუფეტი, რომელიც კვების ოდნავ განსხვავებულ სტილს ითვალისწინებს“.

მენეჯერი თურმე გააოცა და შეაშფოთა წყვილის მსუნაგობამ, რადგან შეიძლება, რესტორანს სხვა კლიენტებისთვის დაჰკლებოდა კიდეც ხორცი. მას ცოლ-ქმრისთვის უთხოვია, შეჩერებულიყო, მაგრამ იზაბელ ლეოტამ და სიუ ამაამმა ეს თხოვნა პირად შეურაცხყოფად მიიღეს და გადახდილი ფულის უკან დაბრუნება მოითხოვეს. მენეჯერი, რა თქმა უნდა, ამაზე არ დაეთანხმა და პოლიციაც გამოიძახა, რის შემდეგაც წყვილმა საერთოდ უარი თქვა დაწესებულების დატოვებაზე. განაწყენებული წყვილი ამტკიცებს, რომ კვირაში ორჯერ დადიოდა Chuck-A-Rama-ში, სადაც მას 9 დოლარად სთავაზობდნენ შვედურ სუფრას.

ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის, მაგრამ... მიყვარხარ!



როგორც სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გვიჩვენა, ცოლიანი მამაკაცების 80% ოცნებობს, ჰქონდეს საკუთარი კაბინეტი დიდი საწერი მაგიდით, მძიმე, სინათლეგაუმტარი შტორებით, ტელევიზორითა და პატარა ტახტით, სადაც მშვიდად მოიკალათებს და უყურებს ფეხბურთს, ახალ ამბებს ან წაიკითხავს გაზეთს. ფსიქოლოგები იმასაც დასძენენ, რომ მამაკაცებს აქვთ თანდაყოლილი ლტოლვა მარტოობისკენ და აქვთ სურვილი, თავისი სამყარო შექმნან, სადაც ცოლს არაფერი ესაქმება. ეს კი ქალში, ხშირ შემთხვევაში ეჭვს ბადებს – რა ხდება კარს იქით? არადა, ქალის „პატარა საიდუმლოებანი“ უფრო ვერაგულია, ვიდრე მამაკაცის. ქალმა შეიძლება შეინახოს ძველი თაყვანისმცემლის ინტიმური საჩუქარი, ფოტოსურათები, წერილები, თუმცა, თვითონაც არ იცის, რატომ ვერ ელევა ამ ნივთებს. ქალის საიდუმლოსთან შედარებით, მამაკაცის საიდუმლო ისეთი „უმანკო“ ჩანს, რომ შეიძლება მას „საიდუმლოც“ ვერ ვუწოდოთ. უბრალოდ, ყოველ მათგანს აქვს სურვილი, ჰქონდეს ადგილი, სადაც შეუძლია ისე იოცნებოს, რომ ცოლმა არ ჰკითხოს: „რაზე ფიქრობ?“ ან უფრო უარესი – „ვისზე ფიქრობ?“

მამაკაცი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე სულაც არ არის მეოჯახე, იგი თავისუფალი, „უცოლო“ პიროვნებაა. ფსიქოლოგების აზრით, იმისათვის, რომ მან საკუთარ თავთან თავად მიაღწიოს ჰარმონიას, აუცილებელია, თუნდაც მცირე დრო სრულ მარტოობაში გაატაროს. ამიტომ, თუკი მან ცხვირწინ მოგიხურათ კარი, ჩაკეტა უჯრა და არ გაგიზიარათ თავისი წარსულის „ტკბილი ცოდვები“, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას თქვენ არ უყვარხართ. თუ ქალი მაინც ცდილობს, ათქმევინოს ქმარს რაღაც ისეთი, რაც აქამდე მას არ უთქვამს, ის მისთვის აკრძალულ სამყაროში იჭრება. თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ მამაკაცს შეიძლება ისეთი საიდუმლოც ჰქონდეს, რომლის გამხელაც წყვილს შორის ურთიერთობას ნამდვილად არ გააუმჯობესებს. გულახდილობა, ზოგჯერ განხეთქილების მიზეზად იქცევა ხოლმე. თუმცა, ქალები ყოველთვის ამბობენ, რომ ურჩევნიათ, მოისმინონ თუნდაც მწარე სიმართლე, ვიდრე თავს მოტყუებულად გრძნობდნენ. „მე იგი მიყვარს და მსურს, მის შესახებ ყველაფერი ვიცოდე, რათა უკეთესად მესმოდეს მისი“, – ამბობენ ქალები, მაგრამ „ერთარსად“ ყოფნის სურვილი მარტო ნაზი გრძნობებით არ არის ნაკარნახევი. ხშირად გაუაზრებლად მივილტვით იმისკენ, რომ მიღებული ცოდნა და ინფორმაცია საყვარელი ადამიანის მანიპულირებისთვის გამოვიყენოთ. ფსიქოლოგები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს იკვლევენ, მანდილოსნებს ერთ რჩევას აძლევენ: სანამ ქმარს თავისი საიდუმლოებებით „გაშიფრავდეთ“, დაფიქრდით, გსურთ თუ არა, ახალი თავსატეხი გაიჩინოთ? და კიდევ ერთი: მაშინაც კი თუ ქმრის საიდუმლოს ფარდას ახდით, ჯობს თავი ისე დაიჭიროთ, თითქოს არაფერი იცით. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ძნელია, მაგრამ რადგან სპეციალისტები გვირჩევენ, ესე იგი, ასე ჯობს! თუკი მამაკაცი ცდილობს, თქვენ რაღაც დაგიმალოთ, ეს უკვე მისი პრობლემაა და დაე, თვითონ გადაჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგიწევთ დიდხანს არკვიოთ ურთიერთობები, შემდეგ კი იმაზე იფიქროთ, როგორ გამოხვიდეთ შექმნილი სიტუაციიდან.

P.S. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მთელი ფილოსოფია ის არის, რომ მათ ერთმანეთს დაუმტკიცონ: „ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის, მაგრამ არაფერს ვამბობ, რადგან მიყვარხარ!“

■

თქვენი კომპიუტერი იმ პაროლის მიხედვით გცნობთ, რომელსაც ქსელში შესვლის წინ აკრეფთ ხოლმე. პროგრამისტების აზრით, ამოცნობის ეს სისტემა უკვე საკმაოდ მოძველებულია. დღეს კომპიუტერი ადამიანს უკვე სიცილის მიხედვით ცნობს. საკმარისია, ერთი გადაიხარხაროთ, რომ მიკროფონი უმალვე დაიჭერს საჭირო სიხშირეს, ინტონაციას, ტონებს...

„სახის" ფსიქოლოგია

ავსტრალიელი სპეციალისტების აღმოჩენა იმ ფაქტზეა დაფუძნებული, რომ თითოეული ადამიანის სიცილი განუმეორებელია. სიცილის მანერა კი ყოველთვის შეესაბამება ადამიანის ხასიათს.

როგორ იცინით? თავშეუკავებელი მხიარულებისას სარკეში ჩაიხედეთ, შემდეგ კი შეადარეთ, რამდენად ზუსტია თქვენი ფსიქოლოგიური პორტრეტი.

● *სიცილისას ნეკა თითით ტუჩებს ეხებით.* საკუთარი შეხედულებები გაქვთ კარგი ტონის, გრაციოზულობისა და ქალურობის შესახებ და ცდილობთ, მათ შეესაბამებოდეთ. გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

● *პირზე ხელს იფარებთ.* საკუთარ თავში არ ხართ დარწმუნებული. მორცხვი ხართ და ყოველთვის ჩრდილში ყოფნა გირჩევნიათ.

● *თავს უკან სწევთ.* მიმნდობი ხართ. ზოგჯერ მოულოდნელი საქციელი გჩვევიათ. მხოლოდ გრძნობებით ხელმძღვანელობთ.

● *ხელით სახეს ან თმას ეხებით.* ასე მეოცნებენი და ფანტაზიორები იქცევიან.

● *სიცილისას ცხვირს ჭმუხნით.* თქვენი გრძნობები და შეხედულებები ხშირად იცვლება. ემოციური ადამიანი ხართ და ამასთანავე, ჭირვეულიც. ადვილად ემორჩილებით წუთიერ განწყობილებას.

● *ხმამაღლა იცინით და პირს ფართოდ აღებთ.* ტემპერამენტიანი ადამიანი ხართ. თავშეკავება და ზომიერება გაკლიათ. გიყვართ ლაპარაკი, მაგრამ არ გიყვართ სხვების მოსმენა.

● *თავს წინ ხრით, ვიდრე ჩუმად ჩაიცინებდეთ.* კეთილსინდისიერი ხართ, კარგად ეგუებით გარემოსა და ადამიანებს. გრძნობებს ყოველთვის აკონტროლებთ.

● *ხელს ნიკაპს ჰკიდებთ.* თქვენს ასაკზე უფრო ახალგაზრდული ხასიათი გაქვთ. ხშირად დაუფიქრებელი მოქმედებები გახასიათებთ.

● *სიცილის დროს არ გაქვთ კონკრეტული მანერა.* თქვენ ინდივიდუალისტი ხართ. ყოველთვის და ყველაფერში საკუთარი აზრი გაქვთ. სხვების აზრს ხშირად უარყოფთ. ■

ნაუმენი ჭორფლიანი კანისათვის

როგორც წესი, ზაფხულობით ჭორფლი უფრო შესამჩნევია. ის უმეტესად ქერათმიან და თეთრი პირისახის მქონე ადამიანებს უჩნდებათ. ჭორფლიანები ფიქრობენ, რომ ეს ყავისფერი წერტილები მათ კანს მიმზიდველობას უკარგავს და მათ მოცილებას ნებისმიერი საშუალებით ცდილობენ. არადა, თუ ექიმი-კოსმეტოლოგის რჩევის გარეშე იმოქმედებთ, შეიძლება, პროვოცირება გაუწიოთ მას და მოცილების ნაცვლად, მის გამრავლებას ან გამუქებას შეუწყოთ ხელი. ამიტომ, არ არის სასურველი თვითნებური ჩარევა და სანამ ჭორფლის მოცილებას სხვადასხვა საშუალებით ცდით, რჩევა კოსმეტოლოგს ჰკითხეთ. შესაძლოა, ჭორფლი ჰორმონული დარღვევების, ორსულობის, ღვიძლის, კუჭის დაავადებისა და კოსმეტიკური საშუალებების გამოყენების შედეგად გაქვთ გაჩენილი. ამის დადგენაში კი, სწორედ კოსმეტოლოგი დაგეხმარებათ. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო ყოველდღიური მათეთრებელი კრემის შერჩევისას. შინ დამზადებული ოხრახუშის ნაყენით სახის გაწმენდას კი ძალზე კარგი ეფექტი აქვს. ორ ჩ/კ წვრილად დაჭრილ ოხრახუშს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2-3 საათი. შემდეგ გადაწურეთ. ნაყენი წაისვით სახეზე, კისერზე, ხელებზე დღეში ერთი-ორჯერ. გაუწურავი ნაყენი შეიძლება კუბურების სახით გაყინოთ მაცივარში. მაცივარში მისი ერთ კვირაზე მეტი ხნით შენახვა დაუშვებელია.

ნებისმიერი ტიპის კანზე შეგიძლიათ წაისვათ ლიმონი, კიტრის კანი. სასარგებლოა, კიტრის რბილობისგან მომზადებული ნიღაბიც. ნიღაბს იჩერებენ 15-20 წუთი. ■

ციმბირის წყლული

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

თბილისში ციმბირის წყლულის რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა. ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, კიდევ დაფიქსირდეს ახალი შემთხვევები და მოსახლეობას, განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდა.

ინფექციის წყარო

ინფექციის ძირითადი წყაროა დაავადებული შინაური ცხოველები, პირველ რიგში ბალახის მჭამელები, იშვიათად – ღორები, გარეული და მტაცებელი ცხოველები. ავადმყოფი ცხოველი მიკრობებს ინტენსიურად გამოყოფს და 1-2 დღეში იღუპება. დაავადება მხოლოდ ღორებში შეიძლება მიმდინარეობდეს გახანგრძლივებულად და ლიმფური კვანძების დაზიანებას იწვევდეს. ეპიდემიოლოგიურ საშიშროებას ქმნის ინფიცირებული ნიადაგი. ინფექციის პოტენციური წყარო შეიძლება იყოს ავადმყოფი ადამიანიც.

ინფექციის შეჭრის გზები

კონტაქტური. ადამიანის ორგანიზმში გამომწვევი შეიჭრება დაზიანებული კანიდან და ლორწოვანიდან კონტაქტის გზით დაავადებული ცხოველის მოვლის, მისი დაკვლის ან ხორცის დაჭრის დროს, აგრეთვე ცხოველის გატყავების, უტილიზაციისა და დამარხვისას, დაინფიცირებული ხორცის, ტყავის ან ბეწვის დამუშავებისას.

ალიმენტური (საკვებით განპირობებული). ამ გზით გადაცემის ფაქტორებია: დასნებოვნებული ხორცი და ხორცის პროდუქტები.

ინჰალაციური. გადაცემა ხდება დაინფიცირებული ნედლეულის (ტყავის, ბეწვის, მატყლის) დამზადებისას.

ტრანსმისიური. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ჯილეხით დაავადების შემთხვევები განპირობებულია დაინფიცირებული ცხოველური ნედლეულის, ძვლის ფქვილის სასუქად და ცხოველის საკვებად გამოყენებით, აგრეთვე ტყავის ნაწარმით და სხვა.

როგორ ვითარდება დაავადება

ჯილეხის ჩხირი (ციმბირის წყლულის გამომწვევი) ორგანიზმში შეიჭრება დაზიანებული კანიდან ან ლორწოვანის ზედაპირიდან. ჩხირი გამოყოფს ტოქსინს (შხამს), რომლის ზემოქმედებით ადგილობრივად ვითარდება ანთება და ირგვლივი ქსოვილები შუპდება. წარმოიქმნება ე.წ. ჯილეხის კარბუნკული. შემდგომ შეჭრის ადგილიდან ჯილეხის ჩხირები გადაიტანება უახლოეს ლიმფურ კვანძებში და ვითარდება მწვავე ლიმფადენიტი (ლიმფური ჯირკვლების ანთება), რასაც მოჰყვება ქსოვილების რღვევა და გამომწვევის გადასვლა სისხლში. თუ მოხდა ჩხირის დისემინაცია (მოთესვა) შინაგან ორგანოებსა და ქსოვილებში, ვითარდება დაავადების გენერალიზებული ფორმა, რომელიც საკმაოდ იშვიათია. შემთხვევათა 98-99%-ში კანის ფორმა გვხვდება.

დაავადების კანის ფორმა

ინკუბაციური პერიოდი 2-8 დღეა, იშვიათად – 2 კვირამდე შეიძლება გაგრძელდეს. კანზე გამომწვევის მოხვედრის ადგილზე წარმოიქმნება ჯერ ლაქა, შემდეგ მოწითალო-სპილენძის ფერის პაპულა, რომელიც რამდენიმე საათში ბუშტუკად გადაიქცევა. ავადმყოფს აწუხებს ქავილი ამ ადგილას. ბუშტუკი შეიცავს მოყვითალო-შავი ფერის შიგთავსს. ქავილის გამო ან ზოგჯერ თავისთავად, ბუშტუკი სკდება და მის ადგილას წარმოიქმნება წყლული, საიდანაც სეროზულ-სისხლიანი სითხე გამოდის. წყლულის ირგვლივ შეშუპება ვითარდება, რომელიც ზოგჯერ დიდ არეს იკავებს. წყლული იფარება შავი ქერქით. მის ირგვლივ კი ვითარდება შვილობილი ბუშტუკები, ისინიც წყლულდება და დაზიანების არე ფართოვდება.

ციმბირის წყლულის კარბუნკული უმტკივნეულოა. კანის ფორმის დროს ინტოქსიკაციის (მოშხამვის) მოვლენები პირველ დღესვე იწყება. ტემპერატურა 38-40 გრადუსია, აღინიშნება ტანში ტეხის შეგრძნება, საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, გულის აჩქარება. მე-5-7 დღეს ტემპერატურა მკვეთრად ეცემა და დაავადებაც უკუგანვითარებას განიცდის. დაახლოებით 2 კვირაში ქერქი მოშორდება და ნაწიბური ვითარდება.

მკურნალობა

ციმბირის წყლულის მკურნალობა კომპლექსურია. სპეციფიკური მკურნალობისთვის გამოიყენება ჯილეხის საწინააღმდეგო ჰეტეროგენული გლობულინი. აგრეთვე გამოიყენება ანტიბიოტიკები, ავადმყოფს ვენაში უსხამენ მარილოვან ხსნარებს და სისხლის შემცვლელებს. ლოკალური ფორმის შემთხვევაში პროგნოზი კეთილსაიმედოა. გენერალიზებული ფორმისას კი, გამოჯანმრთელება იშვიათია.

როგორ დავიცვათ თავი

ნუ შეიძენთ ხორცს საეჭვო ადგილას. იყიდეთ მხოლოდ ის ხორცი, რომელსაც გავლილი აქვს ვეტერინარული შემოწმება.

დაუშვებელია დაავადებული (ვიდრე დიაგნოზი უცნობია) ცხოველის დაკვლა და მით უმეტეს, მისი რეალიზაცია.

ჯილეხის მხრივ საეჭვო და ჯილეხიან ავადმყოფებთან კონტაქტში მყოფი პირების იზოლაცია საჭიროა 8 დღით.

დაავადების კერაში უნდა ჩატარდეს დეზინფექცია. ■

დაბალი წნევა

ფიზიოლოგიური ჰიპოტონია სავსებით ჯანმრთელ ადამიანებსაც აქვთ. ასეთი ჰიპოტონიისკენ განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები და სპორტსმენები არიან მიდრეკილნი. დაბალი წნევის მქონენი უჩივიან საერთო სისუსტეს, თავბრუსხვევას, თავის ტკივილს, ძილიანობას, მოდუნებას, სწრაფად იღლებიან, წონასწორობას ადვილად კარგავენ, დროდადრო გულიც მისდით. ზოგჯერ სიმპტომები ძლიერდება, ჩნდება შიშის, მოუსვენრობის, ჰაერის უკმარისობის, გულის მუშაობის გადატვირთვის შეგრძნება, ავადმყოფები წამდაუწუმ კვნესიან – ამგვარად ვლინდება ჟანგბადოვანი შიმშილი. ფიზიოლოგიურ ჰიპოტონიას კონსტიტუციური და მემკვიდრეობითი ფაქტორები განაპირობებს.

პათოლოგიური ჰიპოტონია ანუ ჰიპოტონიური დაავადება სისხლძარღვთა ტონუსის რეგულაციის მოშლის შედეგია.

ასეთი ავადმყოფის ჩივილები ძალზე მრავალფეროვანია: მოდუნება, აპათია, დილაობით – ძლიერი სისუსტისა და დაღლილობის შეგრძნება, საღამოობით – პასტოზურობა (წვივებისა და ტერფების შეშუპება), შრომის უნარის დაქვეითება... ხშირად მოსვენების დროსაც კი აღენიშნებათ ჰაერის უკმარისობა, ხოლო ზომიერი ფიზიკური დატვირთვის დროს – ქოშინი. ავადმყოფთა უმრავლესობას ახასიათებს ემოციური არამდგრადობა, ძილის დარღვევა. მამაკაცებს უქვეითდებათ ლიბიდო, ქალებს კი ერღვევათ მენსტრუაციული ციკლი.

ჰიპოტონიის **კარდიული** ფორმის დროს გულის არეში ვითარდება ტკივილი, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდება და არ იხსნება ნიტროპრეპარატების მიღებისას. ამ დროს, ნიტროგლიცერინი აუარესებს კიდეც ავადმყოფის მდგომარეობას, რადგან წნევა უფრო მეტად ქვეითდება. ზოგჯერ ტკივილი გაივლის მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშის შესრულების შემდეგ.

ჰიპოტონიის **ცერებრული** ფორმისას პაციენტს აღენიშნება თავის ტკივილი, *არტერიულ ჰიპოტონიაზე მაშინ ლაპარაკობენ, როცა სისხლის წნევა 100/60 მმ. ვწყ. სვ-ზე ნაკლებია. თანამედროვე კლინიკურ პრაქტიკაში განასხვავებენ ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ ჰიპოტონიას.*

რომელიც გაღვიძების ან ფიზიკური და გონებრივი სამუშაოს შესრულების დროს ვითარდება. ეს არის ყრუ, მომჭერი, მფეთქავი ტკივილი, რომელიც რამდენიმე საათიდან 2-3 დღემდე გასტანს.

არტერიულ ჰიპოტონიას ახასიათებს კანის სიფერმკრთალე, თავბრუსხვევა, მკვეთრი სინათლისა და ხმაურის მიმართ მგრძნობელობის მომატება, სიარულის დროს წონასწორობის დაკარგვა და გულის წასვლაც კი.

არტერიული წნევის მკვეთრი დაცემის შემთხვევაში, შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიის მსგავსი შეტევა, რომელსაც თან სდევს შემცივნება ან ცივი ოფლის უხვად გამოყოფა, კიდურების კრუნჩხვა და შარდის შეუკავებლობა.

მკურნალობა

ქრონიკული არტერიული ჰიპოტონიის მკურნალობა, პირველ რიგში, რამდენიმე აუცილებელ ღონისძიებას გულისხმობს:

- პირველ რიგში – დღის მკაცრ რეჟიმს; ღამით, 8 საათზე ნაკლები არ უნდა გეძინოთ, დილაობით უნდა ივარჯიშოთ და რეგულარულად უნდა ჩაიტაროთ წყლის პროცედურები;
- შრომის სწორ ორგანიზებას;
- სრულფასოვან კვებას;

არტერიული ჰიპოტონიის მკურნალობის მიზანია, წნევა არამედიკამენტური საშუალებებით ავწიოთ. რეკომენდებულია კოფეინის შემცველი პროდუქტების (ყავის, ჩაის), სუფრის მარილის ნორმაზე ოდნავ მეტი რაოდენობით მიღება. ასეთმა ავადმყოფებმა ჰიპოტონიის მიზეზი ემოციურ სფეროშიც უნდა ეძებონ.

ჰიპოტონიის სამკურნალო მცენარეული პრეპარატები

- კოთხუჯი (ფესვი)

2 ს/კ კოთხუჯის ფესვს მომინანქრებულ ჭურჭელში დაასხით ანადუღარი წყალი (1 ჩ/ჭ). დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წთ, გააცივეთ, გადაწურეთ და ისევ 1 ჭიქამდე შეავსეთ მდუღარე წყლით. სვით თითო ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამამდე. ორსულებისთვის არ შეიძლება.

- თავშავა

მომზადების წესი იგივეა, ოღონდ უნდა ავიღოთ 2 ჩ/კ მცენარე 1 ჩ/ჭ წყალზე. მიიღეთ ნახევარ-ნახევარ ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე. ორსულთათვის არ შეიძლება.

- კრაზანა

2 ს/კ – 1 ჩ/ჭ წყალზე. ნახარში მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 2 წუთით ადრე.

- ჭინჭარი

1 ს/კ – 1 ჩ/ჭ წყალზე. მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

- მარწყვი (ფოთოლი)

2 ს/კ – 1 ჩ/ჭ წყალზე. მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში. ■

ჭრელი მსოფლიო

ვიტამინები _ პირდაპირ ჰაერიდან

სამხრეთკორეული ფირმა „დეუ ელექტრონიქსი“ მალე გამოუშვებს მსოფლიოში პირველ კონდიციონერს, რომელიც ჰაერში ვიტამინებს აფრქვევს. სიახლის შემქმნელები ამტკიცებენ, რომ დანადგარის მიერ გამომუშავებული ვიტამინების ნაწილაკები პირდაპირ კანის ფორებით შეიწოვება, თანაც, მათში შემავალი სხვადასხვა ანტიბაქტერიული სუბსტანციის ნაკრები ჰაერში 90%-მდე მავნე მიკრობებს ანადგურებს. „დეუ ელექტრონიქსის“ ამ სიახლეს თურმე შეუძლია, ვიტამინებით უზრუნველყოს დაახლოებით 50 კვადრატული მეტრი ფართი. ადგილობრივ ბაზარზე კონდიციონერი 1.790 დოლარი ღირს. ■

კითხვა + პასუხი

კითხვა: ძალიან მტკივა წელი. გამოვიკვლიე და მითხრეს, რომ მაქვს თირკმლის დაწევა. მაწუხებს წნევა. ნაცნობები მეუბნებიან, რომ ამის მკურნალობა არ შეიძლება, მხოლოდ ოპერაციაა გამოსავალი. გთხოვთ, მირჩიოთ რამე — იქნებ, არსებობს პროფილაქტიკური საშუალებები მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

პასუხი: თირკმლის დაწევა საკმაოდ სერიოზული დიაგნოზია. მისი რადიკალური მკურნალობის მეთოდი ქირურგიული ჩარევაა. დაწევა ვითარდება მუცლის ღრუს იოგოვანი აპარატის მოდუნების შედეგად, რაც წონის მკვეთრი დაკლების შემდეგ, ძლიერი ფიზიკური დატვირთვის დროს და სხვა მიზეზთა გამოც ხდება. მოდუნებული იოგების ხელახალი დაჭიმვა ქირურგიული ჩარევის გარეშე შეუძლებელია. ასე რომ, კონსერვატიული მეთოდების გამოყენებით თირკმლის საწყის პოზიციაზე დაბრუნება არ მოხერხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპერაცია თირკმლის დაწევის დიაგნოზის დასმისთანავე უნდა გაკეთდეს. ამას მხოლოდ მაშინ გადაწყვეტენ, როცა ადამიანს თირკმლის ფუნქციის სერიოზული დარღვევის საფრთხე ემუქრება. პათოლოგიური პროცესი თირკმელში დაწევის დროს უკავშირდება შარდის გამოყოფის შეფერხებას, მის შეგუბებას, რასაც შარდიდან მარილების გამოლექვა, კენჭების წარმოქმნა და ანთებითი პროცესების განვითარება მოსდევს. პროფილაქტიკური ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს შარდის შეგუბების თავიდან აცილება, საშარდე გზების ნალექებისაგან გამორეცხვა, ანტიბაქტერიული, ანტიანთებითი მკურნალობა. მარილებისაგან თირკმლების გასაწმენდად უნდა მიიღოთ ბევრი სითხე (2 ლ-ზე მეტი), მაგრამ აუცილებლად მცენარეულ შარდმდენებით (თირკმლის ჩაი, შვიტა, მატიტელა, სიმინდის თმა) ერთად. მარილებისგან გაწმენდს საშარდე გზებს პრეპარატები ცისტონი, ცისტენალი. ანთების საწინააღმდეგოდ კი გამოიყენება 5-ნოკი, ნიტროქსოლინი, პალინი და სხვა. თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ და ზედმიწევნით შეასრულებთ, წელის ტკივილი გიკლებთ და წნევაც შედარებით მოგიწესრიგდებათ. თუმცა, კონკრეტული თერაპიის კურსს ექიმი-უროლოგი შეგირჩევთ. ■

პროქტოლოგიური დაავადებები

სწორი ნაწლავის დაავადებებს ხშირად მსგავსი ნიშნები აქვთ, თუმცა თითოეულ მათგანს მახასიათებელი სიმპტომებიც აქვს. დღეს ეს პათოლოგიები საკმაოდ გავრცელებულია.

ბუასილი სწორი ნაწლავის ვენების ვარიკოზული გაგანიერების შედეგად ვითარდება. ვენების გაგანიერების მიზეზი კი მუცელშიდა წნევის მატებაა, რასაც ადგილი აქვს მაგალითად, ყაბზობის (შეკრულობის), სიმძიმეების აწევის დროს. ბუასილის კვანძები სწორედ ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებია. განარჩევენ ბუასილის გარეგან და შინაგან კვანძებს. გარეგანი კვანძები კანქვეშაა განლაგებული ანალური ხვრელის გასავალთან, შიდაკვანძები კი — ლორწოვანი გარსის ქვეშ ანალური გასავლიდან 1-2 სმ-ით შიგნით. გარეთა კვანძები სისხლმდენი არ არის, ის ხანდახან მხოლოდ ქავილს იწვევს. თუმცა ხშირია მათში ინფექციის შეჭრა, რის გამოც კვანძები ანთებითი და ძლიერ მტკივნეული ხდება, განსაკუთრებით — დეფეკაციის დროს. შიდაკვანძები რბილია. მათგან ხშირად დის სისხლი, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ სისტემატური სისხლდენა ანემიის მიზეზი ხდება ხოლმე.

ბუასილის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მაპროვოცირებელი ფაქტორების მოხსნას: უნდა მოწესრიგდეს კუჭის მოქმედება, პაციენტი უნდა ერიდოს მძიმე ფიზიკურ სამუშაოს. კვანძების მოცილება კი ხორციელდება ლიგატურის დადებით, ინფრაწითელი ფოტოკოაგულაციით, სკლეროთერაპიით და ქირურგიული ჩარევით.

სწორი ნაწლავის პოლიპები. სწორ ნაწლავში ზოგჯერ ვითარდება ადენომური პოლიპები, რომელთაც ავთვისებიანად ქცევის გარკვეული პოტენციალი აქვთ. რაც უფრო დიდია პოლიპი, მით მეტია მისი გადაგვარების ალბათობა. პოლიპების მოცილება კოლონოსკოპის მეშვეობით შეიძლება.

ანალური ნაპრალი ხშირ

შემთხვევაში ნაწლავის უკანა კედელზე ჩნდება, შედარებით იშვიათად — წინა კედელზე. ანალური ნაპრალი ქრონიკული დაავადებაა და პერიოდულად მწვავდება. იგი ვლინდება ტკივილით დეფეკაციის შემდეგ. ტკივილი ზოგჯერ რამდენიმე წუთი გრძელდება, ზოგჯერ კი რამდენიმე დღეც გასტანს. ტკივილის გამო ავადმყოფი დეფეკაციისგან თავს იკავებს, რაც ყაბზობას უწყობს ხელს, ყაბზობა კი კიდევ უფრო ამწვავებს მდგომარეობას.

ნაპრალს კონსერვატიულადაც მკურნალობენ და ოპერაციის მეშვეობითაც.

პარაპროქტიტი სწორი ნაწლავის გარშემო არსებული ქსოვილის ჩირქოვანი ანთებაა, რომელსაც სხვადასხვა მიკრობი იწვევს. იქ მიკრობები შეიძლება მოხვდეს ან ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანების შედეგად ან ლიმფური გზით, ძალზე იშვიათად — სისხლის მეშვეობითაც. პარაპროქტიტის დროს ადამიანს აწუხებს ძლიერი ტკივილი ანალური ხვრელის არეში. იქვე ისინჯება მტკივნეული შესივება, რომელიც მალე მომცრო აბსცესად გადაიქცევა. გარკვეული დროის შემდეგ, აბსცესი შეიძლება გაიხსნას სწორი ნაწლავის სანათურში. ტკივილთან ერთად ავადმყოფს ამცივნებს და აქვს ტემპერატურა. პარაპროქტიტს სჭირდება სასწრაფოდ მკურნალობა, რაც აბსცესიდან ჩირქის გამოშვებას და ანტიბიოტიკოთერაპიას გულისხმობს. ■

ჭაბორგნილი აღაქმანლების ფოსტრეგაული ჭაბონათქვამები



კომეტების რიცხვი

XVI-XVII საუკუნის გერმანელ ასტრონომსა და მათემატიკოსს, ახალი ასტრონომიის ერთ-ერთ ფუძემდებელს იოჰანეს კეპლერს ჰკითხეს:

— ცაზე რამდენი კომეტაა?

— რამდენიც თევზი წყალში, — მიუგო პლანეტათა მოძრაობის კანონების აღმომჩენმა, სახელგანთქმულმა მეცნიერმა.

ხელმომჭირნეობა

უდიდესი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი, მომჭირნეობითაც იყო ცნობილი. ერთხელ, მან ნაცნობი, ჭიქა ღვინოზე დაპატიჟა. როდესაც იმანუილმა ცოტა ხნით სუფრა დატოვა, სტუმარმა მიმტანს მოწონებით უთხრა:

— რა არაჩვეულებრივად კარგი ღვინოა!

— აბა, ის ღვინო უნდა გაგესინჯათ, რომელსაც ბატონი პროფესორი მაშინ უკვეთს ხოლმე, როდესაც მარტოა. — ღიმილით მუგო მან.

აზრთა სხვადასხვაობა

ალექსანდრე ჰუმბოლდტი ერთ საზოგადოებაში თავისი საინტერესო თავგადასავლების შესახებ ჰყვებოდა. როდესაც მან იაგუარზე ნადირობის დაძაბული სცენა აღწერა, ერთმა ქალმა თავისი აზრი გამოთქვა:

— მე საშინლად და ამაღელვებლად მიმაჩნია იაგუარის მოკვლა.

ჰუმბოლდტმა გაიღიმა და თავაზიანად მიუგო:

— მერწმუნეთ, ქალბატონო, ტყვიის აცდენა უფრო მეტად საშინელი და ამაღელვებელია.

ანეკდოტები

***

— რა გაქვთ?

— სამწუხაროდ, მხოლოდ „სალიანკა“.

— მენიუში ამდენი რამ რომ გიწერიათ?

— ეგ მადის აღსაძვრელად...

***

— შენს სიდედრს ძაღლი მისდევს.

— ეტყობა, სახეზე ვერ შეხედა, თორემ არ გარისკავდა.

***

— შვილო, ეს შენი თაყვანისმცემელი იფიცება, რომ ცოლად თუ არ გაჰყვები, თავს მოიკლავს.

— ეგენი, სუყველანი მასე ამბობენ ხოლმე.

— იქნებ, ერთი მაინც გადაგვერჩინა!

***

მთვარიანი ღამეა. მთვრალი ბიჭიკია სასაფლაოზე მიაბიჯებს. უცბად, ხედავს, რომ ვიღაც კაცი ორ ქალს შორის წევს.

— მომეცი ერთი, რაია?!. — შეეხვეწა ბიჭიკია.

— ოოო... მომეცი, მომეცი! მუშაობა აღარავის უნდა... მიდი და თვითონ ამოთხარე თუ კაია...

***

— მორჩა! — უყვირის მიხო ქალიშვილს, — შენ ჩემგანა კაპიკსაც ვეღარ ეღირსები...

— რატომ... მამიკო, რატომ?

— იმიტომა, რომ უკითხავად გაიპარე... შენა ჩემთვინა მკვდარი ხარ!

— გასვენების ფული მაინც მომეცი, რა, მამი...

***

— ექიმო, მეხსიერებაში დარღვევები მაქვს.

— ხშირად?

— ... რა... ხშირად?

— დარღვევები.

— ... რა დარღვევები?..

***

— ვალოდა... შენთან სიდედრი მოვიდა „სვიდანიაზე“, — ეუბნებიან პატიმარს.

— სენი წილიმე, უფლოსო... უთხალი, ლომ კამელაში ალა ვალ...

***

— სად მუშაობ?

— რეკეტიორი ვარ. შენ?

— მე მსხვილი ბიზნესმენი.

— „ზნაჩიტ“, კიდევ შევხვდებით!

***

გურულს ქუჩაში ნაცნობი ხვდება:

— გამარჯობა, ევგრაფი... როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები, ძამა... მეგობარმა ცოლი მომტაცა...

— ეუუუჰ... მაგისთანა სინდისგარეცხილი თუ იყო, არ იცოდი?!.

— ვიცოდი კი არა... სულ არ ვიცნობდი, ძამა...

— აპა, რეიზა უბნობ, მეგობარმაო?..

— რეიზა და... მაგისთანა სიკეთეს... მეგობრის გარდა სხვა ვინ გამიკეთებდა?

***

ქმარი გაზეთს კითხულობს, ცოლი ტელევიზორს უყურებს:

— „მალადეც“... „მალადეც“... — აღტაცებით ყვირის ქმარი.

— რა მოხდა? — კითხულობს ცოლი.

— აგე, წერია: კაცმა დილით გაიცნო ქალი... შუადღისას ცოლად შეირთო.

— კაცი ყოფილა... „მალადეც“ — წამოხტა ცოლი.

— მაცალე... არ დამიმთავრებია... და საღამოს მოკლა!.. — კმაყოფილი თვალებით ახედა ქმარმა.

***

ბიჭიკია 8 მარტისთვის საჩუქარს ყიდულობს.

— დაია, ამირჩიე ერთი საჩუქარი, — ეუბნება გამყიდველს.

— ცოლისთვის გინდა, თუ ძვირიანი...?

კვირის (17-23 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: წინა თვეში რეალიზებული პროექტები კარგ დივიდენდებს მოგიტანთ. არ დაგავიწყდეთ ვალების დაბრუნება, ახლობლები კი საჩუქრებით გაახარეთ. კვირას სტუმრები მიიღეთ და შეძლებისდაგვარად ხელგაშლილი იყავით.

მამაკაცი: სავსებით შესაძლებელია, გენიოს ფინანსისტად წარმოიდგინოთ თავი, რადგან რამდენიმე ფინანსურ ოპერაციას წარმატებით შეასრულებთ. ხუთშაბათისთვის არანაირი მნიშვნელოვანი საქმე არ დაგეგმოთ, საბუთებთან მიმართებაშიც ფრთხილად იყავით.

კრავი – 21/IV-21/V

ქალი: მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას – ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას, როგორც კი თავს ცუდად იგრძნობთ, მაშინვე მიმართეთ ექიმს. კვირის მეორე ნახევარში ეცადეთ, ხელმძღვანელობას თვალში არ შეეჩხიროთ.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში დიდი ხნის წინ შესრულებული, მაგრამ აუნაზღაურებელი სამუშაოსთვის ჰონორარს მიიღებთ. წვრილმან საქმეებზე არ მოცდეთ, სერიოზული პროექტების რეალიზების დრო მოვიდა.

მარიხეი – 22/V-21/VI

ქალი: თუ ჯერ კიდევ მარტო ხართ, მაშინ საკმაოდ სერიოზული რომანი გელით, მაგრამ ეცადეთ, ამ თემაზე ბევრი არ ილაპარაკოთ ახლობლებთან და კოლეგებთან, მოულოდნელმა შურმა შეიძლება ხასიათი გაგიფუჭოთ.

მამაკაცი: გახალისდით, ახლა არ არის მოდუნების დრო! საქმეში აქტიურად ჩაერთეთ და მოღვაწეობის სრულიად სხვადასხვა სფეროში გამოავლენთ საკუთარ შესაძლებლობებს. უქმე დღეებში კონფლიქტებს მოერიდეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში ბევრი სიურპრიზი გელით. თქვენი რჩეული საქმიანი მიღწევებითა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებით გაგახარებთ.

მამაკაცი: პროფესიულ მოვალეობებს უფრო შემოქმედებითად მიუდექით – ამ მონდომებას ხელმძღვანელობაც სათანადოდ დააფასებს. სასიყვარულო ურთიერთობებში დიდი წარმატება გელით.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: კვირის პირველ ნახევარში საქმიანი შეხვედრები საკმაოდ ნაყოფიერი იქნება. ადვილად დაამყარებთ საქმისთვის აუცილებელ ურთიერთობებს. კვირის ბოლოს რჩეულთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრეთ.

მამაკაცი: აქტიური მოქმედება და გონივრული რისკი მოგცემთ საშუალებას, შემოსავლის ახალი წყარო იპოვოთ და მნიშვნელოვნად წაიწიოთ წინ კარიერაში.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ცვლილებებისკენ მიისწრაფვით. ზოგიერთი თქვენგანი კარგა ხნის წინ ჩაფიქრებულ რემონტს წამოიწყებს, ზოგი კი მხოლოდ ვარცხნილობის შეცვლით დაკმაყოფილდება. ფრთხილად იყავით საჭესთან.

მამაკაცი: ბედი გიღიმით: კარგი პერიოდია საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. მნიშვნელოვნად დათბება ურთიერთობები ხელმძღვანელობასთან, გამოჩნდებიან ახალი საქმიანი პარტნიორები. უქმეებზე ოჯახის წევრებს არ ეკამათოთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: საკმაოდ პოზიტიური პერიოდია პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების განსახორციელებლად. თუ გრძნობთ, რომ ახლანდელ თაყვანისმცემელთან ურთიერთობა უპერსპექტივოა, ჯობია დროულად შეწყვიტოთ მასთან კავშირი.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში ყველაფერში გაგიმართლებთ – თამამად მიიღეთ ყველაზე სარისკო გადაწყვეტილებები. ეს კვირა განსაკუთრებით მათთვის იქნება იღბლიანი, ვისაც ხელმძღვანელი თანამდებობები უკავია.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: კვირის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. მეორეში კი – სასიამოვნო სიახლეები და ახალი რომანტიკული ურთიერთობებია მოსალოდნელი.

მამაკაცი: ძალისხმევა მნიშვნელოვანი საქმეებისთვის მოიკრიბეთ და ნუ მოცდებით წვრილმანებზე. მომავალი წარმატებული საქმიანობისთვის ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობების მოგვარება მოგიწევთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: კარიერაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია მოსალოდნელი, წარმატებულ ფინანსურ ოპერაციებს განახორციელებთ. გაითვალისწინეთ, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამოკიდებულებაში იქნებით კოლეგებთან.

მამაკაცი: სტაბილური მატერიალური მდგომარეობა გექნებათ. არაჩვეულებრივად აქტიური და წარმატებული იქნებით, თუმცა ნუ დაგავიწყდებათ, რომ ინიციატივა ხშირად უარყოფითი შედეგების მომტანია.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ხანგრძლივი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად კვირის პირველ ნახევარში ნუ მიიღებთ კამათში მონაწილეობას. კვირის მეორე ნახევარში არ არის გამორიცხული, თქვენი ოცნების მამაკაცს შეხვდეთ.

მამაკაცი: კოლეგებთან და ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობაში ფრთხილად იყავით. ნუ გამოავლენთ ამბიციებს და თქვენს გეგმებს ყველას ნუ გააცნობთ. მოსალოდნელია კარიერაში სწრაფი წინსვლა.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ნუ გაუშვებთ ხელიდან ახალი ცოდნის მიღებისა და პროფესიული დონის ამაღლების შესაძლებლობას. კარგი პერიოდია პირადი პრობლემების მოსაგვარებლად, შეყვარებულთან შესარიგებლად.

მამაკაცი: მოსალოდნელია ახალი პარტნიორების გამოჩენა. ეს დაგეხმარებათ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაშიც. საქმეებში წარმატებისთვის აუცილებელია კოლეგების ნდობა და მათი მოსაზრებების მოსმენა.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: კვირის დასაწყისში მოსალოდნელია ისეთი ადამიანის გაცნობა, რომელიც თქვენს ცხოვრებას უფრო საინტერესოს გახდის. კვირის ბოლოს ახლო მეგობართან საუბარი, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას შეგმატებთ.

მამაკაცი: ახალი საქმის ათვისებისას ნუ მოგერიდებათ გამოცდილი ადამიანებისთვის რჩევის კითხვა. კვირის მეორე ნახევარში მეგობრების მოსანახულებლადაც გამონახეთ დრო და მხოლოდ სატელეფონო კავშირებით ნუ დაკმაყოფილდებით.



ელისაბედ ტეილორის ერთ-ერთი ქმარყოფილი

ამერიკელი ჩოგბურთელი

ვულკანი სიცილიაზე

ალბერ კოლინის წყლად ნოდებული პირველ ნაწარმოები

ნოტი

კაქლის ნაყოფი

მიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.

უსაღლესი არისტოკრატული სზოგადება

მიზანა ბრეგვაძის საყვარელი ბოსტნეული

პოპ-მუსიკის სახელა ...-ენ-როლი

პარიზის აეროპორტი

ერთ ჯერზე მისალბი წამლის რაოდენობა

ფლამანდიელი ფერმწერი (1579-1657)

ველოდრომი

პრეზიდენტი ეიტას ქმარი

ქართველთა დასახლება ბამზე

სიმღერა შეზავებული ხრეშივ ლაპარაკით

გერმანელი მწერალი

ოპერის ტექსტი

სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში

ველური მსხალი

ცნიერი

წინდი

წყალი საქმეში

საქართველოს ისტორიული მხარე

თავხელურად გულასდილი ადამიანი

3,14

ვერდის ოპერა

სახოტბოლექსი

სოკოს ქსელი პროდუქტზე

ძალზე ძნელი ლოდინი

ძეხვეული სალამური

მაუგლის მეგობარი

ქართველი ბალერინა ნიორაძე

ფილმ დენერისა და რენის მონწილეობით

ბეთჰოვენის ფეხბურთელი

ბეთჰოვენის ავტორიტეტი

დეფექტი სინდ. კრიუეფორდის სახეზე

ტოპ-მოდელი ... მაკფერსონი

მერქნიანი მცენარე

ბავარიის დიდაქალაქი

ჩინური ტანვარჯიში

ნაპოლეონის მარშალი

შეადგინა რამაზ ალანიამ

ფარშავანგი ბაჩო

ინდმეწარმის მაღასახადებს პირნათლად იხდის

ალბათ ბევრ თქვენგანს შეუმჩნევია, მეტროს სადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გრძელ სკამზე მედიდურად შემომჯდარი ფარშავანგი. ეს ეგზოტიკური ფრინველი ადამიანებს თავისი უჩვეულოდ ლამაზი ფერებით იზიდავს და მასთან ერთად სურათის გადაღების სურვილსაც ულვიძებს. თუ ფოტოაპარატი თან არ გაქვთ, პრობლემას მომენტალურად ფარშავანგის მეპატრონე, ფრიდონ ცერცვაძე გადაგიჭრით და თქვენი სურვილისა და ჯიბის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ფარშავანგ ბაჩოსთან ერთად გადაღებულ „პოლაროიდის“ ან „კოდაკის“ სურათს მოგართმევთ. როგორც გაირკვა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ბიზნესის ამ სფეროშიც მოქმედებს, ამიტომ ბაჩოსთან სურათის გადაღების ფიქსირებული ტარიფის დასახელება გაგვიჭირდება, რადგან მომრიგებლური შევაჭრების პოლიტიკა აქაც ჭრის.

ემა ტუხიაშვილი

— ბატონო ფრიდონ, გვიამბეთ, როგორ დაიბადა ამ ბიზნესის წარმოების იდეა?

— მე ერთი უბრალო თბილისელი კაცი გახლავართ, პროფესიით ინჟინერი, მაგრამ უკვე მრავალი წელია, თავს „თოვლის ბაბუობით“ ვირჩენ: ახალი წლის პერიოდში თოვლის ბაბუა და სანტა-კლაუსი ვარ გამოძახებით. ბავშვები და მათთან ურთიერთობა ძალიან მიყვარს, ამიტომ ჩემი სამუშაო დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ მხოლოდ სეზონური სამსახურით თავს ვერ ირჩენ. გადავწყვიტე, რომ ფარშავანგი შემეძინა, კარგ ამინდში ხალხმრავალ ადგილებში გამოვსულიყავი და მსურველებისთვის სურათი გადამეღო.

— ფარშავანგი სად შეიძინეთ?

— ვარკეთილის დასახლებაში ერთ-ერთმა პიროვნებამ მოაშენა ფარშავანგები და მან მომყიდა. სხვათა შორის, საკმაოდ ძვირი — დაახლოებით ათასი დოლარი დამიჯდა. ჯერ მხოლოდ სამი წლის არის, გაიზრდება და კიდევ უფრო დამშვენდება.

— ამხელა თანხა რომ გადაიხადეთ, ფიქრობთ, რომ ამ ბიზნესით შეძლებთ, დანახარჯიც აინაზღაუროთ და მოგებაც ნახოთ?

— ბიზნესს ყოველთვის რისკი ახლავს თან, ზოგი იგებს, ზოგი კი წაგებული რჩება.

— ფარშავანგს სახელი თქვენ შეურჩიეთ?

— არა, ბავშვებმა დაარქვეს. ბავშვებს ძალიან მოსწონთ დიდი ლამაზი ფრინველი, ჩერდებიან, უყურებენ. ზოგი ვერ ცნობს და ხან წეროს ეძახიან, ხან კი ყანჩას. ბაჩოს მიმართ არც უფროსები იჩენენ გულგრილობას, ბევრი ადამიანი ჩერდება, რომ მოეფეროს, მოესიყვარულოს ან უბრალოდ ინტერესით შეათვალიეროს. ზოგს მასთან ერთად სურათის გადასაღები ფული არა აქვს, მაგრამ მთავარი, მატერიალური დაინტერესება ხომ არ არის. ეს ფრინველი ბუნებას კიდევ უფრო ალამაზებს, ამიტომ თუ ვინმეს მისი ხილვით სიამოვნებას მივანიჭებ, ეს გამახარებს.

— ადამიანებთან ურთიერთობისას როგორია? სურათების გადაღება თუ უყვარს?

— ვერ ვიტყვი, რომ აგრესიული ფრინველია, მაგრამ კარგად გრძნობს კეთილი და ბოროტი ადამიანების აურას. ვინც მოსწონს, მასთან იოლად შედის კონტაქტში, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გადაღება ჩაეშალოს. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ეფერებიან, მას კი არ სიამოვნებს და ჩემკენ იწევს. ხედავთ, თქვენც როგორი ყურადღებით გათვალიერებთ?..

— როგორ ფიქრობთ, მოვეწონები?

— ჯერ გსწავლობთ... მგონი, თქვენთან კონტაქტშიც შემოვა.

— კუდს როდის შლის ხოლმე თქვენ ფარშავანგი?

— მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის წყვილს — დედალ ფარშავანგს აწონებს თავს, ეპრანჭება... ჯერჯერობით ბაჩო მარტოდმარტოა, ბრძანებით კი კუდს ვერ გააშლევინებ. თუ ვინმე ძალიან მოეწონა, მხოლოდ მაშინ შეიძლება ოდნავ გაშალოს კუდი, მაგრამ არა ისე, როგორც საერთოდ ფარშავანგებს სჩვევიათ.

— განსაკუთრებული მოვლა სჭირდება?

— მისთვის აუცილებელია ვიტამინებით გაჯერებული საკვები, რასაც სტაფილოს, ჭარხლისა და კომბოსტოს სახით მიიღებს ხოლმე. სახლში მისთვის ცალკე ოთახი გვაქვს გამოყოფილი, „სამსახურში“ კი მანქანით დავაბრძანებთ. ფარშავანგს ერთი ნაკლი აქვს — დილაობით საშინელი ხმით კივის. იმდენად შემზარავ ხმებს გამოსცემს ხოლმე, რომ ვხუმრობ, ალბათ მისი სახელწოდება „ფალშივი გონგს“ ნიშნავს-მეთქი.

— სამომავლოდ თუ აპირებთ გააფართოოთ თქვენი ბიზნესი?

— რაღაც გეგმები ნამდვილად გვაქვს, თუმცა ჯერ არ გავამხელ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

— კონკურენციის ხომ არ გეშინიათ?

— არა. უბრალოდ, ჩემი ჩანაფიქრი, ჯერ მხოლოდ პროექტის სტადიაშია. მინდა, ეს სიურპრიზი იყოს თბილისელი ბავშვებისთვის. მხოლოდ ერთ დეტალს გაგიმხელთ. ადრე ხშირად გამოვდიოდი ქუჩაში მასხარის კოსტიუმით და ბავშვებთან ერთად სურათებს ვიღებდი. თანამედროვე ბავშვების ცნობიერებაში კლოუნის ტიპაჟი ცოტა მოძველდა. ახლა მინდა, რომ მიკი მაუსის კოსტიუმი შევიძინო და ასე დავუმშვენო კვერდი ჩემს ბაჩოს.

— სულ ახლახან საქართველოს პრეზიდენტი ინდმეწარმეებს დაჰპირდა, რომ გადასახადებისგან გაათავისუფლებს. თქვენ თუ ითვლებით ინდივიდუალურ მეწარმედ?

— რა თქმა უნდა, მეც ინდმეწარმე ვარ, სხვადასხვა სახის გადასახადს მეც ვიხდი და იმედით ველოდები შესაბამისი კანონის გამოსვლას, რომელიც ოფიციალურად მომიხსნის ყველა გადასახადს. ■

რამდენად გამბედავი ადამიანი ხართ?



ხშირ შემთხვევაში, საკუთარი გაუბედაობის წყალობით ადამიანებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ. ასე რომ, უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გაარკვიეთ, რამდენად გამბედავი ბრძანდებით თავად. პასუხების მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი.

1) თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რა წარმოადგენს ადამიანის მამოძრავებელ ძალას?

ა) ცნობისმოყვარეობა;

ბ) საწადლის შესრულების სურვილი;

გ) აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

2) როგორ ფიქრობთ, რატომ იცვლიან ადამიანები სამსახურს?

დ) უბრალოდ, მათ სამსახურიდან ითხოვენ;

ე) უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნის შემთხვევაში;

ვ) საკუთარი სულისათვის უფრო შესაფერ სამსახურს ეძებენ.

3) როგორ იქცევით, როცა პრობლემები და უსიამოვნებები გაქვთ?

ა) ცდილობთ, ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა ბოლო წუთამდე გადადოთ;

ბ) გიჩნდებათ მოთხოვნილება, რომ გაერკვეთ, ამა თუ იმ სიტუაციაში რამდენად დამნაშავე ხართ თქვენ თავად;

გ) რაც მოხდა, იმაზე ფიქრიც კი არ გსურთ.

4) როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუკი დროულად ვერ მოასწარით რაღაც საქმის გაკეთება?

დ) შიშით დაელოდებით იმ მომენტს, როცა საქმის შედეგებს მოგკითხავენ;

ე) სათანადოდ მოემზადებით ახსნა-განმარტების მისაცემად;

ვ) ჯერ კიდევ მანამდე განაცხადებთ თქვენი წარუმატებლობის შესახებ, ვიდრე ამის თაობაზე შეგეკითხებიან.

5) როცა თქვენ მიერ დასახული ესა თუ ის ამოცანა დადებითად გადაწყდება ხოლმე, როგორ ხვდებით ცნობას ამის თაობაზე?

ა) სხვადასხვაგვარი რეაქცია გაქვთ — გააჩნია დასახულ მიზანს. ოღონდ, რაღაც განსაკუთრებულად მძაფრი ემოციების გადმოფრქვევა არ გჩვევიათ;

ბ) მძაფრ, დადებით ემოციებს აფრქვევთ;

გ) შვებას გრძნობთ.

6) რა რჩევას მისცემდით მეტის-მეტად მორიდებულ ადამიანს?

დ) თავი აერიდებინა რისკიანი სიტუაციებისთვის;

ე) გაეცნო სხვა ყაიდის ადამიანები და უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდა მათთან, ვინც ნაკლებად მორცხვი და მორიდებულია;

ვ) მეტისმეტი სიმორცხვის დაძლევას ფსიქოლოგის მეშვეობით ურჩევდით.

7) როგორ მოიქცევით კონფლიქტურ სიტუაციაში?

ა) იმ ადამიანს, ვისთანაც კონფლიქტი მომიხდა, წერილს მივწერ;

ბ) ვეცდები, პირისპირ დაველაპარაკო მას ამ თემაზე;

გ) კონფლიქტის დარეგულირებას შუამავლის მეშვეობით ვეცდები.

8) როცა შეცდომას უშვებთ, რაგვარი შიშის გრძნობა გეუფლებათ?

დ) სასჯელის შიში;

ე) იმის შიში გიპყრობთ, რომ შესაძლოა, ამ შეცდომამ თქვენთვის ჩვეული წესრიგი დაგირღვიოთ;

ვ) პრესტიჟის დაკარგვის შიში.

9) როცა ვინმეს ესაუბრებით, თქვენ:

ა) დროდადრო მზერას არიდებთ მოსაუბრეს;

ბ) მოსაუბრეს პირდაპირ თვალებში უყურებთ;

გ) მზერას არიდებთ მაშინაც კი, როცა პირადად მოგმართავენ.

10) როცა მნიშვნელოვან თემაზე საუბრობთ, თქვენ:

დ) ერთსა და იმავე ფრაზას რამდენჯერმე იმეორებთ, ღელავთ და შესაძლოა, ხმამაც გიმტყუნოთ;

ე) ხშირად მოიშველიებთ ხოლმე მნიშვნელობას მოკლებულ სიტყვებს;

ვ) ჩვეულებრივ, მშვიდ ტონს ინარჩუნებთ.

ტესტის პასუხები

თუკი თქვენი პასუხები ძირითადად „ა“ და „ე“ ვარიანტებისგან შედგება, **გამოდის, რომ არცთუ ისე გამბედავი ადამიანი ბრძანდებით, თუმცა ვერც გაუბედაობას დაგწამებთ ვინმე. ყოველთვის აქტიურად და სწრაფად არ მოქმედებთ, ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში მიგაჩნიათ — ჩიტი ბდღვნად არ ღირს. თქვენ გხიბლავენ გაბედული ადამიანები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ვინმეს გაუბედავ საქციელსაც ამართლებთ, რადგან მიგაჩნიათ, რომ მათი ქმედება შიშით კი არა, წინდახედულობითა და სიფრთხილითაა გამოწვეული.**

თუკი თითქმის ყველა თქვენი პასუხი „ბ“ და „ვ“ ვარიანტებისგან შედგება, **მინდა გითხრათ, რომ უდავოდ გამბედავი ადამიანი ბრძანდებით. ხშირ შემთხვევაში, თქვენ უგულებელყოფთ იმას, რასაც წვრილმან და უმნიშვნელო რამედ მიიჩნევთ. მიუხედავად ამისა, თქვენ გაფასებენ როგორც დამოუკიდებელ და საინტერესო პიროვნებას. თუკი, ამასთან ერთად, პასუხისმგებლობის გრძნობითაც გამოირჩევით, თამამად შეგიძლიათ ხელი მოჰკიდოთ ურთულესი დავალებების შესრულებას, მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ: ასეთ შემთხვევაში, თქვენს ჯგუფში აუცილებლად უნდა იყვნენ განსხვავებული ტიპის ადამიანები, რომლებიც თქვენს ძალზე დიდ აქტივობას გაანეიტრალებენ.**

თუკი ყველა თქვენი პასუხი „გ“ და „დ“ ვარიანტებისგან შედგება, **მაშინ გამოდის, რომ თქვენ არა მარტო გადაწყვეტილების მიღების გეშინიათ, არამედ ამ საკითხზე ფიქრიც კი გაფრთხობთ... თქვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას სტაბილურსა და ბედნიერს ვერავინ უწოდებს. თქვენი ქმედებების პასუხად, ხშირ შემთხვევაში, ქების ნაცვლად კრიტიკას ელით...**

გირევიათ თუ არა პასუხებში სხვა ვარიანტებიც? თუკი არა, მაშინ თქვენ არა მარტო საკუთარ თავთან გაქვთ პრობლემები, არამედ ირგვლივმყოფებთანაც.

საუდის არაბეთში უზარმაზარ მაიმუნებს უჩივიან

საუდის არაბეთის ქალაქ აბჰას მცხოვრებლებმა სამართლიანი აღშფოთება გამოთქვეს იმ არეულობის გამო, რომელიც ქალაქის მიმდებარე ტყეებში მცხოვრები მაიმუნების ჯოგებმა დაატრიალეს. მაიმუნები მეტისმეტად გათავხედებულან. თურმე, ღობეებიდან მოქალაქეთა სახლებში ძვრებიან, სამზარეულოს თავდაყირა აყენებენ, ბაღებში კი ხეებსა და დეკორატიულ მცენარეებს აფუჭებენ. ზოგიერთი არაბი იძულებული გამხდარა, კარის წინ და აივანზე რკინის ბადეები დაეყენებინა, რათა „დაუპატიჟებელი და უზრდელი სტუმრებისგან“ დაეცვა თავი.

თავხედმა მომხდურებმა ქალაქის პარკშიც შეაღწიეს. ისინი ქუჩებში ავტომანქანებზე ადიან, ნერვებს უშლიან მოზრდილებსაც და განსაკუთრებით, დილით სკოლაში მიმავალ ბავშვებს. მოქალაქეები ხელისუფლებას „სათანადო ზომების სასწრაფოდ მიღებას“ სთხოვენ. ■

ვიაგრის ყველაზე მოხუცი მომხმარებელი 99 წლისაა

სინგაპურში გამომავალ უროლოგიის საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნდა იმ გამოკვლევის შედეგები, რომელიც ვიაგრის მომხმარებელ სინგაპურელ პაციენტებზე დაკვირვებას ითვალისწინებდა. სინგაპურელმა ექიმებმა ერთხმად გამოაცხადეს, რომ მათ ქვეყანაში პრეპარატ ვიაგრის ყველაზე მოხუც მომხმარებელს 99 წელი შეუსრულდა. როგორც რეკორდსმენის მკურნალმა ექიმმა აღნიშნა, მისი პაციენტი პენსიონერია, მეორედაა დაქორწინებული. მისმა ცოლმა კი, 60 წელს გადააბიჯა.

„იმედი მაქვს, როცა 99 წლის ვიქნები, მეც შევძლებ მსგავსი კურსის ჩატარებას“, — აღნიშნავს ექიმი-უროლოგი, რომელთანაც ვიაგრის მომხმარებელი 1520 ადამიანი მკურნალობს. ■

ადამიანები ცოცხლად ჰომ ახ დამახხონ...

ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ერთ-ერთმა დამკრძალავმა ბიურომ Camino a Canaan-მა, თავის კლიენტებს ძალზე უჩვეულო მომსახურება შესთავაზა. კლიენტების სურვილის მიხედვით, გარდაცვლილების კუბოები შეიძლება, მოძრაობის გადამცემით აღჭურვონ.

ბიუროს წარმომადგენელთა განცხადებით, გადამცემები სრულიად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანი ცოცხლად დამარხონ. „ცნობილია შემთხვევები, როცა ადამიანი კატალეფსიის, საღათას ძილის მდგომარეობაში, სრულიად იყო პარალიზებული რამდენიმე საათის განმავლობაში და ის ცოცხლად დაუმარხავთ, — აცხადებენ ბიუროს წარმომადგენლები, — ამ სიახლის წყალობით კი, ნათესავებს შეუძლიათ, სავსებით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ასეთ შემთხვევებში მათ ახლობლებს აუცილებლად ეშველებათ“. ■

მოგზაური ბაყაყი

ავსტრალიის ქალაქ მელბურნიდან ახალი ზელანდიის დედაქალაქ უელინგტონში თვითმფრინავით მიმავალი ქალბატონი მგზავრობისას ძალზე უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდა. რბილად რომ ვთქვათ, ქალი გაოცდა, როცა თავის სალათში ცოცხალი ბაყაყი აღმოაჩინა. მგზავრის თქმით, როცა ქალმა სალათის კოლოფს თავი ახადა, ჭაობის ბაყაყი ამაყად წამოსკუპებულიყო კიტრზე. ქალმა მოასწრო, მომენტალურად ისევ დაეფარებინა თავსახური და მას გაქცევის საშუალება არ მისცა.

ლაინერის ეკიპაჟმა „ცოცხალი სალათი“ სასწრაფოდ გაიტანა სალონიდან და დედამიწას „საგანგებო მდგომარეობის“ შესახებ შეატყობინა, რათა თვითმფრინავის დაჯდომამდე „მიეღოთ ზომები“.

მოგვიანებით, თვითმფრინავი, „მოგზაური ბაყაყითურთ“, წარმატებით დაეშვა აეროპორტში, ხოლო პანიკის გამომწვევი, სამშვიდობოს გაუშვეს — ისე, რომ აღარც გაურკვევიათ, როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ის სალათის კოლოფში. ■

ფოტოკუთხეები







ინფორმაცია, ანალიზი, პროგნოზი, რჩევები...

660/13

ნოემბერში

აიშენეთ სახლი ქალაქგარეთ



თბილისის რუკა

Svanetisubani

ნარმატება რომ თან გსდევდეთ...